

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ შარაბიძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი
(12 ბიოგრაფია)



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„არასდროს არ შექმნილა მწერლის კარგი ბიოგრაფია და არც შეიქმნება. ნამდვილად კარგი მწერალი მრავალი ინდივიდისგან შედგება, რომელთაგან თითოეულს თავისი ბიოგრაფია აქვს“.

სკოტ ფიცჯერალდი

„ადამიანს აქვს ერთი ცხოვრება და მრავალი ბიოგრაფია“.

კონსტანტინე მელიხანი

ნიგნში წარმოჩენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული აზროვნების საკითხები; ნაჩვენებია, თუ როგორი ერთიანი და მთლიანია ბარათაშვილის პოეტური სახისმეტყველება, როგორ ერწყმის მწერლის ფილოსოფიური აზროვნება მის მხატვრულ სტილს; კომპლექსურად შესწავლილია ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ხელნაწერები, პუბლიკაციები, არმოღწეული თხზულებები, საზოგადოების დამოკიდებულება მწერლის მემკვიდრეობისადმი მისი სიკვდილის შემდგომ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართება რუსულ და დასავლურ რომანტიზმთან და სხვა. ერთი სიტყვით, წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა რაკურსით კვლევა.

ნიგნი გამიზნულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ფილოლოგიისა და ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებისთვის.

რედაქტორი: პროფ. **ინგა სანიკიძე**

რეცენზენტები: პროფ. **ნანა გონჯილაშვილი**,
პროფ. **თამარ პაიჭაძე**

*გარეკანზე გამოყენებულია **ლევან ჭოლოშვილის** ნახატი*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
ISBN 978-9941-13-871-3

სარჩევი

წინასიტყვაობა: წიგნის სათაურის გააზრებისათვის	7
Foreword: Towards understanding the book's title	10
ეპოქის ბიოგრაფია	13
ბარათაშვილისდროინდელი ქართული	
სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე	13
საგანმანათლებლო სისტემა	21
ნამდვილი ბიოგრაფია	30
ოჯახი	30
ბავშვობა და ახალგაზრდობა	40
სამსახური	50
პოეტის ახლობელთა წრე	56
სიცოცხლის ბოლო წლები	60
პოლიტიკური ბიოგრაფია	66
1832 წლის შეთქმულება	66
1841 წლის გურიის აჯანყება	73
„ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ	
დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს“	76
საქართველოს ბედი – პოეტის ფიქრის გზაჯვარედინი ...	78
საზოგადოებრივი ბიოგრაფია	86
საპირადო ბიოგრაფია	96
სიკვდილის შემდგომი ბიოგრაფია	113
ბარათაშვილის აღიარება	115
ბიოგრაფია ხელნაწერების მიხედვით	130
ავტოგრაფები	130

ფსევდონიმები	134
ბიოგრაფია პუბლიკაციებში	136
ბარათაშვილის შემოქმედების კვლევის ისტორია	136
ბარათაშვილის პუბლიკაციები	160
ბიოგრაფიული დეტალები არმოღწეულ მასალაში (მოგონებებში შემორჩენილი ფაქტები)	172
ბიოგრაფია არმოღწეულ თხზულებებში	172
ბარათაშვილის თარგმანი – იოჰან ანტონ ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“	173
ბარათაშვილის არმოღწეული პორტრეტები	180
ბიოგრაფია ეპისტოლეებში	190
ბიოგრაფია ლირიკაში	236
ნიკოლოზ ბარათაშვილის მრწამსი	236
ნიკოლოზ ბარათაშვილი და რუსული რომანტიზმი	242
ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული რომანტიზმი	255
ბიოგრაფიის გაგრძელება (ბარათაშვილის გავლენა შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაზე)	271
ბარათაშვილი და ილია	272
ბარათაშვილი და ვაჟა	284
ბარათაშვილი და XX საუკუნის პოეტები	290
ბოლოსიტყვაობა	301
Afterword	304
გამოყენებული ლიტერატურა	307

*წიგნი ეძღვნება „სულითობოლ“, გონებით საღ
და ბუნებით ხალას ადამიანებს*

წინასიტყვაობა

წიგნის სათაურის გააზრებისათვის

„ნიკოლოზ ბარათაშვილი (12 ბიოგრაფია)“ სათაურის გააზრება დამყარებულია სკოტ ფიცჯერალდის სიტყვებზე, რომ „კარგი მწერალი მრავალი ინდივიდისგან შედგება, რომელთაგან თითოეულს თავისი ბიოგრაფია აქვს“. ზოგადად ადამიანი და, მით უმეტეს, მწერალი სხვადასხვა ასპარეზზე ამჟღავნებს თავს და ხშირად მის სულიერ სამყაროს, პირად განცდებსა და ტკივილებს საერთო არაფერი აქვს მის საზოგადოებრივ თუ სამსახურეობრივ მოღვაწეობასთან. ხშირად ხდება, რომ მწერლის, როგორც პიროვნების, შეფასება თანამედროვეთა მიერ არ თანხვდება მისი მხატვრული შემოქმედებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას, ანუ თანამედროვენი სხვაგვარად გიხატავენ მწერალს, შემოქმედება კი სხვას ამბობს მის შესახებ. ჩვენ შევეცადეთ დაგვეხატა ბარათაშვილის სახე სხვადასხვა რაკურსიდან, დაგვეხასიათებინა მისი მოღვაწეობის ეპოქა, ინტელექტუალური გარემო, ახლობელთა წრე; გვემსჯელა პოეტის შესახებ მისი ეპისტოლეებით, მოღწეული და არმოღწეული თხზულებებით, ხელნაწერებით, მიძღვნებით, ფსევდონიმებით, რომლებიც წარმოაჩინს პოეტის პიროვნებას და სხვადასხვა კუთხიდან ასახავს მის ცხოვრებას. პირველი ბიოგრაფიის მიხედვით, ბარათაშვილს აღვიქვამთ თავისი ეპოქის შვილად, ამიტომაც ამ თავს „ეპოქის ბიოგრაფია“ ვუნოდეთ და წარმოვადგინეთ ბარათაშვილისდროინდელი ქართული სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე და ის საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც აღიზარდა პოეტი. მას მოჰყვება მწერლის „ნამდვილი ბიოგრაფია“ – ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება დაბადებიდან გარდაც-

ვალებამდე, ფაქტები, მოვლენები, მოგონებები.... „პოლიტიკურ ბიოგრაფიაში“ ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულებანია ჩვენ მიერ ინტერპრეტირებული (თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ შეიძლება არსებობდეს სხვაგვარი გააზრებაც). პოლიტიკური შეხედულებანი ზუსტად წარმოაჩენს ეპოქასთან მიმართებაში ადამიანის აზროვნების თვალსაზიერს, ამიტომ საინტერესო უნდა იყოს მწერლის პიროვნების შესაცნობად. „საპირადო“ საქმეებში იხატება კაცის ბუნება და ხასიათი, მისი გრძნობები კონკრეტული პიროვნებებისადმი და ამ განცდათა ფილოსოფიური ხასიათი. „სიკვდილის შემდგომ ბიოგრაფიაში“ წარმოჩნდება პოეტის ღვანლი, რომელსაც გვიან აღიქვამს საზოგადოება, რადგან თავის დროზე უჭირს დროსგასწრებული გენიოსის დაფასება. ჩვენი აზრით, მწერლის ბიოგრაფიის დანახვა შესაძლებელია მის ხელნაწერებშიც („ბიოგრაფია ხელნაწერებში“), რომელთაც პოეტი ხშირად ურთავდა მიძღვნებს. ამ მიძღვნებში თვალსაჩინოა მისი დამოკიდებულება ახლობელი ადამიანებისადმი. პუბლიკაციები („ბიოგრაფია პუბლიკაციებში“) შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: პუბლიკაციები მწერალზე და თავად ავტორის ნაწარმოებთა პუბლიკაციები. ორივე შემთხვევაში მწერლის ბიოგრაფია გრძელდება, ორივე შემთხვევაში წარმოჩნდება საზოგადოების დამოკიდებულება მისადმი, დროის მიხედვით სალიტერატურო კრიტიკის ცვალებადობა, მწერლის პოპულარობის ზრდა და ა.შ. არმოღწეულ მასალაშიც კი, რომელიც მხოლოდ მოგონებებშია შემორჩენილი, ბიოგრაფიული დეტალები აისახება. ეს თავი – „ბიოგრაფიული დეტალები არმოღწეულ მასალაში“ – დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში საუბარია ბარათაშვილის არმოღწეულ თხზულებებსა და თარგმანებზე („ბიოგრაფია არმოღწეულ თხზულებებში“), ხოლო მეორე ნაწილში – მწერლის არმოღწეულ პორტრეტებზე („ბარათაშვილის არმოღწეული პორტრეტები“). არმოღწეული მასალა, რომლის შესახებ ვიგებთ პოეტის ახლობლების მოგონებებიდან და წერილებიდან, ავსებს ბარათაშვილის ცხოვრებას. დაკარგულ თხზულებებში, რომელთა მხოლოდ სახელწოდებებია ჩვენთვის ცნობილი, პოეტის ინტერესთა სფერო იკვეთება.

როგორც არ უნდა წარმოვაჩინოთ პოეტის ბიოგრაფია სხვადასხვა ასპექტით, ის ყველაზე მეტად წერილებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ხდება თვალსაჩინო. აქ ბარათაშვილი არ იზღუდება არანაირი ჩარჩოებით და გულწრფელია თავისი გრძნობების, შეხედულებებისა და, თუნდაც, ფილოსოფიური აზრების გადმოცემა-გამოხატვაში. ის არა მხოლოდ აყალიბებს ამა თუ იმ აზრს, არამედ ერთ მთლიან და გააზრებულ კონცეფციას ქმნის, რომელიც მისი აზროვნების მასშტაბურობასა და ტრანსცენდენტურობას წარმოაჩენს. საინტერესოა მწერლის მხატვრული შემოქმედების კულტურული მიმართება თავისი დროის რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან, რაც განსაზღვრავს ბარათაშვილის ადგილს მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში და გვეხმარება მისი პოეტური მემკვიდრეობის მსოფლიო სალიტერატურო პროცესების ფონზე გააზრებაში. დაბოლოს, ბიოგრაფია გრძელდება და აისახება მგოსნის შემდგომდროინდელ მწერლობაშიც. ბარათაშვილი არის ის პოეტი, რომლის მემკვიდრეობის ანალიზი გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მუდმივად შემოდის ქართველ (და არა მხოლოდ ქართველ) კრიტიკოსთა ინტერესის სფეროში. შესაბამისად, მისი შემოქმედებითი ღვაწლი მუდმივად განახლებადი რეცეფციის კონტექსტშია მოქცეული. საინტერესო ფაქტია, რომ ბარათაშვილის გავლენა პირველ რიგში ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაზე აისახება, იმ მწერლებზე, რომლებიც თავად არიან საუკეთესონი, გამორჩეულნი და პოეზიის „მეუფეებად“ აღიარებულნი. ეს ფაქტი ცხადყოფს იმ გენეტიკურ კავშირს, რომელიც არსებობს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა თაობას შორის. ამ საკითხებს ეძღვნება ბარათაშვილის ბოლო ბიოგრაფია – „ბარათაშვილის გავლენა შემდგომდროინდელ ქართულ მწერლობაზე“.

FOREWORD

TOWARDS UNDERSTANDING THE BOOK'S TITLE

Understanding the title – "Nikoloz Baratashvili (12 Biographies)" ... is based on Scott Fitzgerald's words "A good writer includes many individuals and each of the individual has its biography." Generally speaking, a person and, even more so, a writer, realizes his potential in various fields, and it is quite often that his spiritual world, private feelings and sufferings have nothing in common with his public or professional activities. It is also common that the appraisal of a writer as an individual by his contemporaries does not match the impression evoked by his artistic creativity, that is, the contemporaries' perception of the writer differs from the way he is perceived through his own writings.

We have attempted to look at the Baratashvili's image from different perspectives, to describe the epoch of his activity, his intellectual milieu, his circle of friends; converse about the poet based on his epistles, his survived or perished writings, his manuscripts, dedications, and pseudonyms that jointly depict the poet's personality and reflect his life as observed from different angles. According to the first biography, we perceive Baratashvili as essentially the son of his epoch, therefore this chapter is titled - "Biography of the Epoch", and here we present the social-political reality and the educational system in Georgia contemporaneous to Baratashvili, within which the poet was actually brought up; Then it is followed by the "True biography" of the writer – Nikoloz Baratashvili's whole life until his death, facts, events, memories...

In the "Political biography", Baratashvili's political views are presented as we interpret them (though we do not rule out the possibility of other interpretations). Political views reflect accurately a scope of human reasoning with respect to the epoch, so they should be of interest in order to understand the writer's personality; The 'private' affairs better reflect the nature and the character of the person, his feelings towards specific individuals, and the philosophical essence of these feelings; In the "Posthu-

mous biography” the poet's accomplishments are revealed, recognised only much later by the society, because it is unable to immediately appreciate the genius who is far ahead of the time. In our opinion, the writer's biography can also be traced through his manuscripts ("Biography in the manuscripts") that often contain dedications made by the poet. These dedications are remarkable as they reveal his attitudes towards the persons close to him; Relevant publications ("Biography in publications") can be divided into two groups: publications about the writer, and the author's published works. In both cases the biography of the writer still continues to this day, and in both cases, we observe public attitudes toward him, variability of literary criticism, the rise of the writer's popularity, and so on. Some biographical details are reflected even in the materials that have not survived other than in the memories of other people. The following chapter - "Biographical Details in Un-survived Materials" - is divided into two parts. The first part deals with Baratashvili's writings and translations ("Biography in un-survived works"), while the second part - with the writer's perished portraits (Baratashvili's un-survived portraits). These un-survived materials that we learn about from the memoirs and letters of the poet's kin, supplement other data about his life. These lost writings, of which only the titles are known to us, tend to reveal the scope of the poet's interests.

Whatever are the various aspects of the poet's biography that we attempt to depict, they are best visible in his letters and literary works. Here, Baratashvili is not restricted by any constraints and is completely sincere in expressing his feelings, opinions and even philosophical ideas. He would not only develop one or another idea but rather create a whole and well-thought conceptual framework that well demonstrates the scope and transcendentalities of his thinking. It is interesting to note the cultural connection of the writer's literary works with his contemporary Russian and European literature which helps to determine Baratashvili's place in the world literary space, and to interpret his poetic heritage against the background of the global literary process. Baratashvili is the poet whose legacy has been uninterruptedly studied and analysed ever since the beginning of the last century, remaining in the focus of the Georgian (and

not only Georgian) literary critics. Consequently, his creative heritage remains permanently within the context of continuously evolving perception. It is interesting to observe that Baratashvili's influence is primarily reflected in the works of Georgian classical authors, those writers who are indeed the best, distinguished and commonly recognized as the 'kings' of poetry. This fact displays the genetic link between different generations in Georgian literature. It is to these issues that the last biography of Baratashvili is dedicated - "Baratashvili's influence on subsequent Georgian writers".

ეპოქის ბიოგრაფია

ბარათაშვილისდროინდელი ქართული სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე

ბარათაშვილისდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის აღსაქმელად აუცილებელია გავითვალისწინოთ ის წინარე ვითარება, რომელმაც ქართველი ხელისუფლები დააყენა პოლიტიკური არჩევანის წინაშე. საქმე ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთებას. სპარსელი, თურქი და მონღოლი დამპყრობლების გამუდმებულმა თავდასხმებმა, ასევე კავკასიელ მთიელთა თარეშმა გაანადგურა როგორც ერთიანი საქართველო, ასევე მისი ცალკეული მხარეები და ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა. ქართველმა ხელისუფლებმა დაიწყეს ძლიერი ქრისტიანული რწმენის მოკავშირის ძებნა, რომელიც დაიცავდა ქვეყანას დამპყრობლებისაგან. ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსემ ორიენტაცია თავდაპირველად ევროპაზე აიღო, საფრანგეთთან დიპლომატიური მიწერ-მოწერა გამართა. შემონახული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მას ლუი XIV-ისგანაც მიუღია წერილები (მ. თამარაშვილი 1902 : 314-317). სწორედ ამ მიზანს ემსახურება სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობაც ევროპაში 1713-1716 წლებში. საზოგადო მოღვაწის მიერ საქართველოში კათოლიკე მისიონერების ჩამოყვანამ განარისხა ოფიციალური – მართლმადიდებლური – ეკლესიის წარმომადგენლები და სულხან-საბა იძულებული გახდა საქართველოდან გადასახლებულიყო. ვახტანგმა მეორედ მართლმადიდებელ რუსეთზე აიღო ორიენტაცია, თავად გაემგზავრა მოსკოვში, მაგრამ მისი მეორე ცდაც უშედეგოდ დასრულდა, როგორც სხვა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთ-საქართველოს შორის. აღსანიშნავია, რომ ამ მუდმივი წარუმატებლობის მიზეზი თავად რუსეთი გახლდათ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაინტერესებული საქართველოთი.

საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა ერეკლე II-ის პოლიტიკის მთავარ საკითხად იქცა, რომლის შედეგი იყო საქარ-

თველოსა და რუსეთს შორის 1883 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი. ამ ხელშეკრულების მიხედვით ქართლ-კახეთის მეფე შედიოდა რუსეთის მფარველობაში; რუსეთი კი ვალდებული იქნა იღებდა, არ ჩარეულიყო სამეფოს შინაურ საქმეებში. სამეფო ტახტი მემკვიდრეობით გადავიდოდა ბაგრატიონთა დინასტიის შთამომავლებზე, მაგრამ ტახტზე ასვლისას მეფეს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები (გვირგვინი, სიგელი, დროშა და სხვა). ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ინიშნებოდა რუსეთის წარმომადგენელი, რომელსაც ეკისრებოდა ზრუნვა ხელშეკრულების დაურღვევლობაზე; რუსეთი ჰპირდებოდა საქართველოს თურქეთისა და სპარსეთის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებასაც. ტრაქტატი გულისხმობდა საქართველოს ნებაყოფლობით შესვლას ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში. იგი შესაბამისი იყო საქართველოს საგარეო ინტერესების და ერთგვარ გამოსავალსაც წარმოადგენდა აგრესიული მუსლიმანური სახელმწიფოებით გარშემორტყმული ქვეყნისთვის. ხელშეკრულება სარფიანი იყო რუსეთისთვისაც, რომელმაც კავკასიაში ფეხის მოკიდებით უპირატესობა მოიპოვა ირანსა და თურქეთზე და მათ ზურგს უკან მდგომ ინგლისსა და საფრანგეთზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მუსლიმანთა რეაქციამ არ დაიგვიანა, გაგულისებულმა თურქეთმა საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა ახალციხის საფაშო და კავკასიის მუსლიმური სახანოები. რუსეთი ერეკლეს არ მიეხმარა, თბილისიდან თავისი ჯარი გაიყვანა და მარტო დატოვა ურიცხვი მტრის წინააღმდეგ. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც 1795 წელს ალა-მაჰმად ხანი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შემოიჭრა საქართველოში. კრწანისის ველზე, გადამწყვეტ ომში ქართველთა ჯარი დამარცხდა. ერეკლე ვერ მოესწრო რუსეთისგან რეალური დახმარების მიღებას; 1798 წელს იგი გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე გეორგი XII ავიდა. შინაური აშლილობის გამო, ერეკლეს მემკვიდრეები მონინააღმდეგე ძალთა მიმხრობით ტახტის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. გეორგი XII კიდევ უფრო მეტ დათმობაზე წავიდა, ვიდრე ტრაქტატით იყო გათვალისწინებული. მან, მემკვიდრეობის კანონის შეცვლის საფასურად, რუსეთს საქართველოს საშინაო საქ-

მეებში ჩარევის უფლება მისცა. საქმე ისაა, რომ ერეკლესდროინდელი მემკვიდრეობის კანონი ითვალისწინებდა სამეფო ტახტის ძმიდან ძმაზე გადასვლას. გიორგი XII კი თავიდანვე დასწეულეული ავიდა ტახტზე. მან იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე იულონ ბატონიშვილი ავიდოდა, მისი მემკვიდრე – უჭკვიანესი დავით ბატონიშვილი კი მემკვიდრეობის გარეშე რჩებოდა.

ამ დათმობამ და კავკასიით კიდევ უფრო მეტმა დაინტერესებამ რუსეთს საბოლოოდ აკისრებინა ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებანი. 1799 წელს იმპერატორმა საქართველოს სამეფო კარზე გამოაგზავნა თავისი მინისტრი – კოვალენსკი და ჯარი გენერალ ლაზარევის სარდლობით. 1800 წელს გიორგი XII გარდაიცვალა, დავით ბატონიშვილის კანდიდატურას იმპერატორი პავლე არ დასთანხმდა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, რომელსაც ხელს აწერდა იმპერატორი ალექსანდრე პირველი, გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და ოფიციალურად რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. მარიამ დედოფალი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები იძულებით გადაასახლეს რუსეთში. ამ მძიმე წუთებში დედოფლის გვერდით იდგა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბაბუაც – ნიკოლოზ (ნინია) ბარათაშვილი. ის შედიოდა დედოფლის ამაღლაში, რომელიც თან გაჰყვა ბატონიშვილებს.

წესრიგის დასამყარებლად თბილისში დამატებით გამოიგზავნა რუსის ჯარი; მას თან ჩამოჰყვა მოხელეთა არმია, რომელსაც აღმოსავლეთი საქართველო უნდა ემართა. მხარის უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი ხდებოდა „მთავარმართებელი“. ამ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი კრონინგი. სამოქალაქო საქმეთა მართვაში მისი პირველი მოადგილე იყო „საქართველოს მმართველი“. ამ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი კოვალენსკი. საქართველოს მმართველობა დაიყო ოთხ ექსპედიციად (აღმასრულებელ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სახაზინო). მათ შორის მთავარი იყო აღმასრულებელი ექსპედიცია, რომელსაც თვით კოვალენსკი ხელმძღვანელობდა იმპერატორის სახელით. ექსპედიციების უფროსებად რუსი მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. ქართლ-კახეთის სამეფო დაიყო მაზრებადაც. მაზრის

უფროსებად ინიშნებოდნენ რუსი ოფიცრები, რომელთაც „კაპიტან-ისპრავნიკები“ ეწოდებოდათ. ფორმალობისთვის მმართველობაში შედიოდნენ ქართველებიც, მაგრამ იმდენად მწირი ოდენობით, რომ წმინდა რუსულ მმართველობას ხელი არ შეშლოდა.

1810 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ბედი გაიზიარა დასავლეთ საქართველომაც, ისიც მოტყუებითა და ბრძოლით შეიერთა რუსეთმა. საქართველოს შესვლამ რუსეთის საზღვრებში მოიტანა სიმშვიდე – გარეშე მტერთა თავდასხმების აღკვეთა, ფეოდალური ინტერესების გამო დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანება, საქართველოს დაბრუნება ქრისტიანულ სააზროვნო სივრცეში, განათლების მიღების მეტი შესაძლებლობა, მაგრამ, ამავე დროს, გაზარდა უკმაყოფილება იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც დამოუკიდებლობა დააკარგვინა ქართველ ხალხს და რომელიც, მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, ცდილობდა დაპყრობილ ქვეყანაში ეროვნული მეობის მოსპობას. ქართველი ხალხისთვის დამთრგუნველი იყო რუსული მმართველობა. ქართველი უფუნქციოდ აღმოჩნდა. ის მონაწილეობას არ იღებდა საკუთარი ქვეყნის მართვაში, მის ბედზე სხვა „ზრუნავდა“, სხვა, რომლისთვისაც უცხო იყო მკვიდრის ინტერესები. რუსი მოხელეები რუსულ ყაიდაზე აწყობდნენ ადმინისტრაციულ მმართველობას, რუსული სამართლით სჯიდნენ დამნაშავეებს, ხსნიდნენ რუსულ სკოლებს და მეთოდურად ახორციელებდნენ ეროვნული კულტურისა და ქართული ენის მოსპობას, სანაცვლოდ ახდენდნენ რუსული კულტურისა და ენის დამკვიდრებას. რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან ერთად ცარიზმმა ქართულ ეკლესიასაც შეუტია. 1811-1814 წლებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაუქმდა კათალიკოს-პატრიარქის ტახტი. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გარდაიქმნა, წირვა-ლოცვა გადავიდა რუსულ ენაზე, საეკლესიო ქონება აღიწერა და ხაზინას გადაეცა, მონინალმდევე სასულიერო მოღვაწენი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. რუსი სასულიერო პირები ქართული ეკლესიებიდან ეზიდებოდნენ განძეულობას და ისტორიულ არქივებს, ფრესკებს კედლებიდან ფხეკდნენ და კირით ათეთრებდნენ.

სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი ქართველი ხალხისათვის მიუღებელი იყო. ის მმართველობის სხვაგვარ ფორმას იყო შეჩვეული და რუსული ბიუროკრატიული აპარატის ვერაფერი გაიგო. კაპიტან-ისპრავნიკები, კომენდანტები, პოლიცმეისტერები, ეგზარქოსები ქართველებისთვის უცხონი იყვნენ. რაც ყველაზე მთავარია, მმართველობა რუსულ ენაზე წარმოებდა და დიდ ბარიერს ქმნიდა რუსულის არმცოდნე ხალხსა და მათ მმართველ მოხელეებს შორის. ამას ზედ ერთვოდა ამ მოხელეთა ბოროტმოქმედებანი. ისინი საქართველოში გამდიდრების მიზნით იყვნენ ჩამოსულნი და სხვადასხვა საშუალებით ძალავდნენ ისედაც გაღარიბებულ მოსახლეობას სარჩო-საბადებელს. ამის შედეგი იყო, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყანაში ზედიზედ იფეთქა რამდენიმე აჯანყებამ: 1804 წელს – მთიულეთში, 1812 წელს – კახეთში, 1819-1820 წლებში – იმერეთში, 1841 წელს – გურიაში, 1857 წელს – სამეგრელოში. ამ აჯანყებათა მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო: – ჩაგვრა როგორც რუსი თავგასული მოხელეების, ასევე – მემამულეთა მხრიდან. ყველა შემთხვევაში აჯანყება საბოლოოდ იღებდა პოლიტიკურ ხასიათს და მისი მიზანი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა ხდებოდა. რუსეთი სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს.

რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილთა წრეში თანდათან მომწიფდა შეთქმულების იდეაც, რომელიც 1825 წლიდან გაფორმდა „ფარული საზოგადოების“ სახელით. შეთქმულებს ჰქონდათ წესდებაც – „აქტი გონიერი“, რომლის მიხედვითაც ისინი მოქმედებდნენ, იძენდნენ ახალ წევრებს და იცავდნენ საიდუმლოს. მასში განვერიანებული პირის ვინაობა იცოდა მხოლოდ ორმა წევრმა. მიმონერისათვის იყენებდნენ სპეციალურად ფარული საქმიანობისათვის შედგენილ ანბანს. 1830-იან წლებში შეთქმულების ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. შეთქმულებაში ჩაებნენ გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დაუდგენელია, იცოდნენ თუ არა შეთქმულთა იდეების შესახებ თბილი-

სის გიმნაზიის მონაფეებმა, რომელთაც შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე – სოლომონ დოდაშვილი – ასწავლიდა. მისი დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ მასწავლებელსა და მონაფეებს გიმნაზიის გარეთაც ჰქონიათ ურთიერთობა, შეკრებები, რა დროსაც ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობდნენ. ამ წრეში ნიკოლოზ ბარათაშვილიც შედიოდა.

აჯანყების დღედ დანიშნული იყო 1832 წლის 20 დეკემბერი, თავადაზნაურთა კრების დღე. მომზადებული იყო „პირველი ღამის განკარგულება“ და თითოეულმა შეთქმულმა იცოდა თავისი მოვალეობა. ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში უნდა მიენვიათ ქალაქის მსხვილი მოსახლეობა და იქ გასწორებოდნენ ხელისუფალთა წარმომადგენლებს. ღამის პირველ საათზე ეკლესიების ზარები ამცნობდა ქალაქს აჯანყების დაწყებას. შეთქმულების მთავარ მონაწილეებს დავალებული ჰქონდათ ერთდროული მოქმედებით ციხის აღება, შეტევა ჯარისკაცთა ყაზარმებზე, იარაღის საწყობზე, სასურსათო პუნქტებზე, ხაზინაზე და ა.შ. ქართლისა და კახეთის თავადაზნაურობას უნდა გამოეყვანა ქართველთა ჯარი, რომელიც რეგულარული არმიის საფუძველი გახდებოდა. არმიის სარდლებად შერჩეულნი იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე აფხაზი, გიორგი ერისთავი. ქვეყნის მმართველობას სათავეში ჩაუდგებოდა დროებითი ხელისუფლება.

შეთქმულთა წრე იდეურად ერთგვაროვანი არ ყოფილა. ერთ ნაწილს სურდა მონარქიის აღდგენა, ხოლო მეორე ნაწილი რესპუბლიკურ მმართველობას უჭერდა მხარს. მონარქისტებსაც აღარ სურდათ ძველებური მმართველობა და, ევროპის მსგავსად, კონსტიტუციური მონარქიის დამყარება გადაეწყვიტათ მმართველობის ორბალატიანი სისტემით. მეფედ ნავარაუდევნი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოცდილი ალექსანდრე ბატონიშვილი.

შეთქმულება 9 დეკემბერს გასცა იასე ფალავანდიშვილმა. 10 დეკემბერს შეთქმულთა უმრავლესობა უკვე დაპატიმრებული იყო. გაცემის მიზეზს სხვადასხვაგვარად წარმოაჩინენ მკვლევრები. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, იკვეთება ამგვარი აზრიც: შეთქმულება მაინც გამჟღავნდებოდა, ამიტომ იასე ფა-

ლავანდიშვილის ამგვარი მოლაღატეობრივი მოქმედების მიზეზი იყო არა თავის გადარჩენა, არამედ ყველა მონაწილისთვის სასჯელის შემსუბუქება. არც მთავარმართებელ როზენს აწყობდა აჯანყებისთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა, რადგან ამით მისი რეპუტაცია ილახებოდა. ამიტომ მან შეთქმულება მონათლა რამდენიმე პირის ბოროტ განზრახვად და სიკვდილმისჯილთა შეწყალება მოითხოვა, ამასთან, ხაზგასმით მიუთითა საიმპერატორო ტახტისადმი ქართველი თავადაზნაურობის ერთგულებაზე. ნიკოლოზ პირველსაც, დეკაბრისტთა აჯანყებისა და პოლონეთის აჯანყების შემდეგ, არ სურდა ევროპისათვის ეჩვენებინა, რომ საქართველოც დამოუკიდებლობისაკენ მიიღტვოდა, ამიტომ მსჯავრდებულნი შეიწყალა და სიკვდილით დასჯა იმპერიის სხვადასხვა მხარეში გადასახლებით შეუცვალა; ასევე დაფანტა შეთქმულებაში ეჭვმიტანილი ქართველი ბატონიშვილებიც.

1832 წლის შეთქმულება იყო პირველი ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლის ცდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ჰქონდა პროგრამა და ქვეყნის განვითარებას სახავდა ევროპული განმანათლებლობის პრინციპების მიხედვით. მასში ჩაბმული იყო 20-30-იანი წლების მთელი მონინავე ინტელიგენცია. შეთქმულებამ გააღვივა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და გააერთიანა ქართველები საერთო მიზნით. მან ბიძგი მისცა ახალ თაობაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას. ამის მაგალითია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი თაობის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ბარათაშვილის გენიალურ ქმნილებებს ხომ შეთქმულთა იდეოლოგია დაედო საფუძვლად. შეთქმულების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ 60-70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც.

რუსეთს ამიერკავკასიაში სიმშვიდე სჭირდებოდა, რომლისთვისაც აუცილებელი იყო სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის სამოქალაქო ხელისუფლებით შეცვლა. ამ მიზნით პეტერბურგიდან თბილისში გამოაგზავნეს სენატორი განი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მმართველობის საკუთარი პროექტი და წარედგინა იმპერატორისათვის. 1837 წელს თბილისში ჩამოვიდა ნიკოლოზ პირვე-

ლიც, რომელსაც ერთ დღეს თბილისის თავადაზნაურობამ უმასპინძლა ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის, მელიტონ ბარათაშვილის მეთაურობით.

1840 წელს განის პროექტი დამტკიცდა იმპერიის სახელმწიფო საბჭოზე, მაგრამ ამ პროექტმაც არ მოიტანა სიმშვიდე. ამიერკავკასია „საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ და „კასპიის ოლქად“ გაიყო. იმერეთ-საქართველოს გუბერნიაში შედიოდა სომხეთი და აზერბაიჯანის ნაწილი (ყოფილი განჯის სახანო). ახალი დაყოფა მექანიკურად განაპირობებდა ეროვნული მთლიანობის მოშლას. სამოქალაქო სამართალი მთლიანად რუსულ სამართალზე გადავიდა, ქართული სამართალი ოფიციალურად გაუქმდა.

გურიის 1841 წლის აჯანყებამ ცხადყო, რომ განის პროექტმა ვერ გაამართლა. რუსეთის მმართველობამ ვერ მოიპოვა ამიერკავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა, ამიტომ ახალი, უფრო მოქნილი პოლიტიკის გასატარებლად ამიერკავკასიის მმართველად გამოცდილი მოხელე, გრაფი მიხეილ ვორონცოვი დაინიშნა. მთავარმართებლის სტატუსიც მეფისნაცვლის თანამდებობით შეიცვალა, ხოლო სამეფისნაცვლო დაიყო თბილისის, ქუთაისის, შემახის და დერბენტის გუბერნიებად. ამგვარი დაყოფაც მხარის რუსიფიკაციისთვის იყო გამიზნული. ვორონცოვის მმართველობის დროს უხეშობა და ძალადობა გულისხმიერი დამოკიდებულებით, დაყვავების პოლიტიკით შეიცვალა. ვორონცოვმა ადგილობრივი თავადაზნაურობა ჩართო ქვეყნის მართვაში და პრივილეგიებით რუსეთის თავადაზნაურობას გაუთანაბრა. მანვე შეუწყო ხელი ქვეყანაში კულტურული ღონისძიებების გატარებას. თბილისში გაიხსნა რუსული და ქართული თეატრები, ოპერა, საჯარო ბიბლიოთეკა, სკოლები, აღდგა პრესა, გამოიცა ქართული ყურნალი „ცისკარი“, ქართველ თავადაზნაურთა შვილები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გაიგზავნენ განათლების მისაღებად. მეფისნაცვალი პატივს სცემდა და აფასებდა ქართულ კულტურასა და ტრადიციებს. ვორონცოვის პოლიტიკა, დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისაღები აღმოჩნდა ქართველი თავადაზნაურობისათვის. ისინი თანახმანი გახდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში

საქართველოს ინტეგრაციისა, ოღონდ აუცილებლად ქართველთა ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით, რაშიც მეფისნაცვალი თავისი ქმედებით მათ ხელს უწყობდა.

საგანმანათლებლო სისტემა

XIX საუკუნის დასაწყისში განხორციელებული საქართველოს ანექსია უპირველესად ქართული სახალხო განათლების ნგრევითა და სკოლების რუსულ ყაიდაზე „გადაკეთებით“ დაიწყო. დაიხურა ქართული საერო და სასულიერო სასწავლებლების დიდი ნაწილი, მათ შორის, თბილისის ცნობილი სკოლები და თელავის სემინარია; დაარსდა ახალი ტიპის სასწავლებლები, რომლებიც იმპერიის ცენტრიდან იღებდნენ წეს-კანონებსა და მითითებებს. სწავლება ამ სკოლებში რუსულ და ქართულ ენებზე მიმდინარეობდა. წარმმართველი რუსული იყო, ქართული ენა და ლიტერატურა მეორეხარისხოვან საგნებად იქცა. იმპერიის სასწავლებლები ერთმანეთს ჰგავდა, რადგან ისინი განათლების ერთი სისტემის მიერ იყო დაფუძნებული.

1802 წელს დაარსდა თბილისის ორკლასიანი დაწყებითი სკოლა, რომელიც 1804 წელს „კეთილშობილთა სასწავლებლად“ გადაკეთდა. 1830 წელს კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია. ამ სასწავლებელმა დირექტორის – ალ. პეტრიაშვილის ხელმძღვანელობით, მიუხედავად რუსული განათლების სისტემის ზეწოლისა, მოახერხა პოპულარული გამხდარიყო ქართულ საზოგადოებაში. აქ ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ არ განწყვეტილიყო კავშირი ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან. საბოლოოდ, ყველა სასწავლებლის დონესა და ღირსებაზე მისი კურსდამთავრებულებით მსჯელობენ, ამ სკოლაში კი მრავალი, შემდგომ უკვე გამოჩენილი, ადამიანი სწავლობდა: დავით ჩუბინაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ლევან მელიქიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვები.

1817 წელს დაარსდა თბილისის სასულიერო სემინარია, რომელმაც 100 წელს იარსება. სემინარიის ტიპის სასწავლებლები რუს ეგზარქოსებს ექვემდებარებოდა. 1818 წლიდან საქართველოს გუბერნიებშიც გაიხსნა მსგავსი სამრევლო და სასულიერო სკოლები, კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული სასწავლებლები; მოქმედებას აგრძელებდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში შექმნილი საეკლესიო-სამონასტრო სკოლების მცირე ნაწილი.

თბილისში არსებობდა 1816 წელს გახსნილი სამხედრო სასწავლებელიც. ქვეყანაში ფუნქციონირებდა კერძო სკოლებიც, მათ შორის – ქალთა პანსიონები; აღსანიშნავი ფაქტია, რომ 1830 წელს თბილისში გაიხსნა „კეთილშობილ ქალთა პანსიონი“, რომელიც 1840 წელს „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად“ გადაკეთდა. 1846 წლიდან თბილისში და შემდეგ ქუთაისში დაარსდა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასწავლებლები“. მათში მხოლოდ შეძლებულთა ქალიშვილები სწავლობდნენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სკოლა გარუსების პოლიტიკას უწყობდა ხელს.

როგორი იყო სწავლების მეთოდები ამ სკოლებში? თანამედროვეთა გადმოცემით, მათში სწავლა ემყარებოდა ძირითადად გაზეპირებას, აღზრდა – მეგობრის დაბეზლებას, სასწავლო პროცესში გადამწყვეტი ზომის მიღება – ნკეპლის დარტყმას, მოსწავლის მუხლებზე (დაჩოქილ მდგომარეობაში) დაყენებას, კლასში დატოვებას გაკვეთილების შემდგომ, ხელზე სახაზავით ცემას და ა.შ. მემუარული თუ მხატვრული ლიტერატურა ამ დროის სასკოლო რეჟიმის არაერთ მაგალითს გვიხატავს. მკაცრი დისციპლინით გამოიჩინებოდა ქალთა პანსიონებიც. მათში მთავარი საგნები რუსული და ფრანგული ენები იყო, აგრეთვე – ცეკვებისა და მაღალი მანერების შეთვისების გაკვეთილები. პანსიონში ნასწავლი ქალები სასურველი საცოლეები იყვნენ, უფრო ღრმა განათლებას კი ეს სასწავლებლები არ იძლეოდა.

საინტერესო საკითხია, რომელი სახელმძღვანელოებით წარმართებოდა სწავლის პროცესი. მე-19 საუკუნის სასწავლებლებს არ ჰქონდათ მაღალი დონის სახელმძღვანელოები. მკაცრი ცენზურა საგანგებოდ არჩევდა მათ. ქართული ენის სახელმძღვანელოე-

ბიდან გამოიყენებოდა წინა საუკუნეში შექმნილი წიგნები: სულხან-საბა ორბელიანის „ანბანი, პირველად სასწავლო ყრმათათვის“ და გაიოზ რექტორის „ანბანი და ლოცვანი“.¹ არსებობდა გაბრიელ ჩხეიძის მიერ რუსულიდან ნათარგმნი თეოფანე პროკოპოვიჩის სახელმძღვანელოც – „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არს ანბანი“;² ქართულ ოჯახებში წერა-კითხვას კი მხატვრული ლიტერატურის წიგნებით სწავლობდნენ. ასეთი წიგნები იყო: „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „დავითიანი“ და სხვა. 1825 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ტარასი ალექსიშვილის „ქართული ანბანი სასწავლებლად ხუცურისა და მხედრულის წერილისა“. 1838 წლიდან თორმეტჯერ გამოიცა პლატონ იოსელიანის „ანბანი ქართული“. ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია 1825 წელს გამოცემული იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“. 1830 წელს გამოვიდა სოლომონ დოდაშვილის „შემოკლებული გრამატიკაც“, ხოლო 1840 წელს – პლატონ იოსელიანის „პირველდანყებითი კანონი ქართულისა გრამატიკისა“. არსებობდა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებიც, რომლებშიც შეტანილი იყო ხალხური შემოქმედების ნიმუშები და ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო შინაარსის მასალები. გადმოცემით ვიცით, რომ 1826 წელს გიორგი ავალიშვილმა შეადგინა სწორედ ასეთი სახის კრებული, რომელშიაც შეიტანა დავით აღმაშენებლის, ვახტანგ VI-ის, დიმიტრი ორბელიანის, ზაქარია გაბაშვილის, დიმიტრი

¹ გაიოზ რექტორის მიერ შედგენილი ანბანი 16-გვერდიანია; შეიცავს ასომთავრულს, ხუცურსა და მხედრულ დამწერლობებს; დაიბეჭდა მოსკოვის ქართულ სტამბაში 1797 წელს; გამოვიდა 600-ზე მეტი ცალი. თითქმის მთელი გამოცემა გაიოზ არქიმანდრიტმა გადასცა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელს. დღეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და დაცულია პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

² წიგნი 168-გვერდიანია; გამოიცა დარეჯან ბატონიშვილის სასახლეში, მოსკოვში. მასში ასახულია ქართული ანბანი, ასოთა წყობა, საღვთო რჯულის მცირე განმარტება, ათი მცნება, უფლისადმი ლოცვა, მრწამსი და ცხრა ნეტარება. წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა; ინახება რუსეთის და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

საკადისა და სხვათა ნამუშევრები. ეს სახელმძღვანელოები არ იყო საკმარისი ქართული ლიტერატურის შესასწავლად და არც იყო საკუთრივ ლიტერატურული დანიშნულების. უფრო მოგვიანებით კი, 1846 წელს, პეტერბურგში გამოიცა დავით ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათია“, რომელიც დღესაც საუკეთესო წიგნია ქართული ლიტერატურის შესასწავლად.

რუსული ენის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა ნ. გრეჩის „Пространная русская грамматика“, ალ. ვოსტოკოვის „Русская грамматика“, რომლებიც დაწყებითი განათლებისთვის გამართული და მიზნობრივი სახელმძღვანელოები იყო. მე-19 საუკუნის ორმოციანი წლებიდან ქართველებს რუსული ენის შესწავლაში ძალიან ეხმარებოდა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც დართული ჰქონდა რუსული ენის მოკლე გრამატიკა. სასწავლო პროცესში იყენებდნენ სასაუბროებსაც, რომელთა შორის გავრცელებული ყოფილა 1820 წელს პეტერბურგში გამოცემული გოდერძი ფირალიშვილის რუსულ-ქართული თვითმასწავლებელი.

უცხო ენებიდან საქართველოსა და რუსეთის სკოლებში მიღებული იყო ფრანგულის შესწავლა. ამ საგნისათვის არსებობდა იმპერიაში ცნობილი სახელმძღვანელოებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ქართველები იყენებდნენ ა. სულხანიშვილის 1839 წელს გამოქვეყნებულ ლექსიკონს – „ლექსიკონი ქართულ-ფრანციცულ-რუსული“ და დ. ჩუბინაშვილის 1940 წელს პეტერბურგში გამოცემულ „ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონს“. ზოგიერთ სკოლაში სწავლობდნენ გერმანულ და თურქულ ენებსაც.

მიუხედავად განათლების რუსული სისტემისა, სკოლებში ზოგიერთი დირექტორის მეცადინეობით მაინც ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას. ისტორიისთვის გამოიყენებოდა დავით ბაგრატიონის 1800 წელს შექმნილი „ისტორია, რომელსა ეწოდების ნარკვევი“ და თეიმურაზ ბაგრატიონის „ისტორია დაწყებითაგან ივერიისა“. გეოგრაფიის შესასწავლად კი მოიხმარდნენ 1824 წელს ტარასი მღვდელ-მონაზონის მიერ რუსულიდან თარგმნილ წიგნს – „ლეოლრაფიული ლექსიკონი ახალი აღთქმისა“, დავით რექტორის „ლეოლრაფიასა“ და ვახუშტი ბატონიშვილის სახელმძღვანელოს – „პოპულარული ისტორია და გეოგრაფია“. მა-

თემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებს სწავლობდნენ როგორც ორიგინალური, ასევე რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოებით: ფიზიკას ეცნობოდნენ ანტონ I-ის რუსულიდან გადმოკეთებული წიგნით – „ვოლფი. შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკური“, ასევე – დავით ბაგრატიონის 1818 წელს პეტერბურგში დაწერილი ნაშრომით – „შემოკლებული ფიზიკა“. არსებობდა საბუნებისმეტყველო საგანთა უავტორო სახელმძღვანელოებიც. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საგნებისა, გიმნაზიაში სწავლობდნენ რიტორიკასა და ლოგიკას. ამ უკანასკნელის სახელმძღვანელოდ იყენებდნენ კონდილიაკის „ლოლიკას“; მთელ იმპერიაში განთქმული იყო სოლომონ დოდაშვილის „Курс философии, часть первая, логика“.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სკოლებში სასწავლო პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა სწორი საგანმანათლებლო კონცეფციისა და პოლიტიკის უქონლობა და პროფესიონალი პედაგოგების ნაკლებობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სახალხო განათლების საკითხებს. იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ გვაძლევს განათლების ცნების ზუსტ განსაზღვრებას, ასაბუთებს მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარების საქმეში, განსაზღვრავს ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებების, ხელოვნების, ეთიკისა და ლიტერატურის არსს. სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური იდეები მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. მეცნიერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მშობლიურ ენაზე მიღებულ განათლებას ანიჭებს, თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას, განათლებით მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოყალიბებას, აღზრდით – გარდაქმნას, შეცვლას, პიროვნებისათვის საზოგადოებრივი დანიშნულების განცდის ჩამოყალიბებას. განუზომელი მნიშვნელობა აქვს პლატონ იოსელიანის კონსერვატორულ შეხედულებებს პედაგოგიურ სფეროში, რადგან ქართველი მოღვაწე პატრიოტულ გრძნობებს აყალიბებს ახალგაზრდა თაობაში. დავით ჩუბინაშვილი არის მეცნიერული ცოდნის განვითარების ხელშემწყობი, შემქმნელი ნამდვილი სასკოლო სახელმძღვანელოებისა, რომლე-

ბიც თავისუფალია სხვადასხვა სახის დოგმისაგან. დიმიტრი ყიფიანის პედაგოგიური მოღვაწეობის¹ მთავარი პრინციპი მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასწავლებელთა უმრავლესობას ზოგადი განათლება ჰქონდა მიღებული და არა – პროფესიული. ძირითადად, სემინარიადამთავრებულები ხდებოდნენ მასწავლებლები. ასეთი იყო ის ზოგადი საგანმანათლებლო ვითარება-სიტუაცია, რომელშიც მოხვდა სასწავლებელში შესული ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებლი“, სადაც პოეტი სწავლობდა, მიუხედავად სახელისა, დიდად არ განსხვავდებოდა სხვა სკოლებისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „**ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში თბილისის გიმნაზიამ და პანსიონმა ისეთივე როლი შეასრულეს, როგორც 20-იანი წლების ცარსკოე სელოს ლიცეუმმა მთელი რიგი დიდი პოეტების ბიოგრაფიაში**“ (ა. განწერელია).

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ნახევრად გაუნათლებელი მასწავლებლები პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს ზრდიდნენ? ანუ, უფრო სწორად, როგორ ყალიბდებოდნენ მოსწავლეები არაპროფესიონალი მასწავლებლების გარემოში განათლებულ და მოაზროვნე ადამიანებად? აქ უნდა გავითვალისწინოთ ფიზიკის ერთი მნიშვნელოვანი კანონი: სადაც დიდია დაწოლა და წნეხი, იქ ინყებს მოქმედებას დაწოლის საპირისპირო ძალა, რომელიც შემდგომ თავდაპირველ ძალას აღემატება. საგანმანათლებლო წნეხის ქვეშ აღმოჩენილი მოსწავლეები თავად ზრუნავდნენ თავიანთი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის.

გიმნაზიის ინტელექტუალურ გარემოს ქმნიდა არა მასწავლებელთა წრე, არამედ ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე და პროფესიონალი მასწავლებელი. მოსწავლეები კი, გარდა გიმნაზიისა, ვითარდებოდნენ ოჯახურ და ნათესაურ წრეებშიც, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით კი, ლიტერატურ-

¹ დიმიტრი ყიფიანი ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, გეოგრაფიასა და არითმეტიკას.

რულ სალონებში, რომელთა აქტიურ წევრებადაც გვევლინებოდნენ. როდესაც ბარათაშვილი გიმნაზიას ასრულებდა, სწორედ ამ დროს მზადდებოდა 1832 წლის შეთქმულება, ამიტომ, იდეურად და ინტელექტუალურად მაინც, ბარათაშვილი და მისი თანამედროვე ახალგაზრდობა, გიმნაზიის მოსწავლეები, შეთქმულთა წრეში ყალიბდებოდნენ.

იკვეთება აზრი, რომ ბარათაშვილისდროინდელი გიმნაზია არცთუ ისე უსარგებლო სასწავლებელი ყოფილა თუნდაც იმიტომ, რომ მასში სოლომონ დოდაშვილი და დიმიტრი ყიფიანი ასწავლიდნენ, რუს მასწავლებელთაგან კი – დემენტიევი. საბუნებისმეტყველო საგნები და მათემატიკა მრავალფეროვანს ხდიდა სწავლებას. ენები და ლიტერატურა, მიუხედავად სახელმძღვანელოების მეტ-ნაკლებად სრულყოფილებისა, მაინც ისწავლებოდა ლექსიკონებისა და, ზოგადად, მხატვრული ლიტერატურის დახმარებით. ქართველი მოღვაწეები ზრუნავდნენ, რომ მოსწავლეებს ჰქონოდათ ალგებრის, გეომეტრიის, ფიზიკის, რიტორიკის, ლოგიკის, გრამატიკის, ესთეტიკის, რჯულისა და სხვა სახელმძღვანელოები. იკვეთება აზრი, რომ თბილისიც არცთუ ისე „უსარგებლო“ ქალაქი ყოფილა, თუნდაც იმიტომ, რომ ბარათაშვილსა და მის მეგობრებს ჰქონდათ ლიტერატურული ინტერესები, რომელთაც წარმოაჩენდნენ კიდევ ლიტერატურულ სალონებში.

მე-19 საუკუნის დასაწყისში, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან ჩანს, დიდი ლტოლვა ჰქონდათ უმაღლესი განათლებისკენ, რომლის მიღებას, სამწუხაროდ, ბევრი ვერ ახერხებდა. მხოლოდ 1835 წელს, გიმნაზიისა და სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმებში რამდენიმე უცხო ენის შეტანის შემდეგ, ქართველ მოსწავლეებს მიეცათ უფლება რუსეთის უნივერსიტეტებსა და სასულიერო აკადემიებში სწავლისა. ადგილები უაღრესად შეზღუდული იყო. სამაგიეროდ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდობა, გამონაკლისთა გარდა (რომელთა შორის იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი), მაინც სწავლობდა რუსეთის უნივერსიტეტებში და იქ ეწეოდა ეროვნულ სამეცნიერო მოღვაწეობას. სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოს სამეფო ოჯახის

წევრებიც. ამ პერიოდში ბევრმა ქართველმა მეცნიერმა მოიხვეჭა სახელი თავისი ნაშრომებით:

1) 1805 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ ენაზე გამოსცა დავით ბაგრატიონის ნაშრომი – „საქართველოს მოკლე ისტორია“.

2) 1820 წელს დაიბეჭდა იოანე ბაგრატიონის ქართულ-რუსული გრამატიკა. მანვე შეადგინა ქართულ-რუსული ლექსიკონი და დაწერა მეტად საინტერესო ლიტერატურული ძეგლი „კალმასობა“.

3) 1814 წელს გამოქვეყნდა ვახტანგ ბაგრატიონის „ქართველი ხალხის ისტორიის მიმოხილვა“ («Обозрение истории грузинского народа»).

4) თეიმურაზ ბატონიშვილმა, მარი ბროსესთან ერთად, შექმნა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა. საქართველოს ისტორიიდან მრავალი საყურადღებო ნაშრომის ავტორმა რუსულიდან ქართულად თარგმნა „განჰსჯანი არისტოტელესანი კეთილისათვის და ბოროტისა“. მისი უამრავი ნაშრომებიდან ერთ-ერთია – „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“.

5) ცნობილმა ისტორიკოსმა მარი ბროსემ, თეიმურაზ ბატონიშვილის მოწაფემ (როგორც ის უწოდებს თავის თავს), დაწერა „საქართველოს ისტორია“.

6) რუსეთისა და ევროპის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრმა, მიხეილ ბარათაშვილმა დაწერა ნარკვევი – „საქართველოს სამეფოს ნუმისმატიკური ფაქტები“.

7) პეტერბურგის უნივერსიტეტში სახელი გაითქვა სოლომონ დოდაშვილმა, ქართველმა ფილოსოფოსმა. მან რუსულ ენაზე დაწერა და გამოსცა ლოგიკის პირველი სახელმძღვანელო, რომელიც „შესანიშნავ თხზულებად“ და „ახალ მოვლენად“ მიიჩნის. კრიტიკოსთა აზრით, ამ მეცნიერულ ნაშრომს საკითხთა დალაგებითა და ანალიზის ხერხებით ანალოგი არ მოეძებნება.

8) მეცნიერების წინაშე დიდია დავით ჩუბინაშვილის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, დამსახურება. მან შეადგინა „რუსულ-ქართული“ და „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ ლექსიკონები, „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ და სხვა.

სახელმწიფოში არსებული განათლების სისტემის შესაფასებლად არ გამოდგება სამეცნიერო ასპარეზზე ქართველთა წარმატების ჩვენება. სიმახინჯე ამ სისტემისა, რომელშიც სასულიერო დანიშნულების სასწავლებლებიც შედიოდა ეგზარქოსთა ხელმძღვანელობით, კარგად გამოვლინდა დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებში – ეგზარქოს პავლესთან კონფლიქტის გამო იმპერიის ჯაშუშებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს მოხუცებულ ადამიანს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, დღეს წმინდანად შერაცხილ დიმიტრი ყიფიანს.

ნაბღვილი ბიობრაფია

უნარჩინებულესი თავადის, ერეკლე II-ის სიძის, ზურაბ ორბელიანისა, და ერეკლეს შვილიშვილის, ხორეშან ბატონიშვილის, ოჯახში თითქმის ერთდროულად ორი ვაჟი დაიბადა: ილია ორბელიანი, ვაჟი ამ ოჯახისა და შვილიშვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილი (ეფემია ორბელიანისა და მელიტონ ბარათაშვილის ვაჟი). ბიძა და დისშვილი ერთად იზრდებოდნენ, ერთად სწავლობდნენ, ერთ წრეში ტრიალებდნენ, ერთმანეთთან მეგობრობდნენ; ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და ეჩხუბებოდნენ კიდევ. ერთნაირი მიღწევები ჰქონდათ სწავლაში, მაგრამ ხასიათითა და ინტერესებით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. სამსახურეობრივი თვალსაზრისით, ილია ორბელიანმა საუკეთესო სამხედრო კარიერა გაიარა, ნიკოლოზ ბარათაშვილი კი, მიუხედავად დიდი სურვილისა, სამხედრო სამსახურს ვერ ეღირსა და სახელმწიფო მოხელე, „ჩინოვნიკი“ გახდა. დრო-ჟამმა ბიძა-დისშვილის სახელები ერთიმეორეს ვერ დააშორა; ერთისა გასცდა საქართველოს ფარგლებს, მეორისა კი პირველს დაუკავშირდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნება ადრე თუ მხოლოდ მისი წრისათვის იყო ცნობილი, მოგვიანებით ყველა ქართველის (განურჩევლად წრისა, პროფესიისა თუ ასაკისა) და არა მხოლოდ ქართველის, სანუკვარი სახელი გახდა, როგორც კლასიკოსის, პატრიოტის, გენიოსის, ქართული ლექსის რეფორმატორის, საზოგადო მოღვაწისა და, ამასთანავე, ერთი უიღბლო ადამიანის.

ოჯახი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახი საქართველოს მაღალ არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა. გიორგი ლეონიძე ბარათაშვილის გენეალოგიისა და წინაპრების კვლევას ასრულებს შემდეგი სიტყვებით: „ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი მამის მხრითაც და დედის საზითაც ერეკლე მეფის ჩამომავალია“ (ლეონიძე 1945 : 6). ბოლომდე ვერ დავეთანხმებით პოეტ-აკადემიკოსს, მაგრამ დედის

მხრიდან ბარათაშვილი ნამდვილად მეფე ერეკლეს შვილიშვილის შვილიშვილი იყო.

პოეტის დიდება ხორეშანი (შვილი ელენე ბატონიშვილისა) დაბადებიდანვე დაობლებულა. ელენე ბაგრატიონი (ხორეშანის დედა) მშობიარობას გადაჰყოლია, შვილიშვილი კი მეფე ერეკლეს სასახლეში მიუყვანია და სამეფო კარზე აღუზრდია.¹ სწორედ ერეკლეს კარზე აღზრდილი ბებუის – ხორეშან ანდრონიკაშვილისა და ზურაბ ორბელიანის სახლში დაიბადა ბარათაშვილი და იქ იზრდებოდა 16 წლამდე. ამიტომ საჭიროდ ვთვლით ერთი-ორი სიტყვით ამ ოჯახურ გარემოს შევეხოთ. ხორეშანსა და ზურაბს ოთხი შვილი ჰყავდათ: გრიგოლი, ზაქარია, ილია და ეფემია. ზურაბი, იმდროინდელი თავადებისაგან განსხვავებით, რუსთა მოყვარული არასდროს ყოფილა. „**მთავარმართველ ერმოლოვს წამდაუნუმ ლანძღავდაო. მის ამგვარ გამოსდომებს რუსი დიდმოხელის ყურამდეც მიუღწევია, მაგრამ ზურაბს თავისი მაინც არ დაუშლია**“ (ეგვინიძე 1995 : 8). ის თურმე არც რუსულ ენას ფლობდა და არც სურვილი ჰქონდა, რომ ესწავლა; კარგად სცოდნია „სალეთო წერილი“, საქართველოს ისტორია და მხატვრული ლიტერატურა. ზაქარია ჭიჭინაძის, გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფის, ცნობით, „**ზურაბი ლექსებსაც სწერდა, ამისგან დაწერილი ლექსები მეც მინახავსო**“ (ზ. მთაწმინდელი 1986 : 40).

ბარათაშვილის ბებია – ხორეშანი – ზრუნავდა როგორც შვილების, ასევე შვილიშვილების ინტელექტუალურ და ზნეობრივ აღზრდაზე. ერეკლეს სახე, მისი პიროვნება და, ზოგადად, ისტორიული საქართველოს ტრადიციები, სწორედ ხორეშანის წყალობით ცოცხლობდა ამ ოჯახში.

¹ ელენე ბატონიშვილი პირველ ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის, დიდი სოლომონ I-ის ძმას, არჩილ ბატონიშვილს, რომელიც ადრე გარდაცვლილა. მისგან ელენეს ეყოლა ერთი ვაჟი – დავითი, რომელიც შემდგომ იმერეთის ტახტზე აკურთხეს მეფედ და ცნობილია სოლომონ მეორის სახელით. ეს ის სოლომონია, რომელიც გაბედულად იბრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იმერეთის „კანცლერად“ წოდებულ სოლომონ ლიონიძესთან ერთად. მან, როგორც ემიგრანტმა, ტრაპიზონში დაასრულა თავისი სიცოცხლე. ელენე ბაგრატიონის მეორე ქმარი იყო ზაქარია ანდრონიკაშვილი.

ბარათაშვილის დედა – ეფემია – ბუნებით წყნარი და კეთილშობილი ქალი ყოფილა, კარგად აღზრდილი, ოჯახზე გადაყოლილი. თვითონ ზრდიდა შვილებს და ანოვებდა ძუძუს, რაც იმდროინდელ მაღალ არისტოკრატიულ წრეში არ იყო მიღებული. გარეგნობით ლამაზს, მაღალსა და ქერა ეფემიას „ქართულად ეცვა გულსპირ ამოჭრილი კაბა“; იყო რბილი ხასიათის, კეთილშობილი და სათნო. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, „ნიკოლოზის პიროვნებაში უწინარეს ყოვლისა დედის კეთილშობილი ხასიათი განსახიერდა“ (განერელია 1978 : 112). ეფემიას სახემ შთააგონა გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს ლექსი – „ჩემს დას ეფემიას“, რომელშიც პოეტი დას ცხოვრების იმედად სახავს:

**„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის, უდროოდა მწარ დამჭკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ ხვედრისა!
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვების ვარსკვლავი,
შენის ღიმილით შეჭმუხვნელი სახე მინათლე,
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,
და გულ-დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე!“**
(ორბელიანი 1951 : 45)

მამის მხრიდანაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ძველ არისტოკრატიულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ბარათაშვილები წარმოშობით ქვემო ქართლიდან იყვნენ. მათ სამოსახლოს, რომელიც საკმაოდ დიდ მხარეს წარმოადგენდა თბილისის სამხრეთით, „საბარათიანოს“ ეძახდნენ. „საბარათიანო“ ქართლის მეფეთა „მოწინავე სადროშოში“ შედიოდა XVI-XVIII საუკუნეებში და ბრძოლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

პოეტის პაპა – ნიკოლოზ (ნინია) ბარათაშვილი – სამეფო სასახლის სიძე ყოფილა, ერეკლესა და გიორგი XII-ის კართან დაახლოებული პირი, შეუდრეკელი ბუნებისა და სულით პატრიოტი კაცი. 1803 წლის აპრილში ის თან გაჰყვა გადასახლებაში მეფის ოჯახს – გიორგი XII-ის მეუღლეს, მარიამ დედოფალს, და ბატონიშვილებს – თამარს, ანას, ჯიბრაელს, ილიას, ოქროპირსა და

ირაკლის. დედოფლის ამაღლა 11 კაცისაგან შედგებოდა, რომელთა შორის იყო პოეტის პაპაც – ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამ დროს მე-ლიტონი 9 წლის ყოფილა. ძნელი სათქმელია, მამამ ის თავიდანვე წაიყვანა რუსეთში თუ შემდგომ. ყოველ შემთხვევაში, მელიტონი ერთი პერიოდი რუსეთში ცხოვრობდა და, სავარაუდოდ, იქ სწავლობდა კიდეც. ამით აიხსნება მელიტონის მიერ რუსული ენის საუცხოო ცოდნა, რამაც შემდგომ მისი კარიერა განსაზღვრა. თბილისში მელიტონმა სწავლა გააგრძელა „კეთილშობილთა სასწავლებელში“ და სრულიად ახალგაზრდამ 1810 წელს დაიწყო სამსახური საქართველოს მთავარმართებლის სამმართველოში თარჯიმნად. ის არ იყო უბრალო მთარგმნელი. თარჯიმნობდა პირადად მთავარმართებლებს. შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის დოკუმენტებში შესულია მელიტონის „ფორმულიარი“ (ოფიციალური დოკუმენტი მისი სახელმწიფო სამსახურებში მუშაობისა), რომელშიც აღნიშნულია: **„Состоял при бывших главноуправляющих в Грузии за переводчика – при ген. Торماسове, при ген. Маркизе Паулуччи, при ген. Ртищеве, при ген. Ермолове“ (ჩხეტია 1945 : 264).** უფრო მოგვიანებით კი, 1837 წელს, მელიტონი პირადად თარჯიმნობდა თბილისში ჩამოსულ ნიკოლოზ I-ს. ამ დროს ის იყო თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშალი და აღმოსავლეთ საქართველოს მარშლის პირველი მოადგილე. 11 ოქტომბერს, ჩამოსვლიდან მე-4 დღეს, იმპერატორს თბილისის თავადაზნაურობამ გაუმართა დიდი წვეულება, რომლის ორგანიზატორიც იყო მელიტონი (ცნობილია, რომ ამ ბალს ნიკოლოზ ბარათაშვილიც ესწრებოდა. მას ებოძა სამახსოვრო ვერცხლის მედალი – **„для ношения в петлице на Владимирской ленте в ознаменование высочайшего пребывания государя императора за Кавказом“ / ჩხეტია 1945 : 264/).**

სხვადასხვა დროს მელიტონი თარჯიმნობდა გენერალ ტორმასოვს (1811 წ.), მთავარმართებელ მარკიზ პაულიჩს (1812-1813 წწ.), მთავარმართებელ რტიშჩევს (1813 წ.), მთავარმართებელ ერმოლოვს (1824-1827), იღებდა მონაწილეობას მათ მიერ წარმოებულ ბრძოლებში: ახალციხის ექსპედიციაში, კახეთის აჯანყების ჩახშობაში; თან ახლდა რტიშჩევს სპარსეთთან ზავის დასადებად; მისი

სამხედრო კარიერა პროპორშიკობიდან დაიწყო და მაიორობით დასრულდა; 1824 წელს მთავარმართველმა ერმოლოვმა ის ქ. განჯის პოლიცმეისტერად დანიშნა, ხოლო 1826 წელს განჯის ყოფილი სახანოს მმართველად გადაიყვანა.

მელიტონი რუსეთის მმართველობისთვის არ წარმოადგენდა საშიშ პიროვნებას, ანუ ეროვნული ინტერესების მქონეს. ის აღიქმებოდა ერთგულ მოხელედ. შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში დაბეჭდილია მარკიზ პაულიჩის მოხსენება მინისტრ გრაფ რუმინცევისადმი 1812 წლის აჯანყების შესახებ, რომლის დროსაც გრიგოლ ბაგრატიონი კახელებმა მეფედ გამოაცხადეს. მოხსენებაში პაულიჩი მსჯელობს მელიტონის შესახებაც:

„Имею честь донести Вашему Сиятельству, успев погасить пламя мятежа, возникшего в Грузии с чрезвычайным ожесточением, я, взятыми мерами, достиг также того, что приобрел в свои руки царевича Григория, коего кахетинские мятежники признали было царем Грузии...

Необходимо нужно для спокойствия здешнего края удалить отсель все то, что только носит на себе имя происхождения от бывшего Грузинского царственного дома...

Григорий при открывшейся революции начал играть между ними важную роль..., был с радостью принят мятежниками, провозглашен царем Грузии, и предводительствовал толпами бунтовщиков. А теперь, достав в свои руки я счел необходимо нужным, не теряя времени, удалить немедленно в С.-Петербург.

Для препровождения его я отправил адъютанта ... подпоручика кн. Бебутова, и вместо пристава и переводчика прап. кн. Баратова, приказав по приезде в С.-Петербург явиться вместе с царевичем к Вашему Сиятельству“ (ჩხეტია 1945 : 264).

მთავარმართველი მელიტონს ახასიათებს, როგორც სახელმწიფოსთვის ერთგულ ადამიანსა და კარგ თარჯიმანს; ურჩევს მინისტრს, რომ პეტერბურგში დროებით დაიტოვონ, როგორც გამოსადეგი კადრი.

1827 წლიდან მელიტონის ბედი უკან-უკან წავიდა. ამის მიზეზი მთავარმართველის შეცვლა იყო. ერმოლოვის ადგილას გრაფი

პასკევიჩი დაინიშნა, რომელმაც თანამდებობებიდან გაათავისუფლა ერმოლოვის დანიშნული პირები, მათ შორის, მელიტონიც. 1827 წლიდან 1829 წლამდე ის სამსახურის გარეშეა. 1829 წელს მელიტონი დაინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლთან საგანგებო საქმეთა მოხელედ. თურქეთთან ომის დროს ის ქართული მილიციის ორგანიზებაში მონაწილეობდა, რომელიც ჭარელი ლეკების მოსაგერიებლად შეიქმნა. 1832 წელს მელიტონს მაიორის ჩინი უბოძეს და დაუნიშნეს პენსია – 900 მანეთი. ამის შემდეგ მან სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება და თავადაზნაურობის სამაზრო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. 1832 წელს ის აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად, ხოლო 1833-1835 წლებში – აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მარშლის პირველ მოადგილედ. ამ თანამდებობებზე იგი ორჯერ იყო არჩეული სამ-სამი წლით, 1839 წლამდე.

ეკონომიური მდგომარეობით საშუალო შეძლების თავადის – მელიტონის – ხელგაშლილობა და სტუმართმოყვარეობა მთელ თბილისში ყოფილა განთქმული. მუდმივმა სტუმრიანობამ იგი ვალებში ჩააგდო, დარდმა ჯანმრთელობაც შეურყია. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლის ბოლო წლებში მელიტონი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, 50 წლის, მაგრამ ოჯახს ვერაფრით ეხმარებოდა, რასაც ძალიან განიცდიდა. მან კიდევ ერთხელ სცადა ბედი და 1844 წელს თხოვნით მიმართა კავკასიის მთავარმართებელ ნეიდგარდტს, მისი დამსახურების გათვალისწინებით დაენიშნათ რაიმე თანამდებობაზე. მთავარმართებელმა არ მოინდომა მელიტონის დახმარება და დარდით შეპყრობილ თავადს დამბლა დაეცა. მას შემდეგ ის ლოგინიდან აღარც ამდგარა. ბარათაშვილების ოჯახის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა მრავალჯერ არის აღწერილი გრიგოლ ორბელიანის თავისი ძმისადმი – ზაქარიასადმი – მიწერილ წერილებში. ერთ-ერთ წერილში ის უზომო მწუხარებით სწერს თავის ძმას: „მელიტონის უიმედოდ ავითმყოფობამ ძალიან შემაწუხა. – მთელი დამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს. – რა უნდა ჰქმნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლად ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ანუ რით გადიხადოს ვალები, რომელიცა უეჭველად

ბევრი დარჩება. – ღმერთმან დაიფაროს ამა უბედურებისაგან; მაგრამ შენ ასეთ რიგათა მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონი კიდევ მომკვდარა. – ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში. – საწყალს მელიტონს უყუარდით ჩვენ ძალიან და იყო ჩუენი კეთილის მსურველიცა. – იმედი მაქუს, რომ თუ ბარონ როზენი მანდ არის ნიკოლაი იოსებჩისა და მუხრანის ბატონის შემწეობით პენციაზე წარადგინოს ეფემია. – ეს ერთი ღონისძიება არის საბრალო ეფემიასათვის საწუგეშოდ. – ჩვენც ასეთ სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა. – ახ, ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩუენი. – ოხ, რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არა შეეძლოს შემწეობა...“ (გრ. ორბელიანი 1936 : 28). წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანს მელიტონი უკვე გარდაცვლილი ჰგონია და გულს უკლავს თავისი ოჯახის (ორბელიანთა) მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რადგან ველარ ეხმარება საკუთარ დას.

მელიტონი იმპერიის ერთგული კაცი იყო, ამიტომ გაუგებარია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მისი ასეთი უგულვებლყოფა; მელიტონს მონაწილეობაც კი არ მიუღია 1832 წლის შეთქმულებაში, რომელშიაც მთელი მისი ნათესავები და ახლო მეგობრები იყვნენ ჩაბმულნი. შეთქმულთა საქმეების შესწავლიდან ირკვევა, რომ მელიტონზე ეჭვიც კი არ აუღიათ და, მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანის დაჭერის დროს ჟანდარმერიამ მის ქალაღდებში იპოვა ცოლისძმისადმი გაგზავნილი მელიტონის პირადი წერილიც, საგამომძიებლო კომისიას ის არც კი დაუკითხავს. პავლე ინგოროყვას დასკვნა ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად ასახავს რეალობას: „**გიმნაზიელი, 15 წლის ნიკო ბარათაშვილი, რომლის თანამშრომლობითაც 1833 წელს გამოვიდა ხელნაწერი აღმანახი, სადაც შეთქმულთა ლექსებიც არის შეტანილი, ჩანს, უფრო კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებში, ვიდრე მისი მამა, მაიორი მელიტონ ბარათაშვილი**“ (ინგოროყვა 1968 : 21). დავძენთ იმასაც, რომ იმპერიისთვის საბოლოოდ უცხოა ერთგულების დაფასება, იმპერია არასდროს ზრუნავს თავის ქვეშევრდომებზე, მხოლოდ საკუთარი მიზნები ამოძრავებს; მას აღარ სჭირ-

დებოდა მელიტონ ბარათაშვილი, რუსულის კარგი მცოდნე, რადგან ქვეყანაში ენობრივი ბარიერი დაიძლია და ქართველი ჩინოვნიკებიც საკმაოდ მომრავლდნენ. აქვე მოვიყვანთ გიორგი ლეონიძის მიერ გამოთქმულ კიდევ ერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, მელიტონს ეჭვის თვალით უყურებდნენ, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას. მკვლევრის სიტყვებით, **„ჯერ გამოურკვეველია, იყო თუ არა ბარათაშვილი 1832 წლის შეთქმულობის უშუალო მონაწილე. არსებობს ზოგი ცნობა, თითქოს სოლომონ დოდაშვილს ყრმა პოეტი მიღებულიც კი ჰყავდა „ფარულ საზოგადოებაში“, რომ ბარათაშვილი გაჩხრიკეს დოდაშვილის საქმესთან დაკავშირებით და ორი კვირით კიდევ დააპატიმრეს“ (ლეონიძე 1945 : 12).** ცნობა ამ ფაქტის შესახებ შეთქმულთა მასალებში ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ ვეთანხმებით მკვლევარს იმ მხრივ, რომ თავად ბარათაშვილის შემოქმედებაში წარმორჩდება შეთქმულთა იდეები და არსებითი მნიშვნელობა არცაა აქვს პოეტის მონაწილეობის უშუალო ფაქტს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მელიტონი სწორედ შეთქმულების დროს, 1832 წლის დეკემბრის დღეებში, როდესაც შეთქმულთა დაპატიმრება დაიწყო, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი გახდა და შემდეგაც ზედიზედ იყო არჩეული ამ თანამდებობაზე. ასე რომ, ბარათაშვილის „არასანდოობა“ მის ბედზე უფრო აისახა, ვიდრე მამის კარიერაზე.

ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ ბარათაშვილების ოჯახი კიდევ უფრო დუხჭირ მდგომარეობაში ჩავარდა. საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მთავარ საისტორიო არქივში (ფონდი № 30) ინახება საქმე № 14412 სახელწოდებით – „О выдаче пособия семейству умершего помощика Елисаветпольского уездного начальника кн. Баратова. Здесь-же и о сложении с губернского секретаря кн. Баратова 245 р. серебром, числящихся на нем в долгу“. კავკასიის ნამესტნიკს თავ. მ. ს. ვორონცოვს თხოვნით მიმართავენ კავკასიაში სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ლადინსკი და ნამესტნიკი, კანცელარიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დ. ყიფიანი, რომ ბარათაშვილების ოჯახს აღმოუჩინონ პირველადი დახმარება – 50 ჩერვონეცი

და პენსიად დაუნიშნონ გარდაცვლილის წლიური შემოსავალი – 750 მანეთი ვერცხლით. ეს დოკუმენტი მით უფრო საინტერესოა, რომ დიმიტრი ყიფიანის მიერ არის დაწერილი. მასში დახასიათებულია ბარათაშვილი, როგორც „საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი გვარიშვილი და მეფის ერთგული მოხელე“; აღნიშნულია, რომ იგი დაილუპა სრულიად ახალგაზრდა და რომ მის დედასა და დებს სილატაკის გამო შავების ჩაცმის საშუალებაც კი არა აქვთ ქართული ტრადიციისამებრ. 1846 წლის 12 მარტს ვორონცოვის განკარგულებით მელიტონს 150 მანეთი გამოუყვეს „ღარიბ მოხელეთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად ასიგნებული თანხებიდან“. საქმეში მელიტონის ოჯახის დახმარებაზე რამდენიმე თხოვნა დევს, ზოგი თავად მელიტონის მიერ დაწერილი, ზოგიც შუამდგომლობა გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვისა ნამესტნიკის წინაშე. ერთ-ერთ თხოვნაზე კანცელარიის რომელიღაცა მოხელე აღნიშნავს, რომ მ. ბარათაშვილს წლიური პენსიაც კი არ ერგება, რომ არა გენერალ პასკევიჩის გულკეთილობაო. არქივში დაცული ეს დოკუმენტები დეტალურად და თვალნათლივ ასახავს ოჯახის მდგომარეობას, რომლისთვისაც 50 თუ 100 ჩერვონეცი (ჩერვონეცი უდრიდა სამ მანეთს) სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო.¹

მელიტონ ბარათაშვილს ახასიათებენ როგორც განათლებულსა და მჭერმეტყველ კაცს, ბუნებით კეთილშობილს, მაგრამ გადამეტებულად ფიცხს; ვერ იტანდა მცირეოდენ წყენას და ერთხელ გუბერნატორის მდივანიც კი გაულახავს, რომელსაც უარი უთქვამს საქმის ქალაქის მოძებნაზე. იხსენებენ: თურმე, როცა მელიტონი ყვირილს გააბამდა სახლის აივანზე, შორეულ უბანშიც კი ესმოდათ. ბაზარში მოვაჭრე მელიტონის დანახვაზე ზოგიერთი ვაჭარი დუქანს კეტავდა, მელიტონს რაიმე არ ეწყინოს და არ განრისხდესო. ზოგადად კეთილი მელიტონი ოჯახის წევრების მიმართ საკმაოდ მკაცრი ყოფილა.

¹ საქმის დაწერილებით გასაცნობად იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1937 წ., № 4, გვ. 138 – პაატა გუგუშვილი, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის ახალი მასალები“.

ბარათაშვილის ოჯახური გარემოს სრულყოფისათვის აუცილებელია მრავალჯერ აღინიშნოს ამ ოჯახის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, მიუხედავად გაჭირვებისა და ბოლოს – სიღატაკისა. კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონების თანახმად: „მელიტონის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს; იმათ შორის თითქმის ყოველ-დღე მელიტონთან დაიარებოდა ეგნატე იოსელიანი, მამა ჩვენის მწერლის პლატონისა. ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ. მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი – ნიკოლოზ და მიხეილ ფავლენიშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები და ბევრი მაშინდელის დროის განათლებულნი ქართველნი“ (მამაცაშვილი 1893). მელიტონიც, მამაცაშვილისავე გადმოცემით, საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა, „ზედმინვენით მცოდნე ქართული ლიტერატურისა“. ბარათაშვილების ოჯახი მასპინძლობდა როგორც ქართველ თავადაზნაურობას, ასევე რუს ჩინოვნიკებს და უცხოელ სტუმრებს.

მამაცაშვილის მიერ ჩამოთვლილი პიროვნებები ბარათაშვილის წერილებშიც ხშირად წარმოჩნდებიან, განსაკუთრებით კი მამა ეგნატე იოსელიანი. ჩანს, ის ოჯახის არა მხოლოდ სტუმარი, არამედ მართლაც ძალიან ახლობელი ყოფილა. ერთ წერილში პოეტი გრიგოლ ორბელიანს მამა ეგნატესაგან მოკითხვას უთვლის, „ქრისტემ გაკურთხოსო“, მეორეში კი მისი გარდაცვალების შესახებ ატყობინებს და ასე ახასიათებს მას: **„Вот человек, который, по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан“** (ბარათაშვილი 1968 : 183).

ბარათაშვილის მთელი ოჯახი და, განსაკუთრებით, მელიტონის პიროვნება იმდროინდელი თავადაზნაურობის ტიპურ სურათს ქმნის.

* * *

ბავშვობა და ახალგაზრდობა

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში, თავისი პაპის, ზუ-რაბ ორბელიანის სახლში, 1817 წლის 22 ნოემბერს (ახალი სტილით – 4 დეკემბერს). ამ სახლში მან თითქმის მთელი ბავშვობა გაატარა. პატარა ტატო მეგობრობდა თავის ბიძებთან, დედის ძმებთან, თანატოლ ილია ორბელიანთან, რომელსაც მიუძღვნა ლექსი „მერანი“ და უფროს ბიძასთან – გრიგოლთან. ტატო და ილია ერთად იზრდებოდნენ, გიმნაზიაშიც ერთად სწავლობდნენ, გრიგოლი კი ბარათაშვილის სულიერი მეგობარი იყო. ზაქარია მთანმინდელი პოეტის ბიოგრაფიაში გადმოგვცემს: **„გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდან თითქმის ყოველდღე გრ. ორბელიანთან დადიოდა... დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა გრიგოლ ორბელიანთან“ (მთანმინდელი 1885 : 6).** ეს მეგობრობა ნათლად აისახება ბარათაშვილის პირად წერილებში. ტატო თავისი გულის დარდს მხოლოდ ორ პიროვნებას უზიარებს – მათა ორბელიანს (ბავშვობის მეგობარსა და ნათესავს) და გრიგოლს. ბიძა-დისშვილის მეგობრობა ორმხრივი ყოფილა, რასაც ადასტურებს გრიგოლ ორბელიანის წერილი თავისი უმცროსი ძმისადმი მიწერილი: **„მიხაკოს (ილია ორბელიანის მეგობარი და ნათესავი) სიყვარულით მოვიკითხავ, ვინძლო რომ ერთმანეთი გიყვარდეთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ერთმანეთი“ (გრ. ორბელიანი 1936 : 43).**

როდესაც დაღესტანში მყოფ გრიგოლს მიხაკო ორბელიანმა დაუმალა ტატოს გარდაცვალების ამბავი და გაუგებრად აცნობა მისი უმძიმესი ავადმყოფობის შესახებ, გრიგოლი ნერვიულობისგან ლოგინად ჩავარდნილა. 1845 წლის 12 ნოემბერს ის სწერს თავის ძმას, ილია ორბელიანს:

„ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? – უცნობლობა მკლავს. შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედო ავადმყოფობა, მანც წიგნი არ

მაჩვენა. ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. – ახ, ეს დამალვა რა არის?.. აქაურმა ცხოვრებამ, ძალის ცხოვრებამ, და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავად გამხადეს. ეს ექვსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. – თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი სინრფოებით, და მასუკან – რადგან შენთვის დიდი შრომაა – ნულარ მოიწერები, იყავ შენთვის მშვიდობიანად“ (გრ. ორბელიანი 1936 : 118).

ნიკოლოზს ოჯახში ტატოს ეძახდნენ. ნაცნობ-მეგობრები და თვით ოჯახის წევრებიც გრიგოლს ვერ უმხელდნენ საყვარელი დისშვილის გარდაცვალების ამბავს.

* * *

მელიტონის ოჯახი ჯერ ცხოვრობდა მუხრანიანთ ხიდის ახლოს, სიონისა და ანჩისხატის შუაში, ერთსართულიან ბანიან სახლში, 1841 წლიდან კი ანჩისხატის გვერდით გადასულა. ტატო მოუნათლავს ანჩისხატის დეკანოზს, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს.

კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებით, ბავშვობაში ტატო ყოფილა მკვირცხლი, მხიარული, ცნობისმოყვარე და ემოციური – „მიმღები ყოველივე კეთილის შთაბეჭდილებისაო“. პოეტის დის, ბარბარე ვეზირიშვილის გადმოცემით, პატარა ტატოსთვის წერაკითხვა დედას უსწავლებია, ხოლო შვიდი წლისა ის მიუბარებიათ კალოუზნის სამრევლო სასწავლებელში, სადაც ალექსი-მესხიშვილები ასწავლიდნენ საღვთო წერილს და ქართულ სიტყვიერებას. კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობით, 8 წლის ბარათაშვილი უკვე კითხულობდა და წერდა ქართულად. მისი პირველი წიგნები „საღვთო წერილი“, „სახარება“ და „დავითნი“ ყოფილა. ტატოს და იხსენებს, რომ ის „საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს“.

1827 წელს ნიკო შეიყვანეს თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში“, რომელიც შემდგომ, 1830 წელს, გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიასთან კი დაარსდა პანსიონი 40 კაცისათვის. ნიკო მიიღეს პანსიონში „ნახევარ-პანსიონერად“, ანუ მას უფლება ჰქონდა ოჯახშიც ევლო. ბარათაშვილმა ამ სკოლაში 8 წელი დაჰყო, სანამ 1835 წელს გიმნაზიიდან არ გამოორიცხეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში თბილისის გიმნაზიამ და პანსიონ-მა ისეთივე როლი შეასრულეს, როგორც 20-იანი წლების ცარ-სკოე სელოს ლიცეუმმა მთელი რიგი დიდი პოეტების ბიოგრა-ფიაში (განწერილია 1978 : 114).

გიმნაზიაში ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: ქართულ ენასა და ლიტერატურას (მასწ. სოლომონ დოდაშვილი), რუსულ ენას (მასწ. დემენტიევი), ქართულ კათეხიზმოს (მასწ. ევრემ ალექსი-მესხიშვი-ლი), ისტორიას და გეოგრაფიას, რიტორიკას, ლოგიკას, მათემატი-კას, ფიზიკას, ხატვას, ხაზვას, ფრანგულ, გერმანულ და თათრულ ენებს. გიმნაზია, როგორც ყველა მაშინდელი სასწავლებელი, არ გა-მოირჩეოდა არც მორალური აღზრდის პრინციპებით, არც სწავლე-ბის მაღალი დონით. დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლე იყო, ბარათაშვილზე რამდენიმე წლით უფროსი, ასე ახა-სიათებს გიმნაზიას: „მეოცე წლების დასაწყისში, ბავშვის სასწავ-ლებელში მისაბარებლად თბილისში, მის მშობლებს იმ დროს იქ არსებულ მხოლოდ ორ სასწავლებელ შუა შეეძლოთ არჩევანი. აქ, რასაკვირველია, იმაზე არ არის ლაპარაკი, თუ სად როგორ ასწავლიდნენ. ამაზე ძალიან ცოტას თქმა დაგვჭირდებოდა: რო-გორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სას-წავლებელშიაც ერთს ადგენენ: ანიდან ჰოემდე უაზროთ გაზეპი-რებას და რაიმე დანაშაულისათვის კი ხელის გულზე სახაზავით ცემას. ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე... მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთად, ერთი წესით გამოიხატებოდა. გაკვეთილების სწავლა ზე-პირად, ე.ი. შეუგნებლად – მექანიკურად და ყოველი დანაშაული-სათვის ხელის გულზე სახაზავით ცემა. ამ ტრადიციულ წესს ჩვენს მასწავლებელთ შორის მხოლოდ სამი არ ემორჩილებოდა. ელპიდვიფორ პეტრეს ძე მანასეინი, რომელიც სასწავლებლის დირექტორად და უმცროს კლასებში რუსული ენისა და უფროს კლასებში რუსული სიტყვიერების მასწავლებლად დაგვინიშნეს. ყველა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება ერთი კაცისათ-ვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო და ამიტომ მანასეინმა მხო-ლოდ ერთი სასწავლო წელიწადი დაჰყო ჩვენთან... მოწაფეებმა

მხოლოდ მისგან დაიწყეს გადმონაცემის შეგნებით შეთვისება, მხოლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელად მონაფის ნახევარ საათით კუთხეში დაყენება, ან ნახევარ საათით კლასში დატოვება, როდესაც დანარჩენნი უკვე წასულნი იყვნენ. გულამოსკვნით სტიროდნენ ხოლმე, ვისაც კი ეს სასჯელი შეხვდებოდა. ყურებისა ან თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება, ან სხეულის სხვანაირი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასავლებადაც კი შეუძლებელი იყო. სამაგიეროთ ბავშვებიც არას დროს არ ყოფილან ისეთი კეთილშობილნი და არასოდეს ისე კარგად არ შეუგნიათ გადმონაცემი, როგორც მის დროს. მეორე, აგრეთვე კეთილ-გონიერი და ყოვლად მოსაწონი მონაფეთათვის, მანასეინის შემდეგ დანიშნული, რუსული ენისა და რუსული სიტყვიერების მასწავლებელი იყო, კანდიდატი ხარკოვის უნივერსიტეტისა, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი... თავადი ივ. ზაქ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი ისტორიას ასწავლიდა; დიდად საყვარელი და პატივცემული იყო ყველასაგან...გამოცდებს თავიანთ საგნებში თვით მასწავლებლნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა, დემენტიევისა და არლუთინსკი-დოლგორუკოვისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მონაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ (ყიფიანი 1990 : 14-20).

ასეთი იყო ბარათაშვილის სასწავლო გარემო, რომელშიც აღიზარდა და მოაზროვნე ადამიანად ჩამოყალიბდა პოეტი. რა თქმა უნდა, ეს გარემო, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ვერ შეუწყობდა ხელს მოსწავლეების ინტელექტუალურ აღზრდას; ამიტომ თავად მოსწავლეები ზრუნავდნენ თავიანთი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის. ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობრები ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ; ისინი, რა თქმა უნდა, თავისებურად ახდენდნენ გავლენას ბარათაშვილზე, ჰქონდათ საერთო ინტერესები და ცდილობდნენ, რაც შეიძლება სრულყოფილად გასცნობოდნენ ეპოქის მოწინავე იდეებს; გიმნაზიელები ახერხებდნენ და კითხულობდნენ ევროპული და რუსული ლიტერატურის გამოჩენილ მწერლებს: ბაირონს, გოეთეს, შილერს, პუშკინს, მიცკევიჩს; ბარათაშვილის მეგობრებმა ცხოვრების შემდგომ ეტაპზე სხვადასხვა ასპარეზზე გამოიჩინეს თავი და ცნობი-

ლი პიროვნებები გახდნენ. მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ დარჩა მათი სახელები. ესენი იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, ლიტერატორი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, დღეს წმინდანად შერაცხული; კონსტანტინე მამაცაშვილი, ლიტერატორი, ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი; ლევან მელიქიშვილი, სახელგანთქმული გენერალი, კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი 70-იან წლებში; მიხეილ თუმანიშვილი, პოეტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე; ილია ორბელიანი, ბარათაშვილის ბიძა, ცნობილი გენერალი, ლექსის „მერანი“ ადრესატი; ლუკა ისარლიშვილი, შემდგომ შეუზრალეობით განთქმული ცენზორი; ასევე ნაკლებად ცნობილი პირები: იასე ანდრონიკაშვილი, მირიან ჭყონია, ეგორ ვილემსი, გარსევან ვარლამოვი, ი. იზიუმსკი, ივანე ტიტკოვი, ალექსანდრე მონასტირსკი. მათაც ლიტერატურული ინტერესები ამოძრავებდათ და წარმოჩნდებოდნენ კიდევ ალმანახისა და „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ ფურცლებზე, აგრეთვე პოეტის წერილებსა და ზოგიერთ დოკუმენტში.

1833 წელს ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობრებმა შეადგინეს ხელნაწერი ალმანახი (შემორჩენილ ეგზემპლარს თავფურცელი აკლია და ამიტომაც მისი სახელწოდება ცნობილი არ არის), ხოლო 1835 წლის მაისიდან 1936 წლის თებერვლამდე სცემდნენ რუსულ ხელნაწერ ჟურნალს – „Цветок Тифлисской Гимназии“, რომლის სულ ხუთი ნომერი გამოვიდა. რედაქტორი იყო მიხეილ თუმანიშვილი. ბარათაშვილი მონაწილეობას იღებდა ჟურნალში, როგორც ერთ-ერთი წევრი, სტატიების ავტორი. მისი წერილები მოთავსებული ყოფილა ჟურნალის მეოთხე ნომერში, რომელიც დაკარგულია, მაგრამ ცნობის სანდოობას ადასტურებს მეხუთე ნომრის საერთო სარჩევი, საიდანაც ვიგებთ, რომ მე-4 ნომერში შესული ყოფილა ბარათაშვილის სამი წერილი: I. „Письмо из деревни; II. თარგმანი ძველი ქართული რომანიდან „ვისრამიანი“ (ნაწყვეტი)¹; III. О папской власти. 1. О возвышении папизма; 2. О падении его“.

¹ წარმოდგენილი დასათაურების მიხედვით, „ვისრამიანი“ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ. დღესდღეობით დადგენილია, რომ ის სპარსულიდანაა ნათარგმნი.

საყურადღებოა, რომ ბარათაშვილი წერს კათოლიციზმის ისტორიაზე, რაც მის ფართო ინტერესებზე მეტყველებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პაპიზმის ისტორიის კვლევისას მას უნდა ესარგებლა დეკაბრისტ კონდრატ რილეევის სტატიით – „Причина падения власти пап“, რადგან ამ პერიოდში ქართულ საზოგადოებაში ხელნაწერთა სახით გავრცელებული იყო მისი ნაწერები (გრიგოლ ორბელიანმაც გადმოაქართულა კონდრატი რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“).

ბარათაშვილის მიერ „ვისრამიანის“ თუნდაც ერთი მონაკვეთის „თარგმანი“ მეტყველებს მის დაინტერესებაზე ძველი ქართული ლიტერატურით; სარჩევში წარმოდგენილი სათაური – „თარგმანი“ – შესაძლოა ნიშნავდეს ძველი ქართულიდან მწერლისდროინდელ ქართულზე გადმოტანასაც და კომენტირებასაც. დღესდღეობით არ ხერხდება ზუსტი ანალიზი, რა სახის შრომა წარმოადგინა გიმნაზიელმა ბარათაშვილმა. ყოველ შემთხვევაში, მის მიერ მასალის შერჩევაც კი მიგვანიშნებს ყმანვილის კარგ გემოვნებასა და საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის სურვილზე.

რაც შეეხება ბარათაშვილის კორესპონდენციას „წერილი სოფლიდან“, ვგონებთ, მსგავსი უნდა იყოს ჟურნალის სხვა ნომერში მოთავსებული გიმნაზიელი ტიტკოვის ამავე სათაურის წერილისა, რომელშიაც აღწერილია პანსიონის მონაფეთა ცხოვრება სოფლად: „დილით, მზის ამოსვლისას, 11 საათამდე ჩვენ ჩვეულებრივად ვაკეთებთ საკლასო ლექციების რეპეტიციებს. 11-ზე – ვსაუზმობთ, პირველზე – ვსადილობთ. სადილობამდე და სადილის შემდეგ დროს ვანდომებთ ლექსებსა და პროზაში პრაქტიკულ ვარჯიშობას. თამაშობა, განსაკუთრებით კი ცხენით გასეირნება ლამაზი სანახაობის მინდვრებში ან მაცოცხლებელი ჩანჩქერის ნაპირას, ანიჭებს გონებასა და გულს საკმაო სიცხოველეს. სადამოობით ვკითხულობთ პერიოდულ გამოცემებს ან საშინაო ბიბლიოთეკას ვჩხრეკავთ“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“). ჩანს, პანსიონის მოსწავლეებს არდადეგების გატარება შეეძლოთ პანსიონის საზაფხულო რეზიდენციაში სოფლად, სადაც მათ ჰქონდათ გარკვეული რეჟიმი, გართობასთან ერთად ინტე-

ლექტურალური ვარჯიში; შთაბეჭდილებებს კი ისინი ხელნაწერ ფურნალში ათავსებდნენ.

გიმნაზიაში ბარათაშვილი იცვამდა ქართულად. კ. მამაცაშვილი გვიამბობს: „**მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუზმენტით მორთულ ჩოხაში, დიბის ახალუხით, თავზედ პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდი. ქართულად რომ იტყვიან, კობტურად ჩაცმული“ (მამაცაშვილი 1893).** გარეგნულად ტატო არც მაღალი ყოფილა და არც დაბალი, არც მსუქანი და არც გამხდარი. გამოირჩეოდა თვალებით, რომელთაც მისი თანამედროვენი „ბუდეშურს“ უწოდებდნენ („ბუდეშური“ სულხან-საბას განმარტებით გრძელმარცვლიანი ყურძნის ჯიშია). ნიკო ნიჭიერი მოსწავლე იყო. პედაგოგები და სკოლის მეგობრები მის ტალანტს ამჩნევდნენ. ლექსების წერა ადრევე დაუწყია. გიმნაზიის პერიოდში დაწერილი ლექსებია: „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, პოემა „კავკასიური მოთხრობა“. ეს ნაწარმოებები ჯერ კიდევ ბავშვურია და თარიღდება 1832 წლით. ამათ მოჰყვება პირველი ვარიანტები ლექსებისა „ვარდი და ბულბული“ (1832-1833 წწ) და „შემოღამება მთანმინდაზედ“ (1833), რომლებშიაც უკვე იგრძნობა ტატოს დიდი პოეტური ნიჭი და ღრმა სულიერება.

ზოგს აკვირვებს კიდევ ბარათაშვილის პოეზიაში წარმოჩენილი სულიერი სიღრმე და მასთან შერწყმული, პოეტის, ერთი შეხედვით, შეუფერებელი ხასიათი: მხიარულება, ოხუნჯობა, სიმკვირცხლე, სიცვლქე; ჩვენი აზრით, სწორედ ამ ხასიათმაც განაპირობა მისი აზროვნების მასშტაბურობა. ის არ იყო თავის თავში ჩაკეტილი, როგორც ერთი შეხედვით წარმოგვიდგება; ყველაფერს ახერხებდა, ყველგან ტრიალებდა და ამხანაგების სული და გული იყო სწორედ თავისი ხასიათის წყალობით. კ. მამაცაშვილი, ბარათაშვილის სკოლის მეგობარი, რომლის მონათხრობი ერთადერთი უტყუარი წყაროა ჩვენთვის გიმნაზიისდროინდელი ბარათაშვილის სახის აღსაქმელად, იგონებს: „**მკვირცხლი, ცვლქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, მახვილი – ბარათაშვილი იყო სული და გული ტოლ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და ყველა ერიდებოდა მის ენას. იყო დამცინავი, ჩქარი, თუმცა კეთილი, ჭკვიანი, ამხანაგებისა და თვისის მოყვარე. ბარათაშვილი უმე-**

ტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისის მხიარულის ხასიათით, სიმარდით პირველი მოტანცავე იყო, საკუთრად ლეკურისა... სხვაზე უფრო დანიანურებული იყო ბარათაშვილი ტანცაობითაც. სასწავლებელს ჰყავდა ტანცების მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანც-კლასი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი, რომელიც სხვათაშორის ლეკურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოტანცავე იყო და უპირველესი მოლეკურე, თუმცა მესამე კლასში იყო თუ მეოთხეში“ (მამაცაშვილი 1893). თავისი სიცელქის გამო ტატო გიმნაზიის კიბეებიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი მოიტეხა; როცა განიკურნა და სიარული შეძლო, აღმოჩნდა, რომ ცალი ფეხით დაკოჭლებულიყო. ცნობილია აგრეთვე, რომ ტატოს პროტესტულმა საქციელმა და სატირულმა ლექსებმა დიდი აურზაური გამოიწვია ქალაქში და ბარათაშვილი ორი კვირის განმავლობაში დაპატიმრებულიც კი ყოფილა პოლიციაში. ეს შემთხვევა აღწერილი აქვს აკაკი წერეთელს თავის მოთხრობაში – „ჩემი თავგადასავალი“. აკაკი მოგვითხრობს პეტრე ბაგრატიონთან, თავისი უფროსი ძმის – ილიას – პოლკის უფროსთან, შეხვედრას, რომელთანაც ის ძმამ მიიყვანა რჩევის საკითხავად: „... სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა, მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: „განა ქართველი აღარა გგონივარო? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თვარა შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენც, როგორც იმერელი, უეჭველია, იმერულ კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართლური ვიცოდი. ტფილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გაგიგონია შაირებით დიდი კაცების გალანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით; როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, უცბად ავუნევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა.

ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს; ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო“ (წერეთელი 1989 : 83).

1893 წლის გაზეტ „ივერიის“ 79-ე ნომერში, ზუსტად ბარათაშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების წინ, პ. ცხვილოელი (კარბელაშვილი) დაწვრილებით გვიამბობს ამბავს, რომელიც მან ბარათაშვილის პანსიონის მეგობრის, გიორგი ანდრონიკაშვილისგან ჩაიწერა და რომელიც ზედმინევნით მსგავსია პეტრე ბაგრატიონის მონათხრობი ამბისა. სტატია დაიბეჭდა სათაურით – „ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებლის IV კლასში“: „ბარონი როზენი, საქართველოს მთავარმართებელი, ჩამოვიდა თუ არა ტფილისში, დაათვალიერა კეთილშობილთა სასწავლებლის პანსიონი და IV კლასის მოსწავლეთა შორის თავის ადიუტანტად აღირჩია ან განსვენებული თ. ლ. ი. მ-ლი. მისს ამხანაგებს მეტად გულს დააკლდათ, ნამეტნავად ტატოს, ამხანაგის განშორება. სახელოვანმა ახალგაზრდა ტატომ თავისი გულისწყრომა ბარონ როზენზედ წარმოაცალიერა თავის ცხარე წერილში, დაბეჭდა იგი პეტრე ბაგრატიონის (თავის ამხანაგის) ბეჭდით ლაქაზედ და ყაზახს, იმ ხანად ფოსტის მატარებლის ხელში წერილების გასინჯვის დროს – ჩვენ სახელზე წერილი ხომ არა არის-რაო, – ჩაუდო ჩუმად დავთარში. როზენი აენტო ამისთანა შეურაცხებისათვის, დანიშნა გამოძიება და ბეჭდით აღმოაჩინეს ტატოს ბრალიანობა. ტატომ, როგორც იმავე თავით დიდსულოვანმა, წარბიც არ შეარხია: პეტრე ბაგრატიონი დაარიგა, ეთქვა – „ბეჭედი ჩემია, მაგრამ მე არა ვიცი რა, უთუოდ მომპარეს და ისე დაჰკრეს ლაქზედაო; თვით იდო თავს დანაშაული და ყოველივე დაწვრილებით აღიარა გამოძიების წინაშე და არავინ ამხანაგთაგანი დანაშაულში არ გაჰრია. ტატო ორი კვირით დაამწყვდიეს ცალკე (камере) რკინის ცხავ გადაკრულ სარდაფში და ამ ხნის განმავლობაში ამხანაგნი ჩუმად უზიდავდნენ საუკეთესო საქმელ-სასმელს, დაქრთამულის მოსამსახურის ხელით. ორი კვირის შემდეგ კი

უნდა სამასი წკეპლა (როზგი) დაეკრათ. გამოარჩიეს ასი შეგირდი და მათგან თითოს სამ-სამი უნდა დაეკრა. გაროზგვის წინად მადლიანმა მასწავლებელმა (III და IV კლასებში წერისა და გეოგრაფიისამ) შეგირდებს ასწავლა როზგის დარტყმა ისე, რომ ტატო არ გაემწვავებინათ. ეს მასწავლებელი იყო პავლე ივანჩი შიპულინი. დანიშნულ დღეს მოსამსახურეებს მიჰქონდათ როზგები; მათ შემდეგ დანარჩენ მოსამსახურეებს მიჰყვანდათ ტატო და ბოლოს-კი – მასწავლებელი ასი შეგირდით. ტატო გაროზგეს დედამის თვალწინ, განსვენებულ გრ. ორბელიანის სახლის მახლობლად (ორბელიანთ უბანში იდგა მელიტონ ბარათაშვილი). გაროზგის დროს მელიტონი დასძახოდა – „მაგრა დაჰკათ მაგ საძაგელსო!“ დედა-კი იხვეწებოდა – აპატიეთო. ტატო-კი ამხნევებდა დედას – მე ამით ვერ მომკლავენ და ენას ვერ მომჭრიანო. გაროზგვის დროს ტატოს კრინტიც არ დაუძრავს. ისევ პანსიონში დარჩა. ერთის წლის შემდეგ ტატომ შეუგდო აივანზე ბარონ როზენს სამასხარო ნახატი, რომელზედაც ბარონი აბუჩად იყო აგდებული. ეჭვი მიიტანეს ტატოზე და ამისათვის გამორიცხეს სასწავლებლიდამ. რა-კი ნათესაობა – დიდკაცობა ჰყვანდა, იგი გაამწესეს მწერლად საგუბერნიო სამმართველოში, სადაც ჯერ სტოლნაჩალნიკობა მიიღო, მერე მდივნობა. ბოლოს განჯაში გაამწესეს ნაჩალნიკის თანაშემწედ და იქვე გარდაიცვალა.

საგუბერნიო სამმართველოში სამსახურის დროს ტატომ დასწერა რამდენიმე ლექსი, რომლებშიაც ტფილისის სომხობა მასხრად ჰყავდა აგდებული. ამისათვის ერთს ბნელ საღამოს სიონის ქუჩაში, დახურულ ბაზრის გამოსწვრივ, მომავალ ტატოს დაუხვდა ორი უცნობი სომეხი, ჩამოაცვეს თავზე ტომარა, წააქციეს და ძალიან სცემეს. მცემელი იყვნენ პანსიონში ნაამხანაგარი სომეხები (ნაამბობი ტატოს ნაამხანაგარის 73 წ. მოხუცის თ. გიორგი მისაილის ძე ანდრონიკაშვილისა)“ (გაზ. „ივერია“ 1893 : № 79).

ცინიკოსის ბუნება და მხიარული ხასიათი ტატოს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

სამსახური

ბარათაშვილმა გიმნაზიაში სწავლა 1835 წელს დაასრულა. მაშინ ის 17 წლის იყო, ხელმოკლე ოჯახის, ავადმყოფი მამისა და გაუთხოვარი დების პატრონი. ტატო მშობლების რჩევით და ერთგვარი ძალდატანებით, თანაც გამოუვალი მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა მაშინვე დაენყო სამსახური და ოჯახს დახმარებოდა. 1835 წლის 6 ნოემბერს ნ. ბარათაშვილი დაინიშნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანცელარიის მოხელედ. იმის მაგივრად, რომ თავისი ოცნების აღსრულებისთვის ებრძოლა, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო ეს ოცნება – სამხედრო სამსახურში შესულიყო ან ესწავლა უნივერსიტეტში, რაც მას უფრო შეეფერებოდა, იძულებული იყო კანცელარიაში აქტები და ოქმები ეწერა. სამხედრო სამსახურში შესვლაზე მას მშობლებმა უარი უთხრეს, უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნის საშუალება კი არ ჰქონდათ. ბარათაშვილის უახლოესი ნათესავები გრძნობდნენ, რომ მის ნიჭს გაღვივება ესაჭიროებოდა სწორედ განათლებით. რუსეთში მყოფი პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც აფიქრებდა დისშვილის მომავალი, 1835 წლის 27 ივლისს სწერს თავის ძმა ზაქარიას: **„ჩემს საყვარელს დას ეფემიას თავის შვილებით დავჰკოცნი! ახა, ანგელოზო ჩემო, რად დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსენეს, რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенном иждивении იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. – Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития – ნეტავი გამოგზავნოს დერპტკის უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუ კი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს“** /იგულისხმება ბარონი როზენი/ (გრ. ორბელიანი).

ბიძის თანაგრძნობა შორიდან საკმარისი არ აღმოჩნდა დისშვილის დასახმარებლად. შემორჩენილი წერილებიდან ჩანს, რომ დისშვილმა წელიწადნახევრის შემდეგ თავად გადაუშალა გული ბიძას, ალბათ იმ იმედით, რომ მშობლებისგან „განანირი“ მისგან მოელოდა შველას: **„აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზია-**

ში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვია-რო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ვედარც კი გავანო ამ სნეულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება. რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ეკსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმანვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ круг чиновников не выгоден для обрoзoвания нравственности, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული“ (ბარათაშვილი 1968 : 169).

ეს წერილი, მასში აღწერილი ფაქტებიდან გამომდინარე, ყველანაირ ახსნა-განმარტებაზე კარგად ახასიათებს ბარათაშვილის სულიერ მდგომარეობას. გარდა იმისა, რომ გეგმები, ოცნებები არ შეუსრულდა (თითქოსდა საპატიო დაბრკოლებები გადაეღობა მათ, სამსახურით არცთუ უკმაყოფილოა, ჩინსაც ელის და სამოქა-

ლაქო სამსახურის მოსურნისათვის მისი თანამდებობა კარგი ადგილიცაა), ბარათაშვილი გრძნობს, რომ მოხელეთა წრე მისთვის შეუფერებელია, არაფრის მომცემი ზნეობრივი განვითარებისათვის, ამიტომაც ბედს დამორჩილებული, მაინც შეუტევს, შეებმება ხოლმე მას. წერილი მორიდებული პროტესტია იმ გარემოსადმი, რომელშიაც ბარათაშვილი ცხოვრობს; ახლობლებისადმი, რომლებიც აიძულებენ დამორჩილდეს ასეთ ყოფას; ყველასადმი, ვინც მას არ ეხმარება და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში – ადრესატისადმი. წერილს შედეგი არ მოჰყოლია.

წლების შემდეგ, 1841 წლის 18 ოქტომბერს დაწერილ წერილშიც, რომელშიც ბარათაშვილი თითქოს მხიარული მოჩანს, სარდლობას უქებს ბიძას და თბილისის ამბებს ატყობინებს, სხვათა შორის მაინც აღნიშნავს – **„სხვა ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია“** (ბარათაშვილი 1968 : 175). წერილში ჩართულია ლექსი „ვპოვე ტაძარი“, რომლის წაკითხვის შემდგომაც ნათელი უნდა გამხდარიყო მისი ავტორის სულიერი მდგომარეობა. ამ გულახდილი განდობებისა თუ მინიშნებების შემდგომ ბიძას უნდა ეგრძნო უნუგეშო, „ობოლი“, „მწირი“, „მიუსაფარი“ – რწმენადაკარგული კაცის ტრაგედია, რომლისთვისაც თბილისის ცხოვრობა დამლუპველია. შეიძლება იგრძნო კიდევ, მაგრამ არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი.

ბარათაშვილი კიდევ ერთხელ, 1943 წლის 21 აგვისტოს, „შეახსენებს“ ბიძას თავის მდგომარეობას და ამჯერად პირდაპირ საყვედურობს მას. მიმართვაში უკვე იგრძნობა არა მორიდებული, არამედ ირონიული ტონი: **„საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო!“**. ამას მოჰყვება არა ბოდიშის მოხდა წერილის დაგვიანების გამო, არამედ, საპირისპირო, ბიძისადმი საყვედური, რომ მისი წერილები მხოლოდ დაპირებებია: **„ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა“**. ბარათაშვილს სერიო-

ზულად სურს ბიძასთან საუბარი, რომელსაც დიდი, თუმცა დის-შვილის დასაცინი, თანამდებობა უჭირავს: „**მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრეება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!**“ (ნ. ბარათაშვილი 1968 : 182). ბარათაშვილს ბიძის მემკვიდრედ ყოფნა სურს, უნუნებს მას შორსმჭვრეტელობას და შეახსენებს, რომ თანამდებობაცა და ამით მოპოვებული სახელიც პირობითია, წარმავალი. ამ ამალეღვებელი სიტყვების შემდეგ კი პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე უმხელს თავის მდგომარეობას და დახმარების ხელს სთხოვს: „**ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გამლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა“** (იქვე). ამას სწერს უკვე ავტორი ლექსისა „მერანი“, რომელიც გრიგოლმა ერთ-ერთმა პირველმა ნაიკითხა; გრძნობს, რომ დროს უსწრებს, მაგრამ ღრე-კლდეშია გაჩხერილი, გრძნობს თავის ხელმწიფურ ასპარეზს და არც მალავს უკვე მორიდებადაძლეული. პირდაპირ საქმეზე გადადის: „**ჩემი ფიქრი მანდეთ მოქრის. ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვინინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი, დაგავინწყდა, მაგრამ არა, არ დაგვინწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხრად აიგდე, და მომავლის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენ იცი“** (ბარათაშვილი 1968 : 182-183). მომავლის დიდება მართლაც ხვდა

ბარათაშვილს, ხოლო ემირობა და დისშვილისთვის „არგამოდგომა“ დღესაც, სხვადასხვა სახის გამართლების მიუხედავად, მძიმე ტვირთად აწევა გრიგოლ ორბელიანს. წერილში ჩართულია ლექსი „სულო ბოროტო“. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ უფრო მეტად ნათელი იყოს ბარათაშვილის სევდა-უიმედობის მიზეზი და ამ ყოველივეს გამო გრიგოლ ორბელიანის საქმის კურსში ყოფნა. ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის სამსახური არაფერია, სიცარიელეა, გინდა ყოფილა, გინდა არა, უინტერესოა, რადგან არ იძლევა სულიერ საზრდოს: **„სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივებურები, и вообще здесь «И грустно, и скучно» (ლერმონტოვის ლექსიდან) и некому руку подать в минуту душевной невзгоды“** (იქვე).

ბარათაშვილის წერილებიდან და მათში ჩართული ლექსებიდან ადვილი წარმოსადგენი ხდება მისი სულიერი განწყობა. ვერ ვიტყვი, რომ ის ოდესმე შეურიგდა თავის ბედს, მაგრამ, აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ყოველთვის ჩინებულად ასრულებდა. თავისი ლამაზი და გარკვეული ხელით წერდა ოქმებს და დოკუმენტები ყოველთვის წესრიგში ჰქონდა, ამიტომაც თავისი უფროსის – ილინსკის – მოწონება დაიმსახურა. ილინსკი თურმე არ მოელოდა მოუსვენარი და სულ მუდამ სამსახურის გარეთ მოსიარულე მოხელისაგან ასეთ წესრიგს.

1841 წელს კავკასიაში სამოქალაქო დაწესებულებათა რევიზიისთვის თბილისში ჩამოვიდნენ სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი და სტატს-სეკრეტარი პოზენი, რომლებმაც სხვა საქმეებთან ერთად შეამოწმეს ბარათაშვილის მიერ წარმოებული საქმეებიც და, შესაძლოა, გამიზნული პოლიტიკის გამო, მაგრამ სწორედ ბარათაშვილის მუშაობის საფუძველზე გამოსცეს ბრძანება, რომ ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში. ზემოთ ნახსენებ პალატის უფროსს, ილინსკის კმაყოფილებით უთქვამს: **„ბარათაშვილი ჩემს ადგილზე იჯდებაო“**. მეორე მოხელე-ბიუროკრატი, საქართველოს იმერეთის პალატის თავმჯდომარე დენინი ბარათაშვილის შესახებ მეფისნაცვალს სწერდა: **„მოხელე ესე, ნიჭიერებით ჩინებული, უნართ, სამაგალითო ბეჯითობით სამსა-**

ხურში და კეთილშობილ ყოფაქცევით იქცევს თავის თავზე უფროსების ყურადღებას“.

ბარათაშვილმა მიაღწია ვისთვის მცირე, ვისთვის დიდ წარმატებებს. ექსპედიციის კანცელარისტობიდან თავადაზნაურობის სამეურვეო ნაწილის მაგიდის უფროსად გადაიყვანეს, შემდეგ სააპელაციო საქმეთა გამგებლად, რადგან ამ თანამდებობისათვის ნიჭიერი და საიმედო კაცი ესაჭიროებოდათ; 1843 წელს მიიღო ჩინი „გუბერნსკი სეკრეტრისა“ წლების მანძილზე კარგი ნამსახურობისათვის, იმავე წლის ნოემბერს კი – „კოლეჟსკი სეკრეტრის“ ჩინი. მიუხედავად გარკვეული კარიერისა, ბარათაშვილმა მაინც უარი თქვა კანცელარიის მოხელეობაზე, რადგან, როგორც იქნა, იშოვა სამხედრო სამსახურის მსგავსი თანამდებობა – კლასის მეგობარმა, ლევან მელიქიშვილმა, რომელიც ნახჭევანის მაზრის უფროსად დაინიშნა, ბარათაშვილი თავის თანაშემწედ წაიყვანა.

ბარათაშვილის მოხელეობის პერიოდისთვის დამახასიათებელია ერთი გარემოებაც. რამდენადაც პოეტს სულს უხუთავს გარემო, რომელშიაც ის იმყოფება და რომელსაც თავისთვის შეუფერებლად თვლის, იმდენად ეს გარემო ეხმარება მას ჩაუღრმავდეს თავის სულიერ სამყაროს და იფიქროს ამ გარემოს შეცვლის გზებზე, საზოგადოების ზნეობრივ განვითარებაზე, რაც უცხოა მოხელეთა წრისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკოლოზის სკოლის ამხანაგის, კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონება. 1837 წელს არტილერიის კურსდამთავრებული კონსტანტინე, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, რა თქმა უნდა, შეხვდა ბარათაშვილსაც. ის ამგვარად ახასიათებს პოეტის ცხოვრების აღნიშნულ პერიოდს: „**ნიკოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურსშესრულებული და მსახურობდა სტოლნაჩალნიკათ პალატაში. ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით; ნიკოლოზს სიკვდილამდე ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც. იმ დროს თბილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არ გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილობა ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზ-**

რდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს ძე მელიქოვთან, ხან სადილად გარეუბნის ბაღებში. ჩვენნი დროის გატარება იყო ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა. ვისაც სურდა ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს; ქაღალდის თამაშობაში ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც (მაშინ მთელი თბილისი შემორტყმული იყო ბაღებითა, მთელი სოლოლაკი ბაღები იყო). ხშირად გვეკონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ...“ (მამაცაშვილი 1893). სწორედ ასეთი საღამოების დროს იწყება ფიქრი საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე; სწორედ ასეთი საღამოების დროს გადანყვიტეს მეგობრებმა თავადთა სახლებში გაბნეული საქართველოს ისტორიის მათიანეების, საინტერესო სიგელებისა და გუჯრების შეგროვება და საქართველოს ისტორიის დანერა. სწორედ ასეთ საღამოს, გარეთუბანში სეირნობისას კონსტანტინე მამაცაშვილსა და ტატოს შორის ჩამოვარდა საუბარი მე-18 საუკუნის ტრაგიკულ დასასრულზე, მეფე ერეკლეს უღონობაზედ და აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე. ტატოს სახეზე ცრემლები წამოსვლია და უთქვამს: „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა... ვაი ჩვენო ქართლის ბედოო!“. ასეთი საღამოების დროს დაიბადა ფიქრი პოემაზეც „ბედი ქართლისა“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და რომელიც ამ შეხვედრიდან არც ისე ცოტა ხანში (რამდენიმე წელში), 1839 წელს დაინერა, ხოლო საბოლოო სახე 1843 წელს მიიღო.

პოეტის ახლობელთა წრე

ნიკოლოზ ბარათაშვილს არც კანცელარიის მოხელეობა, არც საზოგადოებრივი ინტერესები, არც ოჯახის მძიმე მდგომარეობა და არც სულიერი ტრაგედია ხელს არ უშლის იყოს თავისი დროის არისტოკრატიული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. არცერ-

თი ქორწილი, ღამისთევა თუ შეკრება მის გარეშე არ იქნებოდა. მუდამ ნახავდით ყაბახზე მოსეირნეს. განსაკუთრებით სასურველი იყო ბარათაშვილისთვის ორბელიანთა უბანი, ე.წ. მისი დედულეთი, ქართული არისტოკრატის ცენტრი, რომელიც დასახლებული იყო მისი ნათესავეებითა და მეგობრებით. აქ ორბელიანებთან ერთად ცხოვრობდნენ: ბარათაშვილები, ერისთავები, ციციშვილები, ჩოლოყაშვილები, ანდრონიკაშვილები, თარხნიშვილები, მუხრანელები, მაჩაბლები. ამ თავადთა ოჯახებსა თუ სალონებში პოეტისათვის მუდამ კარი იყო ღია. ბარათაშვილი ესწრებოდა მათ ნვეულებებს, მეჯლისებს, ჭირისა თუ ლხინის თავყრილობებს. მხიარულსა და ენამოსწრებულს ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ. მასაც უმაღლვე შეეძლო მოწყენილი განწყობის მხიარულებით შეცვლა. განსაკუთრებით ქალების საზოგადოება უყვარდა; აინტერესებდა მათი სასიყვარულო თავგადასავლები, ჭორები; მეგობრობდა მათთან და პატარ-პატარა საჩუქრებითაც ანებივრებდა; ხანდახან აჯავრებდა და ხუმრობით ერთმანეთს წაჰკიდებდა-ხოლმე; ქალებთან უყვარდა ყოფნა და მუსაიფი, მათთან ცელქობა და გაბუტვაც კი. ყველაზე ადრე ბარათაშვილი იგებდა, ვის ვინ მოსწონდა, ვინ ვის ეარშიყებოდა, ვის ვინ უნდა მოეყვანა ცოლად; იყო ენამახვილი. ერთ-ერთი თავყრილობის დროს, რომელსაც თურმე პლატონ იოსელიანიც ესწრებოდა, ცნობილი მწერალი და ღვთისმეტყველი, ვილაცას უკითხავს: – ბერძენ-რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტავ ვირების ღმერთიც თუ ჰყავდათო? ბარათაშვილს უპასუხია: – ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლ-ასლოვიო (მეუნარგია). ბარათაშვილს იმდენად უყვარდა ხუმრობა, რომ ზოგჯერ ზედმეტიც მოსდიოდა, რის გამოც თავის ბიძას, სკოლის მეგობარ ილია ორბელიანს დუელშიც კი გაუწვევია. ახლობლებთან გაგზავნილ წერილებში ბარათაშვილი დიდ ყურადღებას უთმობს თავისი წრის ცხოვრებას, ჭორებს, იცის, რომ ეს თბილისს მოშორებულთათვის განსაკუთრებით საინტერესო და სახალისოა: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, – სწერს ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, – სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, – დიდი დაძვერებაებია ქალებისა; დიდი

აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი ღამის თევავები; დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით. დაწვლილებით მოგწერდი ყოველს ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა“ (ბარათაშვილი 1968 : 174); ის დაწვრილებით აღწერს ხან ყაფლანის ვაჟის ნათლობას, ხან თავისი დის ქორწილს, ხან პლატონ იოსელიანის ბაკენბარდის ჩამოშლას, გალაგინის ცოლის ნათქვამებს და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენ წვრილმან ამბავს. თავის მონათხრობში ოსტატურად აქსოვს ხუმრობებს. აი, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანს სწერს: „კნიაზი ჭავჭავაძე თავისის კნეინათი მარტყოზს იყვენენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვენენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამოძკვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ, და კნეინა და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან. Довольно подробно!“ (ბარათაშვილი 1968 : 183). ეს პროზაული ამბები ბარათაშვილს ალაღებს, ეს მისი საზოგადოების ცხოვრებაა, თუმცა ხანდახან შემოსწყრება ხოლმე ამ საზოგადოებას და თბილისს „გონებისა და გულისათვის უსარგებლო“ ქალაქს უწოდებს.

სინამდვილეში ბარათაშვილისდროინდელი თბილისი არცთუ ისე „უასარგებლო“ ქალაქი ყოფილა. ბარათაშვილსა და მის მეგობრებს პქონდათ ლიტერატურული ინტერესები, რომელთაც წარმოაჩენდნენ კიდევც ლიტერატურულ სალონებში. ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი მიმზიდველი ცენტრი იყო ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრებისა. აქ ქართველებთან ერთად იკრიბებოდა რუსეთიდან ჩამოსული სამხედრო არისტოკრატია. როგორც ცნობილია, აქ წაიკითხა ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“. ბარათაშვილი ხშირად დაიარებოდა მანანა ორბელიანის სალონშიც; მეგობრობდა როგორც მანანასთან, ასევე – მის ქალიშვილთან. მანანას ოჯახში თავს იყრიდნენ მაშინდელი ქართველი პოეტები, მანანა კი მათ „გულლიად იღებდა, ახალისებდა“, ინერდა მათ ნაწარმოებებზე გამოთქმულ შენიშვნებს და შემდგომ ავტო-

რებს უგზავნიდა. სწორედ მანანას სალონში წაიკითხა ბარათაშვილმა თავისი თარგმანი ლეიზევიცის ტრაგედიისა „იულიუს ტარენტილი“.

ბარათაშვილი განსაკუთრებით მეგობრობდა სამ ქალბატონთან – მაიკო ორბელიანთან, ბაბალე საგინაშვილთან და მანანა ორბელიანთან; დაიარებოდა მათთან, ჰქონდა მიმოწერა; მაგრამ განსაკუთრებით ახლობელი, მისი სულიერი მეგობარი მაიკო ორბელიანი იყო, ქაიხოსრო ორბელიანის უმშვენიერესი ასული, რომელსაც მიხეილ ლერმონტოვმა თავისი ცნობილი ლექსი – „Спеша на север из далека“ – მიუძღვნა. შეუძლებელია ბარათაშვილის ბიოგრაფიაში დავინწყებულ იქნეს მაიკოს სახელი. სწორედ მას გადაუწერა ბარათაშვილმა თავისი ლექსების ერთ-ერთი კრებული და მთავარი წარწერით: **„დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემულად. ვიცი, რომ წარმკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმანვილობისათა და შემობრალეუბ შენსა ყარობსა ძმასა. თ-ი ნ. ბარათაშვილი“ (S- 2701).**

მაიკო და ნიკოლოზ ბარათაშვილი ახლო ნათესავები იყვნენ და ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ. ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე დარჩნენ უერთგულეს მეგობრებად და დაუფარავად ანდობდნენ ერთმანეთს თავიანთ ფიქრებს, გრძნობებსა თუ საიდუმლოებებს. ამ ორ ადამიანს ისიც აახლოებდა, რომ მათი ბედი საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. მაიკოს სიყრმიდანვე თავდავინწყებით უყვარდა ბარათაშვილის გიმნაზიის მეგობარი ლევან მელიქიშვილი. ისინი დანიშნულებიც იყვნენ, თუმცა ლევანი ცოლის შერთვას არ ჩქარობდა, ღარიბ თავადიშვილს კარიერის გაკეთება სურდა. მათ უგვირგვინოდ შეეძინათ ვაჟი. ჯვრისწერის მოლოდინით გატანჯული 24 წლის მაიკო ჭლექით დაავადდა. ლევან მელიქიშვილი კი ამ დროისათვის სამსახურში დანიშნულა, გამდიდრდა და მაიკოსაც ჯვრისწერა შესთავაზა. ამ ნანატრ შეთავაზებას მაიკომ უარით უპასუხა. ის 32 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბარათაშვილის წერილები მაიკო ორბელიანისადმი თვით მაიკოს მაღალ ინტელექტსა და სულიერ ღირსებებზე მიგვითითებს. ეს წერილები ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილია.

დიდი სიყვარული აკავშირებდა ბარათაშვილს თავის ქაბუკ მეგობრებთანაც, თუმცა მათ ნაკლებად უმხელდა სულიერ ტკივილებს. ესენი იყვნენ: ილია ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ყაფლან ორბელიანი, ალექსანდრე საგინაშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი და სხვები. დროსტარებასა და გართობასთან ერთად მათ აახლოებდათ საზოგადოებრივი და ლიტერატურული ინტერესები. ამ ადამიანებს გული შესტკიოდათ ბარათაშვილზე და უყვარდათ მისი პოეზია.

სიცოცხლის ბოლო წლები

ოთხი თვე – 1844 წლის ნოემბრის ბოლოდან 1845 წლის მარტის დასასრულამდე – ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოეთში, ნახჭევანის მაზრაში, გაატარა. ეს იყო სამშობლოდან პირველი მოშორება, გამოწვეული ოჯახის რჩენის მიზნით. ბარათაშვილი, ერთი შეხედვით მხიარული, ცოტა ცინიკურიც და დროსტარების მოყვარე, ოჯახისთვის განსაკუთრებით თავდადებულია; მთელი სერიოზულობით მუშაობს სახელმწიფო სამსახურში, თანახმაა თითქმის ყველაფერზე, რადგან სახლში უიმედობით ლოგინად ჩავარდნილი, დამბლადაცემული მამა ჰყავს, დარდით შეპყრობილი, არცთუ ისე მოხუცებული, სულ 50 წლის, და სილატაკეში მყოფი ოჯახის წევრები, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილნი. კანცელარისტად მუშაობა სულს უხუთავს ბარათაშვილს, ცოცხალი სამუშაო ურჩევნია, რადგან ბუნებით დაუდეგარია, მოუსვენარი. და, აი, ნახჭევანის მაზრის მმართველად ლევან მელიქიშვილი ინიშნება. გიმნაზიის მეგობართან ერთად სამსახური ბარათაშვილისთვის ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე გადამთიელ ჩინოვნიკებთან; თანაც პროვინციაში შრომა უფრო მეტად ფასობს და სამშობლოდან მოშორებით მყოფი ოჯახსაც მეტად დაეხმარება. ნაცნობ-მეგობრები შუამდგომლობენ ბარათაშვილს, რომ მაზრის მმართველის მოადგილე დაინიშნოს. ბარათაშვილი ნახჭევანში მიემგზავრება; მას ევალება მაზრის მმართველის მოადგილის თანამდებობის შესრულება, თუმცა ამ თანამდებობაზე ჯერ დამტკიცებული არ არის.

ნახჭევანი ახალი შეერთებული იყო რუსეთის იმპერიასთან, ამიტომ იქ ადმინისტრაციის შექმნისათვის მუშაობა დიდ ენერჯია-სა და ძალისხმევას მოითხოვდა. პოეტის მდგომარეობას ართუ-ლებდა სამშობლოდან, თბილისიდან, ნაცნობ-მეგობრებისაგან მო-შორება. „სამი თვეა აქა ვარ და ძალღად არავინ მახსენა“, – ახ-ლობლების უყურადღებობას განიცდის პოეტი და ჩივის მაიკო ორ-ბელიანთან, – „ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალი-ან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადო-ობას შევსძლვენ, სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა, თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა...“ (ბარათაშვილი 1968 : 193). ბარათაშვილს სერიოზული მიზნები აქვს, მუშაობა სწადია, მაგრამ მაინც ხინჯად აქვს გულში, – „რო-გორც ერთ ქალს უბრძანებია, ... აქ მოგვწყინდნენ და გავყარე-თო!“. ერთ ქალს ვინღა ჩივის, ის აკვირვებს, რომ მანანა ორბელი-ანი მოკითხვასაც არ უთვლის. მიზეზი ნათელია – „ახლა ჩვენ ვი-ღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში. – ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოღაში ოთხმოცის წლის კაცები არიან“ (ბარათაშვილი 1968 : 194). ცხადია, ბარათაშვილი ხუმრობს, თუმცა ხუმრობის მიღმა გული სწყდება, რომ თბილისის საზოგადოების ცენტრში აღარ ტრიალებს. თავის მეორე წერილში მაიკოსადმი პოეტი იწერება: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხ-რა, ტანჯვასა და უსიამოვნების მეტი არა არის რა. ლევანიც ავად გამიხნდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისა-გან. რასაც ეს ნეიდგარტს (იგულისხმება მთავარმართველი) სწყევლის, აქ გამოგზავნისათვის, ... არ ვიცი თუ რა მოუვიდეს“ (ბარათაშვილი 1968 : 195).

ნახჭევანი მდებარეობდა ირანის საზღვარზე, იყო ერთი მი-ვინყებული აზიური ქალაქი, სადაც რუსეთთან შეერთების შემ-დგომ ბინა დაიდეს რუსეთის ოფიცრებმა, მათ შორის – კავკა-სიელებმაც და პოლონელებმაც. ბარათაშვილს ახლო ურთიერ-ობა უნდა ჰქონოდა როგორც მათთან, ასევე ადგილობრივ განათ-ლებულ მოსახლეობასთან – კერძოდ, ხანის მემკვიდრეებთან. გარ-კვეული კუთხით, მისთვის საინტერესოც კი უნდა ყოფილიყო ეს აზიური, თბილისისაგან საგრძნობლად განსხვავებული ქალაქი თა-

ვისი ტრადიციებით. თბილისელი მეგობარი ქალებისათვის აქ არჩევდა ბარათაშვილი ირანელ ვაჭრებთან ორიგინალურ კრიალოსნებს. მაიკო ორბელიანთან მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ მას ტასო ორბელიანისთვის (მანანა ორბელიანის ქალიშვილისთვის) გაუზღავნია თავდაპირველად კრიალოსანი. ქართველი ქალებისათვის იმჟამად უჩვეულო და ნატიფ ნივთს მაიკო ორბელიანიც მოუხიბლავს და ამის შესახებ ტატოსთვის მიუწერია. ტატო მეგობარს პასუხობს: **„კრიალოსნები გეთხოვათ. მე დიდი ხანია თავრიზიდან ხუთი კრიალოსანი დავიბარე... მაგრამ ჯერ არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, იმიტომ, რომ მაგისთანა კრიალოსანი ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა“ (ბარათაშვილი 1968 : 193).**

მიუხედავად ნახჭევანში ბარათაშვილის გარკვეულ დონეზე ადაპტაციისა, მის ბიოგრაფიებში იქ ცხოვრება მაინც მძიმე ტვირთად წარმოჩნდება. ამის მიზეზი უნდა იყოს დაუფასებელი შრომა, დაუფასებელი იმ „ხელმწიფობისა და საზოგადოებისგან“, რომელთათვისაც თავის „შეძღვნა“ ჰქონდა პოეტს გადანყვებილი. ვფიქრობთ, საბოლოოდ ნახჭევანში ყოფნა ბარათაშვილისთვის გაუსაძლისი მაინც არ უნდა ყოფილიყო. ჩვენს აზრს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ მას არ სურდა ამ პროვინციიდან წამოსვლა და თბილისში დაბრუნება. ბარათაშვილმა შორეულ ნახჭევანშიც გამოიჩინა მისთვის ახლობელი არისტოკრატიული წრე და მისი ორგანული ნაწილი გახდა. ის აქტიურად დაიარებოდა ყოფილი ხანის სასახლეში გამართულ მეჯლისებზე (პოეზიის საღამოებზე), კითხულობდა თავის ლექსებს, უსმენდა სხვებს, აფასებდა მათ და აზერბაიჯანელი ქალის, ხანის ასულის, ერთი ლექსის ქართულად თარგმნაც კი გადაწყვიტა.

1845 წლის მარტის ბოლოს ბარათაშვილს აბრუნებენ თბილისში ძველ თანამედებობაზე, კანცელარისტად, რითაც პოეტი ძალზე გულგატეხილი და უკმაყოფილოა. 1845 წლის 10 მაისს ის წერს მოხსენებით ბარათს სამოქალაქო გუბერნატორის სახელზე, რომელშიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ. ის ფაქტიურად ოთხი თვის მანძილზე ასრულებდა ნახჭევანის მაზრის მმართველის მოადგილის მოვალეობას, რომელზედაც აღარ

დაამტკიცეს და დააბრუნეს თბილისში მისი სურვილის წინააღმდეგ (შ. ჩხეტიია 1945 : 324).

თბილისში დაბრუნების შემდეგ ბარათაშვილი კვლავ შეუდგა სამსახურის ძებნას. პროვინციაში სურდა მონყობა მაღალი ანაზღაურების გამო. მისი ოჯახის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებული იყო. მელიტონს ხელმეორედ დაეცა დამბლა და ლოგინად ჩავარდა. ნათესავ-მეგობრების ჩარევით, 1845 წლის 24 მაისს პოეტი თელავის მაზრის მმართველის მოადგილის „მოვალეობის აღმასრულებლად“ ინიშნება. ის ემზადება კიდევ კახეთში წასასვლელად, დანერილია ბრძანებაც, ცხენებიც გამოყოფილია სამგზავროდ, მაგრამ, მოულოდნელად, თითქოს ბედის ჩარევით, ბარათაშვილი თელავის მაგივრად მიდის განჯაში. შ. ჩხეტიას მიერ შეკრებილ დოკუმენტებში ინახება ორი საბუთი პოეტის განჯაში დანიშვნასთან დაკავშირებით. ერთია სამოქალაქო გუბერნატორის მოხსენება კავკასიის მეფისნაცვლისადმი, რომელშიაც დასაბუთებულია, თუ რატომ უნდა გაემგზავროს ბარათაშვილი განჯაში – განჯის მაზრის უფროსის თანაშემწემ, იესე ანდრონიკაშვილმა, ვერ გაუძლო იქაურ ჰაევას, დაავადდა ციებით; ამიტომ ის გადმოჰყავთ თელავში, ხოლო ბარათაშვილს აგზავნიან განჯაში. მეორე საბუთი კი პოეტის პატაკია, რომელშიც ის მოითხოვს განჯაში წასვლას. პავლე ინგოროყვა ბარათაშვილის ამ მონდომებას ორი გარემოებით ხსნის: „...თელავის მაზრის მმართველად იყო არაქართველი და ნ. ბარათაშვილს, ჩანს, არაფრად ესია მოვნებოდა სამსახური უცხოელის ხელქვეითად. რაც შეეხება მამუკა ორბელიანს, მასთან ნ. ბარათაშვილს ხანგრძლივი ნაცნობობა და მეგობრობა აკავშირებდა. აქ საჭიროა მოვიხსენოთ, რომ მამუკა ორბელიანი არ არის შემთხვევითი პიროვნება იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. მამუკა ორბელიანი იყო დიდი ქართველი პატრიოტი, მონაწილე 1832 წლის შეთქმულობისა, ამასთან, განათლებული ადამიანი, მცოდნე და მოყვარული პოეზიისა. მამუკა ორბელიანი დიდი გატაცების კაცი ყოფილა. გადმოგვცემენ, რომ, როდესაც მამუკამ გაიგო პუშკინის სიკვდილი დანტესის ხელით, მას განზრახული ჰქონდა დანტესის ხმალში განწვევა“ (ინგოროყვა

1968 : 76). რასაკვირველია, ბარათაშვილი, ქართველი და თანაც პოეტი, მალარიით განთქმულ განჯაში მამუკა ორბელიანთან ერთად სამსახურს ამჯობინებდა, თბილისთან ახლოს, თელავში, უცხოელი ჩინოვნიკის ქვეშევრდომობას.

1845 წლის 19 ივნისს დაინერა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანება ბარათაშვილის განჯაში დაუყოვნებლივ გამგზავრების შესახებ. ივნისის ბოლო რიცხვებში პოეტი უკვე განჯაშია. მოუცლელია, რადგან მამუკას ხშირად უწევს თბილისში ყოფნა და ბარათაშვილს მარტო უხდება მხარის საქმეთა ხელმძღვანელობა, მიმოსვლა ყოფილი სახანოს სხვადასხვა კუთხეში, მომთაბარე მოსახლეობისათვის თვალყურის დევნება და ყაჩაღთა ბრბოების დევნა.

მიუხედავად პოეტისათვის ჩვეული იუმორისა, განჯიდან მონერილი მისი წერილები აღსავსეა შეფარული დარდით, რომელსაც სამშობლოსგან მოშორება, უცხო, მიყრუებულ მხარეში გადახვეწა იწვევს; ბარათაშვილს ენატრება თბილისი; ითხოვს თბილისის ჭორების მოწერას. ვისაც ჭორი არ უყვარს, მაგალითად, პოეტის ნათესავ ბაბაღე საგინაშვილს, ბარათაშვილი ეხვეწება, მისი გულისთვის მაინც დაუგდოს ყური ჭორებს, მისწეროს და ასიამოვნოს „ამ უდაბურს ადგილს“ („ბაბაღე საგინაშვილისადმი“, ბარათაშვილი 1968 : 197). პოეტი განიცდის, რომ მისი ახლობლები დანინაურდნენ, ჯვრებით დაიმშვენეს მკერდი, მას კი არავინა ჰყავს, რომ თუნდაც გამოესარჩლოს. ეს დარდი შეფარვით იკითხება მაიკო ორბელიანისადმი მურუტიდან (განჯის რაიონის სოფელი) გაგზავნილ წერილში. ალექსანდრე საგინაშვილთან მიწერილი ბარათი კი ლერმონტოვის სიტყვებით სრულდება: «Скучно, грустно». ვფიქრობთ, ნახტევანთან შედარებით ბარათაშვილის მდგომარეობა განჯაში უფრო მეტად დამძიმებულია. აქ მისი ნაცნობთა წრეც ძალიან შემცირებულია. პოეტი ნახევრად ხუმრობით წერს ბაბაღე საგინაშვილს: „**თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენ თარაქამებში**“ (ამ სიტყვებით მოიხსენიებს არაქრისტიანებს).

ბარათაშვილი განჯაში, სავარაუდოდ, მალარიით დაავადდა. მამუკა ორბელიანი ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა და მას

მარტო უხდებოდა განჯის სხვადასხვა სოფელში საქმეების მონესრიგება. ორი კვირა ჰქონია ხურვება; 9 ოქტომბერს კი პოეტი გარდაიცვალა; მარტომყოფი შეხვდა სიკვდილს, ახლობლებისგან, ნათესავებისგან, მეგობრებისგან, სატრფოსგან მოშორებული, უცხო მინაზე, როგორც მიუსაფარი მწერი. ბარათაშვილმა თავისი შემოქმედებით თითქოს იწინასწარმეტყველა საკუთარი სიკვდილი. ის დაასაფლავეს განჯაშივე, ქალაქის ციხესთან აგებული მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში, მშობლებისგან დაუტირავი. დასაფლავებას საქართველოდან არავინ დასწრებია. ავადმყოფი დედა და ბიძა მხოლოდ მეორე ნელს ჩავიდნენ მის საფლავზე. ილია ორბელიანმა, სიყრმის მეგობარმა და უახლოესმა ნათესავმა, „მერანის“ ადრესატმა, სამარეს საფლავის ქვა დაადო, რომელიც დროთა განმავლობაში დაიკარგა. დაკრძალვის ადგილს ცნობდნენ სასაფლაოზე ამოსული დიდი კვიპაროსის ხით.

პოლიტიკური ბიოგრაფია

1832 წლის შეთქმულება

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ბიოგრაფია 15 წლის ასაკიდან იწყება. ნიკოლოზი ჯერ კიდევ გიმნაზიის მონაწილე გახლდათ, როცა 1832 შეთქმულება ჩაიშალა, ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ მან შეთქმულების შესახებ რაიმე იცოდა; თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ სოლომონ დოდაშვილს ის მიღებული ჰყავდა „ფარულ საზოგადოებაში“; რომ ბარათაშვილიც გაჩხრიკეს დოდაშვილის საქმესთან დაკავშირებით და ორი კვირით კიდევ დააპატიმრეს (ლეონიძე 1945 : 12).

პავლე ინგოროყვას აზრით, რომელსაც ჩვენ თავიდან ბოლომდე ვეთანხმებით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა პოეტი შეთქმულების უშუალო მონაწილე, მთავარია, რა გავლენა იქონია ამ მოვლენამ მის ინტელექტუალურ და ზნეობრივ განვითარებაზე. პავლე ინგოროყვა ამ სტრატეგიული გავლენის შედეგს ასე აყალიბებს:

„მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავტორი „ბედი ქართლისა“, არის მემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახულება პოვა 1832 წლის შეთქმულებაში, „მამულის გამოსხნის შეთქმა“-ში... ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ის რჩეული, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა 1832 წლის თაობისა, აზიდა ის ტვირთი, რომელიც 1832 წლის თაობამ დატოვა“ (ინგოროყვა 1968 : 33).

1832 წელს ბარათაშვილი გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლე იყო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტუალურად ის შეთქმულთა წრეში ყალიბდებოდა. შეთქმულების მონაწილე იყო პოეტის ბიძა – გრიგოლ ორბელიანი, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა პოეტი, მის პოეზიაზე იზრდებოდა, ბაძავდა მას და სულის მესაიდუმლედ მიაჩნდა; შეთქმულებაში მონაწილეობდა მეორე ცნობილი პოეტი – ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის ოჯახთან,

განსაკუთრებით კი, ქალიშვილებთან, მეგობრობდა პოეტი და ხშირად დაიარებოდა მათთან; შეთქმულების მონაწილენი იყვნენ ბარათაშვილის ნათესავები – ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, რომლებიც ახლობლობდნენ და მეზობლობდნენ ბარათაშვილის ოჯახთან, ერთ უბანში, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ; შეთქმულებაში ჩაბმული იყო ახალგაზრდა გიორგი ერისთავი, ამ დროს 17 წლისა, თითქმის ბარათაშვილის ტოლი, რომელიც იმ ლიტერატურული წრის აქტიური წევრი იყო, რომელშიც ბარათაშვილიც შედიოდა. შეთქმულების წევრები იყვნენ გიმნაზიის მასწავლებლები: ცნობილი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი და ახალგაზრდა პედაგოგები, ამავე გიმნაზიის ნამონაწარები – დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი.

სოლომონ დოდაშვილი, შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ლიდერი, ბუნებრივია, იდეურ გავლენას ახდენდა თავის მოწაფეებზე და განსაკუთრებით მის ირგვლივ შემოკრებილ ლიტერატურულ წრეზე, რომელშიაც გაერთიანებულნი იყვნენ დამწყები ლიტერატორები: დავით მაჩაბელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, რაც აისახა კიდევაც მათ მიერ შეთქმულების შემდგომ დაწყებულ ლიტერატურულ საქმიანობაზე – აღმანახისა და ხელნაწერი ჟურნალის გამოცემაში. სოლომონ დოდაშვილი დაკითხვის ოქმებში საუბრობს იმ კრებებსა და თათბირებზე, რომლებშიც იღებდა მონაწილეობას, აგრეთვე მის სახლში გამართულ სადილზე, სადაც მოწაფეებიც ყოფილან (ახსენებს დავით მაჩაბელს), მაგრამ, მისი თქმით, აქ საუბარი იყო მათ მხატვრულ შემოქმედებაზე, ბიბლიოთეკის შექმნაზე, ტიპოგრაფიის შექმნასა და ნიჭიერი ახალგაზრდების უნივერსიტეტში გაგზავნაზე.

ბარათაშვილის თვალწინ მოხდა შეთქმულთა დაპატიმრება, მათი გადაყვანა ავლაბრის ყაზარმებში, განაჩენის გამოტანა და შემდეგ გადასახლება. ეს საზოგადოებრივი მღელვარება, შიში, ფორიაქი აისახა თბილისის არისტოკრატიის ყველა ოჯახზე და ბარათაშვილი ამ ყოველივეს მიღმა ვერ დარჩებოდა. მისი ოჯახი განსაკუთრებით ნერვიულობდა გრიგოლზე, ამას დაერთო ბების – ხორეშანის – გარდაცვალება, რომელიც დაპატიმრებულმა გრიგოლ ორბელიანმა ავლაბრის ყაზარმიდან დაიტირა. სიკვდილი მი-

უსაჯეს სოლომონ დოდაშვილს, რომელსაც შეუძლებელია არ მოჰყოლოდა მისი მოწაფეების განცდა, აღშფოთება და თანაგრძნობა. ამ თანაგრძნობის გამოხატულება უნდა იყოს სწორედ ამ დროს, შეთქმულთა ავლაბრის ყაზარმებში ყოფნისას, გამოშვებული ლიტერატურული აღმანახი, ლექსთა კრებული. აქ მოთავსებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის (5 ლექსი), მიხეილ თუმანიშვილისა და დავით მაჩაბლის პოეტური ნაწარმოებები; ასევე დაპატიმრებულთა, რომელთა სახელის ხსენებასაც ვერ ბედავდნენ საზოგადოებაში, ნაწერები და, რაც მთავარია, არა პოლიტიკურად ნეიტრალური თხზულებანი, არამედ, პირიქით, სამშობლოს გამოსხნის მოწოდების შემცველი. ეს თხზულებანია: გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“, რომელიც თავის დროზე სოლომონ დოდაშვილმა დაბეჭდა „სალიტერატურონი ნაწილი“ და გრ. ორბელიანის „იარალის“, რომელიც ლამის პოეტის დაპატიმრების საბაზად იქცა.

პავლე ინგოროყვას ბარათაშვილის შეთქმულებასთან თანაგრძნობის წარმოსაჩენად მოჰყავს კიდევ ერთი ამბავი იონა მეუნარგიასა და ს. აბაშიძის ჩანაწერებიდან, რომლის თარიღაც, ზეპირი ცნობების მიხედვით, სწორედ 1833 წელი მიაჩნიათ. გიმნაზიის მოსწავლეებს გაუმართავთ კონცერტი (არაა ცნობილი რა ხასიათის), რომელშიც მონაწილეობას ბარათაშვილიც იღებდა. ამ კონცერტს თანამდებობის პირები დაცინვით შეხვედრიან. ბარათაშვილსა და მის ამხანაგებს – ლევან მელიქიშვილსა და პეტრე ბაგრატიონს – ფოსტით გაუგზავნიან თბილისის გუბერნატორ ნიკო ფალავანდიშვილისთვის ბარათაშვილის სატირული ლექსი. ამ ფაქტის გამო თბილისში გამოძიება დაწყებულა. წერილის ბეჭდის საშუალებით მიუგნიათ დამნაშავეებისთვის. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ლექსის ავტორი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფურცელზე გადამწერი – ლევან მელიქიშვილი, ხოლო კონვერტზე მისამართის დამწერი – პეტრე ბაგრატიონი (ფუნქციების ამგვარი გადანაწილება, ჩანს, შესანიშნავად იყო მოფიქრებული). ხელისუფლებამ დამნაშავეები დასაჯა. იონა მეუნარგია ასე აღწერს ამ პროცესს:

„მთავარმართებლის ბრძანებით დამნაშავენი ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო (ნ. ბარა-

თაშვილი) წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამრიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტი-ხუთმეტი წლის ვოლტერს თავისი სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინალამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემაო“ (მეუნარგია 1954 :197).

აღსანიშნავია, რომ მეუნარგია არაფერს მოგვითხრობს ლევან მელიქიშვილის მონაწილეობის შესახებ, რაც გვხვდება ს. აბაშიძის ნაწერებში – „საუბარი პეტრე ბაგრატიონთან“. ადვილი შესამჩნევია, რომ ბარათაშვილის დასჯის ეს ეპიზოდი ფალავანდიშვილზე დაწერილი სატირის გამო (რომელიც მეუნარგიას მოჰყავს) ძალიან ჰგავს მისი დასჯის კიდევ ერთ ეპიზოდს მთავარმართებელ როზენზე დაწერილი სატირისათვის (რომელსაც იხსენებს გიორგი ანდრონიკაშვილი ცხვილოელთან მონათხრობში). მიუხედავად მსგავსებისა, შესაძლებელია ისინი სხვადასხვა შემთხვევად ჩაითვალოს, რადგან პეტრე ბაგრატიონის მონათხრობში (აკ. ნერეთელთან) აღნიშნულია, რომ ბარათაშვილის გამიზნულ „ხუმრობებს“ მრავალჯერადი ხასიათი ჰქონია – „ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით“. აკაკისთან საუბარში პეტრე ბაგრატიონი არ აკონკრეტებს, ვის მიმართ იყო დაწერილი ბარათაშვილის სატირები, მხოლოდ „დიდი კაცების ლანძღვაზე“ მიუთითებს, მაგრამ მისი უცაბედი გადასვლა რუსეთში გიმნაზიის დაუმთავრებლად შესაძლებელია მშობლების მხრიდან იყო შვილის ერთგვარი თავდაცვა, გამოწვეული 1832 წლის შეთქმულების გამო საზოგადოებაში დამკვიდრებული შიშით.

ფალავანდიშვილის (შეთქმულების გამცემისა და თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ძმის) საქციელით გამოწვეულ პროტესტს კრიტიკოსები ხედავენ ბარათაშვილის ლექსში „ძია გ...სთან“, რომელიც დისშვილმა გადასახლებაში მყოფ ბიძას მიუძღვნა და წერილთან ერთად გაუგზავნა 1837 წლის თებერვალს:

**„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
ნაგართო ავის ენისა გესლმან;**

**სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვენილსა დაგისშო ეტლმან!
(ბარათაშვილი 1968 : 92).**

სიტყვები ხაზგასმულია დედნის მიხედვით. საინტერესოა წერილის დასასრულიც:

„ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დანერვილი მქონდა. მაგრამ ფორტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარგულიყო, და მერმე:

**„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“
(ბარათაშვილი 1968 : 170).**

ბოლო სიტყვები პოეტს მოყვანილი აქვს საიათნოვას ლექსიდან – „შე სანყალო ჩემო თავო, რა იქენ“. ცხადია, რომ ბარათაშვილი უფროთხის ცენზურულ რეჟიმს, რომელიც, ბუნებრივია, 1832 წლის შეთქმულების ჩაშლის შემდგომ იქნებოდა საქართველოში და რომლის წყალობით წერილი შესაძლებელია არ მისულიყო ადრესატამდე, ან კიდევ რაიმე სხვა სასჯელი მოჰყოლოდა მის დამწერს. ამგვარი გამოცდილება უკვე მიღებული ჰქონდა ჯერ კიდეც ყმანვილ ბარათაშვილს. ჩანს ისიც, რომ მან წერილი კერძო პირს გაატანა, რადგან ფოსტას არ ენდო.

გიორგი ლეონიძე 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით გამონვეულ განწყობას ხედავს ბარათაშვილის კიდევ ორ ლექსში – „ბულბული ვარდზედ“ და „შემოლამება მთანმინდაზედ“. მას მოჰყავს ლექსის – „ბულბული ვარდზედ“ – პირველი ვარიანტის ბოლო ორი სტრიქონი:

**„მაქვნდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას,
ესთ განზილდეს, ვინც იწყებს თვისგან შეუძლებლობას“**

და ურთავს კომენტარს: „ამ ლექსში, რომელიც დანერვილია 1833 წელს, ეჭვი არაა, ლაპარაკი უნდა იყოს იმათ „განზილებაზე“, ვინც თავისთვის „შეუძლებელ“ საქმეს მოჰკიდებს ხელს. შეთქმულების იდეით გატაცებული პოეტი გულმტკივნეულად გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ახალგაზრდა შეთქმულებმა ხელი მოსჭიდეს მათთვის მძიმე, შეუძლებელ საქმეს

და ბოლომდის ვერ მიიყვანეს“ (ლეონიძე 1945 : 14), ხოლო ლექსის – „შემოღამება მთანმინდაზედ“ – პირველ ვარიანტიშიც „გულდახურულთა“ განწყობაში სავარაუდოდ კრიტიკოსს შეთქმულთა უნუგემო მდგომარეობა ესახება.

აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ლექსი პირველი რედაქციებით ჩართულია ხელნაწერ აღმანახში. ეს ფაქტი კიდევ უფრო განამტკიცებს ლეონიძის ვარაუდს, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ჟურნალი გაბედული მცდელობაა იმ ვაკუუმის ამოვსებისა, რომელიც გამოიწვია ლიტერატურული ხასიათის პრესის უქონლობამ შეთქმულების ჩაშლის შემდგომ პერიოდში. მ. გოცაძე „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში“ მიუთითებს იმ დიდ გავლენაზე, რომელიც პირველმა ქართულმა ჟურნალმა – „სალიტერატურონი ნაწილნი“ – მოახდინა აღმანახის შემდგენლებზე და აღნიშნავს: „სალიტერატურონი ნაწილნი“ ხელმოუწერელი, თუ ინიციალებით მოთავსებული მასალა, გიმნაზიის მოწაფეთა ჟურნალში, გახსნილად იყო წარმოდგენილი. ლექსს „მთოვარეს“, რომელიც პირველად, როგორც ვიცით, სოლ. დოდაშვილმა 1832 წელს დაბეჭდა, ხელს აწერდა „ა“, აქ კი, ხელნაწერ ჟურნალში, ეს ლექსი მთლიანად იყო გადმოღებული და ხელს აწერდა ალ. ორბელიანი. მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალში მოთავსებული იყო გ. დ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“, რომელიც თავის დროზე ისევ „სალიტერატურონი ნაწილნი“ იყო ხელმოუწერელად გამოქვეყნებული, ხოლო აქ, ხელნაწერ ჟურნალში, მას ხელს გ. დ. ერისთავი აწერდა...“ (გოცაძე 1954 : 250). მოწაფეთა ასეთი პირდაპირობა პროტესტის მანიშნებელია. ისინი არ ერიდებიან მთავრობის მიერ ჟურნალის საეჭვოდ აღიარებას, თუმცა პროტესტიც ზომიერია, გარკვეულ ფარგლებში მოქცეული და საკუთრივ შემდგენლების მხატვრულ შემოქმედებაში ის ალეგორიის ფორმით იფარება.

ალეგორიულია აღმანახში შესული ბარათაშვილის ლექსი – „ყაყაჩო და ნარგიზი“, რომელიც ნაკლებ იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას, რადგან არ დგას ბარათაშვილის შედევრთა რიგში. ლექსი ნაკლებია, ანუ გადამწერს შეცდომით გამორჩენია ერთი სტრიქონი. მისი შინაარსიდან გამომდინარე, ის უნდა იყოს პირველი ვარიანტი ბარათაშვილის გენიალური ლექსისა – „რად ჰყვედ-

რი კაცსა“, რომელიც მოგვიანებით, 1842 წელსაა დაწერილი. ნარგიზი წუნობს ყაყაჩოს შემდეგი მიზეზის გამო: „**ხარ ქრელი, მითაც არ მშვენი, ხარ მოხრილი ავადა**“ (ბარათაშვილი 1968 : 162). ხაზგასმული სიტყვები ხელნაწერშიც გამოყოფილია. ყაყაჩო გაიფურჩქნა, თავისი სურნელი გადმოაფრქვია და მოკამათე ნარგის მიმართა:

**„შვენიერება გარეგანი არს მართლად
უშინაგანოდ ფუჭი ყოვლგან მარადა“
(ბარათაშვილი 1968 : 162).**

ყაყაჩოს მოხრილობაში შესაძლოა ის ჩაგვრა ვიგულისხმოთ, რომელსაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ განიცდის, მაგრამ მისი შინაგანი მშვენიერება იძლევა გასწორების და გაფურჩქვნის იმედს.

ბარათაშვილის მღელვარებაზე შეთქმულებით გამოწვეული მოვლენების გამო და მის აქტიურობაზე, რასაც ერთგვარი პროტესტის ფორმა აქვს, მიგვითითებს აღმანახის სხვადასხვა განყოფილებაში მოთავსებული პოეტის ხუთი ლექსი: „ვარი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „ვარდი და ბულბული“, „კავკასიური მოთხრობა“, „შემოღამება მთანმინდაზედ“. თავისთავად ის ფაქტი, რომ გიმნაზიის მოწაფეებმა გააგრძელეს თავიანთი მასწავლებლის, შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ მიჩნეული და სიკვდილმისჯილი სოლომონ დოდაშვილის საქმიანობა, ლიტერატურული ჟურნალის, თუნდაც ხელნაწერის, გამოცემა, მასში შეთქმულთა ნაწარმოებების შეტანა, უკვე მიგვანიშნებს მათ მიერ ეროვნული მემკვიდრეობის ღირსეულ მიღებაზე და „მამულის გამოხსნის“ მომავალი გზების ძიებაზე.

ამ გზის შემდგომი ნაბიჯი „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ იყო. იგი დგებოდა რუსულ ენაზე. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი, აქედან 1-ლი და მე-4 ნომერი დაზიანებულია და ფურცლებნაკლული. ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ლიტერატურული ჟურნალი, უნდა მოეცვა ლიტერატურისა და მეცნიერების თითქმის ყველა

დარგი, ჰქონოდა თავისი პროგრამა, შინაარსი და მიმართულება.¹ „ყვავილის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1835 წლის მაისში, ბოლო – 1836 წლის თებერვალში. ჟურნალის რედაქტორ-შემდგენელი იყო მიხეილ თუმანიშვილი. ბარათაშვილის სტატიები, რომლებზედაც ზემოთ გვეყონდა საუბარი, მოთავსებული იყო მე-4 დაზიანებულ ნომერში და აღარცერთი შემორჩენილი არ არის. მათ შესახებ ვიგებთ მე-5 ნომრის საერთო სარჩევიდან.

ორივე ჟურნალი, გარდა იმისა, რომ აგრძელებს ეროვნულ – „მამულის გამოხსნის“ – საქმეს, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გამოდის მაშინ, როცა არცერთი პერიოდული ორგანო არ არსებობს შეთქმულების გამო დასჯილ და რეპრესირებულ საქართველოში. ორივე ჟურნალში ბარათაშვილი აქტიურად მონაწილეობს.

1841 წლის გურიის აჯანყება

ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, 1841 წელს, მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო გურიის აჯანყება. აჯანყებამ იფეთქა ორჯერ: 1841 წლის მაის-ივნისში და აგვისტო-სექტემბერში. ცნობილია, რომ გურულების მეორე გამოსვლის ჩახშობა მოხდა როგორც მთავრობის, ასევე, განსაკუთრებით, ქართველი თავადაზნაურობის მეშვეობით. აჯანყების უმთავრესი მიზეზი მებატონეთა განსაკუთრებული სისასტიკე იყო, რაც ტყვეებით ვაჭრობაშიც გამოიხატებოდა, მაგრამ ამას თან ერთვოდა უკმაყოფილება მთავრობისადმი, რომელიც ხელს უწყობდა მათ, ახალ-ახალი გადასახადებით აკაბალებდა გლეხებს და სამღვდელოებაც დაუკმაყოფილებელი გაუმძღრობით ჩართული იყო მათ აკლება-ანოკებაში. აჯანყებულებმა ოზურგეთს ალყა შემოარტყეს.

აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდნენ და, უფრო მეტიც, სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ ბარათაშვილის უახლოესი ადამიანი – გრიგოლ ორბელიანი და აგრეთვე მისთვის კარგად ცნობილი სამხედრო პირები – მოსე არლუთინსკი, გიორგი სა-

¹ იხ. მ. გოცაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. I, გვ. 253-262.

გინაშვილი (პოეტის მამიდაშვილი), დიმიტრი ჯორჯაძე (ბარათაშვილის მეგობარი).

საინტერესოა ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი და მისი ერთგვარი შეფასებაც. ამის საშუალებას გვაძლევს ბარათაშვილის 1841 წლის 18 ოქტომბერს მიწერილი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელშიაც სწორედ აჯანყების ჩახშობაზეა საუბარი. ბარათაშვილის წერილიდან ჩანს, რომ აჯანყების ჩასაქრობად წასულ ბიძას დისშვილისთვის მიუწერია ოპერაციაში მონაწილე ქართველების (იგულისხმება ქართელებსა და კახელების) ქებისა და მათი ზღაპრული გამირობის შესახებ. ბარათაშვილი მას საპასუხო ბარათს უგზავნის:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. – მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გამირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში; თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვრილებით. – მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩი მიქუნნი!“

მჯერა სარდლობა არლუთინისკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგან შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდით: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბამ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!“ (ბარათაშვილი 1968 : 175).

ბარათაშვილის ამ წერილზე პირველად გიორგი ლეონიძე ამახვილებს ყურადღებას სტატიაში „ორი შენიშვნა ბარათაშვილზე“ და აღნიშნავს: „ბარათაშვილის ეს წერილი ეკუთვნის იმ დროს, როცა მისი ბიძა-პოეტი ბოლოს უღებდა ამბოხებას გურიაში „მკლავითა და განკარგულებით“ (ლეონიძე, ლიტ.მემკვიდრეობა 1940 : 626).

ცხადია, რომ ბარათაშვილიც აღტაცებულია მილიციის გამარჯვებით როგორც გურიაში, ასევე ოსეთსა და დაღესტანში (სადაც იბრძოდა წერილში ნახსენები ივანე ანდრონიკაშვილი). წერილში ჩანს მიზეზიც, რატომაც ემხრობა ბარათაშვილი აჯანყების ჩაქ-

რობას; ქართველებს დიდი გამოცდილება აქვთ 1832 წლის შეთქმულების რეპრესიებისა. სწორედ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს – **„უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას“**; უბედურება ის შედეგია, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ გამოსვლას მოჰყვება. ბარათაშვილის წერილში იგივე განწყობა იკვეთება, რაც ჰქონდათ გადასახლებიდან დაბრუნებულ პატრიოტებს; ისინი შეეგუვნენ რუსეთის ხელისუფლებას და ქვეყნის წინსვლას რუსეთის ფარგლებში საქართველოს სიმშვიდესა და განათლების აღორძინებაში ხედავდნენ. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეებისათვის, დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისაღები აღმოჩნდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია – ასეთი იყო ქართველი თავადაზნაურობის საერთო განწყობა და იგივე განწყობა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც – **„ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა“ (ბარათაშვილი 1968 : 178)**, – წერს ის ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანს. მისი აღფრთოვანება კი გამოწვეულია ქართველ თავადაზნაურთა წარმატებებით და სიმამაცით, მნიშვნელობა არა აქვს სამხედრო ოპერაციის მიზნებს; პოეტის იდეალი სამხედრო სამსახურია. როგორც გიორგი ნატროშვილი წერს, **„მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიც, ვინ მოსთვლის, რამდენ მწერალს ეცვა სამხედრო მუნდირი; იქნებ იმიტომ, რომ მაშინ ქვეყანა აფორიაქებული იყო და ხალხთა ბედი ბრძოლის ველებზე წყდებოდა“ (ნატროშვილი 1968 : 27)**. ბარათაშვილის განუხორციელებელი ოცნება, ერთი მხრივ, აისახება იმაში, რომ პოეტი შენატრის თავის ახლობლებს, ბიძებსა თუ კლასის მეგობრებს, რომელთაც სამხედრო სამსახურში მაღალ კარიერას მიაღწიეს და „თავბრუდამხვევი“ გამარჯვებებით გააოცეს იმპერიის პირველი პირები; მეორე მხრივ კი, სწორედ ეს აუხდენელი ნატვრა იწვევს იმ სულიერ სიღრმეს, რომელიც არ გვხვდება მისი დროის არცერთი „მაღალჩინოსანის“, თუნდაც, „პოეზიის მეუფედ“ აღიარებული და სახელგანთქმული, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში.

პოლიტიკური ცნობიერება მწერლის კიდევ ერთ ბიოგრაფიას ქმნის, ბიოგრაფიას, რომელშიაც იკვეთება როგორც ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი ადამიანის, ასევე რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დამცველის სახე თავისივე ქვეყნის საკეთილდღეოდ; სულიერების არნახულ ლაბირინთებში მოხეტიალე კაცი-სა და, ამავე დროს, თავისი ეპოქის შვილის, სამხედრო კარიერაზე მეოცნებე ახალგაზრდის ცხოვრება.

**„ომი საქართველოს
თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ
დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს“**

„ეს ისეთი დრო იყო, რომ მთელი კავკასია და რუსეთი ლეკებთან ბრძოლას ეძებდა და შამილის დაჭერას ფიქრობდა სიზმარში თუ ცხადად. ამასთან, სამხედრო ასპარეზი, რომელშიაც იღვწოდა პოეტის სასიქადულო ბიძა გრიგოლ ორბელიანი, ადრიდგანვე შეადგენდა მისი სურვილის საგანს“ (მეუნარგია ი. 1968 : 17).

ბარათაშვილმა ლექსი უძღვნა კავკასიის ომს. მის ნაწარმოებში ძალიან კარგად ჩანს პოეტის პოზიცია. ის ამ ომში დაღესტნელებისა და ჩეჩნების მოწინააღმდეგეა ისევე, როგორც ქართველთა უმრავლესობა, და ვერ აღიქვამს, რომ ეს რუსეთის იმპერიის ბრძოლაა კავკასიის დასაპყრობად; რუსეთი ქართველებსა და მათ გამოცდილებას იყენებს თავისი ინტერესებისათვის; თუმცა ქართველებს მიაჩნიათ, რომ ისინი სამაგიეროს უხდიან ისტორიულ მტერს, სისხლს იღებენ არც ისე შორეულ წარსულში მოყენებული ზარალისათვის:

**„ძრწოდე, კავკასო, ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!“**
(ნ. ბარათაშვილი 1968 : 131).

აღსანიშნავია, რომ ქართველთა ჯარი ფიცს დებს არა იმპერატორის ან რუსული სარდლობის წინაშე, რომლის ქვეშევრდომობაშიც იბრძვის, არამედ – ქართლოსის საფლავზე. ჯარს წინ ერისთავი მიუძღვის და არა რუსეთის არმიის სარდალი. პოეტი იმდენადაა გამწარებელი საკუთარ მეზობლებზე, რომ მზადაა სისასტიკის გამოსაჩენად – დალესტნელების მიერ დანგრეული სომხითის კედლების აშენება მათ ძეთა თავებით სურს. თვალშისაცემია, რომ ბრძოლაში აჩრდილებიც მონაწილეობენ – დავით სარდლისა და თვით მეფე ერეკლეს სულელები:

**„მის შორის ბრუნავს ცხოველად
დავით სარდლისა კვლავ სული“;**
**„ჰე, ძმანო, ნუთუ არ გესმით
მეფის ირაკლის ხმა მაღლით?“**

ამ ადამიანთა გახსენებით ბარათაშვილი ქართველთა ომს გვიხატავს და ნიღბავს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ რუსეთი იბრძვის ჩეჩნებისა და დალესტნელების წინააღმდეგ; რუსეთის ჯარში კი ქართველები შედიან, როგორც რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის წარმომადგენლები. ზუსტად ამგვარად ნიღბავს გრიგოლ ორბელიანი პოემა „სადღეგრძელოში“ ქართველთა ბრძოლას რუსეთის არმიაში.

ლექსის ისტორია მოგვითხრობს, რომ ერთ-ერთი ბოლო სტროფი – „მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა“ – ასე გადაკეთებულა ცენზურის თვალის ასახვევად – „იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ მიგვაჩნია ლექსი ცარიზმის წინააღმდეგ შექმნილ ნაწარმოებად. პოეტი მოხიბლულია ცარისტული რუსეთის გამარჯვებით კავკასიაზე და ამ ყოველივეს სამშობლოსათვის ქართველთა თავდადებად აღიქვამს.

გარკვეული დრო იყო საჭირო, რომ ქართულ სააზროვნო სივრცეში გაჩენილიყო სხვაგვარი აზრი; რომ იმპერიისათვის ბრძოლა ჩინ-მედლებისა და კარიერისთვის ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე მამულის დაცვა და მისთვის თავგანწირვა. ამგვარი აზროვნება მე-19 საუკუნის 60-იანმა წლებმა მოიტანა და შეცდომა იქნება, თუ ვიტყვი, რომ ბარათაშვილი ირონიით უყურებდა თავისი ბიძის –

გრიგოლ ორბელიანისა – და ახლო ნათესავების ბრწყინვალე გამარჯვებებს „ოსმალ-სპარსეთში“, კავკასიურ ომში თუ პირადად საქართველოში ქართველების წინააღმდეგ, კერძოდ, გურიაში. ბარათაშვილს გულს უკლავდა, რომ თვითონაც არ მონაწილეობდა ამ ბრძოლებში, განზე იდგა, როგორც კოჭლი და ჯარისკაცობისათვის გამოუსადეგარი. ასეთი იყო ეპოქის სულისკვეთება, „მამათა“ აზროვნება და ვერც გენიოსის გონება გაექცა ამ სააზროვნო ჩარჩოებს.

საქართველოს ბედი – პოეტის ფიქრის გზაჯვარედინი

ჩვენ ვისაუბრეთ ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ; ვნახეთ, რომ გიმნაზიელ პოეტს პროტესტული დამოკიდებულება აქვს 1832 წლის შეთქმულების ჩამხშობთა მიმართ; თუმცა, მოგვიანებით, სახელმწიფო სამსახურში მდგომი, ქართული პოლიციის მხარესაა და ხიბლავს მისი მხედრული წარმატებები, ასევე ამაყობს ქართველთა წარმატებებით შამილის წინააღმდეგ მიმართულ კავკასიის ომში. უფრო უხეშად რომ ვთქვათ, გიმნაზიელი ტატო რუსეთის მართველობის მოწინააღმდეგეა, კანცელარიის ჩინოვნიკი ნიკოლოზ ბარათაშვილი კი – იმპერიის ხელისუფლების მომხრე. შევეცდებით ავხსნათ პოეტის, ერთი შეხედვით, „გაორებული“ ან დროთა განმავლობაში „შეცვლილი“ აზროვნება.

ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაცია ყველაზე უკეთ მის მხატვრულ შემოქმედებაში აისახება, კერძოდ, 1839 წელს დაწერილ პოემაში „ბედი ქართლისა“. შესანიშნავად მიგნებული სათაური მთელი ეპოქის სატკივარს იტევს.

„ბედი ქართლისა“ ისტორიული პოემების რიცხვს მიეკუთვნება. მის პირველ ნაწილში აღწერილია ცნობილი კრწანისის ბრძოლა – ალა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აოხრება. ეს ომი საქართველოს ისტორიაში დარჩა, ერთი მხრივ, როგორც მწარე მოგონება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა გამირობისა და მამა-

ცობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი, რაც მკაფიოდ ჩანს ბარათაშვილის პოემაშიც.

„ბედი ქართლისას“ მეორე ნაწილში დასმულია საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. პოემის ამ ნაწილს პირობითად შეიძლება ეწოდოს ისტორიული, რადგან მასში წარმოდგენილი დიალოგი ერეკლე II-სა და მის მსაჯულს შორის სინამდვილეში ვერ შედგებოდა. იმდროინდელი დოკუმენტური მასალითა და მოგონებებით არ დასტურდება, რომ ერეკლე თანახმა იყო პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვაზე. მის მიერ 1783 წელს რუსეთთან დადებული ტრაქტატი არ ითვალისწინებდა საქართველოს შინაურ საქმეებში რუსეთის ჩარევას. მეფის მსაჯული სოლომონ ლიონიძე, პოემაში ერეკლეს პოზიციის მოწინააღმდეგე და თავისუფლების მომხრე, სინამდვილეში ამ ტრაქტატის სულისჩამდგმელი იყო.

პოემაში „ბედი ქართლისა“ ასახულია ბარათაშვილისდროინდელი ქართული საზოგადოების ორგვარი თვალთახედვა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გარშემო. პოემის შესავალში – „კახელებისადმი მიმართვა“ – ბარათაშვილი პირდაპირ ამბობს, რომ კახელებს უძღვნის იმას, რაც ერეკლეს მეფობის დრომ ბარათაშვილის ეპოქას დაუტოვა. ეს დანატოვარი კი ერის გაორებული თვალთახედვაა. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, საქართველოს არ შეეძლო არსებულ პირობებში დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ის აუცილებლად გახდებოდა თურქთა და ირანელთა შემოსევების მსხვერპლი. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის მოკავშირედ მართლმორწმუნე რუსეთის არჩევა იყო. საზოგადოების მეორე ნაწილი ამტყუნებდა ერეკლეს პოლიტიკურ ნაბიჯს, რადგან მეფის გადაწყვეტილებამ – რუსეთის პროტექტორატში შესვლამ – ქვეყანა დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა. ამ შეხედულების მქადაგებელნი საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობასაც სხვაგვარად აფასებდნენ; თვლიდნენ, რომ აზიის მეზობელ სახელმწიფოთა პოლიტიკური აზროვნება შეიცვალა, სპარსეთი და თურქეთი მიხვდნენ თავიანთ შეცდომას, რომ საქართველომ მათი აგრესიის გამო აირჩია რუსეთის ორიენტაცია; ამიტომ ისინი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს აღარ შეუშლიდნენ

მის დამოუკიდებლობას. ეს ორგვარი მიმართება ქვეყნის ბედისადმი, რომელიც ქართულ პროგრესულ წრეებში არსებობდა, გადმოცემული აქვს გრიგოლ ორბელიანსაც თავის „მგზავრობაში“, კერძოდ, ივანე აფხაზთან დიალოგში; აგრეთვე გრიგოლ რჩეულიშვილს მოთხრობაში – „ქვერივის ლიმონები“.

პოემა იწყება ქრისტიანი მეფის ლოცვით, რომელიც უფალს თავისი სამწყსოს დაცვას შესთხოვს. მკითხველის წინაშე იკვეთება ერეკლეს პიროვნება. ის გულმხურვალე ადამიანია; ერისათვის მამობრივად მზრუნველი და თავმდაბალი – მეფე ბრძოლაში თავს ერთ-ერთ რიგით მეომრად თვლის. მისი ამგვარი პიროვნული ღირსებების გამო მთელი ერი მზადაა, ერეკლესთვის „თუნდ სულ ერთ დღეს დაიხოცოს“. პოეტი აღწერს კრწანისის ბრძოლას, რომელიც თავდაპირველად ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა მრავალი ყმანვილკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბარათაშვილისთვის მნიშვნელოვანია უსახელო გმირთა ღვანლის წარმოჩენა. მათ ხსოვნაზე თვით განგებამ იზრუნა:

**„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის“**

(ნ. ბარათაშვილი 1968 : 141).

პატრიოტული განცდა ბარათაშვილთან რომანტიკულად აღიქმება: მამულის სიყვარული იმდენად განუსაზღვრელი და ბო-ბოქარი გრძნობაა, რომ „ცხოვლად“ აჩნდება სულს, მისი დავიწყება შეუძლებელია. პატრიოტიზმის რომანტიკული აღქმა თავს იჩენს ბუნების აღწერის დროსაც. პოემაში წარმოჩენილი პეიზაჟი პატრიოტული გრძნობის დემონსტრაციას ახდენს, რომელიც ისეთივე მწვავეა და „სულის შემამფოთებელი“, როგორც სხვა პიროვნული გრძნობები. შემთხვევითი არ არის, რომ მთიულეთს შეფარებულმა მეფე ერეკლემ სწორედ ამგვარ ფონზე, პატრიოტული გრძნობის ამშლელ არაგვის ქალებში, უნდა გადაწყვიტოს ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო საკითხი. მეფეს თან ახლავს თავისი მსაჯული – სოლომონ ბრძენი.

სოლომონ ლიონიძე ისტორიული პირია. იგი იყო ერეკლე მეორის კარზე მდივანბეგი, მსაჯული, მრჩეველი, ნიჭიერი დიპლომა-

ტი. მრავალმხრივ განათლებული სოლომონი პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული და მხედრული ოსტატობითაც. ამ ყოველივეს გამო, ერეკლეს მისთვის თავადობა უბოძებია. სოლომონ ლიონიძე იყო ტრაქტატის ტექსტის შემდგენელიც და მონადინე ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებისა. რუსეთის პოლიტიკის მონინაალმდეგედ ის გვევლინება მხოლოდ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ. სოლომონმა ყველაზე ადრე იგრძნო, თუ რას ნიშნავდა იმპერატორ პავლე I-ის მითითება, არავინ გამოეცხადებინათ საქართველოს მეფედ, ვიდრე უმაღლესი ბრძანება არ მიუვიდოდათ. სოლომონი ცდილობდა, ჩაეგონებინა დავით ბატონიშვილისთვის, რომ მეფედკურთხევაზე დათანხმებულიყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ სოლომონი იმერეთში გადავიდა. მან იცოდა, რომ იმერეთის სამეფოც აღმოსავლეთ საქართველოს ბედს გაიზიარებდა, სხვა გამოსავალი არ იყო, ამიტომ სოლომონ II-ს ურჩევდა მხოლოდ ერთი პირობით შესვლას რუსეთის მფარველობაში, – თუ მეფობა შეუნარჩუნდებოდა. იმერეთის მეფის შეპყრობის შემდეგ ლიონიძე ახალციხეში გაიქცა. რუსული მმართველობა მას ჰპირდებოდა სრულ თავისუფლებასა და პეტერბურგის უმაღლეს კარზე გაგზავნას, მაგრამ ასეთმა ცდუნებამ ვერ შეარყია მისი რწმენა.

სოლომონის უმთავრეს მიზანს შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რასაც ყველაფერი ანაცვალა, პირადი კეთილდღეობა და ოჯახის ინტერესები. თუმცა ერეკლეს დროს სოლომონი რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო, მაგრამ არც მეფე და არც მსაჯული ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვაზე არ ფიქრობდნენ. სოლომონის უფრო გვიანდელი მოღვაწეობიდან გამომდინარე, პოემაში ის წარმოჩნდება, როგორც ერეკლეს ჩანაფიქრის მთავარი მონინაალმდეგე. პოემის მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა მეფისა და მისი მსაჯულის დიალოგს. სწორედ პოემის მიხედვით და არა რეალობაში, ერეკლე გადაწყვეტს თავისი მეფობა რუსთ ხელმწიფეს გადასცეს. მას ამისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს: 1) კრწანისის ბრძოლაში ქართველთა საბოლოო დამარცხების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი აღარ მოისვენებს, ამას მოჰყვება სხვა გარეშე მტერთა გათამამებაც – თურქთა

და ლექთა შემოსევები; 2) შინაური აშლილობის გამო ქვეყანა ვერ მოახერხებს ეროვნული ძალების გაერთიანებას; 3) ხანშიშესულ ერეკლესაც ძველებურად აღარ შესწევს საომრად ძალა; 4) მეფე თავის შთამომავლებში ვერ ხედავს ღირსეულ მემკვიდრეს, რომელიც უწინამძღვრებდა მამულს; 5) ამ გამოუვალ მდგომარეობაში კი რუსეთი საქართველოსთვის ყველაზე კარგი პარტნიორი იქნება ერთმორწმუნეობის გამო; 6) საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ბედია, გარდაუვალობაა. ერეკლეს მსჯელობას უპირისპირდება სოლომონ მსაჯულის არანაკლები სიძლიერის არგუმენტაცია: 1) თავისუფლებას ვერ გადანონის ვერანაირი ღირებულება; 2) ერეკლემ უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, რადგან მას ამის უნარი შესწევს; 3) მომავალმა თაობამ კი თვითონ იზრუნოს ქვეყნის შემდგომ ბედზე; 4) ნაციონალური ხასიათი ინდივიდუალიზებულია. ის ვერ შეძლებს სხვა ხასიათთან შერწყმას:

**„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს...
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეინყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?“**

(ნ. ბარათაშვილი 1968 : 145)

სოლომონის მყარი არგუმენტაცია ვერ ჯაბნის მეფის გადაწყვეტილებას, რადგან მეფემაც მშვენივრად იცის თავისუფლების ფასი და არანაკლებ შესტკივა გული თავის ქვეყანაზე. დამოუკიდებლობის დაკარგვით ხომ პირველ რიგში მისი, როგორც მეფის, სუვერენული უფლებები ილახება. მკითხველი გრძნობს, რომ ერეკლეს საქართველოს დამოუკიდებლობა სოლომონზე ნაკლებად როდი სურს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს, რადგან

**„... დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“**
(ბარათაშვილი 1968 : 147)

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, რუსეთის ინტერესებში დადგება მისი დაპყრობის აუცილებლობა. გარდაუვალობა მყარი არგუმენტია და კამათს არ ექვემდებარება. ის აერთიანებს მეფისა და მსაჯულის პოზიციას. სოლომონი გრძნობს, რომ ირაკლიმ „უკეთ უწყის“ და „ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის გონება ყმათა ვერა მიხვდების!“.

სოლომონისავით გაბედული და მტკიცე პიროვნებაა მსაჯულის მეუღლე სოფიოც. მისთვის მიუღებელია „უცხოობაში სიამე“. რომანტიკოსი პოეტი, რომელიც აღფრთოვანებულია მანდილოსნის ამგვარი აზროვნებით, მძაფრად შეიგრძნობს და გამოხატავს ეროვნულ სულისკვეთებას: ადამიანი მხოლოდ საკუთარ მამულშია ბედნიერი, სადაც **„სულსა სული თვისად მიაჩნის/ და გულსა გულის პასუხი ესმის!“**.

პოეტს გული სტკივა, რომ სოფიოსნაირად მოაზროვნე ქალები მის ეპოქაში აღარ არიან. ჩრდილოეთის ქარმა სრულიად შეცვალა მანდილოსანთა ცხოვრება, აღარც ქართველობა ახსოვთ და აღარც შვილებს ზრდიან ქრისტეს მცნებებზე, რაც დამღუპველად აისახება ქვეყნის ბედზე.

ბარათაშვილის აზრით, საქართველოსთვის დამოუკიდებლობის დაკარგვა დროებითი უნდა იყოს, გარდაუვალობით გამონვეული, ამიტომაც ეთაყვანება პოეტი სოლომონისა და სოფიოს მსგავს შეუდრეკელ ადამიანებს. მათ პოზიციას გულით ემხრობა მეფეც. ბარათაშვილის აღფრთოვანება სოლომონისა და მისი მეუღლისადმი პოემაში ლირიკული გადახვევებით წარმოჩნდება; მიუხედავად პოეტის ამგვარი დამოკიდებულებისა, ბარათაშვილმა უწყის, რომ გულით და გრძნობით მოქმედება, რაც ყრმათათვის მისასალმებელია, მეფეს არ ეპატიება. პოემა სრულდება ერეკლეს პოზიციის განმტკიცებით:

**„დიდი ხანია გულს ირაკლისა
გარდუნყვეტია ბედი ქართლისა!“
(ბარათაშვილი 1968 : 151)**

„ბედს“ ენიჭება განგებისა და გარდაუვალობის მნიშვნელობა, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს ერეკლეს არჩევანის სისწორეზე.

პოემაში წამოჭრილ საკითხზე აგრძელებს ბარათაშვილი საუბარს ლექსებშიც – „საფლავი მეფისა ირაკლისა“ და „სუმბული და მწირი“. პირველი ლექსი ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯის ხოტბაა და მასში არ არის წარმორჩენილი თავისუფლებისკენ სწრაფვის იდეა, რომლის ამკარა გამოხატულება მეორე ლექსია. პოეტი მუხლს იყრის ერეკლე მეფის აჩრდილის წინაშე, რომლის ანდერძმა განწირულობამდე მისულ საქართველოს ახალ გზაზე გამოსვლის შესაძლებლობა მისცა. ამავე დროს მას უდიდეს უბედურებად მიაჩნია თავისუფლების დაკარგვა, რომლის სანაცვლო ამქვეყნად არაფერია: ბუნების წიაღიდან მონყვეტილ სუმბულს სიცვივე ვერაფერს აკლებს, დახშულ ჰაერში კი კარგავს თავის ფერსა და სურნელს. ჩნდება კითხვა: ფიქრთა ამგვარი გზაჯვარედინი ხომ არ მიგვანიშნებს ბარათაშვილის პიროვნების გაორებაზე?!

გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვის იდეა არ გამორიცხავს ერეკლე მეფის ნაბიჯის სისწორეს. მეფის არჩევანი საღმა პოლიტიკურმა ალლომ განაპირობა, რომლის შედეგადაც ქვეყანამ დაისვენა მუდმივი ომებისაგან და რუსეთის გზით განათლებაც მეტ-ნაკლებად ააღორძინა. ბარათაშვილის შეხედულებით, დამოუკიდებლობის დაკარგვა გარდაუვალობა, განგება იყო, რომელმაც დიდ ტკივილთან ერთად სასიკეთოც მოუტანა ერს. ეს აზრი ბარათაშვილის წერილებშიც თვალსაჩინოა. პოეტის ფილოსოფიური ლირიკიდან გამომდინარე კი, განგების საზღვრის გადალახვისათვის აუცილებელია მუდმივი, თავდაუზოგავი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. სწორედ ამიტომაც მუდამ აფრთხილებს თუ აფხიზლებს ბარათაშვილი ქართულ საზოგადოებას შეძახილით, რომ თავისუფლების ტოლფასი არაფერია, არ შეიძლება ბედისადმი ბრმა მორჩილება, სწრაფვის შენელება; საბოლოო მიზანი შესაძლებელია ერთი თაობისათვის მიუღწეველი იყოს, მაგრამ მცდელობა და სწრაფვა „შემდგომს“ გაუადვილებს „გზის სავალს“; სწორედ ამიტომაც იმსახურებენ სოლომონი და მისი მეუღლე მწერლის აღფრთოვანებას, მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ბედის საკითხში მათ ერთგვარი „შეზღუდულობაც“ კი ახასიათებთ, ზეციური განგების „ვერ განჭვრეტა“, რაც მხოლოდ და მხოლოდ მეფის უნარია. თავისუფლებისათვის მეზრძოლი ერეკლე კი დრო-

ულად განსაზღვრავს, როდის და რა არის უკეთესი მისი ქვეყნისთვის.

პომას – „ბედი ქართლისა“ – განუზომელი გავლენა ჰქონდა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. 60-იანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიამ მასში იპოვა თავისი დასაყრდენი. ბარათაშვილი არ იყო მხოლოდ ფილოსოფიურად მოაზროვნე ლირიკოსი, ის იყო ნამდვილი ეროვნული პოეტიც. „ბედი ქართლისა“ პოეტის პოლიტიკური ბიოგრაფიის საფუძველია.

საზოგადოებრივი ბიობრაფია

ნიკოლოზ ბარათაშვილი დღესაც საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც უიღბლო გენიოსი პოეტი და არა როგორც საზოგადო მოღვაწე. არადა, რომ გადავხედოთ იმ პერიოდის ქართველთა მცირედენ, მაგრამ, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, ნიკოლოზ ბარათაშვილი წარმოჩნდება ზოგან მოთავედ, ზოგან მონაწილედ. პავლე ინგოროყვა, რომელმაც მოგვცა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკმაოდ ობიექტური და შეფასებების მხრივ გადაუჭარბებელი ნარკვევი, ასე ახასიათებს ბარათაშვილის საზოგადოებრივ საქმიანობას: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი იქცა ცენტრად თავისი დროის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრებისა; მის გარშემო თავს იყრიან როგორც ახალი, ისე ძველი თაობის მწერლები და ლიტერატურის მოყვარულნი“ (ინგოროყვა 1968 : 43).

ბარათაშვილის ეპოქის კარგი მცოდნე, ცნობილი მემუარისტი იონა მეუნარგია თავის მონათხრობში ხშირად ასხენებს ბარათაშვილს და მის გარშემო შეკრებილ ლიტერატურულ წრეს, რომლის შესახებაც ის საუბრობს ბარათაშვილის თანამედროვეთა ჩვენების მიხედვით. მეუნარგია წერს: „მწერლობის მოყვარე პირნი, რომელნიც ხვდებოდნენ სხვადასხვა დროს, იყვნენ: ზ. ავთანდილაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, გიორგი იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი..., ზოგიერთი ქართული მწერლობის მოყვარე პოლონელი, როგორც იყო ზაბლოცკი (თადეუშ ლადი-ზაბლოცკი, ცნობილი პოლონელი პოეტი, საქართველოში გადმოსახლებული), სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვანი. ესენი არ შეადგენდნენ ერთს მჭიდრო წრეს, არ წარმოადგენდნენ ერთ სამწერლო იდეას, მაგრამ ამათში ქართული მწერლობის სიყვარული დიდი იყო...“ (მეუნარგია 1954 : 15-17). მეუნარგია ამ საზოგადო მოღვაწეებში გამოჰყოფს ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც ამ წრის თავკაცსა და ორგანიზატორს: „ბარათაშვილი მოთავე იყო ამ სა-

ზოგადობისა. ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა მოიტანდა, და ზემოთნახსენებნი პირნი ერთად სადმე შეიყრებოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ, საზოგადო მსჯელობა ამ ქართულ ყმანვილ-კაცებისა იყო ქართულს მწერლობაზე და ისტორიაზე. ასე ამბობს ორივე ბარათაშვილის ცხოვრების აღმწერი (იგულისხმება კონსტანტინე მამაცაშვილი, პოეტის პირველი ბიოგრაფი და მეგობარი და ნიკოლოზის და – ბარბარე ვეზირიშვილისა), ასევე გამიგონია პოეტის ნაცნობ-ნათესავთაგან, და არა მგონია, რომ ეს სიტყვები დანაყბედი იყოს“ (მეუნარგია 1954 : 15-17). მემუარისტის მონათხრობში არც ჩვენ გვეპარება ეჭვი, სხვაგვარად შეუძლებელი იყო, რადგან ბარათაშვილი თავის თანამედროვე მწერლობაში გამოირჩევა არა მხოლოდ პოეტური ნიჭით, არამედ დიდი პატრიოტული (უკომპრომისო) სულისკვეთებითა და ენთუზიაზმით, თავისი ვალისა და „წილობის“ ღირსეულად გარდახდის დაუოკებელი სურვილით.

როგორც დიმიტრი ყიფიანი ერთ კერძო წერილში აღნიშნავს: „მეგობრები იცნობდნენ ბარათაშვილს როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ერთობოდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებით. მისი მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ, აქ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით თავის კალაპოტში. ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოთქვამდა გულწრფელად... ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას“ (ყიფიანი).

აღბათ სწორედ ამ ლიტერატურული წრის საქმიანობაზე საუბრობს ხოლმე ბარათაშვილი ბიძასთან – გრიგოლ ორბელიანთან – 1941 წელს მიწერილ წერილებში: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиета*, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский*, ტრალედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქა-

ლებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“ /1841 წ. 28 მაისი/; „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალ მოყვარეთა. მრავალნი ყმანვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევინ მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმანვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“ /1841 წელი, 18 ოქტომბერი/ (ბარათაშვილი 1968 : 174-175).

პავლე ინგოროყვა, რომელიც ეყრდნობა იონა მეუნარგიას ჩანაწერებს,¹ მიუთითებს, რომ 1841 წელს ზემოთ ხსენებული სალიტერატურო წრის წევრებს ჰქონიათ მცდელობა აღმანახ „ცდის“ გამოცემისა, რაც საბოლოოდ მათ ვერ მოუხერხებიათ. მეუნარგიას აზრით, გიორგი ერისთავის „ცისკარი“ სწორედ ბარათაშვილის წრის საქმიანობის ნაყოფია (ინგოროყვა 1968 : 44).

სწორედ ამ სალიტერატურო დაჯგუფების მიერ გამოცემული აღმანახის შესახებ არსებობს რამდენიმე ცნობა, რომლებიც თამაზ ჯოლოგუას მოჰყავს თავის წიგნში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX საუკუნე, ნაკვეთი I“: 1) 1841 წლის 15 დეკემბერს პოეტი, მემუარისტი, ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგი და შემდგომ უკვე ჟურნალისტიკის ისტორიაში ავადსახსენებელი ცენზორი, ლუკა ისარლიშვილი, ქუთაისიდან თბილისში სწერს წერილს მიხეილ თუმანიშვილს. წერილში ნათქვამია, რომ ვერ მოასწრო ბესტუჟევ-მარლინსკის „გამოცდის“ თარგმანის დასრულება და ორი ელეგიური ხასიათის ლექსი გაუგზავნა დიმიტრი ყიფიანს აღმანახისთვის. ამ წერილიდან ისიც ირკვევა, რომ თბილისში 40-იან წლებში არის მზადება ლიტერატურული აღმანახის შესადგენად, ხოლო საორგანიზაციო საქმიანობაში ჩაბმულნი არიან დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც ადრეც, გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, ხელმძღვანელობდა რუსულ ხელნაწერ ჟურნალს „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ და აღმანახს. სხვა რამ ცნობა ამ აღმანახისა და მასში ბარათაშვილის მონაწილეობის შესახებ

¹ იხ. იონა მეუნარგიას ჩანაწერები, გამოქვეყნებული ს. ცაიშვილის მიერ, ლიტერატურული მატრიანე, 1-2, 1940 : 387.

არ მოგვეპოვება, არც ის ვიცით, რა უნდა რქმეოდა მას და ვისი ნაწარმოებები უნდა დაბეჭდილიყო; 2) არსებობს მეორე ცნობაც, რომ 1840-იანი წლების დასაწყისში ქართველ მწერლებს მანანა ორბელიანისათვის მიუერთმევიათ ხელნაწერი ლიტერატურული კრებული. ამის შესახებ დიმიტრი ყიფიანი მოგვიანებით სწერს თავის შვილს, ნიკოლოზ ყიფიანს: „**ის წრე, რომელშიც იგი (იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილი) ტრიალებდა... შესდგებოდა მთლად პოეტებისგან, მაგრამ მათი ნაწარმოებები არ შენახულა, ან შენახულა ერთადერთ წიგნაკში, სადაც ეს მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბელიანს“ (თ. ჯოლოგუას წიგნიდან 2011 : 85-86).** თამაზ ჯოლოგუა გამოთქვამს ვარაუდს, რომ, შესაძლოა, ეს ორივე ცნობა ერთსა და იმავე კრებულს ეხებოდეს. ჩვენთვის საინტერესოა ეს ფაქტები იმდენად, რამდენადაც მათში ბარათაშვილის მონაწილეობაც იკვეთება (ეს ყიფიანის წერილიდანაც ჩანს), თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბარათაშვილს ორგანიზატორული ნიჭი აქვს და სათავეში უდგას ლიტერატურულ წრეს და მის საქმიანობას. თანამედროვეთა მიმონერვიდან ეს არ დასტურდება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი საქმიანობებისა, ირკვევა, რომ ბარათაშვილი მონაწილეობას იღებდა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსებაში. დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში, რომლებიც შეიცავს მე-19 საუკუნის ფრიად მნიშვნელოვან ფაქტებსა და ავტორის დამოკიდებულებას ამ ფაქტებისადმი, მისთვის დამახასიათებელი თავშეკავებულობით აღწერს თბილისში პირველი ბიბლიოთეკის დაარსებას. ის ამ დროს მთავარმართებლის კანცელარიის განყოფილების უფროსად მუშაობდა და მთავარმართებელს – ეგგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს – განუცხადა თავისი რამდენიმე „ტოლ-ამხანაგის“ სურვილი კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. მას გოლოვინისგან თანხმობა მიუღია. ამით უსარგებლია დიმიტრი ყიფიანს და მეორე შეხვედრაზევე წარუდგენია მთავარმართებლისთვის „თბილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი. გოლოვინს პროექტისათვის ხელი მოუწერია. დიმიტრი ყიფიანს თავის მოგონებებში მოჰყავს ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სახელები და განმარტავს

მათ ვინაობას. დამაარსებელთა სია, თანმიმდევრობით გადმოწერილი (ვინაობათა გამოკლებით), ასე წარმოგვიდგება: დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე დადიანი, ალექს. ონიკაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, თევდორე კოცებუ, ზნაჩკოიავოროსკი, ნიკოლ. ბეზაკი, კონსტანტინე ორლოვსკი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, დავით არზანოვი, სერგეი ვასილკოვსკი, დავით ჭავჭავაძე, გრიგოლ დიმიტ. ორბელიანი, ივანე ორბელიანი.

დიმიტრი ყიფიანი მოგონებებში მოკლედ აღწერს თითოეული პირის ვინაობასა და საქმიანობას, თან მწუხარებით აღნიშნავს, რომ მათგან მხოლოდ ხუთია ცოცხალი. ბარათაშვილის შესახებ ის წერს: **„გუბერ. სეკრ. თ-დი ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, ქართველი დიდებული პოეტი, ქ. ელისავეტპოლში გარდაცვლილი“ (ყიფიანი 1990 : 122).** ჩამოთვლილ პირებს ყიფიანი მხოლოდ თანამდებობების მიხედვით წარმოაჩენს; ბარათაშვილზე კი მიუთითებს, რომ ის პოეტია და, თანაც, „დიდებული“. ვფიქრობთ, ბარათაშვილის სახელი მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო გააზრებული ხდება ქართული საზოგადოებისთვის, თუმცა 60-იან წლებამდე ის მაინც ჩრდილქვეშაა (დიმიტრი ყიფიანის მემუარებში შესულია ფაქტები 1884 წლამდე, ამ დროს კი ბარათაშვილი უკვე აღიარებული გენიოსია).

ძნელი სათქმელია, რა როლს თამაშობდა ბარათაშვილი ამ ბიბლიოთეკის დაარსებაში, მაგრამ ცნობილია, რომ მას ხელი მიუწვდებოდა ხელნაწერებზე. მიხ. ჩიქოვანის პუბლიკაცია გვანვდის ამის შესახებ გარკვეულ ცნობებს. ირკვევა, რომ ბარათაშვილი თანამშრომლობდა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიასთან. ისტორია ასეთია: პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომლის ინიციატივით ამავე აკადემიაში მიწვეული იყო აკადემიკოსი მარი ბროსე საქართველოს ისტორიული წარსულის შესასწავლად. 1842 წელს თბილისში მარი ბროსეს დავალებით ჩამოდის მისივე კოლეგა, მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტი იული ფრიჩე ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შესაძენად. მოხსენებაში, რომელიც

ფრიჩემ წარადგინა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ განყოფილებაში, წერია:

„ბატონ კოლეგა ბროსეს დავალებით თბილისში ყოფნისას შევეცადე ქართული წიგნები შემეძინა...

ხელნაწერები, რომელთაგან, როგორც ცნობილია, შესდგება ქართული ენის მნიგნობრული სიმდიდრე, როგორც მითხრეს, მხოლოდ იშვიათად და გამონაკლისის სახით იყიდება და მათი შექენა შეიძლება მარტო პირების გადაღების გზით.

ერთმა ქართველმა პოეტმა, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც მე თბილისში მქონდა, თავადმა ბარათაშვილმა, თანხმობა განაცხადა, თუ ეს აკადემიისთვის სასურველი იქნება, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა, და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებინა მათი პირები. ვეშურები ვაცნობო ეს აკადემიას“ (ჩიქოვანი 1945 : № 112).

პავლე ინგოროყვა ამ საკითხთან დაკავშირებით აკეთებს კომენტარს: „აღსანიშნავია, რომ ამგვარ სპეციალურ საკითხზე ურთიერთობას ამყარებენ არა იმ პირებთან, რომლებიც ქართული ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლის დარგში სპეციალურად მუშაობდნენ, არამედ პოეტ ბარათაშვილთან, რომელიც, ჩანს, ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა ამ დარგში“ (ინგოროყვა 1968 : 45).

თანამედროვეთა ნაწერებში პირადად ჩვენ ბარათაშვილის დიდ ავტორიტეტს ვერ ვხედავთ. მისი დაფასება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხდება 60-იანი წლების შემდგომ, როცა ახალმა თაობამ გაისიგრძეგანა პოეტის შემოქმედების მასშტაბურობა და გამოარჩია ის ყველა იმდროინდელ პოეტთაგან. ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სიაში ის რიგით მეათე ადგილზეა ნახსენები, ხოლო ხელნაწერთა ნუსხისა და პირების გაკეთებისთვის მისთვის შესაძლოა რამდენიმე მიზეზის გამო მიემართათ: 1) „ბიბლიოთეკის“ დამაარსებელთა საქმიანობა ითვალისწინებდა ქართული ხელნაწერების შექენას და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. ამის შესახებ „ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი დირექტორი – ზაქარია ფალავანდიშვილი 1843 წელს თბილისიდან პეტერბურგში სწერს მარი ბროსეს:

„თქვენთვის ახალი ამბავი ისა მაქვს, რომ ბიბლიოთეკამ, რომლის ნესდებაც კავკასიის მთავარმართებელმა დაამტკიცა, უნდა შეიძინოს ქართული ხელნაწერები და გააცნოს იგი საზოგადოებას. შესაძლებელია, პატარა გაზეთიც ვიქონიოთ“ (თ. ჯოლოგუას წიგნიდან „ქართული ყურნალისტიკის ისტორია“ / 2011 : 91). ბარათაშვილი ამ „ბიბლიოთეკის“ ერთ-ერთი დამაარსებელია; აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობაცაა ხელნაწერთა შეგროვება და პოპულარიზაცია; 2) ბარათაშვილი სიყრმის მეგობარი იყო პეტრე ბაგრატიონისა,¹ თეიმურაზ ბაგრატიონის ახლო ნათესავისა, რომელიც ქართულ ხელნაწერთა მეცნიერული შესწავლის მთავარ ორგანიზატორად გვევლინება; 3) ქართულ საზოგადოებაში ყველამ იცოდა ბარათაშვილის საუცხოო კალიგრაფიის შესახებ; 4) შესაძლოა, ბარათაშვილმა, როგორც პატრიოტმა და ქართული ლიტერატურის მოყვარულმა, თავად გამოიჩინა ინიციატივა, დახმარებოდა ფრიჩეს ქართველებისთვის მეტად სასარგებლო საქმეში. რასაკვირველია, ჩვენი შეხედულება არ უგულებელყოფს მის არც ავტორიტეტს და არც ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ცოდნას. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ არა ბარათაშვილს, ქართულ საზოგადოებაში ვის ეცოდინებოდა ყველაზე კარგად, რომელი თავადის ოჯახში რა ხელნაწერი ინახებოდა და თუ არა მას, ვის მიუწვდებოდა უფრო მეტად ხელი ამ ხელნაწერებზე; 5) ასევე – კანცელარიის მოხელის სამსახური ბარათაშვილს არ ართმევდა ისეთ დიდ დროს, როგორც მის მეგობრებს, სახელმწიფო სამსახურში დანიშნურებულ პირებს.

მწერლის საზოგადოებრივი ბიოგრაფიისათვის, მისი ინტერესების წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მოგონება, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის ბარათაშვილზე არა როგორც მხოლოდ პოეტზე. კონსტანტინე მამაცაშვილი გვიამბობს: **„ერთს საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგანაც**

¹ ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი ერთად სწავლობდნენ თბილისის გიმნაზიაში; მოგვიანებით კი პეტრე ბაგრატიონის ოჯახი პეტერბურგში გადასახლდა. თავად პეტრე ეწეოდა როგორც სამეცნიერო, ასევე სამხედრო სამსახურს.

არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-4 საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ მე-5 საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატრიანეები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატიკები თავადების და აზნაურების სახლებში, მართო მატრიანედ იყო „ქართლის ცხოვრება“. მახსოვს, 1838 წელს მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთ-უბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნისა მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო, უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზედ 1795 წელს 12 სექტემბერს და სხვ. ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარსა და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა: „ – ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! – და ოხვრით დაუმატა: – ვაი ჩვენო ქართლის ბედო!“ დიდხანს დავდიოდით თავჩაღუნული და მოწყენილი“ (გაზ. „დროება“, 1881 : № 206).

როგორც ჩანს, ლიტერატურულ საკითხებთან ერთად ბარათაშვილი საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლასაც გეგმავდა და არ იყო ამ საკითხებში დილეტანტი. აქ კიდევ ერთი დეტალი შეიძლება გამოიკვეთოს. ბარათაშვილი არა მარტო თვითონ გეგმავდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობას და მას არა მარტო თავისი (ლიტერატურული და არა სამეცნიერო) წრე მიიჩნევდა კომპეტენტურად, არამედ – სხვაც. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში შესულია ცნობილი მეცნიერის, ნაშრომის – „Нумизматические факты Грузинского царства“ – ავტორის, მიხეილ ბარათაშვილის წერილი მელიტონ ბარათაშვილისადმი. წერილი დათარიღებულია 1846 წლის 20 სექტემბრით. მიხეილ ბარათაშვილს არ გაუგია პოეტის გარდაცვალების ამბავი და სწერდა მელიტონს: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო

საყვარელი ნიკოლოზ მელიტონის ძე (საუბარია ტატო ბარათაშვილზე), თუ იგი შეავსებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის (წერილის ავტორი თავის თავს გულისხმობს) პირველ ნაშრომს“ (იგულისხმება ზემოთ დასახელებული ნაშრომი) (ბარათაშვილი 1922 : 144-145).

მიხეილ ბარათაშვილი იყო შთამომავალი ვახტანგ VI-ის დროს (მე-18 საუკუნეში) რუსეთში გადასახლებული ერთ-ერთი ქართველისა, მელქისედეკ ბარათაშვილისა, რომელიც 1724 წელს მეფე ვახტანგს რუსეთში გაჰყვა და იქ დასახლდა. მიხეილ ბარათაშვილი რუსეთში დაიბადა და გაიზარდა, მონაწილეობდა დეკაბრისტების აჯანყებაში, ჰქონდა ევროპული განათლება, მსახურობდა რუსეთის გუბერნიებში უმაღლეს თანამდებობებზე, მათ შორის, 1839-1843 წლებში – თბილისში ამიერკავკასიის საბაჟოს გამგედ. სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა ის მელიტონის ოჯახს, განსაკუთრებით კი ტატოს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. ბარათაშვილმა სწორედ მას მიუძღვნა თავისი ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლისა“ და აგრეთვე ცნობილი წარწერა „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ – „ამავსებ ღვინით, აგავსებ ღვინით. შესვი? გაამოს“ (ბარათაშვილი 1966 : 127). ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლისა“ შესულია გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში. ბარათაშვილი წერს ბიძას: „...აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე, მისის თხოვნით, – ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში с большим запасом сведений об исторической Грузии“ (ბარათაშვილი 1968 : 181).

ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ისტორიული მნიშვნელობის ლექსის მიძღვნა აუცილებლად კავშირშია ამ ორი ადამიანის – მიხეილისა და ტატოს – საერთო ინტერესებთან საქართველოს ბედთან დაკავშირებით; წერილიდან ჩანს მიხეილ ბარათაევის დიდი დაინტერესება საქართველოს ისტორიული დოკუმენტებით; ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოველივეს საქმის კურსშია. დანარჩენის თქმა მხოლოდ წარმოსახვით თუ შეგვიძლია. ცხადზე ცხადია ერთი რამ: მიხეილ ბარათაშვილს აქვს ახალგაზრდა ბარათაშვილის იმედი და დარწმუნებულია მის ცოდნასა და განსწავლულობაში სწორედ საქართველოს ისტორიის განხრით. ამ რწმენას მას ჩაუწერგავდა

თუნდაც მისადმი მიძღვნილი ლექსი – „საფლავი მეფისა ირაკლისა“, რომელშიც ჩანს არა მხოლოდ გრძნობები, არამედ ისტორიკოსის თვისება ფაქტის მშრალი, მასშტაბური და შორსმჭვრეტელური შეფასებისა. გარდა ამისა, მას, სავარაუდოდ, აუცილებლად უნდა სცოდნოდა პოემა „ბედი ქართლისაც“, რომელიც 1839 წელსაა დაწერილი, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მიხეილი თბილისში მოღვაწეობდა და ახლობლობდა მელიტონის ოჯახთან.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი მონაწილეობს თბილისის ბიბლიოთეკის დაარსებაში, ხელნაწერთა მოძიებისა და პოპულარიზაციის საქმეში და ხელნაწერ აღმანახში, რომელშიც, სავარაუდოდ, შესული იქნებოდა მისი ლექსები; აქვს ინტერესი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისა. ის არ არის ამ საქმიანობების ორგანიზატორი, როგორც ხშირად სურთ, რომ წარმოაჩინონ, მაგრამ არის ერთ-ერთი მონაწილე და საკმაოდ აქტიურიც. ორგანიზატორობის ნიჭის უქონლობა არაფერს აკლებს ბარათაშვილის პიროვნებას. პირიქით, წარმოუდგენელიცაა ბარათაშვილის მღელვარე სულისა და ორგანიზატორის მიზანმიმართული ქმედებების ერთ პიროვნებაში მოაზრება. ბარათაშვილის საზოგადოებრივი ბიოგრაფია ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ის არ დაეჩრდილა პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

საპირადო ბიოგრაფია

ბარათაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ პოეტის თანამედროვენი არ საუბრობენ, მაგრამ მისი მხატვრული და ეპისტოლარული მემკვიდრეობა საუკეთესო მასალაა ნიკოლოზ ბარათაშვილის მღელვარებით აღსავსე სულიერი ცხოვრების ამოსაკითხად. პოეტის პირველი სიყვარული ყაბახს უკავშირდება. ყაბახი ერქვა მინდორს ქაშვეთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, დღევანდელი რუსთაველის პროსპექტისა და მტკვრის სანაპიროს შუა. ეს იყო თბილისელთა თავშეყრისა და სეირნობის ადგილი, რაც ნათლად ჩანს ბარათაშვილის ლექსშიც „ღამე ყაბახზედ“:

**„აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქაღნი
პირად-პირადად სეირნობენ, კეკლუც-მოსილნი,
და მათ გარემო შეფრფინვიდენ ყმანვილნი კაცნი,
ზოგნი დაბძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწინებით ღრუბელთ ეფარა,
რომ ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა“
(ბარათაშვილი 1968 : 93).**

ლექსში თბილისური შექცევაა დახატული – ტრფიალი და არ-შიყი, მტკვარიც კი მიჯნურს დამსგავსებია ადამიანთა შემხედვარე. ახალგაზრდა, 19 წლის ბარათაშვილი ქალებში თეთრკაბიანს გამოარჩევს. ისიც მაშინვე იცნობს პოეტს. ტატოს გულს ცეცხლი ედება, სილალეს კარგავს. ეს ქალი ადრეც უნახავს ქალთა საზოგადოებაში, მაგრამ შემდეგ თვალი აღარ მოუკრავს და, აი, ახლა ის მორცხვად დგას, „ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა“ და ყელი აუღერებია. ქალმა გაუღიმა. ამან გაამხნევა პოეტი და გამოლაპარაკება გაბედა. ლექსში დანვრილებითაა გადმოცემული მათი დიალოგი:

**„და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი ან მხიარულად!“
„გმადლობთ, – მითხრა მან, – რომ თქვენ მაინც
გახსოვართ კიდევ:
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივინყებს ისევ“**

– „**დარწმუნებული ბრძანებოდეთ, რომ ვერც მოდები
ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!**“
(**ბარათაშვილი 1968 : 93**).

ამ სიტყვებზე ქალს სახე აუწითლდა, ნიავმა თეთრი კაბა აუფრიალა და „ბუდეშური ფეფები“ გამოუჩინა. ამის შემხედვარე პოეტს ცნობა დაებინდა. სატრფო სხვამ იხმო და ისიც თვალს მიეფარა, როგორც ნათელი.

ცხადია, ამ უცნობი ქალისადმი ბარათაშვილი გამიჯნურებულია. ის დაწვრილებით აღწერს მის გამოჩენას, მასთან საუბარს, მისი სხეულის დეტალებს, თავის განცდებს. ქალი რეალური სატრფოა, ამას მოწმობს ბარათაშვილის წერილიც გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელშიაც ყაბახის სიტუაციის აღწერის შემდგომ თავიდან ბოლომდეა მოყვანილი ლექსი „ლამე ყაბახზედ“. აი, რას სწერს ბიძას ყმაწვილი დისშვილი: „**ამ წარსულს ზაფხულში, ერთ შვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შვენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელურ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება**“ (ბარათაშვილი 1968 : 170). პოეტი არ წერს გრიგოლ ორბელიანს სატრფოს ვინაობის შესახებ; შესაძლებელია, გრიგოლ ორბელიანმა კიდევაც იცის, ვინ არის მისი რჩეული. ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებისა და წერილებში გაფანტული ცნობების მიხედვით, მკვლევრები ფიქრობენ, რომ ეს ქალი ნინო ორბელიანია, მაგრამ კონკრეტულად ვინ, ვისი შვილი, ვისი ნათესავი, არ ასახელებენ. ყველგან მიღებული და საზოგადოების ცენტრში მყოფი ბარათაშვილი მას იშვიათად ნახულობს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ის არც იყოს თბილისელი. ამას ხელს უწყობს სატრფოს მორიდებულობა და ამით გამორჩეულობა სხვა ქალთაგან.

იდუმალებით არის მოსილი ბარათაშვილის სიყვარული დელფინა ლაბიელისადმი, ფრანგი კონდიტერის ქალიშვილისადმი. ამ რომანის შესახებ ცნობას გვანვდის ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგი, ლუკა ისარლიშვილი. ის ძალიან ზოგადად საუბრობს ბარათაშვილის შესახებ და ბოლოს დასძენს: „**უყვარდა ფრანცუზის,**

ბაშმაჩინის ქალი დელფინი, ძალიან უყვარდა ის ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: „რად მრისხანებ...“ თუ ამგვარი ლექსი...“ („ლიტერატურის მატრიანე“ 1840 : 387).

ლუკა ისარლიშვილის მიერ ნახსენები ლექსის სათაურია „ჩემს ვარსკვლავს“. ის 1837 წელსაა დაწერილი, მანამდე, სანამ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები ჩნდება. ლექსიდან ჩანს, რომ სატრფოს ეშხი, მისი გარეგნული სილამაზე პოეტს გულზე ცეცხლს უკიდებს და უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებს:

**„რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მალხინებელ დაბინდულის გულისა“
(ბარათაშვილი 1968 : 98).**

როგორც ჩანს, ბარათაშვილმა ამ ქალიშვილს კიდევ ერთი ლექსი მიუძღვნა – „ასტრა“, რომელიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. ამ ლექსზე საუბრობს პოეტი მიხეილ თუმანიშვილისადმი გაგზავნილ წერილში: „ბოლო წერილი მე და ზაქარია ორბელიანმა ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ ეპისტოლე, „ასტრას“ ავტორისადმი. ძალიან კარგი! ოღონდ მე მგონია, იგი მიზანს ვერ მიაღწევს, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოა. იგი არც შენთვის წერდა და არც ქვეყნისათვის, წერდა მხოლოდ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, ერთადერთისათვის. მას ესმის დამწერისა და დამწერი ამით კმაყოფილია. სხვა რაღა უნდა? შენ გაუგე თუ არა მას, ეს არც არის საჭირო. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს. ხოლო თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა თვით სიტყვისა – „ასტრა“, ამის გაგება სულ ადვილია – იგი აღებულია ფრანგულიდან „astere“, რაც ჩვენებურად, ძმაო, თავყანა, ნიშნავს: მთიები. – ასე, ჩემო ბატონო“ (ბარათაშვილი 1968 : 172). წერილიდან ნათელია, რომ ბარათაშვილი მთელი არსებით შეყვარებულია, რაკილა სატრფოს მთიებად, ცისკრის ვარსკვლავად მიიჩნევს. ჩანს, რომ სატრფოც თანაუგრძნობს მას, რადგან ესმის „დამწერისა“.

ბარათაშვილი თუმცა არ ასახელებს მის ვინაობას, მაგრამ მოყვანილი ფაქტით მიახვედრებს მეგობარს, ვინც უნდა იყოს: „ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. დღეს სალამოს წყნეთში მივემგზავრები. – რატომ? იმიტომ, რომ ი ს იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარო. როგორი იქნება ეს დღეები? ან? მაშ, მოკვდი, ბზ!“ (იქვე); თანაც ახარბებს თავის მდგომარეობას.

სხვა წერილებიდან არ ჩანს, როგორ განვითარდა ეს სიყვარული, მაგრამ ფაქტია, რომ მალევე დასრულდა. 1838 წლიდან იწყება ბარათაშვილის „ხანიერი“ და ნამდვილი სიყვარული ეკატერინე ჭავჭავაძისადმი. გრძნობის ხანმოკლეობის გამო, საფიქრებელია, რომ დელფინა ლაბიელიც, ისევე როგორც ყაბახზე ნანახი ქალი, მხოლოდ გატაცება აღმოჩნდა პოეტისათვის.

ეკატერინე ჭავჭავაძეს ბარათაშვილი ბავშვობიდანვე იცნობდა. მელიტონ ბარათაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ოჯახებით ახლობლობდნენ და ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან. 40-იან წლებში მთელ საქართველოში ცნობილია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული სალონი, რომელსაც, რა თქმა უნდა, პოეტი ბარათაშვილიც ხშირად სტუმრობს; კითხულობს კიდეც ის აქ თავის შემოქმედებას. გადმოცემით, ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ სწორედ ალ. ჭავჭავაძის სახლში წაიკითხა 1839 წელს. ბარათაშვილი მეგობრობდა ამ ოჯახის უფროს ქალიშვილებთან – ნინოსთან და ეკატერინესთან. თუ როდის გადაიზარდა მეგობრობა სიყვარულში – ამის გასარკვევად და კიდეც ამ გრძნობის დანვრილებით, თავისი პერიპეტეციებით, გადმოსაცემად მივყვით ბარათაშვილის წერილებსა და ლექსებს.

ეკატერინეს სახელი მეტაფორულად პირველად 1838 წელს მიხეილ თუმანიშვილისადმი კახეთში მიწერილ წერილში გაჟღერდა. ბარათაშვილი სთხოვს მეგობარს შეატყობინოს, თუ როგორ არის „ალაზნის ველის ქალწული“. ამ დროს მოწონება სიყვარულში ჯერ კიდევ არ იყო გადაზრდილი. სიყვარული უცებ დაატყდა ბარათაშვილს თავს. ეს იყო 1839 წელს. ტატოს ემოციური ბუნების წარმოსაჩენად ლევან მელიქიშვილს იონა მეუნარგიასთვის უამბია ლექსის – „საყურე“ – შექმნის ისტორია: „ბარათაშვილი – იყო – თურ-

მე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან სალამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

– ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი აღარა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“. და ამ სალამოს დასწერა სახსოვრად ლექსი „საყურე“ (მეუნარგია, „ლიტერატურის მატრიანე“ 1840 : 38).

ამავე პერიოდში არის დაწერილი ლექსი – „თავადის ჭ...ძის ასულს, ეკ...ნას“, რომელშიაც იხატება მომღერალი ეკატერინეს სახე:

„ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები!
.....
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილი ხმით
ვარდსა და ბუღბუღს მოელხინარე“
(ბარათაშვილი 1968 : 101).

ამას მოსდევს ლექსი „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“. აქაც სატრფო იმავე მომღერალი სახით არის წარმოჩენილი, თუმცა მის ლამაზ სახეს სევდა ეტყობა და კიდევ უფრო ამშვენიერებს „ღანწნი ნაცრემლნი“.

1839 წელსვე ეკატერინე გაათხოვეს სამეგრელოს მთავარ დავით დადიანზე. დავით დადიანი ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის ბევრად უკეთესი სასიძო იქნებოდა, ვიდრე გაღარიბებული ოჯახის შვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეკატერინე ამ ქორწინებით სამეგრელოს დედოფალი გახდა. თანამედროვეთა მოგონებებით, ეკატერინეს ჯვრისწერის დროს გული შეუწუხდა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შემონახულია ზაქარია ორბელიანის მანანა ორბელიანისადმი მიწერილი წერილიც: „ღონზე მომენია გალაგინის ცოლი და მარია პეტროვნა იმ დროს, როდესაც მე ფოშტით მივდიოდი ჩერქეზ-ქირმანიდან. დავაყენებინეთ კარე-

ტა და რამდენიმე ხანი ვილაპარაკეთ, – მათ შორის კატინას ამბავიცა, და იმის გულისწუხილიცა – ქორნილის დროსო მითხრეს, და სხვანი, და სხვანი...“ (საქართველოს ცენტრალური არქივი, საქმე № 176).

ეკატერინეს გათხოვებას მოჰყვება ბარათაშვილის სულიერი დაობლება. ლექსში „სული ობოლი“ კარგად ჩანს, რომ ეს მძიმე სულიერი მდგომარეობა „ტოლის“ დაკარგვით არის გამოწვეული. „ტოლი“ კი სატრფოა. ბარათაშვილი მომდევნო ლექსშიც – „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენი“, რომელიც ეკატერინესადმი კვლავ მიძღვნილი, იგონებს სატრფოს ცრემლიან თვალებს. ეს იმ წუთების გახსენება უნდა იყოს, როდესაც ეკატერინა ფორტეპიანოსთან მღეროდა. მაშინ ვერ ახსნა ბარათაშვილმა, რას ნიშნავდა ეს ცრემლი, მხოლოდ მერე მიხვდა სატრფოს თვალთა მეტყველებას:

**„თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას“**

(ბარათაშვილი 1968 : 107).

ამის შემდეგ გადის დრო და ბარათაშვილის შემოქმედებაში კვლავ ჩნდება იმედი. პოეტი ქმნის ლექსს – „აღმოხდა მნათი“, რომელშიც აშკარად შეიგრძნობა სატრფოსთან ურთიერთობის აღდგენა:

**„აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებერ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდარო, და მეც, გლახ, გული
მსწრაფლ განმიოთენა, შავ-ბედისგან დაღამებული“**

(ბარათაშვილი 1968 : 109).

პოეტს განუახლდა „მიყრუებულნი გულის ჭირნი“, განუახლდა წარსულ დღეთა ნეტარება, კვლავ აიღო ხელში დაჟანგებული სანთური და შეუერთა ფიქრი სატრფოს ციურ ხმას. ეკატერინესადმი მიძღვნილ ლექსებში ყოველთვის ყურადღება გამახვილებულია სატრფოს ხმაზე ან მომღერალ სატრფოზე.

რა ხდება? რისი იმედი მიეცა ბარათაშვილს? ლექსი რომ ახალი სატრფოსადმი არ არის მიძღვნილი, აშკარაა. საქმე ისაა, რომ

1940 წელს ქმართან მუდმივ უსიამოვნებაში მყოფი ეკატერინე ჩამოვიდა თბილისში და კვლავაც განახლდა მათი ურთიერთობა. ამ დროს წერს ბარათაშვილი თავის შედევრს – „**არ უკიჟინო, სატრფოო**“. ჩანს, ეკატერინეც ელოდა მისგან ტრფიალს, რაზედაც მიგვანიშნებს ლექსის დასაწყისი:

„არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა;

მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა

გრძნობათ გამოთქმა!“

(ბარათაშვილი 1968 : 110).

ლექსში სიყვარული წარმოდგენილია მშვენიერ, სამყაროს მაცოცხლებელ, სიკეთის მომტან ძალად, სულთა კავშირად, რაც მიგვანიშნებს სატრფოსთან პოეტის ჰარმონიულ და შეთანხმებულ დამოკიდებულებაზე.

ეკატერინე ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის მეგობრულ-სასიყვარულო ურთიერთობა გაგრძელებულა მთელი წელი. სწორედ ამ პერიოდში – 1840-1841 წლებში – იქმნება ეკატერინესადმი მიძღვნილი კიდევ ორი ლექსი: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ და „ცისა ფერს“. პირველი წარმოადგენს რუსეთში ცნობილი რომანსის – „С тобой вдвоем сколь счастлив я“ – გადმოკეთებას, მეორე ლექსი კი შექმნილია ალ. ჭავჭავაძის მიერ გადმოკეთებული რუსული სასიმღერო რომანსის – „ფერსა შავს“ – ანალოგიით, მაგრამ წარმოადგენს მის საპირისპირო განწყობასა და, ზოგადად, სამყაროს საპირისპირო აღქმას. საფიქრებელია, რომ ეს ლექსები ბარათაშვილმა ეკატერინესთვის სასიმღეროდ დაწერა, რადგან მხოლოდ მისთვის მიძღვნილ რვეულში შეიტანა. თავისი ლექსების კრებული ეკატერინე ჭავჭავაძეს მან 1841 წელს მიართვა. ამის შემდეგ კი მათ შორის კვლავ უთანხმოება წარმოიშვა, რაზედაც მიგვანიშნებს ბარათაშვილის მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი, საოცრად ტრაგიკული, წერილი:

„კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც ს ა გ ა ნ ი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ ... ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი

ვნახე უგულო!.. ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოციის წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. – მოიგონე ცოტა ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემობრალე. ყმანვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“ (ბარათაშვილი 1968 : 180).

რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი ტრაგიკული განცდა, რომ სამოცი წლის მოხუცივით უსყიდელია ახალგაზრდა კაცი?! სავარაუდოდ, მიზეზი ეკატერინეს ოჯახში, ქმართან დაბრუნებაა, მაგრამ, ზოგადად, პოეტის სევდა გაცილებით ბევრ ტკივილს იტევს, ვიდრე საყვარელ ადამიანთან განშორებაა. თავად დათრგუნულ ბარათაშვილს ყოფნის იმის ძალაც, რომ თავის უახლოეს ადამიანს, სულიერ მეგობარს – მაიკო ორბელიანს – ურჩიოს: „**დაიძარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან**“ (იქვე). აკ. განერელიას თქმით, ამ სიტყვებში ბარათაშვილის „სულიერი არისტოკრატიზმი“ წარმოჩნდება (განერელია 1978 : 137).

სწორედ ასეთი მწვავე სულიერი განცდის შემდეგ იქმნება ლექსი – „ვპოვე ტაძარი“. მასში გამოხატულია მშვენიერ სულთა კავშირის რღვევით გამოწვეული დიდი სულიერი ტრაგედია. მას მოჰყვება ლექსი – „ჩემთ მეგობართ“, რომელშიაც ცხოვრებისგან მწარე გამოცდილებამიღებული პოეტი მეგობრებს ურჩევს:

**„არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!**

**აშვიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!“
(ბარათაშვილი 1968 : 117)**

ლექსის დიდაქტიკურ და, ერთი შეხედვით, უდარდელ ტონში მაინც იკითხება ის დიდი ტკივილი, რომელიც პოეტს ეკატერინესთან დაშორებამ მოუტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკატერინეს შინაურობაში მოფერებით კეკელას ეძახდნენ და „კეკელა“ ქალზე ზოგადი საუბარი ორმაგ მინიშნებასა და სახელდებას შეიცავს. ეკატერინესთვისაც საწყენი უნდა ყოფილიყო ბარათაშვილის მხრიდან მისი ასეთი „გამეტება“.

1842 წელს იქმნება ბარათაშვილის კიდევ ერთი შედეგრი, რა თქმა უნდა, ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი, „რად ჰყვედრი კაცსა“. წინა ლექსებისაგან განსხვავებით, მასში მძაფრ ემოციას ფილოსოფიური განსჯა ცვლის, უაღრესად დახვეწილია პოეტური განმარტება სილამაზისა და მშვენიერების, სიყვარულისა და უკვდავების. თუმცა ლექსში მაინც შეიგრძნობა პიროვნული დამოკიდებულება კონკრეტული ქალისადმი, რომელიც, თავისი ცვალებადი გრძნობის მიუხედავად, პირიქით საყვედურობს კაცს „პირუმტკიცობას“. ვფიქრობთ, ეს ბიოგრაფიული დეტალია ლექსში ჩაქსოვილი და ეკატერინესადმი საყვედურზე მიგვანიშნებს. როგორც ირკვევა, 1842 წლის ბოლოს ისინი კვლავ შერიგებულან. ბარათაშვილმა კიდევ სამი ლექსი უძღვნა ეკატერინეს. ეს ლექსებია: „მიყვარს თვალები“, „შენნი დალალნი“ და „შევიშრობ ცრემლსა“. მათში ჩანს, რომ პოეტი შეგუებულა სატრფოსგან მიღებულ ჭირს, ტანჯვას, ცრემლს და მაინც ბედნიერია, რადგან სატრფო „ციურ ნიჭს“ – აღმაფრენას – ანიჭებს ამქვეყნად, ხოლო სიკვდილით უკვდავებას აზიარებს.

1843 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა ეკატერინე ჭავჭავაძეს მიართვა თავისი ხელით გადაწერილი კიდევ ორი რვეული (პირველი მიართვა 1841 წელს): „ლექსნი“, რომელშიც შესულია 26 ლექსი, და პოემა „ბედი ქართლისა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდგომ ეკატერინე ჭავჭავაძემ იზრუნა მის სახელზე. სწორედ მისი დამსახურებაა,

რომ პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა 60-იან წლებში ბარათაშვილის ლექსებს ეცნობა და სათანადოდ აფასებს თანამედროვეთაგან ვერშემჩნეულ გენიოსს.

1845 წელს, თავისი სიცოცხლის ბოლოს, პოეტი ნახჭევანში კვლავ ქმნის ორ სატრფიალო ლექსს, რომლებიც, საბედნიეროდ, შემოგვრჩა. საბედნიეროდ, ვამბობთ იმიტომ, რომ ბარათაშვილის ბოლოდროინდელი ლექსები, ნახჭევანსა და განჯაში დაწერილი, არ შემონახულა. ისინი არცერთ ხელნაწერ კრებულში (მაიკო ორბელიანის, ეკატერინე ჭავჭავაძის, თავად ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის) არ არის შესული. თითქმის ყველა დაიკარგა. გადარჩენილი ორი ლექსიდან ერთია „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ (ავტოგრაფი შენარჩუნდა, რადგან იგი ბარათაშვილს მაიკო ორბელიანისათვის გაუგზავნია წერილთან ერთად 1845 წლის 9 თებერვალს) და მეორე – უფრო ადრე დაწერილი, ისიც ნახჭევანში, ამავე წლის 10 იანვარს – „მადლი შენს გამჩენს“ (ლექსის ავტოგრაფი არ შემონახულა; ის ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ – 1863 წ. № 2). ეს ნაწარმოებები წერილებთან ერთად ხელს გვიწყობს პოეტის ბიოგრაფიის სრულყოფაში, რადგან ყველაზე უფრო ცხადად წარმოაჩენს იმ ფიქრსა და გრძნობებს, რომლებითაც პოეტი სულდგმულობდა.

ორივე ლექსში ფიგურირებს სატრფო, ერთში კი აქცენტი სატრფოს დაკარგვით გამოწვეულ უბედობაზეა გადატანილი. პოეტის უბედობა, მთელი მისი შემოქმედებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის; უბრალოდ, საინტერესოა, ამჯერადაც ჰყავს თუ არა ლირიკულ სატრფოს ადრესატი, რამდენად ძლიერია პოეტის გრძნობა მისადმი და განსხვავდება თუ არა მხატვრული თვალსაზრისით ეს ლექსები ადრეული სატრფიალო ნიმუშებისგან. ლექსის – „მადლი შენს გამჩენს...“ – მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სატრფო ლამაზი, წყნარი, შავთვალეა ქალია და ძნელად თუ მიესადაგება პოეტის მუზას, ცისფერთვალა ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც ამ დროს დიდი ხნის გათხოვილია (1839 წ.); დარღვეულია აგრეთვე ტატოსა და ეკატერინეს მეგობრობაც, რომელიც ეკატერინეს გათხოვების შემ-

დგომ აღდგა და რამდენიმე ხანს გრძელდებოდა (1840-1841 წწ). სატრფოს მშვენიერ, „ცისა ფერის“ თვალებს ლექსში შავი თვალები ცვლის, ამაღლებულ განწყობას კი, ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, – მდაბიური, „როგორღაც ფიქრში მოსული“. ლექსი თავისი საზომით (16-მარცვლიანი დაბალი შაირით, „მე ვარ და ჩემი ნაბადის...“ ხმაზედ თქმული) და ხალხური ლექსისათვის დამახასიათებელი ინტონაციით საგრძნობლად განსხვავდება ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი, დახვეწილი, ფილოსოფიური, არქაისტული ენითა და მაღალი სტილით შექმნილი ლექსებისაგან. პოეტის ადრესატი ან სხვა არის, ან – არავინ. თუ არსებობს ეს სხვა და იქაურია, ნახტევანელი, მაშინ კიდევ უფრო მკვეთრი ხდება მინიშნება უცხოეთში, სატრფოს ქვეყანაში, დროებით მყოფი მგზავრისა:

**„ყარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად – ბასრი ხანჯალი“
(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ., გვ. 134).**

ნახტევანიდან მაიკო ორბელიანთან გამოგზავნილ წერილებში გამოკრთის ერთი იქაური ქალის სახე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გამოკრთის და უფრო მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. პოეტი მის შესახებ წერს: „ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. – ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის; ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. – ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის“ (ბარათაშვილი 1968 : 194). სათარა

ცნობილი ირანელი მომღერალი ყოფილა, აღმოსავლეთის ჰანგების დიდოსტატი. ნიკოს ძალიან უყვარდა მუსიკა და დიდ პატივს სცემდა სათარას ხელოვნებას; მისი დის – ბარბარე ვეზირიშვილის – თქმით, სადაც კი წავიდოდა, სათარა ყველგან თან დაჰყავდა თურმე.

წერილის მესამე გვერდის არშიაზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით: **„ტატო დღე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გწამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ., გვ. 194).** მაზრის უფროსის ეს მინაწერი გონჩა-ბეგუმს ეხება. ჩანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაინტერესება ამ ქალბატონით საკმაოდ სერიოზულია და თუნდაც წარწერა სახუმარო ყოფილიყო, პოეტის დამოკიდებულება სცილდება ხანის „ლამაზი და მარილიანი“ ასულის პოეზიით გამონვეულ ხიბლს.

ამგვარადვე უნდა აღექვა ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანსაც და თუმცა მისი პასუხი ტატოსადმი აღარ არის შემორჩენილი (ბარათაშვილის არქივი მისი სიკვდილის შემდეგ, სანამ პოეტის დედა და ილია ორბელიანი ჩავიდოდნენ განჯაში, განადგურდა; 1844-1845 წლების ნაწარმოებებიცა და წერილებიც გაიბნა და დაიკარგა), ბარათაშვილის შემდეგი ბარათიდან, რომელიც კვლავ ნახჭევანიდან არის გამოგზავნილი, ვიგებთ, რომ მაიკო დაინტერესებულა ამ ამბით და გონჩა-ბეგუმი თავისი ძმობილის სატრფოდ თუ არა, გატაცებად მაინც მიუჩნევია. სწორედ ამის უარყოფას ცდილობს ბარათაშვილი, როდესაც წერს: **„საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდეც შევარიგე ცოლ-ქმარიო“ (ბარათაშვილი 1968 :195).**

1844 წლის 10 იანვრიდან (ეს არის ლექსის – „მაღლი შენს გამჩენს“ – დაწერის თარიღად მიჩნეული დრო ილია ჭავჭავაძის მიხედვით) – ამავე წლის 9 თებერვლამდე (მაიკო ორბელიანის წერილზე მითითებულ თარიღამდე) – ერთი თვეც არ არის გასული და მკვეთრად იცვლება პოეტის განწყობა; კვლავ სახეზეა უიმედობა, სატრფოს დაკარგვით გამონვეული; აღარ ჩანს სილაღე, რომელსაც ლამაზი ქალის ხილვა იწვევს. მართალია,

განცდა იმ ტრაგიზმს ვერ აღწევს, რომ პოეტი „უენო მსხვერ-
პლად“ („მიყვარს თვალები მიბნედილები“, 1942 წ.) მივიჩნიოთ,
მაგრამ, ვფიქრობთ, ხელახალი იმედგაცრუების კვალი ლექსში
ნამდვილად შეიგრძნობა.

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ბარათაშვილს გრძნობა
გონჩა-ბეგუმისადმი და მიუძღვნა თუ არა მას „მადლი შენს
გამჩენს, ლამაზო“, მაგრამ ერთი კი ცხადია, ნახჭევანში დაწე-
რილ მეორე ლექსში – „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, რომე-
ლიც იმავე საზომით არის შესრულებული, რომლითაც ერთი
თვით ადრე დაწერილი „მადლი შენს გამჩენს“, კვლავ ჩნდება
დიდი სიმძიმელი და უიმედობის განცდა. სასტიკი ქარი პოეტს
სიცოცხლის დამატებობელ ყვავილს წაართმევს, ციური ცვარით
დანამულს, მის ადგილს კი „უჟამო დრო“ ცრემლით შეცვლის:

**„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღესილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;
დრომ უჟამურმან ან ცრემლით შესვარა მისი სახელი!“
(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ., გვ. 135)**

ლექსი თავისი განწყობითა და მსოფლხედვით გვახსენებს
ბარათაშვილისავე ნაწარმოებს – „ვპოვე ტაძარი“, დაწერილს
1841 წელს, როცა პოეტს საბოლოოდ გადაეწურა ეკატერინე
ჭავჭავაძისაგან საპასუხო სიყვარულის იმედი. ბარათაშვილი
არც აქ ღალატობს თავის მიერ წინა წლებში უკვე ჩამოყალი-
ბებულ, შეიძლება ითქვას, დაკანონებულ ხედვას სიყვარულის
ღვთაებრიობის შესახებ და ამ გრძნობას ამჯერადაც „ციური
ცვარით“ დანამულს წარმოგვიდგენს, ისეთივე ენობრივი ფაქ-
ტურით, როგორითაც სხვა ლექსებია დაწერილი, ლირიკოსის
მნიგნობრული ენით. ბარათაშვილის სტილში პოეტის მხოლოდ
ზოგიერთი ლექსი არ „ჯდება“ – ერთ-ერთი მათგანია „მადლი
შენს გამჩენს“ – რასაც ფოლკლორის გავლენით ხსნიან. ჩვენ
არ გამოვრიცხავთ ცხოვრებისეულ სიახლესაც, რაც გავლენას
ახდენს ლექსის განწყობაზეც და საზომზეც; ხოლო, როცა სი-
ახლე ქრება, პოეტიც თავისივე ჩვეულ სტილში ექცევა. ვგუ-

ლისხმობთ მეორე ლექსს – „დამქროლა ქარმან სასტიკმან...“ – რომელიც იმავე საზომითაა დაწერილი, რომლითაც – „მადლი შენს გამჩენს“, მაგრამ პოეტის სხვა ლექსთა სტილისგან ვერაფრით განასხვავებ. ბარათაშვილის შემოქმედებას პოეტური მეტყველების მხრივ აჩნევია ქართული ჰიმნოგრაფიის, ზოგადად, ძველი ქართული ლიტერატურის, დიდი გავლენა. ეს გავლენა ძალზე თვალსაჩინოა ბოლო ლექსშიც.

დრომ უჟამურმან ან ცრემლით შესვარა მისი სახელი!
(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ., გვ. 135) – ამ სტროფმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს ცნობილი ნაწყვეტი, ღვთისადმი მიმართვა, „ვეფხისტყაოსნიდან“:

**„ ... ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“
(რუსთაველი 1966 : 826).**

„ვეფხისტყაოსნის“ „უჟამო ჟამში“ ანუ „უდროო დროში“ თუკი ღმერთი იგულისხმება და ეს ცხადზე ცხადია ღვთის სახელთა განმარტების კატაფატიკურ-აპოფატიკური მეთოდის საფუძველზე, ბარათაშვილის სიტყვებშიც – „დრომ უჟამურმან“ – უფალი ხომ არ უნდა დავინახოთ?! რომელი უფრო სწორია – ავი დრო (როგორც ჩვენ ტრადიციულად გვესმის) ცვლის სიყვარულის ადგილს ცრემლით, თუ – ღმერთი?

ბარათაშვილის „ჩემი ლოცვის“ მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, პოეტი სწორედ უფალს ევედრება „ვნების ქართაგან დაცვას“ და „მყუდროების სადგურს“. ე.ი. ღმერთი განსაზღვრავს ადამიანის ბედს და არა – დრო. ღმერთი კი „უჟამო ჟამია“ ანუ „უჟამური დრო“. ასე რომ, შესაძლებელია ბარათაშვილის სიტყვებშიც – „დრომ უჟამურმან“ – ქართული, ტრადიციული, ქრისტიანული მსოფლხედვისათვის დამახასიათებელი, ღვთის სახელთა გამმოცემის საუკუნოვანი გზა დავინახოთ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება არც რომანტიკოსებისათვის ყოფილა უცხო, რადგან იგი მუდმივად აისახებოდა ტრადიციულ მხატვრულ აზროვნებაში; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ ერთი რამ – ღვთისა და სოფლის დუალიზმის არსებობა, რაც ასე თვალსა-

ჩინოა ორივე პოეტთან. რუსთაველთან საწუთრო უპირისპირდება „უჟამოს“, სოფელი – ღმერთს; ღმერთი მფარველობს სოფლისგან განაწირს:

**„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ,
რა ზნე გჭირსა!...
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა,
შენგან განაწირსა“
(რუსთაველი 1966 : 940).**

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საწუთრო და სოფელი ისევე, როგორც ჟამი და ბედი, რუსთაველთან დასაძლევია, განგება კი – ვერა. განგება ღვთის ნებაა: **„განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“ (188), „უგანგებოდ ვერას მიზმენ“ (1027), „განგებაა არ დავრჩები, ლახვარია ჩემთვის მზანი“ (1027), „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ (786).**

ბარათაშვილთანაც ჩნდება საწუთრო და ბედისწერა (შავი ყორანი ხომ ავი ბედის პერსონიფიკაციაა), პოეტი კი არასოდეს უშინდება მათ:

**„მწუხრი გულისა – სევდა გულისა
– ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“
(ბარათაშვილი 1968 : 89).**

ჩვენ წინაშე კიდევ ერთხელ ისმება კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს „დრომ უჟამურმან“ – ავ ბედს, რომლის პერსონიფიკაცია შავი ყორანია, თუ განგებას, ღვთის ნებას? ჩვენი აზრით, ავი ბედის სახე ლექსში სასტიკი ქარია, „უჟამურ დროს“ კი განგების მნიშვნელობა ენიჭება; თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ბედის დაძლევა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში ძირითადი მიზანია, ბარათაშვილთან კი მხოლოდ ბედთან ბრძოლა და მისი გადალახვის იმედი ჩანს; განგება და „მხვედრი“ კი თუმცა განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის მკვეთრი

ზღვარი არ ევლება. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას, რომ პოეტის სიტყვებში – „დრომ უჟამურმან“ – ღმერთი და განგება დავინახოთ. რეალურადაც უბედობა ბარათაშვილს განგებად გადაექცა.

იგივე შეიძლება ვთქვათ გონჩა-ბეგუმზეც. სამწუხაროა, უბედობაა, რომ მისი ლექსის ბარათაშვილისეული თარგმანი, მაიკო ორბელიანისადმი დაპირებული, აღარ არსებობს (შესაძლებელია, რომ მისი თარგმნა ვერც მოასწრო ბარათაშვილმა, იმდენად მოკლე დროში დატოვა ნახჭევანი). სამაგიეროდ, ამ ქალის სახელი ბარათაშვილის წერილიდან გახდა ცნობილი აზერბაიჯანელი ლიტერატურათმცოდნეებისთვის. დღემდე საკამათოა მისი წარმომავლობა. ნახჭევანის სახანო 1828 წლის თურქმენ-ჩაის ზავის საფუძველზე გადავიდა რუსეთის მფლობელობაში. უკანასკნელ ხანს – ექსან ქენდერლუს – ნაიბის ტიტული მიენიჭა. რუსეთის მთავრობამ მას და მის მემკვიდრეებს უარი ათქმევინა ხანობაზე საკმაოდ დიდი თანხის საფასურად. დღესდღეობით ცნობილია, რომ ექსან ხანს ქალიშვილი, სახელად გონჩა, არა ჰყოლია. შესაძლებელია, გონჩა მისი რომელიმე მემკვიდრის ქალიშვილი იყო. ამ ქალბატონის შესახებ ზუსტად ვიცით მხოლოდ ის, რომ იყო გათხოვილი; როგორც წარჩინებული წრის ადამიანი, იცოდა წერა-კითხვა, ჰქონდა პოეტური სული და შებოჭილი იყო ისლამის მკაცრი კანონებით, რომლებიც ქმართან განშორების უფლებას არ აძლევდა. ბარათაშვილის დაინტერესება მისი პოეზიით გონჩა-ბეგუმის ლექსების ჭეშმარიტ ღირებულებაზე მეტყველებს. ბარათაშვილმა საჭიროდ ცნო გადაეწერა ნახჭევანელი ქალის ერთ-ერთი ლექსი, ეთარგმნა და თბილისში ახლობლებისთვის გამოეგზავნა. ე.ი. მან ამ ქალბატონში სილამაზესთან ერთად პოეტი დაინახა. ამ შორეული ამბიდან კი ჩვენამდე მხოლოდ ყვავილის „დანაჭკნობმა“ ფურცლებმა მოაღწია, რომლებმაც მაინც დაგვატკბო, რადგან ეს ყველაფერი ბარათაშვილის „მოძულებულ“ სიცოცხლეს ეხება:

„აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს,

მისსა დანაჭკნობს,

მოძულებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა

დამატკობს.

**მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი
ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა“
(ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ., გვ. 135).**

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში „შემთხვევით“ (თუ საგულდაგულოდ) გაჟღერებულმა რამდენიმე წინადადებამ და პოეტის ორმა უკანასკნელმა ლექსმა საშუალება მოგვცა გონ-ჩა-ბეგუმზე, 18 წლის ნიჭიერ პოეტ ქალზე გვესაუბრა, ხანის „ლამაზ და მარილიან“ ასულზე; მისი სახელი დრომ ბოლომდე მაინც ვერ მოსპო; „განგებამ“ ის ქართველი პოეტის, დიდი პოეტის, გრძნობებსა და ფიქრებში შემოგვინახა. ჩვენ მივაკვლიეთ იმ ლექსსაც, რომლის თარგმანსაც ბარათაშვილი აპირებდა. ლექსი შესულია აზერბაიჯანელ ქალთა ანთოლოგიაში (იხ. სქოლიო 13).

სიკვდილის შემდგომი ბიოგრაფია

ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენების საკითხი პირველად გაზეთმა „დროება“ დააყენა 1876 წელს, ბარათაშვილის კრებული ცალკე წიგნად გამოსვლისთანავე; აღიძრა შუამდგომლობაც მთავრობის წინაშე, მაგრამ თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

1891 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიაში“ განჯელმა კორესპონდენტმა დაბეჭდა წერილი, რომელშიაც მოთხრობილი იყო ბარათაშვილის საფლავის გაურკვეველ მდგომარეობაზე. კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ ქალაქის ადმინისტრაციას მიზნად აქვს ეკლესიის გალავანში, სადაც პოეტი იყო დასაფლავებული, გზა გაიყვანოსო. ამ წერილს მაშინვე გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“ საკმაოდ ვრცელი წერილით; მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე კი პოეტის ნეშტის გადმოსვენების საკითხის მოგვარებას შეუდგა. რაკი ხელისუფლებას პრესაში დაბეჭდილი წერილისათვის ყურადღება არ მიუქცევია და თავისთავად არც თანხა გაუღია, ცხადი იყო, რომ გადმოსვენება საზოგადოების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში დაარსდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენების ფონდი. შემონირულობა საქართველოს ყოველი კუთხიდან იყო გაღებული. 1892 წლის 9 ოქტომბერს მოეწყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კრება. სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„საგანი განხილვისა: მოხსენება საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძისა პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების შესახებ.

განჩინება: ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა. დაინიშნოს თანაშემწედ: თ. (ნ.) ორბელიანისა, ა. ჭყონია და დ. კარიჭაშვილი“.

ნებართვა მთელი თვეები დაგვიანდა. მხოლოდ 1893 წელს მიიღეს თანხმობა პოეტის დებმა და უახლოესმა ნათესავებმა ნ. ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენების შესახებ. იმავე წელს თბილისიდან განჯაში გაემგზავრნენ: ნ. ბარათაშვილის ბიძაშვილი

– გიორგი ილიას ძე ორბელიანი და „ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების“ წევრები – გ. იოსელიანი და ა. ქყონია.

ბარათაშვილის ნეშტი თბილისში გადმოსვენეს 1893 წლის 25 აპრილს. მისმა დაკრძალვამ სახალხო მღელვარების და ეროვნული გამოსვლის სახე მიიღო. თბილისის ჟანდარმერიის უფროსმა ამ ფაქტის თაობაზე პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტში საიდუმლო მოხსენებაც კი გაგზავნა, რომელშიაც ირონიულად, თუმცა დანვრილებით აღწერდა პოეტის გადმოსვენებას: „**ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი განჯიდან თბილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა. ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ამ საუკუნის დამდეგს და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოსვენეს თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწინებით მიაბარეს მიწას. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს**“.¹ მოხელის მოხსენება, რა თქმა უნდა, ცოტა გადაჭარბებულია, ჩინოვნიკის ტიპური წერილია ზემდგომისადმი, საფრთხის შესახებ შეტყობინება, მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ეს ბარათი გამოხატავს ყველაზე მეტად ქართველი ხალხის სულისკვეთებას თავისი დაუფასებელი შვილისადმი.

ბარათაშვილი დიდუბის ეკლესიის ეზოს შუა ადგილას დაკრძალეს. ძეგლს, რომელიც პოეტს 1905 წელს დაუდგეს, დაანერეს პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების წლები და პატარა ნაწყვეტები მისი ლექსებიდან.

¹ წერილი მოგვყავს პავლე ინგოროყვას მონოგრაფიიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი 150“, თბ., 1968, გვ. 80.

1938 წლის 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, ხელახლა გაითხარა პოეტის სამარე დიდუბის პანთეონში. ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების კომისიის წევრთა – ა. მაშაშვილის (ალიო მირცხულავა), შ. დადიანის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილისა და პროფ. ვლ. ჟღენტის – თანდასწრებით პოეტის კუბო მთანმინდაზე გადააბრძანეს და 12 საათსა და 45 წუთზე ახალ სამარეში ჩაასვენეს.

ბარათაშვილის აღიარება

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლეში მისი არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა. თანამედროვენი თითქოს აფასებდნენ მას და გული შესტკიოდათ პოეტის უდროოდ და უპატრონოდ გარდაცვალების გამო, მაგრამ მათმა ცალკეულმა მცდელობამ არ გამოიღო ის შედეგი, რომ საზოგადოება (და არა ვინრო არისტოკრატიული წრე) გასცნობოდა ბარათაშვილს და სათანადოდ შეეფასებინა მისი შემოქმედება. პოეტის სახელი თანდათან და ნელ-ნელა ხდებოდა პოპულარული.

ბარათაშვილმა რომ თავის მეგობართა წრეს უსაზღვროდ გული დასწყვიტა, ეს უდავო ფაქტია, მაგრამ სათუო საკითხად რჩება, თუ რამდენად აღიქვამდნენ მეგობრები მის დიდ ტალანტს, მის მასშტაბურ აზროვნებას, მის ადგილს და როლს ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ამ ყოველივეს გააზრებას გარკვეული დრო დასჭირდა. მეგობართა გლოვას ბარათაშვილის გარდაცვალების გამო კარგად გამოხატავს ლევან მელიქიშვილის, ბარათაშვილის უახლოესი მეგობრის, წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი: „**მე მასში დავკარგე არა მხოლოდ სკოლის ამხანაგი, არამედ მეგობარი, რომელსაც ბავშვობიდანვე ვუშლიდი ჩემი გულის ყველა ხვეულებს და რომლის მეგობრული გრძნობის მე ღირსი ვიყავ. ძნელია დაჰკარგო ადამიანი, რომელიც თბილის გულითა და თბილის სულით შერიგების გრძნობას გიღვიძებს ადამიანებისადმი... ძნელია სულით დაობლება! და არა მხოლოდ მე დამატყდა თავს ეს საშინელი დანაკლისი!**“ (მელიქიშვილი). ამ წერილში მხოლოდ პირადი განცდებია გადმოცემული მეგობრის დაკარგვის გამო და სხვაგვარი დაფასების ძიება არც

არის მიზანშეწონილი, რადგან მძიმე წუთებში ყოველთვის წინა პლანზე დგება პირადი განცდა, მწუხარება და არა საზოგადოებრივი თვალსაზრისით ახლობელი ადამიანის შეფასება. გარკვეული დროის შემდეგ სწორედ ლევან მელიქიშვილი ხდება ბარათაშვილის ლექსთა შეკრებისა და გამოცემის ინიციატორი. 1846 წლის 19 (31) იანვარს ის სწერს გრიგოლ ორბელიანს: „**ეხლა გახარებ, თუ როგორ აფასებენ განსვენებულს და მის ნიჭს მისი ნაცნობნი. 14 იანვარს, წინოს სახელობის დღეს, ჩვენ, რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი, ვსადილობდით რევაზ ანდრონიკაშვილთან. ჩვენ შორის იყო ყაფლან, რომელსაც ვთხოვეთ ემღერა „სულო ბოროტო“. მაგრამ, წარმოიდგინე, არა თუ არცერთმა ჩვენგანმა არ იცოდა ზეპირად ეს მშვენიერი ლექსი, არამედ არცერთს არ ჰქონდა იგი, და ყველანი გულითადად ვწუხდით, რომ მშვენიერი ნაწარმოებნი განსვენებულისა იკარგებოდა. მაშინვე შემოტანილ იქმნა წინადადება დაგვებეჭდა ყველა ლექსები განსვენებულისა ჩვენს ხარჯზე. მეორე დღეს გავმართეთ ხელმოწერა, რომლითაც განსვენებულის ნათესავებსა და მეგობრებს ვთხოვეთ შემოწირულება დასაბეჭდად, როგორც მისი საკუთარი ნაწერებისა, ისე თარგმანებისა, რათა დავიცვათ შთამომავლობისათვის განსვენებულის თხზულებანი... ახლა შენთან აი რა სათხოვარი გვაქვს: 1. დასწერო ... თუ შესაძლოა ლექსად, წინასიტყვაობა წიგნისათვის და ბიოგრაფია განსვენებულისა, აგრეთვე ეპიტაფია ძეგლისათვის; 2. გამოგვიგზავნო, თუ კი გაქვს, მისი რაიმე ლექსები ანდა წერილები, რომლებიც ღირსნი არიან დაბეჭდვისა... არ ვიცი „ბედი ქართლისა“ როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ადგილი ძალიან თავისუფალი არი. თუ გასწორდება, კარგად იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი პოემა...“ (მელიქიშვილი).**

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის გარდაცვალების შემდგომ იწყება ფიქრი მის დაფასებაზე, ნაწერთა შეგროვებასა და გამოცემაზე. გამოცემის მიზეზი ერთი გარკვეული გარემოებაა, ნაწერები იკარგება, ზეპირგადმოცემა კი დავინწყებას ექვემდებარება; ბარათაშვილის ლექსები ახლობლებსაც კი აღარ ახსოვთ და არც სახლში მოეპოვებათ. ვფიქრობთ, მელიქიშვილის ინიციატივა უფრო

მეტად ახლობლის დაფასებაა და არა აღიარება; ახლობლისათვის ზრუნვა უფროა, ვიდრე გადაუდებელი საქვეყნო საქმისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მის სიტყვებში ჩანს ზრუნვაც შთამომავლობაზე. ჩვენს აზრს განამტკიცებს ისიც, რომ ვერც ლევან მელიქიშვილმა და ვერც გრიგოლ ორბელიანმა ვერ შეძლეს ჩანაფიქრის განხორციელება. იოსებ ბოცვაძეს თავის წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი და XIX საუკუნის ქართული პრესა“ გამოაქვს შემდეგი დასკვნა: **„ამრიგად, სჯა-ბაასი და მიწერ-მოწერა ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გამოცემის შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვინრო მეგობრულ წრეს და ოჯახის ფარგლებს არ გასცილება“ (ბოცვაძე 1968 : 10).**

ბარათაშვილის ლექსები პირველად გიორგი ერისთავმა დაბეჭდა და ჟურნალ „ცისკარში“, 1852 წლის მე-4 ნომერში. ეს ლექსებია: „ბუღბუღი ვარდზედ“, „ჩემი ლოცუა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა“), „სულო ბოროტო“. ამ ოთხი ლექსის დაბეჭდვას დიდ დამსახურებად უთვლიან გიორგი ერისთავს ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი.

აპოლონ მახარაძე წერს: **„... ნ. ბარათაშვილს დიდი სამსახური გაუწია გიორგი ერისთავმა. გ. ერისთავმა 1852-1853 წლებში ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის მთელი რიგი ლექსები. ამით მან, ჯერ ერთი, ეს ნაწარმოებები მოსალოდნელ დაღუპვას გადაარჩინა, და, მეორეც, თუ აქამდე ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ვინრო ლიტერატურული წრეების საკუთრებას შეადგენდა, ბეჭდვის საშუალებით მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ეს უბრალო დამსახურება როდია გ. ერისთავის მხრივ“ (მახარაძე აპ. 1967 : 321).**

დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობთ, რომ კრიტიკოსის შეფასება გადაჭარბებულია. გ. ერისთავის „ცისკარი“ სავსეა მდარე ხარისხის უნიჭო ავტორების შემოქმედებით. თანაც, გ. ერისთავი ყველაზე კარგად იცნობდა ბარათაშვილის ნაწერებს, რადგან ორივე შემოქმედი ერთ ლიტერატურულ წრეში ტრიალებდა, რომელიც ძირითადად ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვა-შეფასებით იყო დაკავებული. მას შეეძლო მოეძიებინა და უფრო

ფართო მასშტაბით გაეცნო ბარათაშვილი, ნამდვილი კლასიკოსი, ქართველი მკითხველისათვის.

გიორგი ერისთავის დამსახურებაზე წერს იოსებ ბოცვაძეც: „იმისათვის, რომ გ. ერისთავს მკითხველ საზოგადოებაში გაელ-ვიძებინა ინტერესი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისადმი, რომელიც თანდათანობით მივიწყებას ეძლეოდა, 1852 წლის „ცისკარის“ IV ნომერში გამოაქვეყნა პოეტის ოთხი ნაწარმოები... ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობის უმცირესი ნაწილი ბეჭდური სახით მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ“ (ბოცვაძე ი. 1968 : 10). თუმცა კრიტიკოსი აქვე შენიშნავს, რომ ოთხი ლექსის მეტი გ. ერისთავის „ცისკარში“ ბარათაშვილის ლექსები აღარ გამოქვეყნებულა და „ამ უცნაურ გარემოებას“ სავარაუდო ახსნას უძებნის: „სათეატრო და სარედაქციო მუშაობით გადატვირთულ „ცისკარის“ რედაქტორს აღარ ეყო დრო და ენერგია მოეძია არისტოკრატიულ საზოგადოებაში გაფანტული ბარათაშვილის ხელნაწერები, ხოლო ხელნაწერთა მფლობელნი ვერ იმეტებდნენ ძვირფას საუნჯეს რედაქციისათვის გადასაცემად; მათი შეგნების დონე ჯერ კიდევ ვერ პასუხობდა ეპოქის მოთხოვნილებას“ (ბოცვაძე ი. 1968 : 10).

მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილის ეპოქამ შესაბამისად ვერ დააფასა შემოქმედი, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება პირადად გიორგი ერისთავის გაულწრფელ სიყვარულში ბარათაშვილისადმი; ამას მოწმობს ამავე ნომერში დაბეჭდილი ერისთავის ლექსი – „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ ბარათაშვილის გარდაცვალების პერიოდში უნდა იყოს დაწერილი. ავტორი გულწრფელი სინანულით დასტირის უდროოდ გარდაცვლილ პატრიოტს:

„ჰოი, ჭაბუკო, ახლად სოფელს კნინ გადაშლილო,
ყოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო,
რა სოფელს შეხველ, სათნოება ისხივ-ცისკარე,
შენ მშობელს მამულს რად შემოსწყერ ობლად დაგვყარე?
იქნებ სოფლისა მღელვარება ვერ შეინწყნარე?
ანუ ანგელოზთ შეიშურეს და აღგაფრინეს,

თვისთა გუნდ შიგან დაგამკვიდრეს ფრთენი შეგასხეს?
რაც მიგვეფარე ცას შევსცქერი და დღე ბნელდების,
უყურებ ტატო რომლის ვარსკვლავით გამობრწყინდების,
თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,
და მციურ მცხოვრებთ უგალობებ დამღერ ჩანგზედან,
ანგელოსთ დასნი, გეხვევიან ყურს დაგიგდებენ,
მერე ცის სივრცეს ლაჟვარდოვანს განავარდებენ?
ვგონებ ქმუნვათა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას,
ხედავ რა შენ ძმათ თვისსა შორის შურსა, მტერობას,
მაგრამ შეგვინდონ, შეგვავედრე ცისა მცხოვრებთა,
და ნუ მოგვეკითხვენ, სოფლიურსა ჩვენთა ცოდვებსა“
(ყურნალი „ცისკარი“, 1852 წ., № 5).

ბარათაშვილის სათანადო შეფასება იწყება 60-იანი წლებიდან. ახალმა თაობამ ზუსტად განსაზღვრა ბარათაშვილის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და სამართლიანად აღიქვა უდროოდ დაღუპული პოეტი გენიოსად. ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის როლი. მან აღმოაჩინა ბარათაშვილი და აღმოაჩენინა ის ქართულ საზოგადოებასაც.

პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემ, თავადაც ახლადფეხადგმულმა ქართულ მწერლობაში, არაფერი იცოდა ბარათაშვილის შესახებ; უბრალოდ გადაკითხული ჰქონდა მისი რამდენიმე ლექსი, „ცისკარში“ დაბეჭდილი 1852 და 1858 წლებში. ნ. ბარათაშვილის მთლიანი შემოქმედება ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. და, აი, 1858 წელს ილია პეტერბურგში გაეცნო ბარათაშვილის ნაწერებს. ილიას ბავშვობის მეგობარი, კოსტა აბხაზი ასე იხსენებს ამ ამბავს:

„...ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვენვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო:

„ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“ (კ. აბხაზი 1940 : 564).

1860 წელს დაწერილ ლექსში – „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ – ილია იხსენებს იმ უსაზღვროდ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც თითქმის უცნობი პოეტის ლექსებმა მასზე მოახდინა:

**„როს წარვიკითხე მისი ლექსები
ვერარა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუსარ შუბლმა!
ხოლო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკენესე დაობლებულმა!“
(ჭავჭავაძე 1987 : 100).**

„ციური შუქით დაობლებაში“ ილია შესაძლოა ბარათაშვილის ეკატერინე ჭავჭავაძისადმი სიყვარულს გულისხმობდა და თავადაც, ალექსანდრა ჩაიკოვსკაიაზე უიმედოდ შეყვარებულმა, თავი ობლად იგრძნო. ამავე წელს დაწერილ მეორე ლექსს – „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ – ილია ბარათაშვილის სიტყვებს წარუმიძღვანებს – „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის...“ სწორედ ამ მეორე ლექსში გვაძლევს პოეტი ბარათაშვილის გენიის შეფასებას. პიროვნულ დამოკიდებულებასთან ერთად წარმოჩნდება საზოგადოებრივი მნიშვნელობა პოეტისა და მისი აზროვნების თვალსაწიერი:

**„არა დედ-მამა, – მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვისლა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ღებენა?
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა!
(ჭავჭავაძე 1987 : 107).**

უფრო მოგვიანებით, 1892 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში – „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ – ილიამ ყველაზე ვრცლად და, ამავე დროს, სიღრმისეულად განიხილა ბარათაშვილის შემოქმედება და ასეთი შეფასება მისცა მგოსანს: „ჩვენ სახეში არა გვექონდა და არცა გვაქვს ისე ვრცლად გამოკიდება არც ერთის ჩვენის მწერლისა, რომელთაც ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს აზრთა ზრდაში, როგორც მოგვიხდა ნ. ბარათაშვილის შესახებ. გზა-კვალი მისის პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასაჯერი იყოს. იგი ობოლი მარგალიტია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდმარტოა ჩვენს მწერლობაში. არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევნი“ (ჭავჭავაძე 1991 : 544).

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი კრებული პოეტის გარდაცვალებიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1876 წელს გამოვიდა პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. კრებული შეიცავს 30 ლექსს და პოემას – „ბედი ქართლისა“. მეორე გამოცემა, 1879 წლისა, გამეორებია პირველი გამოცემის. პოეტის შემოქმედებაზე იბეჭდება წერილები გაზეთ „დროებასა“ და „ნოვოე ობოზრენიაში“; მის შემოქმედებას სწავლობენ ილია ჭავჭავაძის დროსაც და მის შემდგომაც. ნ. ნიკოლაძე, დ. კარიჭაშვილი, კ. აბაშიძე, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, მ. ვეზირიშვილი, პ. მირიანაშვილი, რ. ფანცხავა, ი. გედევანიშვილი, ფ. მახარაძე, ივ. გომართელი და სხვები საფუძვლიანად იკვლევენ პოეტის შემოქმედებას, მაგრამ ბარათაშვილის სახელისათვის ზრუნვა ძირითადად ილიას დამსახურებაა.

1893 წლის „ივერიაში“, ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების საკითხების გაშუქებასთან ერთად, იწყება პოეტის პოპულარიზაცია, დაფასება როგორც პიროვნებისა და როგორც პოეტის; წარმოჩენა მისი ცხოვრებისეული ეპიზოდებისა და შემოქმედების, მიძღვნა ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევებისა და ლექსების. ეს არის ბარათაშვილის მიზანმიმართული აღიარება „ივერიის“ რე-

დაქციის მიერ, რომელსაც გაცილებით ადრე იმსახურებდა ტატო ბარათაშვილი. „ივერია“ ამზადებს საზოგადოებას მეტად მნიშვნელოვანი ფაქტისთვის – ეს განჯაში გარდაცვლილი ბარათაშვილის საქართველოში გადმოსვენებაა. 1893 წლის „ივერიის“ 18, 20, 21, 22, 23, 24 აპრილის ნომრები იხსნება შავარშიაშემოვლებული, პირველივე გვერდზე, გაზეთის სათაურის ქვეშ დაბეჭდილი განცხადებით: **„კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქმნება განჯიდგან ტფილისს ნეშტი პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ეუწყებთ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს, დილის 9 ½ საათზედ, რკინის გზის ვაკზალზედ, საიდგანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბეს, მღვთის-მშობლის ეკლესიაში“** („ივერია“ 1993 : № 78, № 80, № 81, № 82, № 83, № 84). გაზეთის 85-ე და 86-ე ნომერი, რომლებიც გამოვიდა პოეტის გადმოსვენებისა და მის შემდეგ დღეს, მიეძღვნა მთლიანად ბარათაშვილს.

1893 წლის „ივერიის“ 85-ე ნომერს წამძვარებული აქვს ბარათაშვილის სიტყვები: **„ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმანვილკაცობას? ...“** და **„მაგრამ სანუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?...“** გაზეთის სათაურის ქვეშ დიდი და გამოყოფილი შრიფტითაა მითითებული: **„დღეს დიდუბეში მიაბარებენ მიწას თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს“**. რედაქციის თანამშრომელი – მეველე – უძღვნის სამშობლოში დაბრუნებული ბარათაშვილის ნეშტს ნეკროლოგს. მოგვყავს ტექსტი თავიდან ბოლომდე, რათა აღმოვაჩინოთ მასში არა მხოლოდ ახლობლის დაფასების სურვილი, არამედ ბარათაშვილის შემოქმედების მსოფლიო მასშტაბების დანახვა ქართული საზოგადოების მხრიდან. ვფიქრობთ, ერთი ბიძგი იყო საჭირო, რომ ეს მომხდარიყო და ეს ბიძგიც, დაგვიანებით, მაგრამ მაინც განხორციელდა:

„ნახევარ საუკუნის შემდეგ ნ. ბარათაშვილის ძვირფასი ნეშტი დაუბრუნდა სამშობლო ქვეყანას!

ქართველი ერი სასოებით და მოწინებით მოელოდა ამ დიდებულ წამს!

დიდი ხნის სურვილი ქვეყნისა, რომ პოეტი დამარხულიყო მშობლიურ მიწაში – აღსრულდა!

ამიერიდგან ბარათაშვილი თავის ქვეყანას აღარ განშორდება. ტანჯული სული პოეტისა დამშვიდება! იგი ელირსა საუკუნო ბინას, ბინას შესაფერს და სანატრელს!

ძაძით მოსილმა მშობელ დედამ ისევ ჩაიკრა მკერდს ესოდენ დიდის ხნის დაკარგული ძვირფასი შვილი! განქრა სამუდამოდ საშინელი შიში პოეტისა:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“-ო...

მაგრამ რა იყო 29 წლის გადაცვალებული ყმანვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი? რა სახელითა და სხივით შემეკობილი იყო ახალგაზრდა პოეტი?

ბარათაშვილს თითქმის არც იცნობდა საქართველო. მხოლოდ რამდენთამე რჩეულთა, ნათესავთა და მეგობართ ესმოდათ, რა საუნჯე დაჰკარგეს, რა მალალის და მშვენიერის ნიჭით შემოსილი მგოსანი მოაკლდათ!

ერი არ იცნობდა, არც ნიკოლოზს, არც მისს ძლიერს მუზას! პოეტის გატაცებული მგოსნობა, იმისი ცრემლი და გოდება, იმისი ღრმა, ნაზი სიყვარული სამშობლოსადმი რას გაანყობდნენ, როდესაც წიგნის დაბეჭდვის საშუალებაც არა გვექონდა!?

ასეთი იყო მდგომარეობა საქართველოსი ბარათაშვილის დროს. ამიტომ პოეტს არ ჩაჰყოლია მაშინ სამარეს ერის მწუხარება, არ დასცვივნია გულს ცრემლი თანამემამულეთა! ბარათაშვილი გარდაიცვალა შორს, უცხოთა შორის, უნუგემოდ, უჭირისუფლოდ!

მაგრამ ორმოც-დაათის წლის შემდეგ რასა ვხედავთ ამავე ქვეყანაში ამავე კაცის შესახებ?!

მთელ საქართველოს წარმომადგენელნი მოგროვილან პოეტის სამარეს წინაშე. ერი ცრემლ-მორეულის სიხარულით შესცქერის თავის ჭირისა და ლხინის მგოსანს!

ბარათაშვილის ჭირისუფალი დღეს მთელი ქართველი ერია! ათიოდე მეგობართა მაგიერ, პოეტს ათასი და ათი ათასი თაყვანის მცემელნი შეეძინა ამ ნახევარს საუკუნეში და გზა უვალი, მისგან თელილი, გაფართოვდა, გამშვენიერდა!

სად არის ისეთი კუთხე საქართველოსი, რომ ბარათაშვილის ლექსები არ აღლვებდეს ქართველის გულს! სად არის ისეთი ალაგი, რომ მაღალი გრძნობა პოეტისა, მარგალიტივით შემკული, არ ატკობდეს და არ აღხენდეს ქართველს! და ასეთი ცვლილება მოხდა ამ, შედარებით, მცირე ხანს!

რა ჩინებული და საგულისხმო სურათია! ერი არასოდეს არ ივინყებს თავის ერთგულ შვილთა სამსახურს. იგი, ადრე თუ გვიან, უთუოდ გადაუხდის სამაგიეროს.

ლამპარი, ანთებული პოეტისაგან სამშობლოს ტაძრის წინაშე, არ გამქრალა!.. სინათლე მისი განდიდებულა, ასულა ზეცას და იქიდან დაჰნათებს ერს!

დიდი არის ეგეთი ღვანლი ქვეყნის წინაშე! სახელოვანი და კურთხეულია ეგეთი მამულის შვილი!

ერს, რომელსაც ბარათაშვილის მსგავსი მგოსანი გამოეზრდება, თამამად, გაბედვით შეუძლიან თვალი გაუსწოროს მომავალს.

განსაცდელი ერთთვის არ არის იშვიათი. ხშირად ქვეყანა ისეთს მდგომარეობაში ჩავარდება, რომ იმედსაც ჰკარგვენ მრავალნი ერთგულნი შვილნი. მაგრამ ამ დროს ღმერთი სულის აღმამაღლებელს, იმედის შთამნერგველ მგოსანთა მოუვლენს ქვეყანას! ესენი ანუგეშებენ და შთააგონებენ უწმინდეს გრძნობას, მამულის სიყვარულს და ერთგულებას.

გადის დრო და კეთილ თესლს მოაქვს ნაყოფი, როგორც დღეს, როდესაც მთელი საქართველო მადლობას უხდის თავის წარჩინებულს შვილს!

ჩინებული და ფრიად სხივოსანი წამია ერის ცხოვრებაში ასეთი დიდებული შემთხვევა.

ბედნიერი იყოს, საკვირველო პოეტო, შენი დაბრუნება სამშობლოში! ვისურვებთ, შენს წმინდა სამარის წინაშე გამქრალ იყოს, თუ რამ უკეთურნი გრძნობანი ჰქონდეთ ერთმანერთისადმი შენთა მოძმეთა!

ამიერიდგან იყავნ ჩვენთან სამუდამოდ, იყავნ ჩვენთან და შეგვაერთე სამშობლოს სამსახურად იმ მაღალის გრძნობით,

რომელიც ასე ყმანვილმა ჩაიტანე უდროოდ გათხრილს სამარეს“ (მეველე : „ივერია“ № 85, 1893).

ნიკოლოგიდან კარგად ჩანს ბარათაშვილის დაუფასებლობაც პოეტისდროინდელი საზოგადოებისგან, მისი პიროვნული ღირსებებიც და პოეტური ნიჭის მასშტაბურობაც, ყველასგან გამოორჩეულობა; აგრეთვე თანადროული საზოგადოების მიერ ბარათაშვილის აღიარება და დაფასება.

ამავე ნომერში წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის განხილვა ორი ავტორის მიერ. სტატიიში – „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“ (სტატიის ავტორის ფსევდონიმია – პაატა) – ავტორი მოკლედ ახასიათებს ეპოქას, საზოგადოებრივი ცხოვრების უმოქმედობას და ამ სიბნელის ფონზე ბარათაშვილის მოვლინებას: **„ამავე ჟამს სიბნელისას ებადება მიმკვდარებულს სულიერად საქართველოს კაცი, უმაღლესად მაღლით ცხებული, კაცი ძლიერის სულით, მაღალის გრძნობით, სათნოებით, კაცთმოყვარეობით აღსავსე, იბადება ქართველთა ბაირონი“** („ივერია“, 1893, № 85). სტატიის ავტორი არა მარტო ადარებს ბარათაშვილს მსოფლიო პოეტს – ბაირონს (და ეს შედარება არ არის დაუსაბუთებელი), არამედ გამოარჩევს ბარათაშვილს მისივე თანამედროვე, პოეზიის მეფედ აღიარებული გრიგოლ ორბელიანისაგან, როგორც ბევრად მაღალი მასშტაბისა და დიდი ნიჭის შემოქმედს. მეორე სტატიის („პროფესორ ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე“) ავტორი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელია. ის ყურადღებას ამახვილებს ბარათაშვილის პოეტურ ნიჭსა და ენაზე, გამოარჩევს ბარათაშვილს ყველა სხვა ქართველ პოეტთაგან და მის შედარებას მხოლოდ რუსთაველთან თვლის შესაძლებლად: **„ამ ჩვენის სასიქადულო პოეტის ლექსებზედ და ენაზედ ის უნდა სთქვას კაცმა, რაც იმის საკვირველ ბუნებაზედ ითქმის: გრძნობის ძალითა და სიმაღლით, ჭეშმარიტ პოეტურ წარმოდგენით, თავისუფალ, ძალა-დაუტანებელ ლექსის მიმდინარეობით, მტკიცედ და ცხადად საგნის გამოხატვით, სულთქმა-ვნებათა გამოთქმით, პოეზიის ყოვლად შემარხველ კილოთი, რომელიც პირ-და-პირ მკითხველის გულს ეტანება და სწორედ იმას აგრძნობინებს მკითხველს, ანუ მსმენელს, რაც პოეტს უნდა ეგრძნობინებინა, –**

ყველა ამ გასაოცარ დიდ პოეტურ თვისებით, ვამბობთ, ძნელი შესადარებელია ის ყველა დანარჩენ ქართველ პოეტებთან, შოთა რუსთაველის გარდა. ქართული ენა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა დიდად დახელოვნებული და შემუშავებული არის: არც სულ ძველი, არც ახალი, არც მნიგნობრილ-ხუცური, სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს ლიტერატურის და პოეზიის ენა. ლექსთწყობა მშვენიერი; რითმა გასაკვირველის ხელოვნებით არის გამოთქმული...პირდაპირ გულის სიღრმიდან წყაროსავით მოჩუხჩუხებს განმაცხოვრებელი გრძნობა და პოეტური წარმოდგენა...“ (ალ. ცაგარელი, „ივერია“, 1893, № 85).

„ივერიის“ ამ ნომერში დაბეჭდილია ნიკო დადიანის, დომინიკა ერისთავის, სილოვანის, გოგლა ლეონიძისა და თედო რაზიკაშვილის ლექსები, მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი; დეპეშები განჯიდან და დუშეთიდან; აგრეთვე ეკატერინე გაბაშვილის წერილი ღარიბ ლიტერატორთა ფონდის დაარსების შესახებ, რომელიც სასურველია ნ. ბარათაშვილის სახელობის იყოს: „**დღეს, როდესაც ყველა ქართველი შემსჭვალულია საერთო მწუხარებით და პატივს სცემს და ადიდებს ჩვენ უკვდავ პოეტის ნ. ბარათაშვილის სახელს, საუკეთესო ძეგლად მიგვაჩნია იმის სახელობაზედ დავაარსოთ ზემოხსენებული ფონდი და იმედი გვაქვს, ჩვენ მაგალითს მიბაძვენ სხვანიც და ამით ხელს შეუწყობენ იმ დიდ საქმიანობას, რომელიც ცხადია ყველასთვის, ვისაც-კი ქართულის მწერლობისთვის და ქართველ მწერალთათვის გული შესტკივა“ (ეკ. გაბაშვილისა, „ივერია“, 1893, № 85). ეს წერილი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ წარმოჩნდეს, რამდენად ყველას და ყველაფრის შთამაგონებელი გახდა ბარათაშვილის პიროვნება და სახელი.**

და, რაც ყველაზე მთავარია, 1893 წლის „ივერიის“ 85-ე ნომრიდან ფელეტონის რუბრიკაში იწყება იონა მეუნარგიას მიერ დაწერილი მონოგრაფიის – „ბარათაშვილის ცხოვრებისა და პოეზიის“ – ბეჭდვა. მონოგრაფია მიყოლებით, ზოგჯერ რამდენიმე ნომრის გამოტოვებით იბეჭდება, მაგრამ მთელი წლის მანძილზე მკითხველის თვალწინ სულ ტრიალებს ბარათაშვილის სახელი.

1893 წლის „ივერიის“ 86-ე ნომერში აღწერილია დიდუბის პანთეონში ბარათაშვილის დასაფლავება, რომელიც იქცა ეროვნული

მნიშვნელობის გამოსვლად, ქართველი ხალხის გამაერთიანებელ მოვლენად: „კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე, საცა მოელოდნენ ნ. ბარათაშვილის ნეშტს განჯიდამ. ვაგზლის არე მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე არქიმანდრიტებითა და სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველ ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტაციები სხვა-დასხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობად. 9 1/2 საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგონი იდამ გადმოსავენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ პოეტის ნათესავი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდამ სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთო“-ს გალობითა. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასის სხვა-და-სხვა გვარის გვირგვინებით, კუბო ხელში ეჭირათ: ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისაც, სასულიერო სემინარიის შეგირდებისაც, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ბ-ნ ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურს-დამთავრებულ შეგირდებისაგან მღვდელს მამა ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიასას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა ცინცაძემ.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესიისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქმნა

კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე საიტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: თ. აკაკი წერეთელმა, თ. ილ. ჭავჭავაძემ, კნ. ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანცმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვ. („ივერია“, 1893, № 86). გაზეთში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის სიტყვა, იმერეთიდან – ლოლუასი და დავით ბაქრაძის; ლექსები – ნინო ორბელიანისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის. ამას მოსდევს დასაფლავების დღეს მიღებული დეპეშები: ფოთიდან იონა მეუნარგიასი, კავკავიდან – ბოცვაძის, ყვირილადან – ხუსკივაძის; თელავიდან – ცნობა თავად-აზნაურთა და „დიდძალი“ ხალხის თხოვნით საეკლესიო პანაშვიდის გადახდის შესახებ. ამას მოჰყვება „ტიფლისკი ვესტნიკადან“ ამოღებული ნიკო ნიკოლაძის ჯერ კიდევ 1876 წელს გამოთქმული შეხედულებები ბარათაშვილის შემოქმედებაზე – „ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის აზრი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და იმის პოეზიაზე“. ნიკოლაძე გამოარჩევს ბარათაშვილს მთელ ქართულ ლიტერატურაში როგორც თემატიკით – „იმათი მსგავსი წინედ არა დაწერილა-რა ქართულ ლიტერატურაში“, ისე ლექსის გარეგანი ფორმით, სიმსუბუქით, ორიგინალობით, რაც ბარათაშვილის ძლიერი ტალანტის გამოხატულებაა: „ნ. ბარათაშვილს არ უყვარს მრავალ-სიტყვაობა; ამიტომ იმისი ლექსი გარეგან ფორმით ძლიერ მოკლედ მოჭრით-გამოთქმულია და საზოგადოდ ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა. ჩვენის პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა, ისეთივე ძლიერი და მკვეთრია, იმ გვარადვე მოკლედ-გამოხატულია, წვრილმანების სრულ უყურადღებობით, და იმნაირადვეა გამოკვერილი; თითქო ჩაქუჩსა სცემს მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩააგონოს თავისი აზრიო. კიდევ ამიტომ ნ. ბარათაშვილის ლექსებიდგან ქართველს მრავალი ანდაზები და აფორიზმები ამოუღია; ეს ხომ უტყუარი საბუთია, რომ ძალა ნ. ბარათაშვილის ნიჭისა, ტალანტისა ძლიერია, დიადია...“ (ნ. ნიკოლაძე, „ივერია“, 1893, № 86).

1893 წლის „ივერიის“ 87-ე ნომერში დაბეჭდილია ალექსანდრე ქყონიას ნერილი – „როგორ ვიპოვეთ ნემტი ნ. ბარათაშვილისა“; 92-ე ნომერში – „სიტყვა თ. აკაკი წერეთლისა ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზე“ და „სიტყვა გ. წერეთლისა“ („კვალიდან“ გადმობეჭდილი), „სიტყვა ალექსანდრე ეპისკოპოსისა“. 105-ე ნომერში რედაქცია კვლავ მიმართავს საზოგადოებას: „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეთაგან განსაკუთრებული უფლება მის ნაწერების გამოცემისა. ამ საზოგადოების გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც-კი მოეპოვება ჯერედ კიდევ დაუბეჭდავი მისი ლექსები, წერილები, ნათარგმნები და სხვა, ანუ საკუთარის მის ხელით დაწერილი რამ, თუნდაც იგი დაბეჭდილიც იყვეს, ინებონ და გამოგზანონ საზოგადოების კანცელარიაში (სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა № 126). ნაწერების დაბეჭდვის შემდეგ ყველაფერი უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს („ივერია“ 1893 : № 87).

ამ განცხადებამ ხელი შეუწყო ბარათაშვილის თხზულებათა 1895 წლის გამოცემას ექვთიმე თაყაიშვილისა და დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით, რადგან ამ დროს უკვე ცნობილი გახდა ბარათაშვილის ყველა ძირითადი ავტოგრაფი, მათ შორის – 1841-1843 წლების ხელნაწერი ავტოგრაფიული კრებულები და ცალკეულ ლექსთა კოლექციები მაიკო ორბელიანისა და გრიგოლ ორბელიანის, იონა მეუნარგიას მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული ლექსები უცნობი ავტოგრაფებიდან.

* * *

ერთი შეხედვით, ბარათაშვილი მისთვის უცნობმა ადამიანებმა უფრო დააფასეს, ვიდრე მისმა ახლობლებმა: მისმა ჭაბუკმა მეგობრებმა, რომელთაც ახარებდათ პოეტის ყოველი ახალი ლექსი; ნათესავებმა, ბიძებმა, რომელთაც ტატო თავის გულის ფიქრს ანდობდა... არა. ბარათაშვილი, როგორც ყველა გენიოსი, დააფასა დრომ.

ბიოგრაფია ხელნაწერების მიხედვით

ბარათაშვილის ბიოგრაფიას სრულყოფს მისი ხელნაწერები: როგორც ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები, ასევე პოეტის ხელით გადწერილი მისი შემოქმედების „ხელნაწერი გამოცემები“. მათში აისახება პოეტის განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული ადრესატებისადმი. პოეტის მიერ შერჩეულ ფსევდონიმებს ან, თუნდაც, გრაფონიმს უმნიშვნელო დეტალი შეაქვს მის ბიოგრაფიაში, მაგრამ ეს დეტალი მკითხველისთვის მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ბარათაშვილს ეხება.

ავტოგრაფები

ბარათაშვილის ავტოგრაფებს ყოფენ ორ ჯგუფად. ერთია ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები, ხოლო მეორე ე.წ. „ხელნაწერი გამოცემები“, პოეტის მიერ სხვადასხვა დროს შედგენილი კრებულები.

ბარათაშვილის ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები შემოგვინახა ოთხმა პიროვნებამ: მაიკო ორბელიანმა (5 ლექსი), გრიგოლ ორბელიანმა (5 ლექსი), ეკატერინე ჭავჭავაძემ (2 ლექსი) და მიხეილ თუმანიშვილმა (1 ლექსი).

მაიკო ორბელიანის კოლექცია შეიცავს შემდეგ ლექსებს: „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „არ იკიჟინო“ (1841 წ.), „ქილის ყვავილი და მწირი“ (ანუ: „სუმბული და მწირი“) (1842 წ.), „დამქროლა ქარმა“ (1845 წ.). მაიკოს გარდაცვალების შემდეგ ლექსები შეუნახავს და დაუცავს ილია ჭავჭავაძის დას, ელისაბედ საგინაშვილს და 1983 წელს გადაუცია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. დედნები ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 2484).

გრიგოლ ორბელიანის კოლექცია შეიცავს შემდეგ ლექსებს: „ძია გ...სთან“ [მიძღვნა] და „ლამე ყაბახზედ“ (1836 წ.), „ვპოვე ტაძარი“ (1841 წ.), „მირბის, მიმაფრენს“ (1842 წ.), „საფლავი ივერიისა“ (პირველი ვარიანტი ლექსისა „საფლავი მეფის ირაკლისა“) (1842 წ.),

„სულო ბოროტო“ (1843 წ.). ყველა ლექსი შეტანილია სხვადასხვა დროს გაგზავნილ წერილებში. ავტოგრაფების მიხედვით ლექსები გამოაქვეყნეს იონა მეუნარგიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და დავით კარიჭაშვილმა. ამჟამად დედნების ადგილსამყოფელი უცნობია.

ეკატერინე ჭავჭავაძის კოლექცია შეიცავს ორ ლექსს: „როს ბედნიერ ვარ“ (1841 წ.) და „ცისა ფერს“ (1841 წ.). ლექსების ტექსტი დედანთა მიხედვით გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ 1882 წლის „ივერიაში“. ამჟამად დედნების ადგილსამყოფელი უცნობია.

მიხეილ თუმანიშვილის არქივში შენახული იყო ავტოგრაფი ლექსისა „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“ (1844 წ.). ამჟამად ხელნაწერი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში.

ბარათაშვილის **პირველი ხელნაწერი კრებული** ეკუთვნის მაიკო ორბელიანს. იგი შედგენილია 1841 წელს. კრებულს წინ უძღვის ავტორის მიძღვნა: „დაო მაიკო, ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმანვილობისათა და შემობრალებ შენსა ყარიბსა ძმასა. თ-ი ნ. ბარათაშვილი“. კრებულში შესულია 13 ლექსი: „ბუღბუღი ვარდზედ“ (1833 წ.), „ქეთევან“ (1835 წ.), „ძია გ...სთან“ (მიძღვნა), „ღამე ყაბახზედ“ (1836 წ.), „შემოღამება მთანმიდაზედ“ (1836 წ.), „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1837 წ.), „ნაპოლეონ“ (1838 წ.), „ჩემს ვარსკვლავს“ (1837 წ.), „ჩონგურს“ (1837 წ.), „საყურე“ (1839 წ.), „ჩჩვილი“ (1839 წ.), „სული ობოლი“ (1839 წ.), „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „ჩემი ლოცვა“ (1840 წ.).

ბარათაშვილის **მეორე ხელნაწერი კრებული** ეკუთვნის ეკატერინე ჭავჭავაძეს. ისიც შედგენილია 1841 წელს. ამ კრებულიდან 1882 წლის „ივერიაში“ იონა მეუნარგიამ გამოაქვეყნა ორი ლექსი: „ძია გ...სთან“ (მიძღვნა), „ღამე ყაბახზედ“ (1836 წ.) და „(ეკატერი)-ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ (1839 წ.). ამ ლექსების შესახებ მეუნარგია მოკლედ გადმოგვცემს: ისინი „არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მის ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რვეულში, ფერად ქალაღზე. რვეული არის დაწერილი 1841 წელს“. ამჟამად კრებულის ადგილსამყოფელი უცნობია.

ბარათაშვილის **მესამე ხელნაწერი კრებული** წარმოადგენს თავად მგოსნის ეგზემპლარს და გადანერილია 1842 წელს. მასში შესულია 21 ლექსი შემდეგი თანმიმდევრობით: „ბულბული ვარდზედ“ (1833 წ.), „ქეთევან“ (1835 წ.), „ხმა იდუმალი“ (1836 წ.), „შემოლამება მთანმიდაზედ“ (1836 წ.), „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1837 წ.), „ჩემს ვარსკვლავს“ (1837 წ.), „ჩჩვილი“ (1839 წ.), „სული ობოლი“ (1839 წ.), „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „ჩონგურს“ (1837 წ.), „თავადის ჭავ...ის ასულს ეკა...ნას“ (1839 წ.), „საყურე“ (1839 წ.), „ნაპოლეონ“ (1838 წ.), „ჩემი ლოცვა“ (1840 წ.), „ჩემთ მეგობართ“ (1841 წ.), „აღმოჰხდა მნათი“ (1840 წ.), „არ უკიჟინო“ (1841 წ.), „ვჰპოვე ტაძარი“ (1841 წ.), „ქილის ყვავილი და მწირი“ (1842 წ.), „თავგანწირული მხედარი“ (ანუ: „მერანი“, 1842 წ.), „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842 წ.).

კრებული სამუშაო ვარიანტს წარმოადგენდა, რადგან ზოგიერთ ლექსზე ჩანს სარედაქციო მუშაობის კვალი. ამჟამად იგი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში (H – 1115).

ბარათაშვილის **მეოთხე ხელნაწერი კრებული** წარმოადგენს ეკატერინე ჭავჭავაძის მეორე კრებულს, გადანერილს 1843 წელს. იგი ორი ნაწილისაგან – წიგნისგან – შედგება, ესენია: „ლექსნი“ და „ბედი ქართლისა“. პირველი წიგნის სატიტულო ფურცელზე ავტორს მიწერილი აქვს თარიღი: 1843. ეს წიგნი შეიცავს 26 ლექსს, გადანერილს შემდეგი თანმიმდევრობით: „ბულბული ვარდზედ“ (1833 წ.), „ქეთევან“ (1835 წ.), „შემოლამება მთანმიდაზედ“ (1836 წ.), „ხმა იდუმალი“ (1836 წ.), „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1837 წ.), „ჩონგურს“ (1837 წ.), „თავადის ჭავ...ის ასულს ეკა...ნას“ (1839 წ.), „ჩემს ვარსკვლავს“ (1837 წ.), „ნაპოლეონ“ (1838 წ.), „საყურე“ (1839 წ.), „ჩჩვილი“ (1839 წ.), „სული ობოლი“ (1839 წ.), „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „ჩემი ლოცვა“ (1840 წ.), „ჩემთ მეგობართ“ (1841 წ.), „აღმოჰხდა მნათი“ (1840 წ.), „არ უკიჟინო“ (1841 წ.), „ვჰპოვე ტაძარი“ (1841 წ.), „მიყვარს თვალები“ (1842 წ.), „სუმბული და მწირი“ (1842 წ.), „შენნი დალალნი“ (1842 წ.), „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842 წ.), „მირბის, მიმაფრენს“ (1842 წ.), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842 წ.), „ენიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ (1842 წ.), „სულო ბოროტო“ (1843 წ.).

ხელნაწერის ისტორია ასეთია: 1857 წელს პეტერბურგში გადასახლებულ ეკატერინე ჭავჭავაძეს თან წაუღია ეს კრებული. სწორედ ეკატერინეს ოჯახში გაცნო ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილის შემოქმედებას 1858 წელს. შემდგომ პერიოდში კრებული დადიანების ბინიდან დაიკარგა, რასაც ეკატერინე ძლიერ განიცდიდა. უფრო მოგვიანებით, ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, 1887 წელს კრებული ბუკინისტთან აღმოაჩინა და შეიძინა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან ის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. ამჟამად ორივე ნიგნი – „ლექსნი“ და „ბედი ქართლისა“ დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S – 2516, S – 2517).

ბარათაშვილის **მეხუთე ხელნაწერი კრებული** წარმოადგენს გრიგოლ ორბელიანის კრებულს, გადაწერილს 1843 წელს. იგი ორი ნაწილისაგან – ნიგნისგან – შედგება, ესენია: „ლექსნი“ და „ბედი ქართლისა“. ბარათაშვილის თხზულებათა ეს ეგზეგეტიკური საფუძვლად დაედო პოეტის თხზულებათა პირველ ბეჭდურ გამოცემას პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ 26 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“ გადმობეჭდილია გრიგოლ ორბელიანის კრებულიდან და დამატებულია კიდევ 4 ლექსი. გრიგოლ ორბელიანის კრებულიდან აღებული ლექსების თანმიმდევრობა ასეთია: „ბულბული ვარდზედ“ (1833 წ.), „ქეთევან“ (1835 წ.), „შემოღამება მთანმიდაზედ“ (1836 წ.), „ხმა იდუმალი“ (1836 წ.), „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ (1837 წ.), „ჩონგურს“ (1837 წ.), „თავადის ჭავ...ის ასულს ეკა...ნას“ (1839 წ.), „ჩემს ვარსკვლავს“ (1837 წ.), „ნაპოლეონ“ (1838 წ.), „საყურე“ (1839 წ.), „ჩჩვილი“ (1839 წ.), „სული ობოლი“ (1839 წ.), „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „ჩემი ლოცვა“ (1840 წ.), „ჩემთ მეგობართ“ (1841 წ.), „აღმოჰხდა მნათი“ (1840 წ.), „არ უკიჟინო“ (1841 წ.), „ვპოვე ტაძარი“ (1841 წ.), „სუმბული და მწირი“ (1841 წ.), „მირბის, მიმაფრენს“ (1842 წ.), „რად ჰყვედრი კაცსა“ (1842 წ.), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842 წ.), „მიყვარს თვალები“ (1842 წ.), „შენნი დალალნი“ (1842 წ.), „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ (1842 წ.), „სულო ბოროტო“ (1843 წ.).

რაც შეეხება „ბედი ქართლისას“ ტექსტს, ის მეოთხე ხელნაწერი კრებულის ტექსტთან შედარებით საკმაოდ შეცვლილია, რედაქციულად გადამუშავებული, მცირეოდენი ცვლილებებია შეტანილი ზოგიერთ ლექსშიც.

ბარათაშვილის **მეექვსე ხელნაწერი კრებული** წარმოადგენს მგოსნის ეგზემპლარს და გადანერილია 1843 წელს. კრებული ორი ნაწილისაგან შედგება: „ლექსნი“ და პოემა „ბედი ქართლისა“. ეს კრებული პოეტის გარდაცვალების შემდეგ მის დას, ბარბარე ვეზირიშვილს ეკუთვნოდა, ამიტომაც ცნობილია ვეზირიშვილისეულ ეგზემპლარად. კრებულში შედის 27 ლექსი. დამატებულია პოეტის მიერ უფრო მოგვიანებით, 1843 წლის ბოლოს დაწერილი ლექსი – „შევიშრობ ცრემლსა“. ეს კრებული ყველაზე გვიანაა გადანერილი და ყველაზე სრულია ბარათაშვილის ხელნაწერ კრებულებს შორის, ამიტომ იგი ითვლება ბარათაშვილის თხზულებათა ბოლო რედაქციად.

ბარათაშვილის **მეშვიდე ხელნაწერ კრებულს** ჩვენამდე არ მოუღწევია. ის, სავარაუდოდ, 1843 წლის ბოლოს უნდა ყოფილიყო პოეტის მიერ გადანერილი. მართალია, დედანი დაიკარგა, მაგრამ მოიპოვება ამ კრებულიდან გადანერილი ორი პირი. მათში შეტანილია ბარათაშვილის ყველა ლექსი, მათ შორის – 1843 წელს დაწერილი ლექსებიც; არ გვხვდება მხოლოდ 1844 წლის შემოქმედება და ასევე მიძღვნა – „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“. მეშვიდე ვერსიის შემონახულ ეგზემპლარებში გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმი – „მირიან ივერი“.

ფსევდონიმები

ხელნაწერების შესწავლიდან ირკვევა, რომ ბარათაშვილის ფსევდონიმი ყოფილა „მირიან ივერი“. მას უკავშირებენ ბარათაშვილის დაკარგულ პოემას „ივერიელნი“ და ასევე ლიტერატურულ წრეში ბარათაშვილისთვის განაწილებულ სამუშაოს – პოეტს უნდა დაენერა საქართველოს ისტორია გაქრისტიანების შემდგომ, ე.ი. მირიან მეფის მოღვაწეობის პერიოდიდან.

პოეტის მეორე ფსევდონიმად პავლე ინგოროყვას სამი ვარსკვლავი მიაჩნია (***) . „ბედი ქართლისას“ ვარიანტებს, რომლებიც პოეტს არასოდეს შეაქვს ლექსთა კრებულებში, არ აწერია პოეტის სახელი და გვარი, მხოლოდ პოემის შესავალს – კახელებისადმი მიძღვნას – ორ დედანში ხელმოწერის ნაცვლად სამი ვარსკვლავი აქვს დართული, ხოლო მესამე დედანში, რომელიც ბარათაშვილს ეკატერინე ჭავჭავაძისათვის მიუთმევია, მიძღვნას მინერილი აქვს ინიციალები: „თ-ი ნ. ბ.“. ჩვენ ვერ დავეთანხმებით მეცნიერის მოსაზრებას, რომ სამი ვარსკვლავი ფსევდონიმია, რადგან სახელდება ხორციელდება არა ენობრივი, არამედ გრაფიკული ფორმით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სამი ვარსკვლავი არის გრაფონიმი და არა ფსევდონიმი. ორივე ნიშანი ფუნქციონალურად ერთმანეთის ეკვივალენტია, მაგრამ გამოხატულია განსხვავებული სემიოტიკური ფაქტორით. ერთ შემთხვევაში ხდება დაშიფვრა სიტყვის მეშვეობით, ხოლო მეორე შემთხვევაში – გრაფიკული ნიშნით.

ბარათაშვილის ავტოგრაფების ერთმანეთთან შეჯერება გვიჩვენებს, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებოდა პოეტი მწერლობას, მუშაობდა ხელნაწერებზე, ახდენდა მათ გადამუშავებასა და გადანერას, ზრუნავდა მათ გავრცელებასა და დაცვაზე, რისთვისაც მიმართავდა ხან ფსევდონიმს, ხანაც – გრაფონიმს. ბარათაშვილის ავტოგრაფებს კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მათში პოეტის სულიერი ბიოგრაფია ისახება.

ბიობრაფია პუბლიკაციებში

ბარათაშვილის შემოქმედების კვლევის ისტორია

ბარათაშვილი თავისი ნაწარმოებების დაბეჭდვას ვერ მოესწრო. ბუნებრივია, მან ვერც თავისი შემოქმედების სერიოზული შეფასება იხილა. პოეტის შემოქმედების მეტ-ნაკლებად მეცნიერული კვლევა 60-იანი წლებიდან იწყება. ახალმა თაობამ ზუსტად განსაზღვრა ბარათაშვილის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და სამართლიანად აღიქვა უდროოდ დაღუპული პოეტი გენიოსად. ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის როლი. მან აღმოაჩინა ბარათაშვილი და აღმოაჩინა ის ქართულ საზოგადოებასაც, რაზეც მიგვანიშნებს ჭავჭავაძის 1860 წელს დაწერილი ლექსი – „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე“. ილია იხსენებს იმ უსაზღვროდ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც თითქმის უცნობი პოეტის ლექსებმა მასზე მოახდინა. მანამდე კი, 1859 წელს, ბარათაშვილის შემოქმედების პირველ შეფასებას ნიკოლოზ ბერძენიშვილი იძლევა. მართალია, ეს გამონვეული არ არის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისადმი უშუალო ინტერესით, მაგრამ ამ შეფასებაში ობიექტურად დანახულია ბარათაშვილის პოეზიის მასშტაბები და არ არის ის განხილული, როგორც ახლობელი და, თანაც, გარდაცვლილი ადამიანის შემოქმედება, რომლის გახსენება და განხილვა შთამომავლობის ერთგვარი ვალია. საქმე ისაა, რომ 1859 წელს ნ. ბერძენიშვილმა გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა 1858 წლის ჟურნალ „ცისკრის“ თორმეტივე ნომრის მიმოხილვა, შეაფასა როგორც ჟურნალი, ასევე მასში დაბეჭდილი ზოგიერთი ავტორიც. მან პირველმა შეხედა კრიტიკული თვალთ ბარათაშვილის შემოქმედებას და გაავლო პარალელები ბარათაშვილის ლირიკასა და ბაირონ-ლერმონტოვის შემოქმედებას შორის. კრიტიკოსმა ბარათაშვილი განსაკუთრებული, „უზადო ნიჭის მქონე ქართველ პოეტთა მცირერიცხოვან ოჯახს“ მიაკუთვნა. რამდენიმე ლექსიც კი კრიტიკოსისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ სწორად განესაზღვრა ბარათაშვილის პოეზიის ბუნება და გა-

ნესხვავებინა მისი შემოქმედებითი მრწამსი ისეთ დიდ პოეტთა მრწამსისგან, როგორებიც ბაირონი და ლერმონტოვი არიან: „მეორე წიგნაკის ორიგინალურ ლექსთაგან შესანიშნავია: „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, „გალობა სიტურფისა“ და „ჩჩვილი“ თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა. თავ. ბარათაშვილი მიეკუთვნება უზადო ნიჭის მქონე ქართველ პოეტთა მცირერიცხოვან ოჯახს და ნაადრევ სიკვდილს რომ არ მოეთაცა იგი, მისი კალამი ბევრ შეჭმარიტად პოეტურ თხზულებას შექმნიდა. ერთი სიტყვით, ბარათაშვილმა დატოვა რამდენიმე წვრილი ლექსი, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი ნიჭი იმ იმედგაცრუებისა და უკმაყოფილების, იმ უსიხარულო მელანქოლიის ბეჭედს ატარებდა, რაც ანსხვავებს ლერმონტოვს და ბაირონის სკოლის სხვა მიმდევრების პოეზიას“ («Кавказ», 1859, № 43).

ცხადია, ბარათაშვილის ბაირონთან და ლერმონტოვთან შედარების იდეაც პირველად ბერძენიშვილს ეკუთვნის, თუმცა კრიტიკოსი, გარდა გაკვრით ნახსენები თემატიკისა, არ ავლებს პარალელებს მათ შემოქმედებათა შორის, პრინციპში, ეს არც არის ამჯერად ბერძენიშვილის მიზანი. უფრო დანვრილებით კრიტიკოსი პოემა „ბედი ქართლისაზე“ ჩერდება, აღფრთოვანებულია ამ პოემით და მასში ხედავს პოეტის ნიჭის ნამდვილ გამოვლენას. მკვლევართა მიერ (ი. ბოცვაძე, ჯ. ჭუმბურიძე) აღნიშნულია, რომ ბერძენიშვილი სარგებლობს არა „ცისკარში“ დაბეჭდილი პოემის შემოკლებული და ცენზურის მიერ დამახინჯებული ვარიანტით, არამედ პოემის სრული ტექსტით. მკვლევრები ასევე ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ბერძენიშვილმა არ გამოხატა ბარათაშვილის დამოკიდებულება საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემაზე, რომელიც შემდგომი დროის კრიტიკოსთა მსჯელობის ძირითადი მიზანია. ჩვენი აზრით, ამ თავშეკავებას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1) საცენზურო პირობებში ამის თქმა შეუძლებელია; 2) ეს საკითხი სხვადასხვა კუთხით განიხილება და დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს; 3) მთავარია არა პოზიცია, არამედ საკითხის დაყენება და ა.შ.; 4) ბერძენიშვილის მიზანი ამ კონკრეტულ წერილში არ არის ბარათაშვილის შემოქმედების სრულ-

ყოფილი ანალიზი; კრიტიკოსი მიმოიხილავს „ცისკარში“, მთელი წლის განმავლობაში, დაბეჭდილ მასალას. ამიტომაც მან ვერ მოგვცა ბარათაშვილის შემოქმედების მრავალმხრივი დახასიათება, თუმცა მაინც შეძლო წარმოეჩინა რომანტიკოსი პოეტის სახე, მისი სულისკვეთება, მოქალაქეობრივი და ფილოსოფიური აზროვნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 60-იან წლებში იწყება ბარათაშვილის შემოქმედების მეცნიერული კვლევა-ძიება და ეს უპირველესად ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა. ილიამ თავის პირველივე პუბლიცისტურ-ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვის „შემლილი“-ს თარგმანზედა“ შეაფასა ბარათაშვილი, ის დააყენა რუსთაველისა და ალ. ჭავჭავაძის გვერდით და „ცისკრის“ ერთადერთ დამსახურებად სწორედ პოეტების – ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის – შემოქმედების მკითხველისათვის გაცნობა მიიჩნია (მართალია, ერთი-ორი ლექსის სახით, მაგრამ მაინც). ამ წერილში ილიამ მაღალი შეფასება მისცა ბარათაშვილის ნიჭს და მის მაღალმხატვრულ პოეტურ ენას. წერილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბარათაშვილის შემოქმედების მეცნიერული შესწავლის საქმეში; ილიამ მიაჩნა ლიტერატურულ კრიტიკას, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მეცნიერული კვლევის ობიექტი.

ილიას შეხედულებათა ერთგვარი გამეორება-გაგრძელებაა კირილე ლორთქიფანიძის 1862 წლის „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი სტატია – „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალი ჟურნალის სარგებლობაზედ“. კირილე ლორთქიფანიძემ დადებითად შეაფასა „ცისკრის“ მიერ ბარათაშვილის ლექსთა გამოქვეყნება და ნიჭიერ პოეტს „ჩვენი ლერმონტოვი“ უწოდა. კირილე ლორთქიფანიძის მიზანიც არ არის ბარათაშვილის შემოქმედების მიმოხილვა, მაგრამ სწორი შეფასებითი დამოკიდებულება კრიტიკოსს უაღრესად მკაფიოდ აქვს გამოთქმული.

1863 წელს „ცისკრის“ მე-3 ნომერში ანტონ ფურცელაძე აქვეყნებს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ორი ნომრის მიმოხილვას. ილიაზე გაბრაზებულმა ანტონ ფურცელაძემ ვერ შეძლო სწორად გაეანალიზებინა „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი ბარათაშვილის ლექსი – „შემოლამება მთანმინდაზედ“ და

მეორე ნომერში დაბეჭდილი – „მაღლი შენს გამჩენს ლამაზო“. კრიტიკოსის აზრით, ძალიან დაბალია ორივე ნაწარმოების მხატვრული ღირებულება. აი, რას წერს ანტონ ფურცელაძე ლექსზედ – „შემოღამება მთაწმინდაზედ“: „ეს დიახ, კარგი და ჩინებული ლექსია; ამ ლექსიდანა სჩანს, რომ ავტორი ნამდვილი პოეტი ყოფილა, ჰქონია მგრძნობიარი სული და სხვა არაფერი! მკითხველი რაღაც მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას და, როდესაც გაათავებს, რჩება ხახა-მშრალი, გულცარიელი, ეს იმიტომა, რომ აქედამ არ ამოგაქვთ გონების მსაზრდოებელი ლუკმა და როგორც მშიერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვასა, ისეთივე და უფროც მშიერი რჩებით, რადგანაც ეს იმ საჭმელსა ჰგავს, რომ კაცს მადას უხსნის და კუჭს კი არ ეცხოვბა რამდენიც გინდა სჭამო“ („ცისკარი“ 1863, № 3, 435-436). ბარათაშვილის მეორე ლექსიც – „მაღლი შენს გამჩენს ლამაზო“, ანტონ ფურცელაძის აზრით, მხოლოდ სასიმღეროდაა გამოსადეგი.

თუ მართლაც ასე ფიქრობს ანტონ ფურცელაძე, რაც არ უნდა ჭკვიანი კრიტიკოსის სახელი ჰქონდეს დამკვიდრებული, მას აკლია უნარი ნიჭის შემჩნევისა და დაფასების, უხარისხოთა შორის ღირებულის გამორჩევის, რაც, პირდაპირობის გარდა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს კრიტიკოსს; ხოლო თუ ამგვარი შეფასება „საქართველოს მოამბის“ რედაქტორზე განაწყენებითაა გამოწვეული, ეს ფაქტი ააშკარავებს კრიტიკოსის არაობიექტურობას, რაც კიდევ უფრო მეტად უარყოფითად ახასიათებს მას. ვფიქრობთ, უფრო რეალურია მეორე მიზეზი, რადგან ფურცელაძე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ბარათაშვილის „მერანს“ ლექსით „პასუხი“ და ზემოთ აღნიშნული წერილის შემდგომაც მრავალ წერილში აქო ნიკოლოზ ბარათაშვილი, კერძოდ, 1864 წელს «Литературный листок»-ში (№№ 3-9) დაბეჭდა წერილი ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ შესახებ (ალბათ მიხვდა, რომ ილია ჭავჭავაძეს ვერ მოერეოდა) და, მწერლობის ზოგად დახასიათებასთან ერთად, ნიკოლოზ ბარათაშვილიც დადებითად შეაფასა; ამჯერად იგი დანიელ ჭონქაძეს დაუკავშირა: „თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჭონქაძე იყვნენ ერთადერთნი, რომელთაც თავისი თხზულებებით გამოხატეს, რომ ისინი გრძნობდნენ ირგვლივ არსებული წრისა

და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიმძიმეს. პირველი მათგანი ცხოვრებას ლერმონტოვის, თავისი თანამედროვის, მსგავსად უცქერის და, მეორე, თავის მოთხრობაში „სურამის ციხე“, მოხდენილად განიხილავს ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ სუსტ მხარეს, თუმცა მეტად სუსტადვე“. ვფიქრობთ, ამგვარი დაკავშირება პოეტისა პროზაიკოსთან, გენიოსისა საშუალო ტალანტის მწერალთან მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების სიმძიმის ასახვის თვალსაზრისით, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. 1867 წელს კი დროებაში დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილის სქოლიოში მან აღნიშნა: „ნ. ბარათაშვილის ზოგიერთა ჩინებულს ლექსებსა... თვითონ ბაირონიც არ დაიწუნებდა, რომ თავისი დაწერილი ყოფილიყო“ („დროება“, 1867, № 35).

ბარათაშვილის შემოქმედების ყველაზე ღრმა ანალიზითა და მეცნიერული სიზუსტით გამოირჩევა ილია ჭავჭავაძის „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რომელთა ბეჭდვა 90-იან წლებში „ივერიაში“ დაიწყო, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ილიას ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაწყებული აქვს ფიქრი ქართული ლიტერატურის რეტროსპექტული დახასიათების შესახებ, რომლის მცდელობა ჰქონდა ჯერ სოლომონ დოდაშვილს და შემდგომ – ნ. ბერძენიშვილს, მაგრამ მათი წერილები ძირითადად ცალკეული მოვლენებისა და მწერლების შეფასებაა, ვიდრე ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი პროცესის გააზრება. ილია სწორედ ამ მთლიანი პროცესის წარმოჩენას შეეცადა; აჩვენა კავშირი წინა და მომდევნო თაობის მწერალთა შორის, ახსნა და დაასაბუთა პერიოდების მიხედვით მწერლობის ტენდენციები და ხასიათი. ილიას ეს წერილი დაუმთავრებელია; მასში ჩართული გეგმა-კონსპექტი მიგვითითებს, თუ რა საკითხებზე იქნებოდა შემდგომი მსჯელობა. ევროპეიზმზე მსჯელობის დროს, რომელსაც ილია ქართული ლიტერატურის განვითარების აუცილებელ ეტაპად თვლის, გეგმის სახით ის წერს: „დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურული ლექსი; გრ. ორ-

ბელიანი, გამაგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ესლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძავენ მაგ ევროპულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან. დამტკიცება ამისი ფაქტებით“ (ი. ჭავჭავაძე 1988 : ტ.3, 457). ილიას, როგორც კრიტიკოსის დიდ ალლოზე მიუთითებს ანალიტიკური მიდგომა საკითხებისადმი და, განსაკუთრებით, ქართველ მწერალთა შორის მემკვიდრეობითი მიმართების დანახვა. ილიამ ამ წერილში გამოთქმული დებულებები შემდგომ წერილებში განავითარა.

1865 წლის „ცისკრის“ ივლისის ნომერში მღვიმელი ბეჭდავს გამოხმაურებას დავით ჩუბინაშვილის 1863 წელს გამოცემულ ქართული ქრესტომათიის მეორე ნაწილზე, რომელშიც, სასიმღერო განყოფილებაში, ბარათაშვილის სამი ლექსი ყოფილა შეტანილი – „ჩემი ლოცვა“, „მერანი“ და „სულო ბოროტო“, ხოლო „აღწერილობითი პოეზიის“ განყოფილებაში – ნაწყვეტი პოემიდან „ბედი ქართლისა“, სათაურით „არაგვი“. მღვიმელის წერილი კრიტიკული ხასიათისაა. კერძოდ, ბარათაშვილის შემოქმედების თვალსაზრისით ის უსაყვედურებს ჩუბინაშვილს, რომ არ ესმის პოეტის ლექსთა ხასიათი. აღშფოთებული მღვიმელი წერს: **„დახედეთ, როგორ ვექცევით ბარათაშვილის ლექსებს, ჩონგურზედაც კი მღერიან „სულო ბოროტოს“, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ „სულო ბოროტოს“ მნიშვნელობა სულ არ ესმის იმ ბატონ პირებს, ვინც „სულო ბოროტოს“ მღერის. ეჭვი არ არის, რომ ისინი „სულო ბოროტოს“ სიკვდილს ჰგონებენ, რადგანაც ნ. ბარათაშვილმა სიკვდილის დროს დასწერაო. არა, ჩემო ბატონო, ვინც ამას გონებთ, წაიკითხეთ გონების თვალთ, გულდასმით რამოდენიმეჯერ იმისი ლექსები, გაიგეთ ნამდვილი იმათი მნიშვნელობა და მაშინ, გარწმუნებთ, ყველა ერთ ხმად დასძახებთ, რომ „ჩვენი ბარათაშვილი გენიით ჩვენი რუსთაველის ძმააო“ („ცისკარი“, 1865, № 8).** მღვიმელი მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ „სულო ბოროტოს“ პოეტის სიცოცხლეშიც მღეროდნენ და მისი გარდაცვალების შემდგომაც, მაგრამ, ცხადია, არ ესმოდათ მისი შინაარსი, სიკვდილის აგონიის დროს წარმოთქმული პოეტის უკა-

ნასკნელი სიტყვები ეგონათ, 70-იან წლებში კი მას ერთგვარი სა-
არშყო მნიშვნელობაც კი მიუღია. მღვიმელი და მისი სახით
„ცისკრის“ რედაქცია აყენებს ბარათაშვილის ლექსთა სწორად გა-
გების საკითხს.

1965 წლის „ცისკრის“ მეცხრე ნომერში აკაკი წერეთელი
ბეჭდავს საკმაოდ ვრცელ და მნიშვნელოვან წერილს – „რამდენიმე
სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“. წერილი წარმოადგენს გამომხაურე-
ბას პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ
კრებულზე, რომლის სათაურია „ჩონგური“. მასში ბარათაშვილის
სამი ლექსია შეტანილი: „ფიქრნი მტკვრის პირას“, „საყურე“ და
„ვპოვე ტაძარი“.

აკაკის ამ სტატიაში აქამდე განხილულ ყველა წერილზე უფ-
რო ვრცლად არის წარმოდგენილი ბ. ბარათაშვილის შემოქმედება
და განსაზღვრულია მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ის-
ტორიაში. აკაკის მიერ პირველად არის დანახული იდეური მსგავ-
სება ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს შორის. **„ბარათაშვილი
და ჭავჭავაძე სწორედ ერთ ტახტზედ სხდომის ღირსები არიან,
ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვა-
რად დაუვინყარები არიან, ერთს განუწყვეტელის ჯაჭვით გა-
დაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორისოდ გაგება ძნე-
ლია“** („ცისკარი“, 1965, № 9).

აკაკი რეალისტური თვალთახედვით აფასებს ბარათაშვილს.
მისი აზრით, პოეტი იმიტომ შეტრფის ბუნებას, რომ მასში ადამიან-
ნი მოქმედებს, **„თორემ რომ ხალხი არ იყოს და უდაბური იყოს,
მაშინ გინდ სამოთხის დარიც იყოს, არ გვინდა! მარტო ბუნებას
ნუ შესცქერიხარ, შეხედე ხალხსაც, გამოიძიე რას შვრება?“**
(იქვე). აკაკის აზრით, ბარათაშვილმა ხალხის ცხოვრება ასახა, შე-
ამჩნია საზოგადოების მოძველებული ადათ-წესები, ეგოისტური
განწყობანი და უდაბნოში იგრძნო თავი. პოეტმა დაკარგა საზოგა-
დოების რწმენა, რადგან ვერავინ იპოვა მასში თავისი სულის თა-
ნაზიარი. აკაკი ამავე განწყობას ილია ჭავჭავაძის პოეზიაშიც ამ-
ჩნევს. აკაკი ეხება ბარათაშვილის არა მხოლოდ „ჩონგურში“ და-
ბეჭდილ ლექსებს, არამედ მის სხვა ნაწარმოებებსაც. ბარათაშვი-
ლის იმედგაცრუებას აკაკი მის სულით დაცემას უკავშირებს, მაგ-

რამ აღნიშნავს, რომ „**ძნელია ასეთის დიდის ნიჭის დაცემა აღუდგენლად, როგორც ბარათაშვილი იყო და ამისთვის ეს დაცემის გამომხატველი გრძნობა იყო მხოლოდ წამითი მოკლე ხნის აღბორცების გამო. შემდგომ ლექსებით თვითონვე არღვევს თავის ნათქვამ სიტყვებს და ინანებს, როდესაც პოეტი მიდის მტკვრის პირზედ და ჰფიქრობს**“ (იქვე). აკაკის აზრით, ბარათაშვილმა სწორედ ამ ლექსში მიაგნო ცხოვრების არსს, რისი დადასტურებაცაა ლექსის ბოლო სტრიქონები: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვეიან...“, ხალხის დაცემისა და მისი ინდიფერენტიზმის მიზეზები კი პოეტმა პოემა „ბედი ქართლისაში“ წარმოაჩინა, ხალხის მომავალზე ზრუნვა გამოჩნდა ლექსში – „მერანი“. აკაკის განმარტებით, შავი ყორანი ის უბედურება იყო, რომელსაც დაეპყრო პოეტის სამშობლო; პოეტი გაექცა მას, მაგრამ ეს არ იყო ლაჩრული გაქცევა, ეს იყო თავგანწირვა უკეთესი მომავლისათვის, რომლის ნაყოფს შთამომავლობა მიიღებდა. აკაკი იმასაც აღნიშნავს, რომ ბარათაშვილის შემოქმედება დიდხანს იყო გაუგებარი ქართველი მკითხველისათვის, თუმცა თავადაც ერთი პოზიციით აფასებს პოეტს და მის სულიერ მდგომარეობას რომანტიკული აზროვნებით არ ხსნის.

აკაკის ბარათაშვილის ღირსეულ მემკვიდრედ მხოლოდ ილია ჭავჭავაძე მიაჩნია. ის წერს: ილიამ „**პირველათ, რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო პუშკინით, ლერმონტოვით და სხვ. მაგრამ ბოლოს დააგდო ეს გზა და შეუდგა ბარათაშვილის კვალს და, რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამად, ტირილით და უწყო ხალხს შეჩვილა: აი რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი, რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო. ერთი სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკარნახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული**“ (იქვე). აკაკიმ ამ წერილში კატეგორიულად დააყენა საკითხი ბარათაშვილის შემოქმედების მეცნიერული შესწავლისა.

აკაკის მოწოდებამ ნაყოფი გამოიღო. 1870 წლის „დროების“ პირველ ნომრებში გამოქვეყნდა ალ. ცაგარელის წერილი „ჩვენი უბედური მნიგნობრობა ამ საუკუნეში“. წერილი ზოგადად ილია ჭავჭავაძეს მიეძღვნა, მაგრამ მასში ნ. ბარათაშვილის შემოქმედე-

ბაზეც არის გამოთქმული მნიშვნელოვანი შეხედულებები. ცაგარელი ბარათაშვილს ბაირონს ადარებს თავისი ორიგინალობით. მისი აზრით, ბარათაშვილი განცალკევებით დგას ქართულ ლიტერატურაში, რადგან არავის არ ბაძავს, ისევე განცალკევებით, როგორც ბაირონი – ინგლისურ ლიტერატურაში; გამოირჩევა „ფოლადისებური ლექსებით“ და ნიჭით, იალბუზივით მაღალია სხვებთან შედარებით. დრომ მის ნიჭს ნიადაგი გამოაცალა, „უსაგნოდ“ დატოვა, ამიტომ პოეტმა გამოსავალი სიკვდილში პოვა. ალ ცაგარელის შეხედულებით, მერანი იმ ადამიანის სიკვდილისაკენ სწრაფვას, რომელსაც გულიდან ამოშლილი აქვს თავისი მამულის სახელი. გაუგებარია მიზეზი მამულის ამგვარი უგულებელყოფისა. ცაგარელი არ ხსნის, რომ ბარათაშვილის ერთგვარი განდგომა უფრო დიდი მიზნის მისაღწევად ხდება, ვიდრე პირადი კმაყოფილება და ბედნიერებაა. ცაგარელი ბარათაშვილის ცხოვრებასა და „მერანის“ მიერ განვლილ გზას შორის დიდ მსგავსებას ხედავს და მეცნიერებისაგან მოითხოვს ბარათაშვილის ბიოგრაფიის დაუყოვნებლივ დაწერას. ის ცდილობს გაარკვიოს, ცხოვრებაში რა მოვლენებმა იქონია მასზე ზეგავლენა. ასეთ ფაქტორებად მიაჩნია მწერლისდროინდელი საზოგადოება და საუკუნის დასაწყისში ევროპული და რუსული პროცესების ზეგავლენა. ალ. ცაგარელი წერს: „ლექსებში „სულო ბოროტო“ და „ჩემს მერანს“ ბევრი ალაგია, რომელშიც თითქმის ნამდვილ იმ სიტყვებს შეხვდებით ლერმონტოვის „ემშაკში“ («Демон») და „მწიროში“ (ე.ი. მწირი, ბერი, «Мцыри»); აგრეთვე ბევრ ალაგს ბაირონის თხზულებაში, მეტადრე „ლიუციფერში“, რომელიც ამტკიცებს, რომ ნ. ბარათაშვილი იმით თხზულებებს იცნობდა. ამ ევროპიდან გადმონაბერ უკმაყოფილების გრძნობაზედ, ზედაც საკუთარი ბუნების მიმართულება დაერთო და ამ მიზეზებმა დაჰბადეს ეს, სავსე დარდით და ნაღვლით, მწუხარე მოთქმა და ჩივილი და თავით ბოლომდინ გლოვის ზარით გარემოცული ადამიანი“ („დროება“, 1870, №2). ბარათაშვილის ენას ცაგარელი რუსთაველის მეტყველებას ადარებს, რადგან ბარათაშვილის ენა „არც სულ ძველია, არც ახალი, არც მნიგნობრულ-ხუცური, არც ტეტიურ-სოფლური ან ბაზრულ-ქალაქური; არა, ისეთია სწორეთ, როგორიც უნ-

და იყოს ლიტერატურისა და პოეზიის ენა“ (იქვე). ბარათაშვილის მშვენიერ ლექსწყობას ალ. ცაგარელი არ მიიჩნევს ბოლომდე ნაციონალურად, ქართულად, თუმცა გაუგებარია – რატომ. ცაგარელმა უნოდა ბარათაშვილს ახალი ქართული მწერლობისათვის ნიადაგის შემქმნელი.

1871 წლის „დროების“ 26-ე ნომრის კორესპონდენციაში ნიკო ნიკოლაძემ შეაფასა ლერმონტოვის „დემონი“, ფაზელის მიერ ნათარგმნი, შეეხო ქართული პოეზიის მტკივნეულ საკითხებსაც – რითმის გამო აზრის დამახინჯებას და ერთადერთ გამონაკლისად ბარათაშვილი მიიჩნია. მან ზოგადად მაღალი შეფასება მისცა ბარათაშვილის მთლიან შემოქმედებას, ხოლო 1877 წელს „დროების“ მეთვრამეტე ნომერში ცალკე წერილი მიუძღვნა პოეტს სათაურით „სირაჯ-პოეტი (ლია ნიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოს)“. აზრის გამოხატვის ამგვარი სიმკვეთრე, როგორც ამ ორიგინალურ სათაურშია, ზოგადად, ახასიათებს ნიკო ნიკოლაძეს. ნ. ნიკოლაძის სიტყვებით, ბარათაშვილი იყო ის კაცი, რომელსაც **„ბედმა უხვად მიანიჭა მხურვალე გრძნობა, გახსნილი გონება, ნარნარი გული და მშვენიერი ნიჭი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი შეადგენს ზეცის უძვირფასეს სამკაულს და გვირგვინს“**. ნიკო ნიკოლაძისთვის ბარათაშვილი პოეზიისთვის ნამებული რაინდია.

1873 წელს ჟურნალ „კრებულის“ მიერ ბარათაშვილის წერილების გამოქვეყნებას მოჰყვა სერგეი მესხის ვრცელი წერილი. მასში კრიტიკოსმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ბარათაშვილის ეპისტოლარული და პოეტური მემკვიდრეობის მჭიდრო კავშირზე, სულიერ ობლობაზე, რომელიც ორივეგან იკვეთება. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ბარათაშვილის პირად წერილებს მესხმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რაც არ გაიზიარა დავით ერისთავმა და 1873 წლის «Тифлисский вестник»-ში მოთავსებულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში მათ „უბრალო კაცის ნიგნები“ უწოდა. დავით ერისთავს მკაცრი პასუხი გასცა გიორგი წერეთელმა „დროებაში“ (1873 წ, № 36) წერილით „ერთი უგბილი“. გ. წერეთელი წერს: „სანამდის ზემოხსენებული ... ნიგნები დაიბეჭდებოდა, ყოველს ჩვენგანს „მერანის“, „სულო ბოროტოს“ და „ქართლის

ბედის“ დამწერი ეგონა რაღაც ახირებულ მოვლენათ ჩვენს ცხოვრებაში... ჩვენ არაფერი არ ვიცოდით იმ მომენტისა, როცა ნ. ბარათაშვილი მოქმედებდა და არც იმისი მიმართულებისა... ვინ იყო თვითონ ბარათაშვილი, რა გული ჰქონდა, რა ბუნება, რა ნიჭის თვისება... ან რა საგანი ცხოვრებისა... ჩვენ ის უფრო სხვა ტომის კაცი გვეგონა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს მდიდარი ყვავილი ჩვენი უწინდელი ცხოვრებისა ადრე დაუზრავს ბაირონის გამეხებულ სარკაზმს, ლერმონტოვის გულმოსაკვლელ ფიქრებს და განუშორებია თავის სამშობლოზედ... აი, ამის გამო ვფიქრობდით, იმას არა ჰყავს ჩვენს ცხოვრებაში არც წინაპარი და არც შთამომავლობა. სხვა ამაზე უფრო სწორი და ძვირფასი გამოკვლევანი ჩვენის სამშობლო ლიტერატურისათვის დაკარგული იყო, სანამდის ნ. ბარათაშვილის წიგნები დაიბეჭდებოდა „კრებულში“. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ წიგნების შემდეგ ჩვენ თითქოს გაგვიცოცხლდა თვალწინ ის დიდი ნიჭისა და აზრის მწერალი, რომლის ცხოვრება აქამდის დაკარგული გვეგონა. ნ. ბარათაშვილის წიგნებმა დაგვიხატა თვითონ ნ. ბარათაშვილი ჩვენებურ ახალგაზრდათ, რომელიც ებრძვის გმირებს, ებრძვის გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო ქვეყანა და ლიტერატურა წინ წაიყვანოს. ამის გულისთვის თვითონაც შრომობს და თავის ნათესავეებსა და მეგობრებსაც აღვიძებს, ამხნევებს. ნ. ბარათაშვილის წიგნების დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ დავინახეთ უფრო ნათლათ თვითონ მისი დროის ცხოვრება და დავრწმუნდით, რომ იმის სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ყოფილა შეწირული... აი ამდენი ახალი და ძვირფასი მასალა შესძინა ნ. ბარათაშვილის წიგნებმა ჩვენს ლიტერატურას“ („დროება“, 1873, № 19). გაუგებარია, რატომ ებრძვის ბარათაშვილი გმირებს ან „გონების წარმატებას“. სხვა მხრივ წერილი უაღრესად პროგრესულია, პირველ რიგში, ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გააზრებისა და დაფასების თვალსაზრისით.

1876 წელს ბარათაშვილის პირველი კრებულის გამოცემამ გაზარდა სალიტერატურო კრიტიკის ინტერესი ბარათაშვილის შემოქმედებისადმი და 1876 წლის „დროების“ მე-60 და 61-ე ნომერებში

დაიბეჭდა გიორგი თუმანიშვილის ვრცელი რეცენზია „ლექსნი თქმულნი ნ. ბარათაშვილისაგან, 1876 წ.“. გ. თუმანიშვილი ბარათაშვილს თანამედროვეთაგან გამორჩეულად მიიჩნევს, რომელსაც ბადალი კი ჰყავს ევროპულ ლიტერატურაში, მაგრამ – საკმაოდ ცოტა. თუმანიშვილი დანვრილებით მიმოიხილავს იმ ზოგადსაკაცობრიო თემატიკას, რომელიც ბარათაშვილს ანუხებს და პოეტის ფიქრებს „საყოველთაოს“ უწოდებს. ის ამჩნევს, რომ ბარათაშვილი მეტად სულის ადამიანია. მის პატრიოტულ განწყობას კრიტიკოსი „იმ დროის უკეთეს ქართველთა“ ნააზრევად მიიჩნევს. განსაკუთრებით მას ხიბლავს ბარათაშვილის პოლიტიკური აზროვნება, რომელიც არ გულისხმობს მტრის შეუბრალებელ განადგურებას და თავისუფალია შოვინიზმისგანაც და სენტიმენტალიზმისგანაც. წერილის ნაკლი ის არის, რომ კრიტიკოსი ბარათაშვილის შემოქმედებას მრავალფეროვნად არ თვლის და საკუთრივ პოეტს აყენებს სხვა პოეტებზე – დავით გურამიშვილზე, ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზე უფრო დაბლა იმ თვალსაზრისით, რომ ბარათაშვილი „არ ჰხატავდა მრავალ-ფეროვან კაცის გულს, რომ ის არ იცნობდა სხვის ოცნებებს და გრძნობებს ისე, როგორც თავისას, რომ ის არ იყო კარგი მცნობი ნამდვილ ცხოვრების წერილმან მხარეებისა“. თუმანიშვილის აზრით, ბარათაშვილი ძლიერია ზოგადსაკაცობრიო აზრისა და პატრიოტული გრძნობის გამოხატვაში, მაგრამ, როცა ისტორიული პირის შეფასებას იძლევა, მისი აზრი მძიმედ გამოიხატება, იმგვარად, რომ მასში ვეღარც კი იცნობა ბარათაშვილი. კრიტიკოსი გულისხმობს ლექსებს – „ნაპოლეონი“ და „საფლავი მეფისა ირაკლისა“.

1876 წლის ლექსთა კრებულის გამოცემას გამოეხმაურა ნიკოლოძე და გაზეთ «Тифлисский вестник»-ის მე-17 ნომერში ხელმოუწერლად დაბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული შესწავლის ღირსია პოეტის როგორც შემოქმედება, ასევე ცხოვრება. მან გიორგი თუმანიშვილისაგან განსხვავებით, უაღრესად მრავალფეროვნად მიიჩნია პოეტის შემოქმედება, თავისი დროის ცხოვრებისეული მოტივებით დატვირთულად. მან ბარათაშვილის სტილზეც გაამახვილა ყურადღება – „სიტყვების ეკონომიურობასა და ფორმის შეკუმშულობაზე“, რაშიც დაინახა

ბარათაშვილის დაშორება თავის წინამორბედთან – ალ. ჭავჭავაძესთან და რუსული პოეზიის ვარსკვლავთან – ლერმონტოვთან მიახლოება. ნიკო ნიკოლაძეს ბარათაშვილის პოეზიაში ყველაზე მეტად სატრფიალო ლექსები ხიბლავს, აქ აღიქვამს ბარათაშვილს, ფილოსოფიური ხასიათის ლექსებს კი უფრო დუნედ მიიჩნევს. პოეტის შემოქმედებაში ის გამოჰყოფს დაუხვვენავ და უშინაარსო ლექსებსაც, რაშიც ვერ დავეთანხმებით. შეიძლება, ბარათაშვილის გიმნაზიისდროინდელი ლექსები იყოს სუსტი მომდევნო შედეგებთან შედარებით, მაგრამ უშინაარსო ნამდვილად არ არის არცერთი მათგანი.

1881 წლის 21 თებერვლის „დროების“ ფურცლებზე დაიბეჭდა ვლადიმერ მიქელაძის წერილი – „ნიკო ბარათაშვილი“. ავტორი მიზნად ისახავს ბარათაშვილის ნიჭისა და მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების მჭიდრო კავშირის ჩვენებას. მიქელაძის აზრით, ბარათაშვილი მისტიკის წარსულს, რადგან მომავლისგან უარესს ელის. კრიტიკოსმა ბარათაშვილს „კაემნის პოეტი“ შეარქვა, თუმცა მაინც შენიშნა ბარათაშვილის შემოქმედებაში იმედი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შედეგებში დაინახა. ბარათაშვილის განსაკუთრებულობას მიქელაძე მისი მხატვრული შემოქმედების შემდეგ კომპონენტებში ხედავს: 1. ლირიზმში, 2. გრძნობათა სიღრმეში, 3. ფანტაზიასა და 4. აზრის ნათლად გამოხატვაში. ესენია მისი მუზის ღირსებანი.

1883 წლის სექტემბრის ნომერში ჟურნალი „ივერია“ აქვეყნებს ცენზურის მიერ საკმაოდ დამახინჯებულ „შინაურ მიმოხილვას“, რომელშიაც მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებზეა საუბარი, როცა მიძინებული იყო ჩვენი მწერლობა და ამ ძილს არღვევდა „ხოლომე ნ. ბარათაშვილის პოეზია და გრ. ორბელიანის ღრმად პოეტური კალამი“. ავტორის, სავარაუდოდ, ი. ჭავჭავაძის, აზრით, ისინი ცოტანი იყვნენ და ვერ აფხიზლებდნენ „დაძინებულ ქართველთა გონებას“.

1888 წელს სანდალას ფსევდონიმით ზაქარია ქიქინაძემ დაბეჭდა წიგნი – „წერილები ქართულ მწერლობაზე“. ბარათაშვილის შესახებ მასში ნათქვამია, რომ მწერალი არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო და მის ტკივილს არანაირი კავშირი არა აქვს ქარ-

თველი ხალხის ტკივილთან, მისტიროდა არა ქართველი ხალხის ბედს, არამედ თავისი გვარის დაცემას; რომ „მერანში“ არ ჩანს ზოგადსაკაცობრიო აზროვნება, ის პოეტის ნათესავის ტყვედ ჩავარდნის გამოა დაწერილი. მწერალი მის ბიოგრაფიასაც ეხება და ამბობს, რომ უმაღლესში შესვლა იმიტომ სურდა, რომ ჩინ-მედლები მიეღო და ხალხი ეყვლიფა. მან ბარათაშვილის უდიდეს დანაშაულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გლეხკაცის სახე არ მოგვცა თავის შემოქმედებაში და ბატონყმობის სისასტიკე არ აღწერა. ის სვამს კითხვას, როგომ მიაჩნიათ ბარათაშვილი უდიდეს პოეტად, როცა „სახსენებლადაც არ უნდა ღირდეს ისეთი მსტვინავი მოშაირე“.¹ წიგნის ავტორმა ბარათაშვილთან ერთად დაასამარა მთელი მე-19 საუკუნის I ნახევრის ქართული მწერლობა.

ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ამგვარი პროვოკაციული წიგნი და 1888 წლის „ივერიის“ ნომრებში (№ 191, 192, 193) დაბეჭდა ვრცელი წერილი – „ორნი არიან, ტოლნი არიან, ანუ აგანგალა განგალა, შავროვი და სანდალა“. ილიამ მიწასთან გაასწორა წერილის ავტორი, ხოლო 193-ე ნომერში სანდალას წიგნს პროვოკაციული და ანტიმეცნიერული უწოდა.

1889 წელს მ. ვეზირიშვილი „ივერიის“ 247-251 ნომრებში ბეჭდავს ვრცელ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილს – „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მოკრძალებით აღნიშნავს, ბარათაშვილის შემოქმედებას სრულყოფილად ვერ განვიხილავთ, ნაშრომი ყველაზე სრული მიმოხილვაა პოეტის შემოქმედებისა მანამდე არსებულ მიმოხილვებთან შედარებით. სტატიის ავტორი ბარათაშვილს მსოფლიო პოეტთა იმ მცირერიცხოვან გუნდს მიაკუთვნებს, „რომელნიც ერთის თავის ლექსის ძლიერებით, ერთის ჩანგის დაკვრით აღძრავენ მრავალს მკითხველსა და ელექტრონის ძალით გადასცემენ თავის ღრმა ფიქრებსა“. ვეზირიშვილი ხედავს, რომ პოეტი გაცილებით მაღლა დგას თავისი დროის საზოგადოებაზე და ესაა სწორედ მისი სევდის ძირითადი მიზეზიც. ავტორი ამჩნევს, რომ ბარათაშ-

¹ იხ. წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილი და XIX საუკუნის ქართული პრესა“, 1968, გვ. 53

ვილი თან წყევლის წუთისოფელს და თან უყვარს იგი, რაშიც ზედმინვენით ემსგავსება ბაირონს; მისი აზრით, ბარათაშვილს მშვენიერება მიაჩნია ადამიანური ცხოვრების საფუძვლად; მშვენიერება კი არის „ჰარმონია კაცის ყველა სულიერ ძალთა შორის“; ჰარმონიის დასამყარებლად კი ადამიანის დაუმახინჯებელი ბუნებაა საჭირო. „წრეს-გადასულ წადილთა“ აყოლა ამახინჯებს ადამიანის ბუნებას. ყოველი არსება უნდა ცხოვრობდეს თავისი ბუნების შესაბამისად. ეს აზრია გამოხატული ლექსში – „სუმბული და მწირი“. მასში გამოხატული აზრი არა მარტო კაცის ცხოვრებასა და ბუნებას შეეხება, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს. ყოველი ერი უნდა ცხოვრობდეს საკუთარ ნიადაგზე, რომელიც შეეფერება იმის ბუნებას. მხოლოდ მაშინ შეძლებს ის ნაყოფის მოცემას.

ვეზირიშვილი ბარათაშვილის შემოქმედებაში განიხილავს შემდეგ მოტივებსა და თემებს: ადამიანის როლი და დანიშნულება ცხოვრებაში, სიყვარულის მოტივი, წუთისოფლის ცვალებადობა, ბუნება. კრიტიკოსი სამართლიანად მიიჩნევს „მერანს“ იმ ნაწარმოებად, რომელშიაც თავმოყრილია პოეტის სხვა ნაწარმოებებში მიმოზნეული აზრები და შეხედულებები. კრიტიკოსი აანალიზებს პოემა „ბედი ქართლისას“ და სწორად იქცევა, როდესაც ბარათაშვილის აზრს რომელიმე მოქმედი პირის აზრს არ უკავშირებს, „სამივეს თანაგრძნობით ეკიდება, რადგან მათში ჰპოვებს ერთგვარ მაღალის გრძნობის პატრონებს, გამარჯვებულად კი ერეკლე გამოჰყავს, რადგან მის მხარეზეა ისტორიული სინამდვილე“. ვეზირიშვილის მიერ სწორად არის გაგებული პოემის ყველა მოქმედი გმირის სახე.

ვეზირიშვილი დიდ მსგავსებას ხედავს ბარათაშვილსა და ბაირონს შორის. კრიტიკოსის აზრით, ისინი „**განვითარებითა და ძლიერის სულით გაცილებით მაღლა დგანან თავის თანამედროებზედ; ორივენი ჰგრძნობენ სულიერ უკმარობას, ორივენი არიან სულით ობოლნი და ვერ ჰპოულობენ თანამოზიარეთ; მოტყუებულნი მუხთალ სოფლისაგან, ორივენი მიესწრაფებიან უსულო ბუნებისაკენ და აქ ჰსურთ მოიპოვონ თავის დაკოდილ გულისათვის მაღამო“** („ივერია 1889, № 250). ვეზირიშვილმა გაამახვილა ყურადღება ბარათაშვილის პოეტურ ენაზეც. მისი აზ-

რით, ბარათაშვილმა დაუახლოვა სალიტერატურო ენა ხალხურ მეტყველებას, რითაც დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას ქართულ მწერლობაში, ვეზირიშვილის აზრები ძირითადად გაიზიარა მომდევნო დროის კრიტიკამ.

1892 წლის 15 აპრილს „ივერია“ ბეჭდავს ილია ჭავჭავაძის წერილს ბარათაშვილის შესახებ; ეს არის ერთი თავი, კერძოდ IV, ილიას ვრცელი გამოკვლევისა ქართულ ლიტერატურაზე. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ილიას ყველა აზრი თუ დებულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ იმდენად საფუძვლიანია, რომ მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და ლიტერატურულმა კრიტიკამ არცერთი არ უარყო, პირიქით, სულ უფრო მეტად იყენებს ილიას ნათქვამს და უღრმავდება მას. ილიამ ბარათაშვილი შეადარა ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს; დაინახა მათ შორის მსგავსება და განსხვავება. მთავარი განსხვავება ბარათაშვილის მწუხარების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაა, რასაც კარგად გამოხატავს ილიას სიტყვები – **„მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერმიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“**. ილიამ განიხილა ბარათაშვილის ლექსები – „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“, „შემოლამება მთანმინდაზე“ და სხვ.; ბარათაშვილის შემოქმედებაში გამოკვეთა შემდეგი მოტივები – უსაზღვროების წვდომის, სულიერი ობლობის, ცხოვრების ამაოების, ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების... ბედის საზღვრის გადალახვისა და შეუცნობელის შეცნობის სურვილი ბარათაშვილს უდიდეს შემოქმედთა გვერდით აყენებს. ილიამ ის ბაირონსა და გოეთეს შეადარა: **„ბაირონის კაენმა ამისათვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა“**. აქედან გამომდინარე, მერანი სულია, ხოლო ბედის საზღვრის გადალახვა კი იმ საზღვრის დაძლევაა, რომელიც გონებაში გაავლო ამ ქვეყანასა და იმ ქვეყანას შორის. როგორი განმარტებებიც არ უნდა მივცეთ მერანის სწრაფვასა და ბედის საზღ-

ვრის გადალახვას, საბოლოოდ ილიას აზრამდე მიდიან კრიტიკოსები. მერანის სწრაფვა სულის სწრაფვაა, შეიცნოს შეუცნობელი გონებით და სხვასაც გაუადვილოს „სავალი“. „მერანში“ დასმულია კაცობრიობისათვის საჭირობოროტო კითხვები, ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. ილია ჭავჭავაძემ იმსჯელა პატრიოტულ მოტივზეც ბარათაშვილის შემოქმედებაში და მისი ნატვრა და მიზანსწრაფვა პოეტის სიტყვებში დაინახა: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“.

ილიამ სიღრმისეულად განიხილა ბარათაშვილის შემოქმედება და ასეთი შეფასება მისცა მგოსანს: „ჩვენ სახეში არა გვექონდა და არცა გვაქვს ისე ვრცლად გამოკიდება არც ერთის ჩვენის მწერლისა, რომელთაც ცოტა თუ ბევრი ღვანლი მიუძღვის ჩვენს აზრთა ზრდაში, როგორც მოგვიხდა ნ. ბარათაშვილის შესახებ. გზა-კვალი მისის პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასაჯერი იყოს. იგი ობოლი მარგალიტია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდმარტოა ჩვენს მწერლობაში. არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევნი“ (ჭავჭავაძე 1991 : 544).

1893 წელს „ივერიის“ 85-ე ნომერში დაიბეჭდა მიხ. ნასიძის წერილი – „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“. კრიტიკოსი ბარათაშვილს მოიაზრებს, პირველ რიგში, ეროვნული სულისკვეთების გამომხატველ პოეტად, რომელსაც ეროვნულობა ხელს არ უშლის გაუტოდდეს ისეთ დიდ მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში, როგორიც ბაირონია. ნასიძემ გაიმეორა ილიას დებულება, რომ ბარათაშვილს არც წინამორბედი ჰყოლია ჩვენს მწერლობაში და არც მიმდევარი.

1893 წლის 25 აპრილს ჟურნალმა „კვალმა“ დაბეჭდა პავლე ყიფიანის წერილი – „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელშიც ძირითადად პოეტის ნაწარმოებთა შინაარსებია გადმოცემული.

1893 წლის „ივერიის“ 85-ე ნომრიდან „ივერიამ“ დაიწყო ბეჭდვა იონა მეუნარგიას ვრცელი მონოგრაფიის – „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. მეუნარგია მასალებს ამ მონოგრაფიისათვის 12 წელი აგროვებდა. ეს არის ბარათაშვილის ბიოგრაფიის მეცნიერულად გააზრების პირველი მცდელობა, დამყარებული

შეგროვილი მასალის გადამონმეზასა და დაზუსტებაზე. რაც შეეხება ბარათაშვილის შემოქმედების კრიტიკულ მიმოხილვას, მეუნარგიას მსჯელობა წინააღმდეგობრივია; ის აქებს ბარათაშვილს, თუმცა აღნიშნავს, რომ „გაფურჩქვნა ნიჭისა არ დასცალდა და ის დარჩა საშუალო ტანის პოეტად“. მეუნარგია ვერ ხედავს ბარათაშვილის შემოქმედებაში „ჭეშმარიტებისა და მშვენიერების საუკუნო იდეალებს“, უფრო სწორად, მათ ხედავს გრ. ორბელიანის შემოქმედებაში და ვერ ამჩნევს ბარათაშვილის ლირიკაში, რაც კრიტიკოსის პრინციპული შეცდომაა. ტიპოლოგიური მსგავსების თვალსაზრისით, მეუნარგია აფართოებს წრეს და, ლერმონტოვისა და ბაირონის გარდა, ბარათაშვილის ლირიკას ადარებს ბარბიესა და ჰაინეს შემოქმედებას; თუმცა მის მსჯელობას არ ახლავს შესაბამისი არგუმენტაცია. ი. მეუნარგია ბარათაშვილის სატრფიალო ლექსებს უწუნებს ენას და მიაჩნია, რომ მათ, ენის სირთულის გამო, არ ძალუძთ ქალის გულის მოგება, რაშიც ნამდვილად ვერ დავეთანხმებით. მეუნარგიას ბარათაშვილის „მერანი“ შედეგად მიაჩნია, მაგრამ, ამავე დროს, მიცკევიჩის „ფარისის“ მიბაძვად თვლის, რითაც უარყოფს თავისივე თვალსაზრისს.

1895 წელს იაკობ ფანცხავამ ჟურნალ „კვალის“ 45-ე ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელშიც ზოგადად მიმოიხილა ბარათაშვილის შემოქმედება და, ამავე დროს, კრიტიკულად შეაფასა ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის გამოცემა (1895 წ.). პოეტის შემოქმედების დახასიათებისას ი. ფანცხავას რაიმე ახალი არ უთქვამს.

1896 წლის ბოლოსა და 1897 წლის დასაწყისში ჟურნალ „კვალის“ ნომრებში თანმიმდევრობით იბეჭდება რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) ვრცელი წერილი, ბარათაშვილის შემოქმედების განხილვა. ხომლელი წინამორბედ მკვლევრებს, მ. ვეზირიშვილსა და ი. ჭავჭავაძეს, დაახლოებით პლაგიატობაში სდებს ბრალს, რომ ისინი „რუსეთში ათასჯერ დაღეჭილ სიტყვებს და პოეზიის გამომხატველ ვითომდა უტყუარ ნიშნებს...“ იმეორებენ და არ წარმოაჩენენ ნ. ბარათაშვილის განსაკუთრებულობას, მის ორიგინალურ თვისებებსა და შეხედულებებს. არ ვეთანხმებით ხომლელს და მიგვაჩნია, რომ ილიასა და ვეზირიშვილის წერილებში მწერლის თვითმყოფადობა და ორიგინალობა დანახულია, ხოლო, რაც შეეხება ტიპოლოგიურ

პარალელებს, ეს მწერლის შემოქმედებას ეპოქასთან აახლოებს და მსოფლიოს ბუმბერაზ მწერლებთან შედარება ბარათაშვილისთვის დამაკნინებელი არ უნდა იყოს. ხომლელი ბარათაშვილის შემოქმედებას ეპოქასთან კავშირში განიხილავს, როგორც ლიტერატურულ ფაქტს, წარმოაჩენს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის თანდათანობით ზრდას და ნ. ბარათაშვილის მიერ ახალი პოეზიისათვის შესაბამისი ფორმისა და შინაარსის ჩამოყალიბებას, რასაც დროისა და აგრეთვე საქართველოში ლირიკული ჟანრის განვითარების კანონზომიერ მოვლენად აღიქვამს.

ხომლელმა გაიაზრა ბარათაშვილის მსოფლმხედველობის საკითხებიც. ბარათაშვილის უპირატესობა თავისი დროის მწერლობასთან მიმართებით დაინახა იმაში, რომ მწერალმა არა მხოლოდ წარსული გააიდელა, არამედ თანამედროვეობაც შეაფასა, რითაც საფუძველი შეუქმნა ახალ ქართულ მწერლობას, „დაიწყო ახალი ხანა ქართულ ლიტერატურაში“. ბარათაშვილის შემოქმედებაში არა მხოლოდ მწერლის პირადი შეხედულებები აისახა, არამედ, გამოკვეთილად, ეპოქისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისაც.

ხომლელი მიმოიხილავს რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას და მსჯელობს მის სხვადასხვაგვარ ხასიათსა და გამოვლინებაზე სხვადასხვა ქვეყანაში; განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბაირონსა და მიცკევიჩზე და მსოფლიო პროცესებს უერთებს ბარათაშვილის ხმასაც; მიაჩნია, რომ ქართულ მწერლობაში სწორედ ბარათაშვილი იყო **„გამომთქმელი იმ გრძნობებისა და ხმებისა, რომელნიც მსოფლიო მგოსანთა წარმოებებში ატკობენ ჩვენ ყურს და იმორჩილებენ ჩვენს არსებას“**. ხომლელის აზრით, ბარათაშვილის რომანტიკოსად, „ობოლი სულის“ ადამიანად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო როგორც მსოფლიო ლიტერატურულმა პროცესმა, ასევე მისი ქვეყნის მდგომარეობამ. ყოველივე ამას ხომლელი ამატებს მესამე გარემოებასაც – პოეტის პირად ცხოვრებას და მისი ბიოგრაფიიდან ისეთ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნია სულიერ მდგომარეობაზე ზეგავლენისთვის. ამის შემდეგ კრიტიკოსი უშუალოდ ნაწარმოებების განხილვაზე გადადის. ვრცლად მიმოიხილავს სიყვარულისა და ბუნების თემებს.

ხომლელმა სავსებით გაიზიარა ილიას დებულება, რომ ბარათაშვილი ერთადერთია, გამორჩეულია მთელ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, მარტოა თავისი სიღრმით ჩვენს მწერლობაში. ხომლელი არ ეთანხმება მეუნარგიას თვალსაზრისს, რომ „მერანი“ მიცკევიჩის „ფარისის“ მიბაძვაა. ბარათაშვილის სიდიადეს, კრიტიკოსის აზრით, მოწმობს ის ფაქტიც, რომ თავის ლირიკას მან საფუძვლად დაუდო „ახალი ევროპის დიდი პრინციპები“ – თავისუფლება და ადამიანის ინდივიდუალურ ძალთა განვითარება.

ხომლელი აფასებს პოემა „ბედი ქართლისას“ საინტერესო კუთხით. მისთვის მნიშვნელოვანია, „თუ როგორი თვალთაშვილი უყურებს ერთი საუკეთესო შვილთაგანი ქვეყანას და იმ პირთა ღვაწლს, რომელნიც შეძლებისდაგვარად განაგებდნენ საქართველოს ცხოვრებას და ერს ბელადობას უწევდნენ“. ხომლელის მიერ საქართველოს ისტორიის ახლო წარსულის შეფასება საკამათო თემაა, ასევე სოლომონისა და მეფე ერეკლეს პოზიციათა გამორჩევა ბარათაშვილის მიერ.

ხომლელის დამსახურება უდავოდ ისიცაა, რომ მან შეამჩნია 60-იანელების მჭიდრო იდეური კავშირი ბარათაშვილთან. კერძოდ, ბარათაშვილის ლექსს – „საფლავი მეფის ირაკლისა“ მკვლევარი ადარებს ილიას „ქართველის დედას“. ხომლელის წერილის დასკვნა არსებითად ილიას წერილს ეფუძნება და მართებულია. ხომლელი ბარათაშვილს მიიჩნევს ეროვნულ ნიადაგზე მდგარ შემოქმედად, რომელიც თავისი ძლიერი ნიჭის წყალობით მოქალაქეებს იმდენად უფართოებს სარბიელს, რომ მათ ფიქრსა და აზრებს საკაცობრიო ღირსებას ანიჭებს.

1898 წლის ჟურნალ „მოამბის“ მეექვსე ნომერში კიტა აბაშიძე აქვეყნებს ეტიუდს სათაურით „თ-დი ნიკ. ბარათაშვილი“. ორიგინალურია კიტა აბაშიძის მიერ ბარათაშვილის შეფასება. მკვლევარი აყალიბებს იმ კრიტიკოსისთვის აუცილებელ ნიშან-თვისებებს, რომელმაც ბარათაშვილის შემოქმედებას უნდა მოჰკიდოს ხელი. ეს ნიშან-თვისებებია „საკრიტიკო მჭერმეტყველება ტენისა და ადამიანის სულის შეგნების უნარი შექსპირისა“; ამით კიტა აბაშიძე პირდაპირ უკრძალავს ბარათაშვილის შემოქმედებაზე მსჯელობას იმას, ვისაც შესაბამისი უნარი არ გააჩნია. მართალია, კრი-

ტიკოსი გამოარჩევს ბარათაშვილს, მაგრამ ხედავს მის წინამორბედთა ზეგავლენასაც პოეტზე; ბარათაშვილს კი „რეალურის ლირიზმის“ ფუძემდებელს უწოდებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვები არ მოწმობს იმას, რომ ბარათაშვილს მკვლევარი რეალიზმის დამწყებად ან ფუძემდებლად მიიჩნევს. რეალიზმის დამწყებად მას გიორგი ერისთავი მიაჩნია, ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებლად კი ილია, თუმცა აღიქვამს, რომ ბარათაშვილმა დროს გაუსწრო და ამას მის გენიოსურ ტალანტს მიაწერს. მან ბარათაშვილს „ცით მოვლენილი გენიოსი“ უწოდა.

კიტა აბაშიძე ბარათაშვილს ბაირონთან აკავშირებს გარკვეული პრინციპით. უშუალოდ ბაირონს კი არ უდარებს ქართველ მგოსანს, არამედ იმ მწერლებს, რომლებიც ღირსნი არიან ბაირონის გვერდით დგომისა. მისი მსჯელობიდან გამომდინარე, ბარათაშვილი არ დგას ბაირონის სიმაღლეზე, მაგრამ ლამარტინზე წინაა. ამგვარი შედარებით კიტა აბაშიძე აკნინებს ბარათაშვილს, რომელსაც თავადვე გენიოსს უწოდებს.

კიტა აბაშიძე საჭიროდ არ მიიჩნევს პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ურთიერთკავშირში კვლევას და ვფიქრობთ, თავად ტენდენციურად განიხილავს პოეტის ბიოგრაფიულ მომენტებს. კიტა აბაშიძე ობიექტურად აფასებს ბარათაშვილის ეპოქას, თუმცა ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ბარათაშვილის შემოქმედებაში სპარსული პოეზიის კვალს ხედავს; ვერც იმაში, რომ ლექსი „საყურე“ მას მიაჩნია ნამბაძველობით შექმნილად, რომელშიც ავტორი ცინიკურად გადმოსცემს თავის გრძნობებს. კიტა აბაშიძე, ბუნების გრძნობის გამოხატვის გამო, ბარათაშვილს პანთეისტს უწოდებს, თუმცა ამ სახელწოდებაში ბუნების გაღმერთებას არ გულისხმობს, მხოლოდ და მხოლოდ ბუნებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მიგვივლითებს. ის ამჩნევს ბარათაშვილის ქრისტიანულ რელიგიასთან მჭიდრო კავშირს; სწორედ ქრისტიანობა მიაჩნია მიზეზად იმ დიდი შეგნებისა, რომ ცხოვრების ამაოების შემცნობი პოეტი მაინც ვალის მოხდაზე ფიქრობს და ამ ქვეყნიდან ღირსეულ წასვლაზე. კრიტიკოსი იზიარებს ილიას თვალსაზრისს, რომ „მერანი“ სიმბოლური ნაწარმოებია და მეუწარგეას თვალსაზრისს, რომ იგი მიცკევიჩის „ფარისის“ მიმსგავ-

სებით არის დაწერილი. კიტა აბაშიძე ნაშრომში არ განიხილავს ბარათაშვილის ისეთ მნიშვნელოვან ლექსებს, როგორებიცაა: „ჩვილი“, „ცისა ფერს“, „ნაპოლეონი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“.

პოემა „ბედი ქართლისას“ კრიტიკოსი აფასებს, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მასალას, თავად ნაწარმოები კი რეალისტურად მიიჩნია. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ ბარათაშვილის მიერ გაკვალულ გზას, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძე, შემდეგ კი აკაკი წერეთელი გაჰყვნენ.

კიტა აბაშიძის „ეტიუდები“, რომლის ერთ-ერთი თავია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1962 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა.

1899 წლის „აკაკის თვითი კრებულის“ V და VI ნომრებში იბეჭდება ვასილ წერეთლის „კრიტიკული წერილები“. პირველი წერილი ზოგადთეორიული ხასიათისაა, მეორე წერილი კი ეხება სამი პოეტის – გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და აკ. წერეთლის შემოქმედებას. კრიტიკოსი ძირითადად სწორად აფასებს ბარათაშვილის შემოქმედების მნიშვნელობას; მიმოიხილავს მას წინა და მომდევნო დროის პოეზიასთან მიმართებაში, რითაც განსაზღვრავს მის ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში; ბარათაშვილი მიიჩნია იმ პოეტად, რომელსაც „პირველად მიაშუქა ევროპის განათლების სხივმა, თუმცა პირდაპირ არა, ალმაცერად მაინცა“. ამ სიტყვებში კრიტიკოსი გულისხმობს ბარათაშვილის რომანტიკოსობას და იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკას, რომელიც ბარათაშვილს ევროპელ მწერლებთან ანათესავებს. ვ. წერეთლის აზრით, ბარათაშვილის წინაშე არჩევანი იდგა. ის ან უნდა ჩაფლულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ქაობში, რომელიც მის გარშემო სუფევდა, „ანდა კიდევ უფრო გაედიდებინა ის უფსკრული, რომელიც სუფევდა იმას და საზოგადოებას შორის“. ბარათაშვილმა უფსკრულის გაფართოება აირჩია და ტანჯვა-წამებით შეუდგა ქვეშარიტების გზის გაკაფვას, რაც მკაფიოდ აისახა ლექსში „მირბის, მიმაფრენს“. გრიგოლ ორბელიანისა და ბარათაშვილის შედარებისას კრიტიკოსი აქცენტს აკეთებს მათ ენაზე. ორბელიანის ენაში აღტაცებას და სისწრაფეს ხედავს, ბარათაშვილის ენაში კი – სიღინჯეს, მწუხარებას, მშვენნიერებას და, ამავე დროს, მამა-

ცურობასა და მხნეობას. ეს ყოველივე არის ენისა და ლექსიკის კუთხით მწერლის შემოქმედების დახასიათება. აკაკისა და ბარათაშვილის შემოქმედებათა შეპირისპირებას კრიტიკოსი „პოეზიის პროგრამის“ ფარგლებში ახდენს. მისი აზრით, აკაკიმ გააფართოვა პოეზიის პროგრამა, ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო, ბარათაშვილი კი თავისი წრის პოეტად დარჩა. ვფიქრობთ, ამგვარი შედარება ორი პოეტისა უმართებულოა; აკაკის შემოქმედებაში საკითხთა წრის გაფართოება დრომ მოიტანა, ხოლო ის, რომ ბარათაშვილი არ ეხებოდა „საზოგადო კითხვებს“ და „ერთი წრის“ პოეტი იყო, შეცდომაა. ის, რაც კრიტიკოსს აკაკის შემოქმედებისათვის დამახასიათებლად მიაჩნია, ახასიათებს ბარათაშვილსაც. საკითხავია ისიც, რა უფრო ფასეულია პოეზიისთვის, საკითხთა წრის გაფართოება თუ იმ სიღრმის წარმოჩენა, რომელსაც ადამიანი მხოლოდ სულიერ გზაზე სიარულით აღწევს?!

მე-19 საუკუნე ზემოთ წარმოდგენილი პუბლიკაციებით ახასიათებს ნიკოლოზ ბარათაშვილს. მე-20 საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე გამოიცემა პოეტის თხზულებათა კრებულები: 1904, 1910, 1930, 1939, 1945, 1968 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ გამოცემას ერთვის პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი გამოკვლევები. 1910 წლის გამოცემას თან ახლავს ილია ჭავჭავაძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და ივანე გომართელის „ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია“; 1939 წლის გამოცემას ერთვის პავლე ინგოროყვას ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ს. ჯანაშიას „ბარათაშვილის გენეალოგიისთვის“, ა. შანიძის „ბარათაშვილის ენა“, გ. ნადირაძის „ნ. ბარათაშვილი და ლაიზევიცი“, ი. გრიშაშვილის „ნ. ბარათაშვილის მშობლების წერილები“. 1945 წელს გამოცემულ კრებულს თან ერთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია, რომლის ავტორია გიორგი ლეონიძე. ბიოგრაფიაში მოცემულია ბარათაშვილის შემოქმედების ზოგადი შეფასებაც. ლეონიძის აზრით, **„ბარათაშვილის „მერანი“ „ტიტანური ბრძოლის და გმირული ჭიდილის გამომხატველია. ამ დიდებულ სიმფონიაში ისმის ყველა ხუნდების დალენვის ხმაური“ (ლეონიძე 1945 : 31).**

ამავე წელს, 1945-ში, დაწერა აკაკი განერელიამ ვრცელი მონოგრაფია – „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელშიც შესულია პოეტის ბიოგრაფია.

1948 წელს აპოლონ მახარაძემ გამოსცა წიგნი სათაურით „ქართული რომანტიზმი“. მასში ცალკე თავადაა შესული ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე თავისგან შედგება. ნაშრომის ათი თავიდან I, II და III თავები ბარათაშვილის ცხოვრებას ეძღვნება. წიგნი მეორედ გამოიცა 1959 წელს, მესამედ – 1967 წელს.

ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით 1968 წელს გამოცემულ კრებულს თან ერთვის პავლე ინგოროყვას ვრცელი გამოკვლევა და მისივე წერილი – „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტის ისტორია“.

საიუბილეო წელს (1968) ცალკე წიგნად გამოვიდა გიორგი ნატროშვილის ნაშრომი ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, სათაურით „შემოთენება მთანმინდაზე“. ნაშრომში ვრცლად არის მიმოხილული მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა, კავკასიის ომი და ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, ბარათაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივები შერწყმულია პოეტის ცხოვრებისეულ ეპიზოდებთან. ნატროშვილი წერს საინტერესოდ, არაშაბლონურად, ამიტომ წიგნიც საინტერესოა მკითხველთა ფართო წრისათვის.

1978 წელს გამოცემულ „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას წარმოადგენს კრიტიკოსი გრიგოლ კიკნაძე. მასვე ეკუთვნის ცნობილი წერილი „რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ“.

ბარათაშვილის შემოქმედების კვლევა დღესაც გრძელდება. დღესდღეობით არავინ აკნინებს მის პოეტურ ღვაწლს, რადგან ტრადიციული დამოკიდებულება პოეტის შემოქმედებისადმი უკვე ჩამოყალიბებულია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი თანამედროვე მკვლევრის ნააზრევში გენიოსი პოეტის ცხოვრებისა თუ შემოქმედების ისეთი დეტალები იკვეთება, რომლებზედაც აქამდე არ დაფიქრებულა მკითხველი.

ბარათაშვილის პუბლიკაციები

ბარათაშვილის ნაწარმოებები პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. მისი ლექსები ვრცელდებოდა ხელიდან ხელში; ხელნაწერებში მითითებული იყო სასიმღერო ხმები და სალონებში როიალის აკომპანემენტით იმღერებოდა. პოეტის ნაწარმოებთა გაცემის საკითხი პირველად მისი გარდაცვალების შემდეგ დადგა; ინიციატორი ბარათაშვილის მეგობარი ლევან მელიქიშვილი იყო. მელიქიშვილი ნუხდა, რომ პოეტის ლექსები დროთა განმავლობაში იკარგებოდა, მეგობრებსაც კი ზეპირად აღარ ახსოვდათ. ამიტომაც ლევან მელიქიშვილის თაოსნობით ბარათაშვილის ახლობელ ადამიანებს გადაუწყვეტიათ პოეტის ნაწერების შეგროვება, როგორც ორიგინალური თხზულებების, ასევე თარგმანების. წიგნის წინასიტყვაობა გრიგოლ ორბელიანს უნდა დაეწერა.

მეგობრების ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა. ბარათაშვილის სახელი მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ქართულ პრესაში, როდესაც გიორგი ერისთავმა დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ პოეტის ოთხი ლექსი – „ბუღბუღი ვარდზე“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა...“) და „სულო ბოროტო“. ბარათაშვილის ამ ნაწარმოებებს წინ უძღოდა თავად გიორგი ერისთავის ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათოვის გარდაცვალებაზე“, სავარაუდოდ – ბარათაშვილის გარდაცვალების წელს დაწერილი, გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე.

ივ. კერესელიძის რედაქტორობით გამოსულმა „ცისკარმაც“ ხელი შეუწყო ბარათაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციას. 1858 წლიდან 1864 წლამდე მასში ბარათაშვილის 22 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა.

1861 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ილიამ გამოაქვეყნა ბარათაშვილის ლექსები და 1860 წელს დაწერილი თავისი ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილზე“.

1863 წელს დავით ჩუბინაშვილმა პეტერბურგში გამოსცა ქართული ქრესტომათიის მეორე ნაწილი, რომელშიც, სასიმღერო ლექსების განყოფილებაში, ბარათაშვილის სამი ლექსი შეიტანა: „ჩემი ლოცვა“, „მერანი“ და „სულო ბოროტო“, ხოლო „აღწერილო-

ბითი პოეზიის“ განყოფილებაში – ნაწყვეტი პოემიდან „ბედი ქართლისა“, სათაურით „არაგვი“ („მორბის არაგვი, არაგვიანი...).

1864 წელს პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძემ გამოსცა ქართველ მწერალთა ლექსების კრებული – „ჩონგური“, რომელშიც ბარათაშვილის სამი ლექსი იყო შეტანილი: „ფიქრნი მტკვრის პირას“, „საყურე“ და „ვპოვე ტაძარი“.

1872 წელს ილია ჭავჭავაძემ თავისი დის – ელისაბედისა და მისი მეუღლისაგან – ალექსანდრე საგინაშვილისაგან მიიღო ბარათაშვილის ოთხი წერილი, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი. ილია ამ დროს დუშეთში იმყოფებოდა. მან ეს წერილები სასწრაფოდ დააბეჭდვინა კირილე ლორთქიფანიძეს „კრებულის“ პირველივე ნომერში, რუბრიკაში – „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალები“. ტექსტიდან ამოღებულია მხოლოდ ადრესატის სახელები და მათ ნაცვლად ჩასმულია ასო N. სარედაქციო შენიშვნაში საუბარია ამ წერილების მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. რედაქციის მოწოდებამ, შეეკრიბათ ბარათაშვილის ხელნაწერები და ამით ეროვნული მნიშვნელობის საქმე გაეკეთებინათ, შედეგი გამოიღო. 1873 წლის „კრებულის“ მეორე ნომერშივე დაიბეჭდა ბარათაშვილის ლექსი – „დამქროლა ქარმან სასტიკმან...“, ხოლო ამავე წლის მესამე ნომერში – ბარათაშვილის ოთხი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი. ეს წერილები თავად გრიგოლ ორბელიანს მიუტანია რედაქციაში. ისინი იბეჭდება სარედაქციო შენიშვნით – **„ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათ დასაბეჭდათ გადმოცემისათვის უგულითადეს მადლობას ვუძღვნით“ („კრებული“ 1873, № 3).**

1873 წლის „კრებულის“ მესამე ნომერში პ. უმიკაშვილის მიერ გამოცემული გრიგოლ ორბელიანის ლექსთა განხილვისადმი მიძღვნილ წერილში ნიკო ნიკოლაძემ კატეგორიულად მოითხოვა ჩვენი სახელოვანი მწერლების და, მათ შორის, ბარათაშვილის ნაწარმოებთა გამოცემა. ამის შემდეგ თუმცა საკმაო დრომ განვლო, მაგრამ წამოწყებას სათავე მაინც დაედო და „ქართული მწერლობის“ პირველი წიგნი სწორედ ბარათაშვილის „ლექსნი“ აღმოჩნდა.

ბარათაშვილის ლექსების პირველი გამოცემა იყო პატარა ნიგნაკი – „ლექსნი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით **1876 წლის დასაწყისში** გამოვიდა, პოეტის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ; დაიბეჭდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში. მასში შევიდა პოეტის 30 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“; ტირაჟი შეადგენდა 1200 ცალს. გამოცემაზე იმუშავეს ილია ჭავჭავაძემ, კ. ლორთქიფანიძემ და პ. უმიკაშვილმა. ნიგნის წინასიტყვაობა დეტალურად გადმოგვცემს ბარათაშვილის პირველი კრებულის გამოცემის ისტორიას, იმ სიძნელეებს, რომლებიც გამომცემლებს ამ საქმიანობის დროს ხვდებოდათ, ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებას ბარათაშვილის მემკვიდრეობისადმი და ა.შ. ენისა და სტილის მიხედვით წინასიტყვაობა ილია ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს; მასში ვკითხულობთ:

„ეს ლექსთა კრება ნ.მ. ბარათაშვილისა გადმოვბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გ. დ. ორბელიანს. ხოლო ოთხი ბოლოს მოქცეული ლექსი (საუბარია ლექსებზე: „შევიშრობ ცრემლსა“, „დამქროლა ქარმან“, „ჩინარი“ და „მადლი შენს გამჩენს ლამაზო“. დღეს ყველა მათგანის ხელნაწერი ნაპოვნია. თ. შ.) სხვა ხელნაწერებში ვიპოვეთ. მათ შორის „ჩინარი“ ზედმიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია. დანაშთენს სამ ლექსზედ კი მაგას ვერ ვიტყვი, თუმცა ბარათაშვილის სიტყვის კილო და სიცხოველე მართალ-გრძნობისა ზედ ამჩნევია. სამწუხაროთ, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ერთის დედანის გარდა, ვერსად ვერ ვიპოვნეთ სხვა ნამდვილი ხელ-ნაწერი პოეტისა, ანუ სარწმუნოთა გვამთა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან და ისე შედარებით შეთანხმებული დაგვებეჭდა.“

დავბეჭდეთ კი ეს ნიგნი, მაგრამ მით ჩვენი გულითადი ნაადილი მთლად არ დაკმაყოფილებულა. ჩვენ გვსურდა ყოველი თხზულება ამა ჩვენის ნიჭიერის პოეტისა, ყოველი ნაწერი, ყოველი მინერ-მონაწერი მისი და ამასთანავე ყოველივე ცნობა მის ყოფა-ცხოვრებაზედ შეგვეკრიფა და იმისთანა სრული ნიგნი დაგვებეჭდა, რომ ეს ჩვენი საუცხოვო მწერალი გამოხატულიყო ჩვენის საზოგადოების წინაშე სრულის თავის თვისებში-

თა. ეს წადილი ჩვენი დაბრკოლდა მით, რომ ვერსად ვერ ვიხილეთ ვერც სრული თხზულება ნ. ბარათაშვილისა და ვერც სრული და ჭეშმარიტი ამბავი მისის ყოფა-ცხოვრებისა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენის ქართულის სიტყვიერების მოყვარენი ამაში შეგვეწევიან და ვისაც რა ეგულება სადმე ნ. ბარათაშვილის თხზულება თუ ნაწერი რამ, ანუ მის ყოფა-ცხოვრებაზედ ცნობა, გადმოგვცემს ჩვენ, რომ დღეს არა, სახვალიოდ მაინც შესაძლო გვექმნას წარმოუდგინოთ ქართველობას მისის ღირს-სახსოვრის პოეტის სრული თხზულება და შესაბამისი ბიოგრაფია“ (წინასიტყვაობა ბარათაშვილის კრებულიდან 1976 : 4).

წინასიტყვაობა მთლიანად გადმობეჭდა გაზეთმა „დროებამ“ (1876 წ. № 8). წიგნის მთელი ტირაჟი მაშინვე გაიყიდა და გაზეთმა „დროებამ“ დააყენა საკითხი მისი მეორედ გამოცემისა და მასში ბარათაშვილის ბიოგრაფიის ჩართვისა, რომლის შედგენაც ადვილად შეიძლებოდა პოეტის ჯერ კიდევ ცოცხალი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით. თუ რა იყო I გამოცემის ნაკლი, წინასიტყვაობიდანაც ნათელია: მას აკლდა პოეტის ბიოგრაფია, გამოკვლევა მისი შემოქმედებისა, ზოგიერთი ნაწარმოები არ იყო შედარებული ხელნაწერთან ამ უკანასკნელის უქონლობის გამო; არ არსებობდა რამდენიმე ხელნაწერი, რომ მათი შეჯერება მომხდარიყო; ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ბარათაშვილის ხელნაწერთა მოგროვება, ამიტომ გამოცემას არ ახლდა ბარათაშვილის პირადი წერილები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლისა, პეტრე უმიკაშვილისეული გამოცემა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბარათაშვილის ნაწარმოებთა ტექსტის დადგენის ისტორიაში. ამაზე ადრე ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტები ემყარებოდა არაავტორაფიულ დედნებს, პეტრე უმიკაშვილის გამოცემას კი საფუძვლად დაედო ბარათაშვილის ავტორაფიული ხელნაწერი, რომელიც ბარათაშვილის თხზულებათა მეხუთე ხელნაწერად არის ცნობილი და ახლოა პოეტის ხელიდან გამოსულ საბოლოო რედაქციასთან (რომელიც მეექვსე ხელნაწერის სახელითაა ცნობილი).

1879 წელს გამოვიდა **ბარათაშვილის ლექსთა კრებულის მეორე გამოცემა**, გამეორება პირველი გამოცემისა, მხოლოდ იმ

განსხვავებით, რომ მას წინასიტყვაობა აღარ ერთვოდა. II გამოცემა ღირსებითა და ნაკლით თანაბარია I გამოცემისა. ამ გამოცემის გამოსვლის შემდეგაც ბარათაშვილის ხელნაწერების ძიება არ შეწყვეტილა; შეუდგნენ მისი სურათის ძებნასაც.

6 წლის შემდეგ, **1885 წელს**, ქართულმა საზოგადოებრიობამ **ბარათაშვილის თხზულებების მესამე გამოცემა**ც მიიღო, რომელიც წინა ორი გამოცემისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ დამატებული ჰქონდა ხუთი ლექსი („ძია გ...რს“, „ლამე ყაბახზედ“, „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“) და რვა პირადი წერილი – 4 გრიგოლ ორბელიანისადმი და 4 მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი. მართალია, არც ეს გამოცემა იყო სრული, მაგრამ წინა გამოცემებისაგან მაინც გამოირჩეოდა მასალათა სიუხვით (აღნიშნული ლექსები იონა მეუნარგიამ აღმოაჩინა ეკატერინე ჭავჭავაძის არქივში და თავისი კომენტარებით გადაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს. ცნობა ამ ლექსების შესახებ დაიბეჭდა 1881 წლის „დროების 214-ე ნომერში). გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ იონა მეუნარგიამ ბარათაშვილის კიდევ ორი წერილი აღმოაჩინა მისი ბიძის არქივში: პირველი 1837 წლით დათარიღებული, მეორე – 1844 წლის 23 მაისით. ორივე დაიბეჭდა 1885 წლის „დროების“ 114-ე ნომერში და შევიდა ზემოაღნიშნულ მესამე გამოცემაში.

1890 წლის „ივერიის“ 129-ე ნომერში მოთავსებული იყო ზაქარია ჭიჭინაძის „წერილი რედაქციის მიმართ“. წერილი ეხებოდა ბარათაშვილის მე-4 გამოცემას, რომელსაც თავად ზ. ჭიჭინაძე ამზადებდა. ზაქარია ჭიჭინაძე გაკვრით ეხება წინა სამ გამოცემას, რომლებშიც არ არის შეტანილი „ლაშქრობა ქართველთა კავკასიაზე“, ჟურნალ „ცისკარში“ 1859 წელს დაბეჭდილი, და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის...“, რომელიც 1887 წელს ჟურნალ „თეატრში“ დაიბეჭდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა მეოთხე გამოცემა მოამზადა ზაქარია ჭიჭინაძემ **1890 წელს**. კრებულში შედიოდა ბარათაშვილის 37 ლექსი, პოემა „ბედი ქართლისა“ და პოეტის 8 კერძო წერილი; დართული ჰქონდა ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი პოეტის ბიოგრაფია და წინასიტყვაობა, რომელიც აგრეთვე ზ. ჭიჭინა-

ქეს ეკუთვნოდა. სხვა გამოცემებისაგან განსხვავებით, პოეტის ლირიკას ემატებოდა ზემოაღნიშნული ორი ლექსი – „ლაშქრობა ივერთა კავკასიაზე“ და „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“.

ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემას 1891 წელს გამოეხმაურა გაზ. „ივერია“. სტატიის ავტორმა დაიწუნა პოეტის ბიოგრაფია, რადგან მასში უფრო მეტი ცნობები მელიტონ ბარათაშვილზე იყო და არა ნიკოლოზზე, ეჭვი შეიტანა ზოგიერთ ცნობაში (კერძოდ იმაში, რომ პოეტის ძეგლის ასაგებად შეგროვილი თანხა, მამუკა ორბელიანისათვის მიბარებული 600 მანეთი, უკვალოდ გაქრა. ასევე „ივერიამ“ გააკრიტიკა ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნული ორი ლექსის დასაბუთების გარეშე კრებულში შეტანის გამო).

„ივერიის“ მომდევნო ნომერში ზ. ჭიჭინაძემ სცადა თავის გამართლება მამუკა ორბელიანისათვის წაყენებული ბრალდების გამო და ასევე დააზუსტა კრებულში შეტანილი ორი ახალი ლექსის წარმომავლობა: ლექსის – „ლაშქრობა ქართველთა კავკასიაზე“ – კრებულში შეტანისას იგი ეყრდნობა სამი ავტორიტეტის – გრიგოლ ორბელიანის, ივ. კერესელიძის და იონა მეუნარგიას – ნათქვამს, რომ მათ ბარათაშვილის ამ ლექსის ხელნაწერი უნახავთ, რომელიც ინახებოდა თავად გრიგოლ ორბელიანთან; ამიტომაც მან (ჭიჭინაძემ) ბარათაშვილის ავტორობა უდავოდ მიიჩნია და ლექსი უყოყმანოდ შეიტანა მეოთხე გამოცემაში. რაც შეეხება მეორე ლექსს – „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის...“ , მისი კრებულში შეტანისას გამომცემელი დაეყრდნო ჟურნალ „თეატრს“, რომელშიაც აღნიშნული ლექსი 1887 წელს დაიბეჭდა და ასევე – ნინო ორბელიანს, რომელიც ადასტურებდა, რომ ნაწარმოების ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო. ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვებით, მას კარგად უნდა ხსომებოდა „ამ ლექსის ამბავი“.

ბარათაშვილის ხელნაწერების მოძიება კვლავ გრძელდებოდა. 1893 წელს „კვალის“ მე-7 და მე-10 ნომრებში გამოქვეყნდა პოეტის სამი წერილი ზაქარია ორბელიანისადმი პეტრე უმიკაშვილის კომენტარებით, ხოლო ამავე წლის მე-11 ნომერში – ბარათაშვილის წერილი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილისადმი, დათარიღებული 1838 წლის 6 აგვისტოთი; გრძელდებოდა იონა მეუნარგიას მუშაობაც ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე, რომელიც მწერალმა

1889 წელს დაასრულა და რომლის დაბეჭდვაც ჩვენს პრესაში („ივერიაში“) მხოლოდ 1893 წელს მოხერხდა.

ბარათაშვილის წერილები კიდევ იმდენი შეგროვდა, რომ **1895** წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილსა და დავით კარიჭაშვილს დაავალა პოეტის ნაწარმოებთა მეხუთე გამოცემის მომზადება. ნიგნი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ დართული აქვს ბარათაშვილის ბიოგრაფია და ცნობები პოეტის ავტოგრაფების შესახებ. მეხუთე გამოცემა შეიცავს იმავე თხზულებებს, რომელთაც მეოთხე გამოცემა. განსხვავება ისაა, რომ პოეტის 8 წერილის ნაცვლად გამოქვეყნებულია 14 წერილი და, როგორც აღვნიშნეთ, ერთვის ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია და ცნობები ბარათაშვილის ავტოგრაფების შესახებ. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ გამომცემლებს ჰქონიათ პოეტის რამდენიმე ავტოგრაფი: ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პეტერბურგში ბუკინისტისგან შეძენილი პოეტის ხელით გადაწერილი ორი კრებული: ერთში მოთავსებულია პოეტის ლექსები, მეორეში – პოემა „ბედი ქართლისა“; ასევე – პოეტის დის, ბარბარე ვეზირიშვილის, ოჯახში დაცული ლექსთა კრებული; გრიგოლ და მაიკო ორბელიანებისათვის გაგზავნილი პირადი წერილებისა და ლექსების ავტოგრაფები. კერძოდ, ბარათაშვილს გრიგოლ ორბელიანისათვის გაუგზავნია „ვპოვე ტაძარი“, „მეწანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სულთ ბოროტო“, ხოლო მაიკო ორბელიანისათვის: „სატრფოვ მახსოვს“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ვპოვე ტაძარი“, „ქალის ყვავილი და მწირი“ და „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. გამომცემლებს ვალერიან გუნიასგანაც მიუღიათ ბარათაშვილის ხელით გადაწერილი ლექსების კრებული, რომელიც განსხვავდებოდა ვეზირიშვილისა და თაყაიშვილის კრებულებისგან. ე. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა V გამოცემას საფუძვლად დაუდეს თაყაიშვილის მიერ შეძენილი კრებულები (ნ. ბარათაშვილის მეოთხე ავტოგრაფული ხელნაწერი), რადგან ეს უკანასკნელნი პოეტის მიერ უფრო მეტი მონდომებით და „მონივნებით იყო გადაწერილი“, თუმცა არ იყო დადგენილი, ავტოგრაფი რამდენად იყო პოეტის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული. განსხვავებანი ვეზირიშვილისეული ვარიანტებისაგან გამომცემლებმა სქოლიო-

ებში აღნიშნეს, ხოლო გუნიასეული ვარიანტების სხვაობანი ბოლო გვერდზე მიუთითეს. წიგნში შევიდა 37 ლექსი და 14 პირადი წერილი. ეს გამოცემა პირველი ცდაა ბარათაშვილის თხზულებათა მეცნიერული, აკადემიური გამოცემისა. გამოცემის ნაკლად ჩაითვა ის გარემოება, რომ მისდევდა ერთ ავტოგრაფს, თაყაიშვილისეულს (ბარათაშვილის ხელიდან გამოსულ არასაბოლოო რედაქციას. მეოთხე ხელნაწერის შემდეგ პოეტმა მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებები შეიტანა პოემაში „ბედი ქართლისა“; ასევე ლექსებშიც მოახდინა გარკვეული ცვლილებები); V გამოცემა არ ახდენდა ავტოგრაფების შეჯერების შედეგად უფრო სწორი ფორმებისათვის უპირატესობის მინიჭებას; აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტის ბიოგრაფია ორიოდ სიტყვით იყო მოთხრობილი (იხ. ჟურნ. „კვალი“, 1895, № 45, 48 ი. ფანცხავა, „პასუხის პასუხი“).

ბარათაშვილის კრებულის **VI გამოცემა 1904 წელს** განხორციელდა ბათუმში. იგი კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა გამოცემები და უფრო მეტი შეცდომებიცაა გაპარული. მნიშვნელოვანია იმით, რომ ერთვის მცირე ნარკვევი – „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“: **VII გამოცემა, რომელიც 1910 წელს გამოვიდა**, უფრო სრულია. მას დართული აქვს: „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია“ (შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ), „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (ავტორი – ი. ჭავჭავაძე) და „ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია“ (ავტორი – ი. გომართელი). კრებულის ბოლოში გამოქვეყნებულია პოეტის 14 წერილი. ამ გამოცემასაც, შეიძლება ითქვას, რომ უკვე აქვს მეცნიერული გამოცემის პრეტენზია როგორც სისრულის, ასევე ტექსტების სიზუსტის მხრივ.

ამავე პერიოდში გვაქვს სხვა გამოცემებიც, რომლებშიც არ შეიმჩნევა წინგადადგმული ნაბიჯი ბარათაშვილის კრებულთა გამოცემის სრულყოფისა და განვითარების საქმეში. ესენია: 1910 წელს ამხანაგობა „შორაპნის“ გამოცემა, რომელშიც შესულია 34 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“; 1916 წელს ქუთაისში გამოსული გამოცემა, რომელშიც შესულია 9 ლექსი და „ბედი ქართლისა“, და კიდევ სხვა უმნიშვნელო გამოცემები. 1922 წელს გამოვიდა ნ. ბარათაშვილის თხზულებანი სამსონ ფირცხალავას რედაქტორო-

ბით. კონსულტანტი იყო ექვთიმე თაყაიშვილი. ეს გამოცემაც ემყარებოდა ბარათაშვილის მეოთხე ხელნაწერ კრებულს.

1930 წელს გამოქვეყნდა ბარათაშვილის თხზულებათა პავლე ინგოროყვასეული გამოცემა, რომელიც ეყრდნობოდა ბარათაშვილის ხელნაწერთა მეექვსე რედაქციას. გამომცემლის აზრით, სწორედ ეს ხელნაწერია ბარათაშვილის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული, რადგან ქრონოლოგიურად მოსდევს მეოთხე და მეხუთე ხელნაწერებს და შედგენილობის მიხედვითაც ყველაზე სრულია და დახვეწილი.

ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა მომზადდა მხოლოდ 1939 წელს ი. თავაძისა და ა. განერელიას რედაქციით, რომელსაც წინ უსწრებდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ საკითხთა მეცნიერული გამოკვლევები. 1839 წლის გამოცემაში გამოქვეყნებულია ნ. ბარათაშვილის 40 ლექსი, პოემა „ბედი ქართლისა“ და 18 წერილი, რომელთაგან რამდენიმე სრულიად უცნობი იყო. გამოცემას წინ უძღვის პ. ინგოროყვას ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ხოლო ბოლოში დართული აქვს „მასალები“ პოეტის ბიოგრაფიისათვის: ს. ჯანაშიას „ბარათაშვილის გენეალოგიისთვის“, ა. შანიძის „ბარათაშვილის ენა“, გ. ნადირაძის „ნ. ბარათაშვილი და ლაიზევიცი“, ი. გრიშაშვილის „ნ. ბარათაშვილის მშობლების წერილები“. გამოცემაში მოთავსებული თხზულებისა და წერილების ტექსტები უცვლელადაა გამეორებული 1922 წლის გამოცემიდან. ტექსტის დადგენას ხელმძღვანელობდა ი. გრიშაშვილი; მასვე ეკუთვნის სათანადო კომენტარები და შენიშვნები.

მიუხედავად უკვე არსებული აკადემიური გამოცემისა, ბარათაშვილის კრებულებზე მუდამ იყო ხალხის დიდი მოთხოვნილება, რაც განაპირობებდა პოეტის შემოქმედების სისტემატურ გამოცემებს. ამ გამოცემებიდან საინტერესოა ისეთი, რომლებსაც ერთვის ცნობილ მკვლევართა ნაშრომები. ასეთია **1945 წელს გამოცემული „თხზულებანი“**, რომელშიც შესულია პოეტის 37 ლექსი, პოემა „ბედი ქართლისა“ და 18 პირადი წერილი. გამოცემას წინ ერთვის ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია, დაწერილი გიორგი

ლეონიძის მიერ, ხოლო ბოლოში დამატებულია კომენტარები ნაწარმოებებსა და წერილებზე და ლექსიკონი. გიორგი ლეონიძის პოეტური ენით დაწერილი ბიოგრაფია წასაკითხად მეტად სასიამოვნოა, თუმცა ზოგიერთი ცნობა დაუზუსტებელია, კერძოდ ის, რომ ბარათაშვილი დედის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც ერეკლე მეფის შთამომავალია (ბარათაშვილი 1945 : 6). პოეტის გენიალოგიაში მამის მხრიდან ერეკლეს ჩამომავლობა არა ჩანს. ასევე დაუზუსტებელია ბარათაშვილის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა, მისი ბინის გაჩხრეკა და ორი კვირით დაპატიმრების ფაქტები (ბარათაშვილი 1945 : 12). 1945 წლის გამოცემის ტექსტის დადგენას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელიც ძირითადად დაეყრდნო ბარათაშვილის მეოთხე ხელნაწერ გამოცემას, მაგრამ ნაწილობრივ გაიზიარა პავლე ინგოროყვას გამოცემაც და ზოგიერთი ტექსტი მეექვსე ხელნაწერიდან წარმოადგინა.

1960 წლის „ჩვენი საუნჯის“ (ქართული მწერლობა ოც ტომად) მე-6 ტომში სრულად არის შესული სხვა რომანტიკოსი პოეტების – ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ვ. ორბელიანის – შემოქმედებასთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება – 36 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. წიგნის რედაქტორია გიორგი ჯიბლაძე.

ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით, 1968 წელს, აღსანიშნავია მისი თხზულებების პავლე ინგოროყვასეული გამოცემა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გრიგოლ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, დევი სტურუა და ვახტანგ ჭელიძე; თხზულებათა ტექსტი დადგენილია პავლე ინგოროყვას მიერ არა რომელიმე ხელნაწერზე დაყრდნობით, არამედ ყველა არსებული ხელნაწერი მასალების გათვალისწინებით, დაზუსტებულია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ქრონოლოგია. გამოცემაში შესულია პოეტის 36 ცნობილი ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“, ასევე 5 ლექსის ვარიანტები („ბულბული და ვარდი“, „შემოლამება მთანმიდაზედ“, „ძია გ...სთან“, „ლამე ყაბახზედ“, „ჩემს მეგობარს“), ყრმობისდროინდელი ლექსები („ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყა-

ჩო“, „კავკასიური მოთხრობა“, ეპიგრამა „ელენეს და მაროს“) და პოეტის 18 პირადი წერილი. გამოცემას წინ უძღვის პავლე ინგოროყვას ვრცელი გამოკვლევა – „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (განხილულია პოეტის ცხოვრებაც და შემოქმედებაც). გამოცემის ბოლოს დართულია კომენტარები როგორც ლექსებზე, ასევე წერილებზე, მომზადებული გიორგი ლეონიძის მიერ; ასევე პავლე ინგოროყვას ვრცელი გამოკვლევა – „ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერებთან“, რომელშიც აღწერილია ნ. ბარათაშვილის ყველა ხელნაწერი და მითითებულია მათი ისტორია; მოძიებულია მასალები ნ. ბარათაშვილის არმოღწეული თხზულებების შესახებ; აღწერილია ბარათაშვილის თხზულებათა არაავტოგრაფიული დედნებიც. გამოკვლევას მოჰყვება კვლავ პავლე ინგოროყვას წერილი – „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ტექსტის ისტორია“. მკვლევარი დოკუმენტად მიიჩნევს მხოლოდ ავტოგრაფებს, ტექსტის ისტორიის ნათელსაყოფად მოჰყავს ყველა ვარიანტი; არაავტოგრაფიული დედნები გამოყენებულია როგორც დამხმარე მასალა კანონიკური ტექსტის დასადგენად. ვარიანტების შედარებისას აღნიშნულია მხოლოდ რეალური სხვაობა ტექსტებს შორის. როგორც წარმოჩენილი მასალიდან ნათელია, 1968 წლის პავლე ინგოროყვასეული საიუბილეო გამოცემა ნ. ბარათაშვილის თხზულებებისა არის ყველაზე აკადემიური და მეცნიერული გამოცემა. მასზე უკეთესი ჯერჯერობით არც არსებობს.

150 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა ბარათაშვილის ნაწარმოებთა მცირე კრებულიც – „ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა 150“, იმავე მეცნიერების რედაქციით, რომლებმაც აკადემიურ გამოცემაზე იმუშავეს (გრიგოლ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, დევი სტურუა, ვახტანგ ჭელიძე); თხზულებათა ტექსტი დაადგინა პავლე ინგოროყვამ. კრებულში შევიდა ბარათაშვილის 37 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. გამომცემლებმა კრებულს წაუძღვარეს „სიტყვა ილია ჭავჭავაძისა წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე 25 აპრილს, 1893 წელს“.

1981 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ იმეორებს საიუბილეო მცირე კრებულის გამოცემას იმავე თანმიმდევრობით:

ილია ჭავჭავაძის სიტყვა, 37 ლექსი, პოემა „ბედი ქართლისა“. განსხვავება ისაა, რომ ამ კრებულს ერთვის ბარათაშვილის კერძო წერილები და ლექსთა უმრავლესობის ავტოგრაფები. ტექსტში შეტანილია უმნიშვნელო ორთოგრაფიული ცვლილებები; წერილები თითქმის მიჰყვება ინგოროყვასეული გამოცემის რიგს; შეტანილია ორით მეტი წერილი გრიგოლ ორბელიანისა, რომლებიც 1968 წლის გამოცემაში არაა დაბეჭდილი: ერთი საკმაოდ მცირე ზომის და უმნიშვნელო, ხოლო მეორე 1841 წელს დაწერილი, რომელშიც პოეტი საუბრობს გურიის აჯანყების შესახებ (ეს წერილი, სავარაუდოდ, გამომცემლებმა სპეციალურად არ შეიტანეს).

1978 წელს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში“ სერიით – „ქართველი რომანტიკოსები“ წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის 35 ლექსი, პოემა „ბედი ქართლისა“ და პირადი წერილები. კრებულს წინ უძღვის სოლომონ ხუციშვილის შესავალი წერილი „ქართველი რომანტიკოსები“, დართული აქვს ივ. ლოლაშვილის კომენტარ-განმარტებები. თხზულებათა ტექსტი მიუყვება პავლე ინგოროყვასეულ გამოცემას.

უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგ წლებში გამოცემული ბარათაშვილის თხზულებები იმეორებს ინგოროყვასეული აკადემიური გამოცემის ვერსიას და არც სხვა მნიშვნელოვანი კუთხით არ გამოირჩევა. ბარათაშვილის თხზულებათა პუბლიკაციები პოეტის სიკვდილის შემდგომი ბიოგრაფიის გაგრძელებაა, ბარათაშვილის პიროვნებისა და შემოქმედების ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოჩენა და ახალი მასალით გამდიდრება.

ბიოგრაფიული დეტალები არმოღწეულ მასალაში (მოგონებებში შემორჩენილი ფაქტები)

ბიოგრაფია არმოღწეულ თხზულებებში

ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ პოეტის ნაწარმოებთაგან ბევრი დაიკარგა. მათ შორის, უპირველესად აღსანიშნავია პოემა „ივერიელი“. მის შესახებ ბარათაშვილის მეგობრის, კონსტანტინე მამაცაშვილის, მონათხრობიდან ვიგებთ: „ბევრი იმისი ლექსები დაკარგულნი არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე მასხოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთვის წაუკითხავს – „ივერიელი“. ამ პოემაში იყო აღწერილი აყვავებული ცხოვრება მე-10, მე-11 და მე-12 საუკუნეებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელიც ისედაც მშვენიერი იყვნენ“ (გაზ. „დროება“, 1881 წ.).

არმოღწეულად შეიძლება ჩაითვალოს ნ. ბარათაშვილის ის ლექსებიც, რომლებზედაც კონსტანტინე მამაცაშვილი საუბრობს ზემოთ მოყვანილ მონაკვეთში, აგრეთვე ის სატირული ნაწარმოებებიც, რომელთა გამო ბარათაშვილი გიმნაზიიდანაც კი გარიცხეს. დღეს ამ ლექსების ხასიათზე ჩვენ ველარ ვიმსჯელებთ, თუმცა შეგვიძლია დავასახელოთ არასატირული, ლირიკული ლექსები, რომელთა არსებობის შესახებ ცნობებს ბარათაშვილის წერილებიდან ვიგებთ. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ასტრა“. პოეტს ეს ლექსი დაუწერია 1838 წელს და გაუგზავნია მიხეილ თუმანიშვილისთვის. არსებობს თუმანიშვილის პასუხი, რომელიც ბარათაშვილის ლექსსა და მის ადრესატს ეხება, ასევე თუმანიშვილის საპასუხო ლექსი – „ასტრას“, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ბარათაშვილის დის, ბარბარე ვეზირიშვილის, მოგონებებში ვხვდებით ცნობას, რომ ნიკოს ძალიან უყვარდა მუსიკა და დიდ პატივს სცემდა სათარას, ირანელი მომღერლის, ხელოვნებას; მისი დის – ბარბარე ვეზირიშვილის – თქმით, სადაც კი წავიდოდა, სათარა ყველგან თან დაჰყავდა თურმე და მისთვის სა-

განგებო ლექსიც მიუძღვნია. ლექსი დაუნერია 1844 წლის აგვისტოს ქართლში. არც ეს ლექსია შემონახული.

ჩვენამდე არ მოუღწევია ბარათაშვილის ლექსების 1843-1844 წლებში შედგენილ კრებულს, რომელიც პოეტს თავისი ხელით დაუმზადებია. კრებული ცნობილია რიგით მეშვიდე ხელნაწერ გამოცემად. ავტოგრაფიული დედანი დაკარგულია, მაგრამ შემორჩენილია ამ კრებულიდან მომდინარე, ანუ იქიდან გადაწერილი ორი ვარიანტი.

დაკარგულია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლაიზევიცის ტრაგედიის – „იულიუს ტარენტელის“ თარგმანი. ამ თარგმანის შესახებ ვიგებთ ბარათაშვილის გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 28 მაისს მიწერილი წერილიდან: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოსთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრალედია, და მე ვთარგმნე „იულიუს ტარენტელი“, ტრალედია ლეიზევიცისა“.

ბარათაშვილის არქივის (1845-1846 წლების) განჯაში დაღუპვასთან ერთად დაიკარგა პოეტის ბოლო პერიოდის შემოქმედებაც, რომლის შესახებ მოგონებაც კი აღარ დავგრჩენია.

ბარათაშვილის თარგმანი – იოჰან ანტონ ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“

ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ თარგმანზე უმუშავია, ეს ფაქტი გასაკვირი არ უნდა იყოს. მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე მწერლები და პოეტები თავად თარგმნიან სხვადასხვა ენიდან ნაწარმოებებს და ამით ქართველ მკითხველს თვალსაწიერს უმდიდრებენ. ცნობას ბარათაშვილის თარგმანის შესახებ მისივე წერილიდან ვიგებთ. 1841 წლის 28 მაისს პოეტი თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, სწერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა **Ромео и Джульета** შექსპირის ტრალედია და მე გადმოვთარგმნე **Юлий Тарентский** ტრალედია ლეიზევიცისა, თუ წაგიკითხავს ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი. მე

**ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გა-
სინჯე, იტირეს“ (ბარათაშვილი ნ., 1968 : 174).**

ამ თარგმანის შესახებ ცნობას გვანვდის ზაქარია ჭიჭინაძე თავის 40-გვერდიან ბროშურაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი 1816-1845 წ. მთაწმინდელისა“. მისი თქმით, 1853 წელს ეს თარგმანი ხელთ ჰქონია გრიგოლ ორბელიანს. მას ხელნაწერი ბაბაღე საგინაშვილისთვის (ბარათაშვილის ნათესავისთვის) გადაუცია. ამის შემდგომ ამ თარგმანის ასავალ-დასავალი უცნობია. თარგმანი დაიკარგა, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის შევაფასოთ თავად ფაქტი. მნიშვნელოვანია, რომ ბარათაშვილს მოეწონა ეს ტრაგედია, თვითონ ამოარჩია სათარგმნად, მისთვის არავის დაუფალებია და თარგმანს ქალების მოწონებაც დაუმსახურებია. ტრაგედიის განხილვა დაგვანახებს, თუ რა იყო ბარათაშვილის ინტერესის საგანი.

რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ თავად ავტორი – იოჰან ლაიხევიცი. ის დაიბადა 1752 წელს ჰანოვერში. მამამისი ღვინით ვაჭრობდა. 1770 წელს იოჰანი გოტინგენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. ეს ის დრო იყო, როცა გერმანულ ლიტერატურულ ცხოვრებაში იწყებოდა „Sturm und Drang“-ის (ქარიშხალი და შეტევა) პერიოდი. სწორედ ამ დროს გოტინგენში შეიქმნა მწერალთა გაერთიანება, რომელმაც დაიწყო ჟურნალის – „გოტინგენის მუზათა აღმანახის“ გამოცემა; მალე ეს საზოგადოება დაიშალა და ჩამოყალიბდა მეორე – ჰაინბუნდი /Heinbund/, 1772 წელს. ლაიხევიცი ამ საზოგადოებაში შევიდა. 1775 წელს ის დაუახლოვდა ლესინგს, ეშენბურგს, ხოლო 1780 წლიდან – ვილანდსა და გოეთეს. ლაიხევიცმა თვალსაჩინო კარიერა გაიკეთა. 1790 წლიდან იგი მთავრობის წევრი გახდა და დიდი გავლენით სარგებლობდა სიკვდილამდე; გარდაიცვალა 1806 წელს.

იოჰან ლაიხევიცი ყოველთვის წერდა, მაგრამ დაამთავრა მხოლოდ ერთადერთი ნაწარმოები – „იულიუს ტარენტელი“. მიუხედავად ამისა, ის, როგორც მწერალი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანულ საზოგადოებაში. მისმა ტრაგედიამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა გერმანული ლიტერატურის ისტორიაში და გავლენა მოახდინა მის შემდგომ განვითარებაზეც. საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ლაიხევიცის თამამ აზროვნებას. ტრაგე-

დღის შინაარსი ასეთია: ტარენტის სამთავროს მმართველს ორი ვაჟი ჰყავდა: უფროსი – იულიუსი და უმცროსი – გვიდო. ისინი ერთმანეთს არ ჰგავდნენ. გვიდო იყო თავმოძმონე, რაინდული მისწრაფებების, მუდამ მოძრავი და მოქმედი. ის ამბობდა: „**იყო ადამიანი, ნიშნავს, იმოქმედო**“, „**ფილოსოფია კლავს ადამიანში სალი აზროვნების უნარს და მკლავის ღონეს**“. გვიდოსგან რადიკალურად განსხვავდებოდა იულიუსი. ის იყო გულჩათხრობილი და მგრძნობიარე; უყვარდა ბუნება და საათობით განმარტოვდებოდა ხოლმე ბუნებაში, ოცნებობდა ან წიგნს კითხულობდა. მას ჰყავდა ერთადერთი მეგობარი – ასპერმონტე, თავისავით მელანქოლიური ჭაბუკი. მას უმხელდა ყველაფერს და საათობით ესაუბრებოდა ადამიანის დანიშნულებაზე, თავისუფლებაზე და სულის უკვდავებაზე. ყურადღება მივაქციოთ, რომ ზუსტად ეს თემატიკა აღღვებებს ბარათაშვილსაც.

იულიუსს, ასეთ გამორჩეულად მგრძნობიარე ჭაბუკს, მთელი არსებით შეუყვარდა ტარენტში მცხოვრები ბლანკა, მშვიდი და ფაქიზი, ქალის ნამდვილი იდეალი. შეყვარებული ჭაბუკი მზად არის სატროს გულისთვის დათმოს ტახტიც, ეს მსხვერპლი კი არ იქნება მისთვის, არამედ განთავისუფლება. იულიუსის სიყვარულს წინ ძმა გადაეღობა, „**სილამაზე ვაჟკაცობის ბუნებრივი ჯილდოა და ბლანკაც ჩემი უნდა იყოსო**“. გვიდოსაც შეუყვარდა ბლანკა. შენუხებულმა ტარენტის მმართველმა, ძმების მამამ, ბლანკა მონასტერში გაგზავნა, იულიუსს კი სხვა ქალი – ცეცილია შეურჩია. ცეცილიამ იუკადრისა ამგვარი გათხოვება და იულიუსს გაბედულად გაუმხილა თავისი ფიქრები – მას საქორწინო გვირგვინი ბორკილებად ესახებოდა; ვერ გახდებოდა მამაკაცის მონა და თავისუფალ ადამიანად დაბადებულს ასევე თავისუფალ ადამიანად სურდა სიკვდილი.

იულიუსმა და ბლანკამ ღამით ერთად გაპარვა გადაწყვიტეს, რაც შეიტყო გვიდომ და ძმებს შორის ორთაბრძოლა გაიმართა. იულიუსი მოკლა გვიდომ, ხოლო გვიდო საკუთარმა მოხუცმა მამამ განგმირა დანით, გულში ჩახუტების დროს.

ასეთია ის ნაწარმოები, რომელმაც თავის ავტორს გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ადგილი დაუმკვიდრა. როცა ლესინგმა

ნაიკითხა „იულიუს ტარენტელი“, მისი ავტორი გოეთე ეგონა, შემდეგ კი ჩვეული გონაზამახვილობით თქვა: „**ლაიზევიცმა მხოლოდ ერთი ლეკვი დაბადა, მაგრამ ლეკვი ლომისაო**“ (ნადირაძე 1926 : 174). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაიზევიცმა გავლენა მოახდინა გერმანული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. განსაკუთრებით ეს გავლენა აისახა შილერზე და წარმოჩნდა მის ნაწარმოებებში – „ყაჩაღები“ და „მესინელი საცოლე“.

„შტურმი და დრანგი“ მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოძრაობა იყო გერმანიაში, მასში დიდი სახელებიც ერივნენ. ცხოვრება არ აძლევდა ადამიანს ნიჭის გამოყენების საშუალებას, ამიტომ ლიტერატურაში დაიბადა მძლავრი პიროვნება, რომელმაც თავისი ენერგია სწორედ ლიტერატურულ სინამდვილეში გამოიყენა. „შტურმისა და დრანგისათვის“ დამახასიათებელია პათეტიკა და დეპრესია. ლაიზევიცმა თავის ტრაგედიაში ამ ორივე განწყობილების ანარეკლი მოგვცა.

ახლა იმ კითხვაზე გადავდივართ, რომლის პასუხი ჩვენთვის უკვე ნათელია. რატომ თარგმნის ბარათაშვილი სწორედ ამ ტრაგედიას და არა სხვას? იმიტომ ხომ არა, რომ მთავარი გმირის, იულიუსის, და ბარათაშვილის სულიერი განწყობა ზედმინევნით ერთმანეთის შესაბამისია? რა თქმა უნდა, და არა მარტო იულიუსის. ბარათაშვილის მთელი სამყარო თითქოს ყველა გმირში გარდასახულა სათითაოდ, რადგან ტრაგედია ისე ვითარდება, რომ ვერ იტყვი, ვინ უფრო ტრაგიკულია, შეყვარებული ძმები თუ მოხუცი მამა, ბლანკა თუ ცეცილია. ტრაგიკულია ყველა და მწერალიც სათითაოდ ყველას აზრის წარმომჩენია. რომანტიკოსები თავის თავში ვერ იტყვენ მხოლოდ ერთი პიროვნების განცდებს; მათთვის მისაღებია ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული განცდები, რადგან ისინი, ზოგადად, ადამიანს ახასიათებს და მისი ბუნების წარმომჩენია. ბარათაშვილის შემოქმედებამაც გრძნობათა ამგვარი მრავალფეროვნებაა. პოეტი ისევე თანაუგრძნობს სოლომონს, როგორც მეფე ერეკლეს; რა თქმა უნდა, ლაიზევიცი გვიდოსაც თანაუგრძნობს, რომელსაც ძლიერი გრძნობით უყვარს ბლანკა და იცის, რომ ამისთვის უნდა იმოქმედოს. მისი სიტყვებია:

„იყო ადამიანი, ნიშნავს იმოქმედო“. ბარათაშვილის ენაზე ეს აზრი ამგვარად გამოითქმის:

**„...არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“**
(ბარათაშვილი ნ., 1968 : 96).

ლაიზევიცმა პირველად ათქმევინა ქალს გერმანულ ლიტერატურაში თამამი და მტკიცე სიტყვა, – მე თავისუფალ ადამიანად დავიბადე და თავისუფალ ადამიანად მინდა მოვკვდეო. ნ. ბარათაშვილის სოფიოც მტკიცე და თავისუფალია. ერეკლე მეფის გადაწყვეტილებას მან ძლიერი არგუმენტაცია დაუპირისპირა: **„რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“**, **„ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება“**. მართალია, სოფიოს სიტყვები პატრიოტული განცდიდან გამომდინარეობს და არა პიროვნული გრძნობიდან, მაგრამ ორივე შემთხვევაში ქალის ბუნების სიძლიერეს გამოხატავს, მათ ვერ იტყოდა გაუბედავი ადამიანი. სოფიოც ქალის ქეშმარიტ სახედ იქცა ქართულ ლიტერატურაში და ბარათაშვილმა მას სადიდებელი ჰიმნიც კი მიუძღვნა:

**„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!..“**
(ბარათაშვილი ნ., 1968 : 150).

სულ სხვანაირია ბლანკა, ნაზი, წრფელი, მშვენიერი. ის ქალურობის განსახიერებაა და ამიტომაც ბარათაშვილის იდეალია:

**„მაღლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალეზიანო,
დღისით მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!“**
(ბარათაშვილი ნ., 1968 : 134).

თავად ბარათაშვილი იულიუსს მოგვაგონებს. ისიც გაურბის საზოგადოებას და ფიქრისათვის ბუნების ნიაღს ამჯობინებს. ფიქრობს სულის უკვდავებაზე, ბედის საზღვრის გადალახვაზე, შეუცნობლის შეცნობაზე, თავისუფლებაზე, სიყვარულზე.

ტრაგედიის ხუთივე გმირი – ძმები, მამა და ქალები – მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მსოფლმხედველობით, ასევე ცხოვრებისეული პრინციპებით. ისმება კითხვა, როგორ უნდა ყოფილიყო ბარათაშვილი ერთსა და იმავე დროს ყველა ამ გმირის სულიერ ტკივილთა თანაზიარი?

ჩვენ ეს რომანტიკოსთა ბუნებით ავხსენით, კრიტიკოსი გიორგი ნადირაძე კი ასე პასუხობს ამ კითხვას: „**XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნ. ბარათაშვილს, გრძნობისა და აზრის ამ უზარმაზარ პოეტს, არ შეეძლო შინაგანად მთლიანი პიროვნება ყოფილიყო. „ქართლის ბედი“ მას შეუბრალებლად აქანავებდა პოლარულ განცდებს შორის. ბარათაშვილმა არ იცოდა რა იყო სულის სიმშვიდე. მის არსებაში რამდენიმე ადამიანი ცხოვრობდა ერთსა და იმავე დროს. მთელი შემოქმედება პოეტმა ამ სულიერ წინააღმდეგობაში გაატარა**“ (ნადირაძე :176).

ზემოთ წარმოდგენილ მწერლებს, მიუხედავად იმისა, რომ რომანტიკოსები არიან, თითქმის საუკუნე ამორებით ერთმანეთთან; გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ისტორიული განვითარება ჩამორჩება გერმანიისას. ლაიზევიცი გერმანიის მესამე წოდების ინტერესებისთვის იბრძვის, ბარათაშვილი კი თავისი ერისა და ქართული არისტოკრატიისათვის. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს; შეხვდნენ თარგმანში, რომელიც დღეს აღარ არსებობს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ თარგმანმა საზოგადოების მოწონება დაიმსახურა, რაც ამტკიცებს, რომ თამამი იდეები ბარათაშვილისა და მისი დროის მოწინავე საზოგადოების ცნობიერებაში შესაფერის ნიადაგს პოულობდა; თარგმანით ბარათაშვილი კიდევ უფრო მეტ გასაქანს მისცემდა საზოგადოებრივ თვალსაწიერს და იმ წოდებრივ უფსკრულსაც წარმოაჩენდა, რომელიც „იულიუს ტარენტელში“ უმაღლესი წოდების ჩვილით გამოიხატება – „წარჩინებულთ მეგობრები არ ჰყავთო“ (ეს ფრაზა ლაიზევიცმა ლესინგისაგან ისესხა და სიტყვასიტყვით გაიმეორა /„ემილია გალოტი“/). ბარათაშვილის შემოქმედებაში სოციალური დაპირისპირების მაგალითები არ გვაქვს; ვხვდებით დემოკრატიული იდეის ჩანასახს. მეფის გადაწყვეტილებით გულშემოყრილი სოლომონი პოემაში „ბედი ქართლისა“ ფიქრობს:

**„მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება –
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?“
(ბარათაშვილი ნ., 1968 : 148).**

ბუნებრივია, რომ ბარათაშვილს, როგორც გენიოსს, აინტერესებს ის, რაც შემდგომი დროის გასაკეთებელია; სოციალური მოტივი ნაკლებადაა წარმოჩენილი რომანტიკოსთა შემოქმედებაში და თავის დროს ელის, რომ მთელი სისავსით გამოიხატოს და გამოითქვას მწერლობაში. რომანტიკოსები საკმაოდ ახლოს მიდიან ამ მოტივთან – „**ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას**“ /გრ. ორბელიანი/.

ზოგადსაკაცობრიო იდეები ბარათაშვილისთვის უცხო არ არის, მაგრამ კოსმოპოლიტიზმზე, მსოფლიო მოქალაქეობაზე, ჯერ არ აღაპარაკებულა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა. ბარათაშვილი ახლოს მიდის მის გაგებასთან, როცა წერს ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, რომ ადამიანი სჭირდება, ვინც ამ ღრე-კლდიდან გამოიყვანს და მაშინ გადაჰხედავს თავის ასპარეზს. მოვუსმინოთ იულიუსსაც: **„განა მთელი ქვეყანა ტარენტშია მოქცეული და მის გარეთ სიცარიელეა. ჩემი სამშობლოა მთელი მსოფლიო. ჩემთვის ყველა ადამიანები შეადგენენ ერთ ხალხს, რომელსაც ერთი საზოგადო ენა აქვს... ეს ენაა ცრემლები და ოხვრა. მე მესმის ჰოტენტოტის ტანჯვაც. განა კაცობრიობის მოდგმის ბედნიერებისათვის აუცილებლად საჭიროა საზოგადოება, სადაც არავინ არ არის თავისუფალი, სადაც ყოველი ადამიანი მონაა მეორის?.. განა მე მმართველს ამ საზოგადოებისა რამე, როდესაც მე თვითონ მას არაფერს არ ვთხოვ?..“**

ერთიმეორის მონობაა საზოგადოების უარყოფის მიზეზი. ამ უარყოფას თავისუფლებისკენ სწრაფვა ამოძრავებს და ბარათაშვილიც უარყოფს ყოველივეს, ახლობლებს, მეგობრებს, მშობლებს, სატრფოს და ხდება მსოფლიო მოქალაქე, უსამშობლო მწირი, რომლისთვისაც სამშობლო მთელი მსოფლიოა და ამ მსოფლიოს „ერთი საზოგადო ენა აქვს“.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი იცნობს ევროპულ რომანტიზმს და თარგმნის მის წარმომადგენელს. მას ნამდვილად შემოაქვს ევროპული იდეალები ქართულ მწერლობაში და თავისი ინდივიდუალიზმით ამდიდრებს ევროპულ მწერლობას. მან მძლავრი და თავისუფალი პიროვნების მშვენიერებას ისეთი სტრიქონები უძღვნა, ისე წარმოაჩინა ნაპოლეონის პიროვნება, რომ ევროპულ პოეზიაშიც კი ბადალი არ მოეპოვება:

**„მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი,
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“
(ბარათაშვილი ნ., 1968 : 99).**

დასანანია, რომ ქართველი მკითხველი არ იცნობს ამ ტრეგედის ბარათაშვილისეულ თარგმანს, მისი აზრიანი და მოხდენილი ენით გამართულს.

ბარათაშვილის არმოღწეული პორტრეტები

დასანანია, რომ ბარათაშვილის ნაწარმოებებმა არ მოაღწია ჩვენამდის, არ მოაღწია მისმა თარგმანებმაც და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ჩვენ არ გვაქვს ბარათაშვილის ფოტო, რომ წარმოვიდგინოთ პოეტის სახე და ამოვიცნოთ მასში ის დიდი გულისტკივილი, რომელსაც ვერსად გაექცა და დაემალა ახალგაზრდა კაცი.

ბარათაშვილის თანამედროვეთ კი ხელთ ჰქონიათ პოეტის ნამდვილი პორტრეტი თუ პორტრეტები. იონა მეუნარგია ბარათაშვილის ბიოგრაფიაში იმონმებს გრიგოლ ორბელიანის ნათქვამს, რომ **„ნ. ბარათაშვილის პორტრეტი კოლა ერისთავის დედასა ჰქონდა და არ ვიცი რა უყო“**. ამასვე იმეორებს პოეტის სკოლის ამხანაგი ლუკა ისარლიშვილი: **„ბარათაშვილის პორტრეტი დარჩა, მაგრამ ვისთან იპოვება ჯერ არ ვიცი. ერთი კოლას დედასა ჰქონდა და რა უყო არ ვიცი“**. აღსანიშნავია იონა მეუნარგიას მიერ მოპოვებული კიდევ ერთი ცნობა: **„ბარათაშვილის პორტრეტი არსად იპოვება, ერთადერთი მისი დაგეროტიპი, რომელიც შერჩენია მის დას ნინო ბარათაშვილს, დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა,**

არ მახსოვს რომელ წელს, გოლოვინის პროსპექტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფიაც. ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფისათვის ილია ჭავჭავაძეს“ (მეუნარგია ი. 1968 : 28).

მაშასადამე, ბარათაშვილის დებს შერჩენიათ ძმის ორი სურათი, თუ თანამედროვეთა მოგონებებში ერთსა და იმავე პორტრეტზე არ არის საუბარი. ერთი სურათი ყოფილა ეკატერინე ერისთავის (კოლას დედის) საკუთრება, ხოლო მეორე, დაგეროტიპი, ჰქონია ნინო ბარათაშვილს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ეკატერინე ერისთავის კუთვნილი პორტრეტი შესაძლებელია ყოფილიყო მხატვრის მიერ დახატული, რადგან მე-19 საუკუნის დასაწყისში ფოტოგრაფის მაგივრობას მხატვარი პორტრეტისტები წევდნენ, თანაც რესპონდენტები არ მიუთითებენ, რომ ეს მისი დაგეროტიპი იყო. იმ დროს თბილისში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მხატვარი იაკობ იონათამიშვილი. გაზეთი „კავკაზი“ წერდა: **„საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენ გვყავდა მხოლოდ ერთი პორტრეტისტი, იგი ყოველთვის წარმატებით აკმაყოფილებდა დამკვეთის ყოველგვარ მოთხოვნას. ხშირად ზეპირად ხატავდა გარდაცვლილ პიროვნებათა სახეებს, რომლებიც ოდესმე უნახავს და მუდამ ზუსტად ამსგავსებდა“.** სავარაუდოდ, მიაჩნიათ, რომ ბარათაშვილის პორტრეტიც, რომელიც ეკატერინე ერისთავს ეკუთვნოდა, იაკობ იონათამიშვილის შექმნილი უნდა ყოფილიყო.

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში ნეპსონმა და დაგერმა საფუძველი დაუდეს ვერცხლის ფირფიტაზე ქიმიური რეაქტივებითა და სხივების ზემოქმედებით ანაბეჭდის მიღებას. საქართველოში დაგეროტიპით პირველი გადაღებები ეკუთვნის ფრიცშესა და ლევიცკის, რომლებიც კარგად იცნობდნენ ქართველ მწერლებს, მათ შორის, სავარაუდოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც. მათ ქართველი არისტოკრატიის მრავალი პორტრეტი შექმნეს. რადგან ბარათაშვილის ცხოვრების პერიოდში თბილისში ფრიცშესა და ლევიცკის გარდა დაგეროტიპის სხვა სპეციალისტები არ არსებობდნენ, სავარაუდოა, რომ ბარათაშვილის ერთადერთი დაგეროტიპული სურათი, რომელიც პოეტის დასთან, ნინო ბარათაშვილთან, ინახებოდა, მათი გადაღებული იყო.

1846 წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „**ეხლა ვკრებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს: ისინი დაიბეჭდება ერთ წიგნად, რომელსაც დაერთვის მისი პორტრეტი“ (S- 2484).** სამწუხაროდ, მწერლის ახლობლებმა განზრახული ვერ განახორციელეს. ამის შემდეგ პრესაში ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახის თხოვნები, „მოგვანოდეთ ნ. ბარათაშვილის პორტრეტი“.¹

1891 წლის გაზეთ „ივერიაში“ ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერდა:

„**ნ. ბარათაშვილის მეორე გამოცემა რომ მომზადდა, ბარათაშვილის სურათის გამო მივმართე გრ. ორბელიანს, რომელიც ბიძა იყო ბარათაშვილისა და ვთხოვე, რომ ბარათაშვილის სურათი თუ მოიძებნება სადმე, დაგვეხმარეთ, რომ ეგების არ დაიკარგოს და დავაბეჭდინებთ-მეთქი. გრ. ორბელიანმა მიაშობო, რომ ბარათაშვილის სურათი იმის დასა აქვს ქართლში, ერთადერთი სურათით. პატარა მოითმინეთ, წერილს მივწერ, მომივა და გადმოგცემთო. გავიდა რამდენიმე ხანი და გრ. ორბელიანს წერილი მიეწერა, როგორც განმიცხადა კიდეც, მაგრამ სურათის მიღება დაგვიანდა და მეც ბოლომდე ვეღარ მივდიე ამ საქმეს.**

ახლა შევიტყვეთ, რომ ბარათაშვილის სურათი მისი დისგან ტფილისში ჩამოუტანიათ კიდეც და ლითოგრაფიის პატრონისათვის გადაუციათ, რომ დაებეჭდა, მაგრამ სურათი ვერ დაბეჭდილა, რადგანაც ლითოგრაფია დამწვარა და ბარათაშვილის ერთადერთი სურათიც მიჰყოლია.

ჩვენ არ ვიცით ვისი ლითოგრაფია იყო ის ლითოგრაფია, ის კი ვიცით, რომ ტფილისში ამ თორმეტი წლის წინათ დაიწვა ცნობილ ტომსონის ლითოგრაფია, სადაც დაიწვა აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის ის დედანი, რომლიდანაც სხვა სურათებიც დაბეჭდეს და გაამრავლეს“ (გაზ. „ივერია“).

მოყვანილ წერილს იმავე წელს გამოეხმაურა ილია ხონელი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ შემდეგი შენიშვნით:

¹ იხ. ზ. მთაწმინდელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1885 წ., გვ. 16.

„ზაქარია ჭიჭინაძე წერს გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში, რომ მისი ცნობით ერთადერთი პორტრეტი პოეტისა, რომელიც ჰქონია მის დას, დაიწვა ამ თორმეტი წლის წინათ, თფილისის რომელიღაც ლითოგრაფიაში. საუბარია პოეტის იმ დაგეროტიპულ პორტრეტზე, რომელიც სამოციანი წლების დასაწყისში მგოსნის დისგან წამოიღო ი. გ. ჭავჭავაძემ და გადასაღებად გადასცა დუბელირის ფოტოგრაფიას. რადგან ილია ჭავჭავაძემ მალე დასტოვა ტფილისი და მერე გადაავიწყდა უკან წამოეღო პორტრეტის ორიგინალი, და გაეგო გადაიღეს თუ არა ასლები, მაშინ ამ სტრიქონების ავტორმა თვითონ მიმართა თხოვნით ფოტოგრაფიის მფლობელთ მოენახათ ეს ძვირფასი განძი. დუბელირმა განაცხადა, რომ ეს პორტრეტი დაიღუპა სამოციანი წლების შუა ხანებში. პოეტს რომ სხვა დაგეროტიპული სურათი არ დარჩენია, ამას ადასტურებს 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული ცნობა. კორესპონდენტი წერდა: მე ვიყავი მიცვალებული პოეტის დასთან, კნეინა სუმბათოვთან, რომელიც ცხოვრობს სოფ. ქვიშხეთში. მან მიამბო: „ჩემ დას კნეინა ვეზიროვისას აქვს ჩვენი ძმის ხელნაწერებიო, მაგრამ დაკარგვისა ეშინია, რადგან ერთადერთი დაგეროტიპის პორტრეტი ნიკოლოზისა დაგვიკარგესო, ამისათვის ველარავის მივცემთ ჩვენი ძმის ხელნაწერებსო“.

პოეტის და გულისხმობდა დუბელირის ფოტოგრაფიის ხანძრის დროს დაღუპულ დაგეროტიპს და არა ბარათაშვილის მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტს.

ბარათაშვილის ერთადერთი რეალური პორტრეტის დაკარგვამ ერთგვარი ბიძგი მისცა პოეტის ყალბი პორტრეტის შექმნას. 1904 წელს ჟურნალი „მოგზაური“ აცხადებდა: „**1904 წელს ხელისმომწერნი ჟურნალის გარდა მიიღებენ ნ. ბარათაშვილის დიდ სურათს**“. თუ როგორ წარმოიშვა ბარათაშვილის ყალბი სურათი, მოგვითხრობს მწერალი და მთარგმნელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ივანე ავალიშვილი: „**ქარელში ცხოვრობდა თავადი იასონ დავითის ძე ციციშვილი. მწერლობასთან ერთად მას უყვარდა ხატვა და თავის სამწიგნობრო კაბინეტში გამართული ჰქონდა სამხატვრო კუთხეც ფერებ-იარა-**

ლებით. ერთხელ, როდესაც მას ქარელში ვესტუმრე, ერთმა მშვენიერ ჩარჩოიანმა სურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება მის კაბინეტში. სურათს ქვეშ ეწერა ალექსანდრე ციციშვილი, თუმცა დღესაც მიჩნეულია ნ. ბარათაშვილის გამოსახულებად. ჩემი გაკვირვება იასონს გავუზიარე, ხოლო მან მიპასუხა: „ეგ ხომ ბარათაშვილი არ არის, რა ვქნა, ვერ იცანი ჩემი ძმა ალექსანდრე, პეტერბურგში მეფე ალექსანდრე მეორეს რომ საპატიო დარაჯად ახლდა. ბარათაშვილად კი შემდეგმა გარემოებამ გადააქცია... ჩემი მეგობარი ზაქარია ჭიჭინაძე მენჯია, ჩემი ძმის სურათი მეტად მოიწონა და მთხოვა; თან გულით შემეხვევნა: – ძალიან გთხოვ, თუ სადმე შეგხვდეს ეს სურათი, არაფერი სთქვაო! არც ისა სთქვა, რომ თქვენგან წამოვიღეო.“

გავიდა რამდენიმე ხანი. ტფილისში ჩავედი და გოლოვინის გამზირზე, ერთი მაღაზიის ვიტრინაში გაოცებულმა ვნახე ჩემი ძმის ალექსანდრეს სურათი, ლითოგრაფიით დაბეჭდილი, ქვეშ წარწერით: ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (ჟურნ. „მოგზაური“).

ივანე ავალიშვილის მიერ სიყალბის გამომჟღავნების შემდგომ საზოგადოებამ ხმა აიმაღლა ნ. ბარათაშვილისად გასაღებული ყალბი პორტრეტის წინააღმდეგ. ზაქარია ჭიჭინაძემ თავი იმართლა, რომ ეს პორტრეტი მხატვარმა ტარასი მომცემლიძემ შექმნა ბარათაშვილის დის გამოსახულების მეშვეობით; სინამდვილეში მას პირდაპირ გადაუხატავს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მიწოდებული ალექსანდრე ციციშვილის სურათის პირი და არ შეუქმნია ის პოეტის დის – სოფიო სუმბათაშვილის – ფოტოსურათიდან.



ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი. მხატვარ ტ. მომცემლიძის რეკონსტრუქცია, 1901 წ.

1875 წელს გიორგი თუმანიშვილმა ახლადგარდაცვლილი მამის – მიხეილ თუმანიშვილის ქალღმერთებში იპოვა მამაკაცის ფანქრით დახატული პორტრეტი, რომელსაც მინერილი ჰქონდა ინიციალები: „Н. Б“. თანამედროვეებმა ის ნიკოლოზ ბარათაშვილს მიახსენეს, თუმცა ზოგიერთთა აზრით, ის ილია ორბელიანს, ბარათაშვილის უმცროს ბიძას, უფრო ჰგავდა, ვიდრე თვით პოეტს.



- სურ. 1.** ნიკ. ბარათაშვილი, მიხ. თუმანიშვილის არქივიდან;
სურ. 2. ბარათაშვილის და სოფიო (მარჯვნივ) და ილია ჭავჭავაძის და ელისაბედი;
სურ. 3. ბარათაშვილის დები. სხედან (მარცხნიდან): ბარბარე ვეზირიშვილისა, ნინო ბარათაშვილისა, გიორგი (ბარბარეს შვილი), სოფიო სუმბათაშვილისა.

ჩანახატი მიხეილ თუმანიშვილის არქივიდან ხელახლა მიანოდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა, რომლის აზრითაც, თუ „ნ.ბ.“-ესკიზს პოეტის დების, ნინოსა და სოფიოს, ფოტოსურათებს შევეუჯერებთ, მათ შორის მაშინვე ვიპოვით გასაოცარ მსგავსებას; სოფიოს პორტრეტისგან მას მხოლოდ უღვაშები განასხვავებს.

გიორგი თუმანიშვილი კი თავისი მამის, როგორც მხატვრის, შესახებ წერს: **„მამაჩემი, რასაკვირველია, ნამდვილი მხატვარი არ იყო, მაგრამ მისი დილეტანტური ფანქრული ჩანახატები უმეტეს შემთხვევაში ემსგავსებოდნენ თავიანთ ორიგინალებს“.**

როდესაც ბარბარე ვეზირიშვილს თუმანიშვილისეული ესკიზური ჩანახატი აჩვენეს, მან ამ მონახატში თავის ძმა იცნო. თანაც უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იგი ამ ნახატზე ულამაზოდ არის, ცხოვრებაში უფრო კარგი იყო. მხატვარი მ. თოიძეც აღნიშნავს: **„განცვიფრებული ვიყავ ესკიზის მსგავსებით იმ პირებთან, ვისი ფოტოსურათებიც ვეზირიშვილისამ მაჩვენა და თვით ვეზირიშვილთანაც“.**

მიუხედავად ამისა, პავლე ინგოროყვა თვლის, რომ **„ამ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამამტკიცებლად. ბევრი რამ საცილობელია ფანქრით შესრულებულ ამ დილეტანტურ ესკიზში“** (ინგოროყვა 1968 : 12). მეცნიერი თავის მოსაზრებას განამტკიცებს იმ ფაქტით, რომ თუმანიშვილისეული სურათი 70-იანი წლების ბოლოს ილია ჭავჭავაძეს ხელთ ჰქონია. ის გაუსინჯავთ ილიას მიერ მოწვეულ პოეტის მომსწრე პირებს და არ მიუციათ ვიზა დასაბუთებლად.

პირადად ჩვენ ესკიზზე გამოსახულ პიროვნებას ვამსგავსებთ პოეტის დებს და ვთვლით, რომ მის. თუმანიშვილისეული ესკიზური ჩანახატი ინიციალებით „ნ.ბ.“ დღეს ერთადერთი დოკუმენტია პოეტის სახის მოსაგონებლად.

1938 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ, ლადო გუდიაშვილმა შექმნა პოეტის პორტრეტების სერია, 5 ტილო. ლადო გუდიაშვილის შექმნილმა პორტრეტებმა საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა, რადგან მხატვარმა მათში პოეტის სული უკვდავყო: განსაკუთრებული ხასიათი დაინახა არა მარტო მის

პოეზიაში, არამედ პოეტის გარეგნობაშიც. დღეს ყველა ქართველი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახეს გუდიაშვილის პორტრეტებით წარმოიდგენს; თანაც პორტრეტზე გამოსახული ბარათაშვილი თვალებით წააგავს თავის დებს. გუდიაშვილმა გარეგნული მსგავსებაც ჩადო ამ პორტრეტებში, თუმცა სახეცა და ხასიათიც სტილიზებულიად გამოხატა.



ბარათაშვილის პორტრეტები, შესრულებული
ლადო გუდიაშვილის მიერ

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ ასე აფასებს ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილ ბარათაშვილის პორტრეტებს: ისინი „მხატვრული ნათელხილვის როგორც ნიმუში, იმდენად დამაჯერებელია, რომ იგი ერთადერთ შესაძლებელ ხატებად გვესახება და სურათე-

ბისა აღარა გვჯერა, სხვა სახის, სხვა თვალების წარმოდგენა არ შეგვიძლია“ („საბჭოთა ხელოვნება“ 1969 : 31).


თანამედროვე ეპოქაში მოქანდაკე მარინა ივანიშვილმა კომპიუტერული დამუშავებით შექმნა ბარათაშვილის კიდევ ერთი საინტერესო სურათი. რადგან ბარათაშვილისა და მისი დის – სოფიოს მსგავსებას ყველა აღნიშნავდა, ხოლო დები – ნინო და სოფიო – ერთმანეთს ჰგავდნენ, მან პოეტის დების სახეების შერწყმითა და დამუშავებით მიიღო ბარათაშვილის ნანატრი პორტრეტი. სურათის მხატვრული რედაქტირება მანვე შეასრულა. ეს სურათი, რა თქმა უნდა, ვერ გაუწევს კონკურენციას ლადო გუდიაშვილის ნახატებს, მაგრამ რეალობასთან უფრო ახლოს დგას, რადგან, თანამედროვეთა მოგონებებითაც, პოეტს აკლდა გარეგნული ხიბლი. იონა მეუნარგია აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა „ის ორი თვალთმაქცური გასაღები, რომლითაც შეიძლება ქალის გულში კარის შეღება – სილამაზე და სიმდიდრე“ (მეუნარგია 1968 : 28).



ბარათაშვილის პორტრეტი, მარინა
ივანიშვილის მიერ დამუშავებული

საინტერესო პორტრეტი შექმნა მე-19 საუკუნის ყოფის უაღრესად დეტალურად და ნიუანსებში ამსახველმა მხატვარმა ლევან ქოლოშვილმა. ბარათაშვილის პორტრეტი ნააგავს თანამედროვე-

თა აღწერილობებსაც და, ამავე დროს, მასში იხატება პოეტის ამაყი ხასიათი, თავდაჭერა და ცოტაც ცინიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. პორტრეტი სტილიზებულია, რაც თეთრი ყელსახვევითა და ზევით აწეული მუქი საყელოს კონტრასტითაც გამოიხატება. პორტრეტში უთუოდ ჩანს მსგავსება როგორც ბარათაშვილის დებთან, ასევე თუმანიშვილისეულ ესკიზთან.



ნიკოლოზ ბარათაშვილი.
მხატვარი ლევან ქოლოშვილი

სტატიას დავასრულებთ ბარათაშვილის სახის ყველაზე უფრო დეტალური აღწერით, რაც ისევ და ისევ იონა მეუნარგიასთან მოგვეპოვება: „გაგონებით, ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავი ცოცხალი თვალებით, ნაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა, მისი ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ ამხილებდნენ მასში ოდესმე ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართა ჩამომავლობას, წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რის გამო მისი სახე, შორიდან ლაზათიანი, ახლოდან ცოტა დაჭყანული იყო თურმე“ (მეუნარგია ი. 1968 : 28).

ბიოგრაფია ეპისტოლეებში

ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ყველაზე ნათლად აისახება პოეტის ბიოგრაფია. წერილებში წარმოჩნდება არა მხოლოდ პოეტის პირადი ურთიერთობები ახლობლებთან, არამედ მთელი რიგი ფაქტებისა და მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული ემოციური განცდები.

ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას შეადგენს სულ 18 წერილი. ისინი შეგროვებულია მწერლის გარდაცვალების შემდგომ, გაზეთ „ივერიას“ მიერ გაჩაღებული კამპანიის შედეგად – დაუფასებელი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოპულარიზაციისთვის.

ბარათაშვილის წერილები პირველად ილია ჭავჭავაძემ 1872 წელს მიიღო თავისი დის – ელისაბედისა და მისი მეუღლისაგან – ალექსანდრე საგინაშვილისგან. ეს იყო ბარათაშვილის ოთხი პირადი წერილი, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი. ილია ამ დროს დუშეთში იმყოფებოდა. მან ეს წერილები სასწრაფოდ გადაუგზავნა კირილე ლორთქიფანიძეს „კრებულში“ დასაბეჭდად. ილია სთხოვს მეგობარს, რომ ტექსტი არ ჩაასწორონ და ზუსტად ისე დაბეჭდონ, როგორც დედანშია. ბარათაშვილის ოთხივე წერილი 1873 წლის „კრებულის“ პირველივე ნომერში დაიბეჭდა, რუბრიკაში – „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალები“. ტექსტიდან ამოიღეს მხოლოდ ადრესატის სახელები და მათ ნაცვლად ჩასვეს ასო N. ბარათაშვილის წერილებზე რედაქციამ დაურთო შენიშვნა, რომელიც ზუსტადაა ამოღებული ილიას კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილი წერილიდან: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთსა და იმავე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართული ენისა და მწერლობის მოყვარემ. ვისაც ესმის, რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვარ წერილებს ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულების და თვისებების ახსნისათვის, ის ჩვენთან ერთად გულითადს მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულ გადმომცემელსა“ („კრებული“ № 1, 1873 : 99).

1873 წლის „კრებულის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა ბარათაშვილის კიდევ ოთხი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი.

ეს წერილები თავად გრიგოლ ორბელიანს მიუტანია რედაქციაში. სარედაქციო შენიშვნა ასეთი სახის იყო: – „ეს ძვირფასი წიგნები მიწერილია თ. გრიგოლ ორბელიანთან, რომელსაც მათ დასაბეჭდათ გადმოცემისათვის უგულითადეს მადლობას ვუძღვნით“ („კრებული“ 1873, № 3).

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ იონა მეუნარგიამ ბარათაშვილის კიდევ ორი წერილი აღმოაჩინა მისი ბიძის არქივში: პირველი 1837 წლით დათარიღებული, მეორე – 1844 წლის 23 მაისით. ორივე დაიბეჭდა 1885 წლის „დროების“ 114-ე ნომერში და შევიდა ზემოთ აღნიშნულ მესამე გამოცემაში.

1885 წელს გამოსული ბარათაშვილის თხზულებათა მესამე გამოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი და განსხვავებული წინა ორი გამოცემისაგან, რომ დამატებულია 5 ლექსი და შესულია პოეტის რვა პირადი წერილი – 4 გრიგოლ ორბელიანისადმი და 4 მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი. იონა მეუნარგიას ნაპოვნი ორი წერილიც სწორედ ამ გამოცემაშია შესული.

ჩვენ განვიხილავთ ბარათაშვილის წერილებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

I წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი თბილისიდან, 1837 წლის თებერვალს. გრიგოლ ორბელიანი ამ დროს ლაშქრობაშია, რადგან დისშვილი იმითაც ხსნის წერილის მიუწერლობას, რომ არ იცოდა ადგილი, თუ სად იმყოფებოდა ბიძამისი. ამ დროს ბარათაშვილს გიმნაზია უკვე დამთავრებული აქვს და მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ წერილი ქართულადაა დაწერილი, თავისი სამსახურის შესახებ ბარათაშვილი რუსულად წერს: „Я чиновник экспедиции суда и расправы“ (მე ვარ მოხელე სამართლისა და განჩინების ექსპედიციისა). ტექსტში სამი რუსული ფრაზაა ჩართული. მათზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ფრაზები ბარათაშვილისთვის არ არის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი, უბრალოდ, მათ რუსულად უკეთ წარმოთქვამს. აღსანიშნავია, რომ სამიდან ორი რუსული ფრაზა ჩინოვნიკურ გარემოს ეხება.

წერილიდან ჩანს, რომ ბარათაშვილს არ ახარებს სამსახურეობრივი კარიერა და ჩინი. ამაზე ის გულგრილად საუბრობს, რადგან სამოქალაქო სამსახური ყოველთვის ნაკლებად იზიდავდა, სა-

მაგიეროდ, პოეტი სიტყვანყლიანია, როდესაც თავისი ოცნების შესახებ საუბრობს. ეს ოცნება ჯარისკაცობაა: „... ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რალამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რო კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვხტი და კიდევ ვტანცაობ“. პოეტმა არ ისურვა მშობელთა ნების წინააღმდეგ წასვლა და ერთი სურვილი მეორით შეცვალა – ეს იყო უნივერსიტეტში განათლების მიღება, მაგრამ არც ეს შეუხსრულეს. ბარათაშვილი ამის მიზეზს არ ასახელებს, თუმცა დასძენს, რომ ყოველივეს დაერთო მამის ავადმყოფობა და თხოვნა შვილისადმი – „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავანო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“. ამის შემდეგ მამა აღარ შეუწუხებია, დამორჩილდა მკაცრ ბედს და სამსახური დაიწყო.

წერილში კარგად იკვეთება ბარათაშვილის შინაგანი ბუნება. ის პრეტენზიული არ არის, დამყოლია, ითვალისწინებს ოჯახის მდგომარეობას და, სულით მეამბოხე, ეგუება ხვედრს: „... დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“. ბარათაშვილმა იცის, რომ მისი ადგილი საკმაოდ კარგია ყმანვილისათვის, რომელსაც სამოქალაქო სამსახური სურს, თუმცა დიდი უარყოფითი მხარეც აქვს – „**круг чиновников не выгоден для образования нравственности**“. მართალია, ზნეობრივი განვითარება მაინც პიროვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ გარემოც მოქმედებს ადამიანზე და ზღუდავს მას. ეს არის მიზეზი, და არა სიზარმაცე, იმისა, რომ ბარათაშვილი ველარ ძლებს სამსახურში. თითქოს თავს იმართლებს კიდევ, რომ ზარმაცობა სხვისიც ეჯავრება (სინამდვილეში თავის გასამართლებელი არაფერი აქვს. უბრალოდ, რიგითი ადამიანი ადვილად ეგუება ჩინოვნიკურ სამსახურს, მოსწონს კიდევ, რადგან დიდ ჭკუა-გონებას არ მოითხოვს; მოაზროვნეს და, თანაც, გენიოსს კი არ შეუძლია შეგუება).

ყველაზე მტკივნეული საკითხის შემდეგ ბარათაშვილი თითქოს თემას ცვლის და ბიძის ყურადღება ქალთა საზოგადოებასა და ყაბახზე გამართულ შექცევებზე გადააქვს. აღწერს ქალს, „სატრფოთ მარაქას“, მაგრამ მისი სახელის ხსენებას ერიდება, შეიძლება იმის შიშითაც, რომ წერილი სხვას არ ჩაუვარდეს ხელში; აღწერს იმ განწყობას, რამაც შეაქმნევინა ლექსი „ღამე ყაბახზედ“ და ლექსს წერილშივე ათავსებს. ბარათაშვილის სიტყვებში შესამჩნევია პოეტური სოლიდარობა, რაც ბევრ პოეტს არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ქმნის ყაბახზედ ლექსს, ეს ადგილი მისი პოეტური პირველადმწერის „კუთვნილებად“ მიაჩნია. ბარათაშვილის სიტყვებში სიყვარული იგრძნობა: **„შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის“**.

წერილის ბოლო ნაწილი მიუთითებს ცენზურულ რეჟიმზე, რომელიც საქართველოში არსებობდა 1832 წლის შეთქმულების გამო. ბარათაშვილი წერილს ფოსტას არ ანდობს, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ არ დაიკარგება. თავის ეჭვს საიათნოვას სიტყვებით ასაბუთებს – **„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“** და, სავარაუდოდ, კერძო კაცის ხელით გზავნის.

II წერილი მიწერილია მიხეილ თუმანიშვილისადმი, 1838 წლის 6 აგვისტოს. წერილის ავტოგრაფი შემონახულია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 2484). მიხეილ თუმანიშვილი იყო ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი, ჟურნალისტი, ფელეტონისტი, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. გიმნაზიის პერიოდში რედაქტორობდა მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალს – „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ – და ანთოლოგიას. მან თარგმნა პუშკინის პოემა „ბალჩისარაის შადრევანი“ და სცენები „ქვის სტუმარიდან“. მიხეილ თუმანიშვილი იყო აქტიური წევრი იმ სალიტერატურო წრისა, რომელშიაც ბარათაშვილიც შედიოდა.

ავტოგრაფს თავში მიწერილი აქვს მიხეილ თუმანიშვილის წარწერა – წერილის მიღების თარიღი და ადგილი: „10 აგვისტო, დედოფლის წყარო“.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წერილი გამართული რუსული ენითაა ნაწერი. მასში მხოლოდ ერთი ფრანგული სიტყ-

ვაა გამოყენებული – **aster** და პოეტი ამ სიტყვის მნიშვნელობაზე მსჯელობს; ამავე სიტყვას – „ასტრა“ – ის ორჯერ ქართულად იმეორებს, ბრჭყალებში ჩასმულს, როგორც ლექსის სათაურს და გვთავაზობს ქართულადვე მის თარგმანს – **მთიები**; გვხვდება ოთხი ქართული ფრაზაც: აქედან ერთი ხუმრობით მიმართვას წარმოადგენს მეგობრისადმი – „ძმაო, თავყანა“, საიდანაც ჩანს მათი ახლო ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სიტყვებით არ მიმართავდა. მეორე ფრაზა ტიპიური ქართული გამონათქვამია – „ასე, ჩემო ბატონო!“. სავარაუდოდ, ამ ფრაზის რუსულად გადართარგმნა არ ისურვა ბარათაშვილმა, რადგან თარგმნილი დაკარგავდა იმ მნიშვნელობას, რომელიც ქართულშია. მესამე ფრაზა წინადადებაშია ჩართული – „Скажу тебе новость, თუ არ გაჯავრდები. რუსულ-ქართული საუბარი დამახასიათებელია მე-19 საუკუნის მეტყველებისთვის და ახლობელთან არაოფიციალურ საუბარში ბარათაშვილი მიმართავს მეტყველების ამგვარ ფორმას. კიდევ ერთი ქართული ფრაზა – „მაშ მოკვდი, ბზ!“ – გამოხატავს დაცინვას ხუმრობით; მასში ჩართულია ბზიკის ბგერები მეგობრის გამოსაჯავრებლად. ქართული ფრაზები მიგვანიშნებს მეგობართა ახლობლურ და შესუმრებულ ურთიერთობაზე.

წერილიდან ვიგებთ, რომ თბილუსური ყოფა პოეტისათვის მოსაწყენი გამხდარა, რადგან ახალი არაფერი ხდება. „ახალში“ საზოგადოებრივი ცხოვრება იგულისხმება. ამის გარდა, ზაფხული აუტანელი ხდება სიცხის გამოც და პოეტს ისლა დარჩენია, შვება მთვარიან საღამოებში იპოვოს. ბარათაშვილი მეგობარს მოუთხრობს ერთ-ერთი ასეთი საღამოს შესახებ, როცა თბილისის ქუჩებში მოხეტიალე უცებ სასაფლაოზე აღმოჩნდა. **„უნდა გამოგიტყდე, ცოტა შევშოთდი, როცა თვალი მოვავლე ამ უდაბურებას: ღამის 11 საათია. არც ერთი სული. ირგვლივ მარადიული სიცარიელეა. მთვარე საფლავებს მკრთალად ანათებს, როგორც მბჟუტავი ღამპარი მიცვალებულისა. წყნარად და ნელად მოლელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს მყუდროება ამ მჭმუნვარე ქვეყნისა...“.**

როცა წერილი იწერება, ბარათაშვილს უკვე შექმნილი აქვს ლექსები „შემოღამება მთაწმიდაზედ“ და „ფიქრნი მტკვრის პირ-

ზედ“. ლექსებისა და წერილის როგორც ლექსიკა, ასევე განწყობა, საერთოა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბარათაშვილი ხშირად ეძლეოდა ამგვარ განმარტოებას. ბუნებაში მარტო ყოფნა კი ცაზე ფიქრებს უშლიდა პოეტს: „**არ მინდა შეგაშფოთო შავ-ბნელი ფიქრებით, – წერს ბარათაშვილი, – რომელიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-მინიერმა სანახაობამ! გეტყვი კი, მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგეშისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!**“. ბარათაშვილი თავის გულწრფელ ფიქრებს ბოლომდე არ აგრძელებს. მათი განვითარება პოეტის შემოქმედების მცოდნესთვის ნათელია. მისი პოეზია კი ცნობილია მიხეილ თუმანიშვილისთვის, რომელიც ამ დროს უკვე კრიტიკოსია და წერილიდან ვიგებთ, რომ კრიტიკულადაც აფასებს ბარათაშვილის ლექსებს.

ბარათაშვილი ახსენებს მიხეილ თუმანიშვილის ბოლო წერილს, მისდამი მიწერილს, რომელიც კრიტიკაა „ასტრას“ ავტორისადმი. „ასტრა“ ბარათაშვილის დაკარგული ლექსია, რომლის შესახებაც სწორედ ამ წერილიდან ვიგებთ. მიხეილ თუმანიშვილი დაინტერესებულა, „ვინაა ეს უცნობი ასტრა“. ბარათაშვილი მას პასუხობს, რომ ეს ავტორის საიდუმლოა. მას არ აინტერესებს, გაიგო თუ არა კრიტიკოსმა მიხეილ თუმანიშვილმა, რა არის ლექსში გადმოცემული, მისთვის მთავარია, ადრესატმა გაუგო ავტორს და ამით კმაყოფილია. ბარათაშვილი წერს კრიტიკოსისთვის მეტად მნიშვნელოვან მომენტზე, როგორ უნდა მოხდეს ლექსის შეფასება: „**ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს**“. ამით ბარათაშვილი მიუთითებს მეგობარს, რომ მთავარი არ არის ლექსში ყველაფერი ნათელი იყოს, მთავარია მისი ესთეტიკური ღირებულება, მისი მშვენიერება, რომელიც კონკრეტული საგნიდან, ადრესატიდან მომდინარეობს.

ბარათაშვილი მაინც ვერ ითმენს და ლექსის ადრესატის შესახებ ნაწილობრივ და, თანაც, ბუნდოვნად მოუთხრობს მეგობარს; სწერს, რომ წყნეთში მიემგზავრება, რათა ის იხილოს. დედამისმა სთხოვა, რომ რამდენიმე დღე მათთან გაატაროს.

როგორც წერილიდან ვიგებთ, ბარათაშვილს თავისი ლექსი „ასტრა“ მიხეილ თუმანიშვილისთვის გაუგზავნია. ის ხშირად უგზავნიდა მეგობრებს წერილებთან ერთად ახალ ლექსებს. მიხეილ თუმანიშვილს ეს ლექსი მოსწონებია „კარგი სიტყვის, კარგი სტიხის, კარგი ხმის“ გამო, მაგრამ ვერ გაუგია ლექსის სათაური „ასტრა“ და ვერც ის, ვისადმი იყო ეს ლექსი მიძღვნილი. მას დაუწერია საპასუხო ლექსი „ასტრას“, რომელშიაც შეკითხვებია ბარათაშვილისადმი. მოგვყავს ნაწყვეტი მიხეილ თუმანიშვილის წერილიდან და ლექსი – მთლიანად:

„ ასტრას

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის,
სადაური სად მოსულხარ, ან რისთვის?
უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის,
ეს სახელი არ სმენია არავის!
ნუთუ შენ ხარ ანგელოსი ციური,
ან ყვავილი უხასელო ველური,
ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.
მოფრენილო შორეულისა ქვეყნით,
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით,
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,
მიუხხვედრო, ასტრავ, შენის ნოდებით.
გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან,
ოდესცა ვსცნობ შენსა სახელსა მისგან,
მაშინ გაქვნდეს უეჭველი იმედი,
რომ იქნები ნაკითხული ყველასგან
წინანდალი, 15 ივლისი 1838 წ. სალამოს 7 საათზე“.

თუმანიშვილის ლექსის კითხვების პასუხი ასახულია ბარათაშვილის წერილში. პოეტი უარზეა, თავისი ლექსის ადრესატის ვინაობა გაამხილოს, მაგრამ განმარტავს, რას ნიშნავს ასტრა. ის ფრანგული სიტყვაა. მისი ქართული შესატყვისია მთიები.

წერილის ბოლოს ბარათაშვილი ჩქარობს, რადგან ფოსტას ვერ მიუსწრებს, ხოლო წერილის წინასწარ დაწერა არ უყვარს (ეს

ფრაზა ბარათაშვილის ბუნებაზე მიგვანიშნებს). წერილი სრულდება მოკითხვით:

„მშვიდობით, ალაზნის ველის მეუდაბნოვე! მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა. შენი ნ. ბარათაშვილი“. სახუმაროა მეგობრისადმი შერქმეული ზედმეტსახელი „ალაზნის ველის მეუდაბნოე“, მასში მულავნდება მეგობრებს შორის ძალიან ახლო ურთიერთობა, შეხუმრება ერთმანეთთან და სიყვარული. აგრეთვე ისიც, რომ მეგობრები თავიანთ პირადულ ცხოვრებაზე ერთმანეთს წერილებში ესაუბრებიან და საიდუმლოს არ მალავენ. „ველის ქალწული“ სწორედ მიხეილ თუმანიშვილის გულის სწორი უნდა იყოს. სავარაუდოდ, არც ბარათაშვილი უმალავდა მას თავის პირადულ ცხოვრებას, უბრალოდ, ამჯერად მეგობარს ინტერესში აგდებს, თან უყვება სატროფოზე და თან ვინაობას უმალავს.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“ მიძღვნილი ყოფილა პოეტის ფრანგი მეგობარი ქალის – დელფინა ლაბიელისადმი. ცნობილია, რომ მის დედას საკონდიტრო ჰქონდა წყნეთში გახსნილი.

წერილს ბარათაშვილის ხელით მიწერილი აქვს: **„P.S. ვერ მოვასწარი საგანგებოდ მიმეწერა ვარლამოვისთვის. თუ შეხვდები, უთხარი, რომ მისი საქმე ისე მოგვარდა, როგორც თავად სურდა და წარდგენილია ჩინზე. ახლა მაინც შეურიგდეს ქვეყანას“**. გარსევან ვარლამაშვილი პოეტის სკოლის ამხანაგი იყო. შემდეგ კი ისინი ერთად მუშაობდნენ „სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში“. მინაწერიდან ჩანს, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრიც – დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩინს. დანინაურებული ადამიანი ადვილად ურიგდება ქვეყანას. ჩინი ამშვიდებს მას და კმაყოფილს ხდის. ეს შეხედულება არ უნდა იყოს ბარათაშვილისთვის მნიშვნელოვანი.

III წერილად მიჩნეულია მაიკო ორბელიანისადმი მიძღვნა, რომელიც ბარათაშვილმა თავისი ლექსების კრებულს წაუმიძღვარა:

„დაო მაიკო, ეს ლექსები იქონიე ჩემეულად, ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყრმანვილობისათა და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა.

თ. ნ. ბარათაშვილი [1941]“

ხელნაწერი კრებული მიძღვნიტ ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 2484). მასში შედის ხუტი ლექსი, ესენია: „სატრფოვ, მახსოვს“ (1840 წ.), „არ უკიჟინო, სატრფოო“ (1841 წ.), „ვპოვე ტაძარი“ (1841 წ.), „ქილის ყვავილი და მწირი“ (პირველი ვარიანტი ლექსისა „სუმბული და მწირი“) (1842 წ.), „დამქროლა ქარმან“ (1845 წ.). ეს კოლექცია ბარათაშვილის ლექსებისა მაიკოს გარდაცვალების შემდეგ ინახებოდა ელისაბედ საგინაშვილთან, ილია ჭავჭავაძის დასთან, რომელსაც 1893 წელს გადაუცია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის.

მიძღვნა მიუთითებს იმ ახლო ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს ბარათაშვილსა და მაიკო ორბელიანს შორის.

IV წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 28 მაისს თბილისიდან. არ ჩანს, სად უგზავნის პოეტი ბიძას წერილს. წერილის ავტოგრაფი შენარჩუნებულია და ინახება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (№ 16399).

პირველ რიგში შესამჩნევია, რომ ბარათაშვილის ეს წერილი განსხვავდება 1837 წელს დაწერილი წერილისაგან ბიძისადმი დამოკიდებულებით. პირველ წერილში საგრძნობია მორიდებული და პატივისცემის გამომხატველი ლექსიკა, რომელსაც მოწმობს ფრაზები – **„საყვარელო ძიავე, გთხოვთ მომიტევოთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერლობა“** და ა.შ. 1841 წელს მიწერილ ბარათში პატივისცემა მეგობრული დამოკიდებულებით იცვლება. პოეტი წერს: **„საყვარელო ძმაო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი; მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ, – დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა, – მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა“**. თვალში საცემია ნიკოლოზ ბარათაშვილის პასუხისმგებლობა ბიძის თხოვნისადმი. დიმიტრიევსკი ლერმონტოვის წრესთან დაახლოებული კაცი იყო, შემსწრე მისი დუელისა; თავადაც წერდა ლექსებს; მსახურობდა ჯერ თბილისში, შემდეგ სტავროპოლში კავკასიის ოლქის ვიცე-გუბერნატორად. გრიგოლ ორბელიანის დაინტერესება თანამედროვე პოეტის შემოქმედებით ბუნებრივია. წერილში ჩანს მე-19 საუკუნისათვის ნიშანდობლივი ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – თითქმის ყველა ლექსი იმღერებოდა; მიუ-

თითებდნენ ნოტებს, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულებულიყო მელოდია.

ჩანს, რომ ბარათაშვილს აქვს მოსწრებული და მახვილი იუმორი. გრიგოლ ორბელიანს დაუწყია ფრანგული ენის შესწავლა. ამ ფაქტის გამო ბარათაშვილი წერს: **„ერთმა ქალმა შემოგითვალა: სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“**. მიუხედავად მსუბუქი დაცინვისა, ბარათაშვილი თავად ეძიებს ქალაქში ბიძისათვის ფრანგული ენის გრამატიკასა და სასაუბროს. ნაცნობი დაპირებია, მაგრამ ჯერ არ მიუტანია, ელოდება და შემდეგ გაუგზავნის ბიძას.

ბარათაშვილს უყვარს ქალაქის ამბების მიწერა, თუმცა იმის გამო, რომ ცოტა დრო აქვს წერილის დასაწერად, დანვრილებით მოყოლას შემდეგისთვის დებს. ამ ამბებს ის სატირულად გადმოსცემს: **„ – თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი“**. აქ ბარათაშვილი ხმარობს სატირისათვის დამახასიათებელ სიტყვათა და ბგერათა თამაშის ხერხს, სპეციალურად ათამაშებს **ჭ** ბგერას. საზოგადოებრივი სატირის თემა ქალაქის ყოფის აღწერაშიც მჟღავნდება: **„დიდი დაძგერებაებია ქალეებისა; დიდი აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი ღამის თევაები; დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით... ამ ამბავს დიდი აწერა უნდა“**. თავისთავად ერთმანეთის ჯიბრით მოწყობილი წვეულებები სატირული თემაა, თანაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის, რადგან მასიური ხასიათი აქვს. სატირის ხერხი კვლავ ასოთა თამაშში მჟღავნდება. პოეტი მრავლობით რიცხვში არ კვეცავს სიტყვას; ამით სიტყვის სატირულ მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამ სახით წარმოგვიდგენს – **დაძგერებაები, თევაები, წვეულებაები** (დაძგერებების, თევების, წვეულებების ნაცვლად).

სიახლე ბარათაშვილის ცხოვრებაში ის არის, რომ ახალ სახლში გადავიდნენ, ანჩისხატის უბანში (ამ სახლში ცხოვრობდა პოეტი 1841 წლიდან სიკვდილამდე, 1845 წლამდე). ამ სახლში ადრე ანტონ აფხაზი მდგარა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ძმა გენერალ ივანე აფხაზისა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი თავის

დღიურებში მოიხსენიებს – „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“.

სიახლეა სალიტერატურო ცხოვრებაშიც, რომლის შესახებ ბარათაშვილი საგანგებოდ აცყობინებს ბიძას: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта*, შექსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский*, ტრადედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მამეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“. სამწუხაროდ, ბარათაშვილის ეს თარგმანიც დაკარგულია. თუმცა გერმანელი დრამატურგის, იოჰან ანტონ ლაიზევიცის ნაწარმოებში გამოხატული გაბედული აზრები ნათელს ხდის, თუ რატომაც თარგმნა ბარათაშვილმა სწორედ ეს ტრადედია. ბარათაშვილს ეს ნაწარმოები „ბიბლიოტეკაში“ წაუკითხავს, ასე ერქვა რუსულ ჟურნალს, რომელიც 1830-იან წლებში გამოდიოდა სენკოვსკის რედაქტორობით. განათლებულ ქალებში ბარათაშვილი გულისხმობს თავის ნათესავთა და ახლო მეგობართა წრეს, არისტოკრატის ნარმომადგენლებს: ნინოსა და ეკატერინე ჭავჭავაძეებს, მაიკო ორბელიანს, ელენე ერისთავს, მაიკო ფალავანდიშვილს, მანანა ორბელიანს, მართა ერისთავს, სოფიო ერისთავს და სხვებს.

წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლს ახლო ურთიერთობა აქვს მაიკო ორბელიანთანაც, რასაც ბარათაშვილის სახუმარო ფრაზა ადასტურებს: „**მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი, რა მოგიწერია**“. ამას მოჰყვება კვლავ ირონიული შეფასება ქალების საქციელისა: „**ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა**“. ბალაშოვი საქართველოში მოსამსახურე სამხედრო პირია. ბარათაშვილის შეფასებით, მის გარდაცვალებას არ უნდა მოჰყოლოდა დიდი გლოვა. ამ შეფასებით ბარათაშვილი მიუთითებს ქალების არასწორ ღირებულებებზე.

წერილი სრულდება ისეთივე მეგობრული დამშვიდობებით, როგორც მისალმება იყო:

**„სხვა? სხვა ამ ხელად ეს იყოს. – ნუ კი შემომინწყები. –
შენი მარად და მარად და მარადის იქითაც.**

ნიკოლაი“.

ეს დამშვიდობება სრულიად განსხვავდება 1837 წელს გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი წერილის დასასრულისგან – „თქვენნი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი“. ჩანს, გასული ოთხი წელი ის პერიოდი, რომელიც შლის ასაკობრივ ზღვარს ბიძა-დისშვილს შორის. შესამჩნევია, რომ თავის ასაკობრივ სტატუსს ბარათაშვილი საგანგებოდ გამოხატავს როგორც თავისუფალი მეტყველებით, ასევე გაბედული ტონით. ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეული თორმეტი წერილიდან ის არსად არ უწოდებს თავის თავს ნიკოლაის, დამშვიდობებისას ყოველთვის იყენებს სიტყვებს – „შენი ნ. ბარათაშვილი“. წერილის თავისუფალი სტილი მეტყველებს ბარათაშვილის სურვილზე, შეცვალოს ურთიერთობის ფორმატი ბიძასთან, როგორც უკვე მოზრდილმა ადამიანმა.

V წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 18 ოქტომბერს თბილისიდან. არ ჩანს, სად უგზავნის პოეტი ბიძას წერილს. ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 4911).

ბარათაშვილი უკვე შენობით მიმართავს ბიძას და უწოდებს „საყვარელო ძმაო გრიგოლ“. წერილი წარმოადგენს პასუხს გრიგოლ ორბელიანის ბარათისადმი, რომელიც ბარათაშვილს გადასცა დიმიტრი ჯორჯაძემ, ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის საერთო მეგობარმა. წერილში საუბარია გურიის აჯანყებაზე, რომელმაც იფეთქა ორჯერ – 1841 წლის მაისს-ივნისში და აგვისტო-სექტემბერში. ცნობილია, რომ გურულების მეორე გამოსვლის ჩახშობა მოხდა როგორც მთავრობის, ასევე, განსაკუთრებით, ქართველი თავადაზნაურობის მეშვეობით. აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდნენ და, უფრო მეტიც, სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ ბარათაშვილის უახლოესი ადამიანი – გრიგოლ ორბელიანი და აგრეთვე მისთვის კარგად ცნობილი სამხედრო პი-

რები – მოსე არლუთინსკი, გიორგი საგინაშვილი (პოეტის მამი-
დაშვილი), დიმიტრი ჯორჯაძე (ბარათაშვილის მეგობარი).

ბარათაშვილის ამ წერილში სწორედ აჯანყების ჩახშობაზეა
საუბარი. ტექსტიდან ჩანს, რომ აჯანყების ჩასაქრობად წასულ ბი-
ძას დისშვილისთვის მიუწერია ოპერაციაში მონაწილე ქართველე-
ბის (იგულისხმება ქართლელებისა და კახელების) ქებისა და მათი
ზღაპრული გმირობის შესახებ. ბარათაშვილის საპასუხო ბარათში
გკითხულობთ:

**„დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებაჲ. –
მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიციამ, როგორც იტყ-
ვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა და-
იგდო მრთელს მხედრობაში; თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწ-
ვრილებით. მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი,
მაგრამ ჩი მიქუნიმ!**

მჯერა სარდლობა არლუთინსკისა, საგინოვისა და გურამო-
ვისა, რადგან შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი
დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდით: ხუმრობა არ არის, რომ
ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურე-
ბა, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბაშ მკლავთა და გან-
კარგულებათა თქვენთა!“ (ბარათაშვილი 1968 : 175).

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილიც აღტაცებულია მილიციის
გამარჯვებით როგორც გურიაში, ასევე ოსეთსა და დაღესტანში
(სადაც იბრძოდა წერილში ნახსენები ივანე ანდრონიკაშვილი). წე-
რილში ჩანს მიზეზიც, რატომაც ემხრობა ბარათაშვილი აჯანყების
ჩაქრობას; ქართველებს დიდი გამოცდილება აქვთ 1832 წლის შეთ-
ქმულების რეპრესიებისა. სწორედ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს –
„უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას“; უბედურება
ის შედეგია, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ყო-
ველგვარ გამოსვლას მოჰყვება. ბარათაშვილის წერილში იგივე
განწყობა იკვეთება, რაც ჰქონდათ გადასახლებიდან დაბრუნე-
ბულ პატრიოტებს; ისინი შეეგუვნენ რუსეთის ხელისუფლებას და
ქვეყნის წინსვლას რუსეთის ფარგლებში საქართველოს სიმშვიდე-
სა და განათლების აღორძინებაში ხედავდნენ. XIX საუკუნის ქარ-
თველი მოღვაწეებისათვის, დროისა და ვითარების სპეციფიკიდან

გამომდინარე, მისაღები აღმოჩნდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია – ასეთი იყო ქართველი თავადაზნაურობის საერთო განწყობა და იგივე განწყობა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც. მისი აღფრთოვანება კი გამონვეულია ქართველ თავადაზნაურთა წარმატებებით და სიმამაცით, მნიშვნელობა არა აქვს სამხედრო ოპერაციის მიზნებს; პოეტის იდეალი სამხედრო სამსახურია. მისი განუხორციელებელი ოცნება აისახება, ერთი მხრივ, იმაში, რომ პოეტი შენატრის თავის ახლობლებს, ბიძებსა თუ კლასის მეგობრებს, რომელთაც სამხედრო სამსახურში მაღალ კარიერას მიაღწიეს და „თავბრუნდამხვევი“ გამარჯვებებით გააოცეს იმპერიის პირველი პირები; მეორე მხრივ კი, სწორედ ეს აუხდენელი ნატვრა იწვევს იმ სულიერ სიღრმეს, რომელიც არ გვხვდება მისი დროის არცერთი „მაღალჩინოსანი“-ს, თუნდაც „პოეზიის მეფე“ აღიარებული და სახელგანთქმული გრიგოლ ორბელიანის, შემოქმედებაში.

წერილის მეორე ნაწილში ბარათაშვილი თბილისის ამბებზე გადადის და დაწვრილებით წერს ბიძას იმ მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, რომლებიც დედაქალაქში მოხდა: ჩამოსული ყოფილან ადლერბერგის, ალექსანდრე მეორის ფავორიტის, შვილები. მათ ჩამოსვლას რაც მოჰყვებოდა, ბარათაშვილი აღარ აღწერს, „შენ მიხვდებიო“, – ეუბნება ბიძას. სავარაუდოდ, მათ ქართული საზოგადოება „დიდი ამბით“ დახვდა. ბარათაშვილი საუბრობს იმ ფაქტზეც, რომ გრიგოლ ორბელიანის პოლკის „კამანდერი“ გამოცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მანამ მოხდა, სანამ ჩილაევის (დალესტნის ომების მონაწილე სამხედრო პირი) საქმეს გამოიძიებდნენ. ჩანს, ბარათაშვილი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ქართველთა სამხედრო მოღვაწეობას.

ბარათაშვილი შინაურ ამბებზეც ესაუბრება ბიძას. მაგალითად, იმაზე, რომ ყაფლან ორბელიანს, ბარათაშვილის ახლო ნათესავს, ვაჟი ეყოლა და დიდ ნათლობას აპირებს; ხოლო პლატონ იოსელიანს „ძილში კატა დასწოლია ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა“. ახლობელთა ამბებს ბარათაშვილი ჩვეული იუ-

მორით გადმოსცემს. პლატონ იოსელიანზე ხუმრობით წერს: „ეს აკლდა მის ფილოსოფიურ სახესო“.

პოეტის შინაგანი განცდა და უკმაყოფილება საზოგადოებრივი უმოქმედობისადმი მის შემდეგ ფრაზაში გამოიხატება: „სხვა ტფილისის ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარება“.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტი თბილისის უსარგებლობაზე საუბრობს (აქ ალბათ ჩინოვნიკურ საქმიანობას გულისხმობს), ის კმაყოფილია ახალგაზრდების ლიტერატურული საქმიანობით და ამისთვის ღმერთს მადლობას უხდის: **„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმანვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეენევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმანვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“**. ბარათაშვილი გულისხმობს სალიტერატურო წრის წევრებს: გ. ერისთავს, დიმ. ყიფიანს, ვახტანგ ორბელიანს, მიხ. თუმანიშვილს, მ. მაღალაშვილს, ა. ხერხეულიძეს, დ. მაჩაბელს და სხვებს. მისი უკანასკნელი სიტყვები დიდი იმედისა და პოეტის პატრიოტული განწყობის მაჩვენებელია, ხოლო ლიტერატურა მიჩნეულია იმ სფეროდ, რომლის გარშემოც უნდა მოხდეს ერის სულიერ ძალთა გაერთიანება. ამ განცხადებას მოჰყვება ბარათაშვილის ლექსი „ვპოვე ტაძარი“.

ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის გრიგოლ ორბელიანის თანამებრძოლებს: გიორგი საგინაშვილს (თავის მამიდაშვილს), ვასილ ყორღანაშვილს (ოფიცერს) და სხვა ნაცნობებს. უთვლის მამა ეგნატის (პლატონ იოსელიანის მამა, ერეკლე მეორის კარის მწერალი, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახის უახლოესი მეგობარი) მოკითხვას და დალოცვას.

წერილი მთავრდება სიტყვებით: „ჩვენთანებმა ყველამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა. შენი ნ. ბარათაშვილი“. დასასრული მიგვითითებს ბიძისა და დისშვილის მეგობრულ ურთიერთობაზე.

VI წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წლის 18 ოქტომბერს თბილისიდან. არ ჩანს, სად უგზავნის პოეტი ბიძას წერილს. ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 4911).

წერილის პუბლიკაციის ისტორია ასეთია: დედანი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს გადაუცია პეტრე უმიკაშვილისთვის გამოსაქვეყნებლად. უმიკაშვილს გადაუწერია; სწორედ მისი ავტოგრაფის მიხედვით დაიბეჭდა წერილის ტექსტი ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის III ნომერში. ეს ტექსტია გადაბეჭდილი შემდეგ გამოცემებშიც. პეტრე უმიკაშვილს დედნიდან ამოუღია 21 სიტყვისაგან შემდგარი საკმაოდ ვრცელი ტექსტი, რადგან მისი არათუ გამოქვეყნება, არამედ გადმონერაც კი პოლიტიკურად სახიფათოდ ჩაუთვლია. მას ამოღებული ტექსტი დაშიფრულად ჩაუნიშნავს თავის ხელნაწერში: ხაზების სიგრძე-სიმოკლით აღუნიშნავს სიტყვათა სიგრძე; სიტყვათა ჯგუფები გაუყვია ფრჩხილით () და დაუცავს სასვენი ნიშნები. ტექსტი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. რომ არ დავიწყებოდა, სწორედ ამიტომ მიუმართავს პეტრე უმიკაშვილს კოდირებისთვის.

წერილი თავისი შინაარსით ტრაგიკულია. ბარათაშვილი ატყობინებს ბიძას მისი ძმის, ილია ორბელიანის ტყვეობას: „საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვეთ არის შამილთან! ეს ამბავი ადრევე მინდოდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები შეინახავდნენ დამშვიდებად“. ყაზიყუმუხელები დალესტინის მთიელები არიან, რომელთაც შეიპყრეს ილია და შამილს გადასცეს.

ამ პირდაპირ შეტყობინებას მოსდევს რუსული ტექსტი ფეხეს, დალესტინის ომების მონაწილე სამხედრო პირის, ოფიციალური მოხსენებიდან, რომ მისი ადიუტანტი თავადი ორბელიანი 20 მარტს გაგზავნილი იყო დავალებით ანდალალში, სადაც ტყვედ ჩავარდა. ბარათაშვილი უყვება ბიძას ილიას დატყვევების მოწმე ლეკის ნაამბობს: „**ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი** (სამუხრის ოლქის უფროსი) **და ყაზიყუმუხის ხანი დაჭერილები ყოფი-**

ლან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებულები; შამილს ოცივესათვის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზე ძალიან გაბრაზებული თურმეა, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნას!“ – ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის, ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნურა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო“. ბარათაშვილი ატყობინებს ბიძას, რომ ილიკო დარლოშია, ციხესიმაგრეში, სადაც შამილის ცოლ-შვილიც იმყოფება; იმამი მას თურმე კარგადაც ინახავს.

ამ ტრაგიკულ მონათხრობს მოჰყვება თბილისელთა რეაქციები ილიკოს ტყვეობაზედ: „გალავინის (კავკასიის მთავარმართებლის) ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს, სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов“. ეს უკანასკნელი სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ქართული საზოგადოება ილია ორბელიანზე ათასგვარ ამბებს თხზავს. ბარათაშვილი ცდილობს დაამშვიდოს ბიძა და ამიტომაც ფაქტის შესახებ ასეთ კომენტარს აკეთებს: „ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“.

ამას მოჰყვება პეტრე უმიკაშვილის მიერ წერილიდან ამოღებული ტექსტი, შემდეგ კი ბარათაშვილის მიერ თავის თავზე მესამე პირში ნათქვამი სიტყვები: „Вот что поет думает за Илико“ და მისი ლექსი „მერანი“. წერილიდან ნათელი ხდება ლექსის დაწერის ისტორია, ის განცდები, რომლებიც ბარათაშვილს ილიას ტყვეობის დროს უნდა დაუფლებოდა. ბარათაშვილი აკონკრეტებს ამ განცდებს: **„ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუნებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცა. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივანოდო; ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“.** „მერანს“ დიდი მონონება რგებია საზოგადოებაში, ბევრიც უტირიათ. ბარათაშვილის მორიდებული ბუნება ჩანს ფაქტის ინტერპრეტაციაში, რომ მონონება ლექსმა ილიას გამო დაიმსახურა, თითქოს მას ილიკო წარმოთქვამდა ტყვეობაში.

ბარათაშვილი ატყობინებს ბიძამისს ზაქარიასა (გრიგოლ ორბელიანის ძმის) და იასეს ამბავსაც; ისინი ილიას გამოყვანის იმედს გამოთქვამენ, თუმცა თავად პოეტს ჰგონია, რომ შამილი არ აჩქარდება. ბარათაშვილი ცდილობს ბიძის დამშვიდებასაც: „ძმავო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა, და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოსხსნისათვის“.

წერილში წარმოჩნდება ბარათაშვილის პოლიტიკური შეხედულება, რომელიც თითქოს შეუსაბამოა „ბედი ქართლისას“ ავტორის ნააზრევისთვის: **„ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია პოზინი (მთავრობის მიერ სამხედრო მინისტრთან გამოგზავნილი ჩინოვნიკი) კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას“.** ბარათაშვილი დადებითად აფასებს რუსეთის მმართველობას. დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისთვისაც მისაღებია რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია. ასეთი იყო, ზოგადად, ქართველი თავადაზნაურობის საერთო

განწყობა და იგივე განწყობა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პეტრე უმიკაშვილის მიერ დაშიფრული ტექსტი რუსეთის პოლიტიკას არ ეხებოდა. თუმცა საეჭვო ხდება, როგორღა იყო ის სახიფათო.

ბარათაშვილი დედამისს მოფერებით ფეფოს უწოდებს და მისი მწუხარების შესახებაც ატყობინებს გრიგოლს: „**სხვებრ ჩვენიანები ყველანი კარგათ არიან. მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა“.**

20 აპრილს ეფემია, ბარათაშვილის დედა სწერდა თავის ძმას, ზაქარია ორბელიანს: „**დღეს ამ წიგნს რომ გწერდი, გრიგოლის წიგნი მოუვიდა ტატოს. შეუტყვია ილიას დაჭერა. დიდს მწუხარებას იწერება. ასე რომ ავათაც შექმნილა, და ხვენწას, – ყოველივე დაწვრილებით წერილით შემატყობინეთ“** (ც. არქ., 176, გვ. 157). სწორედ გრიგოლ ორბელიანის თხოვნის საპასუხოდ უნდა იყოს დაწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ვრცელი წერილიც.

წერილის მინაწერში ბარათაშვილი ელიზბარ ორბელიანს მადლობას უხდის მოკითხვისათვის და მის უბედობაზე ამახვილებს ყურადღებას. გრიგოლ ორბელიანს უთვლის „მტერ-მოყვარე“ ქალებისაგან მოკითხვას. ამ ქალებში პოეტი უნდა გულისხმობდეს ნინო ჭავჭავაძესა და მანანა ორბელიანს, რომელთა მიმართ გრიგოლ ორბელიანი არ იყო გულგრილი, ისინი კი მხოლოდ მეგობრობას სჯერდებოდნენ.

VII წერილი მიწერილია მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერს თბილისიდან. წერილის ავტოგრაფი შემონახულია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 2484).

აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს ყოველთვის „დას“ უწოდებს, ამით გამოხატავს თავის განსაკუთრებულ სიახლოვეს მისადმი. ნიკოლოზი მადლობას უხდის მაიკოს რახაელის წიგნისათვის (პავლე ინგოროყვას მიხედვით, „არის ცნობები, რომ რახაელ ციციშვილი წერდა ლექსებს“). წერილის მიხედვით, ამ წიგნზე ლაპარაკი ყოფილა მანანა ორბელიანის სალონში და ბარათაშვილი მას წიგნის მიტანას დაპირებია. ასევე ჩანს, რომ მაიკო

ორბელიანმა კიდევ ერთი პირობა უნდა შეუსრულოს მეგობარს და ბარათაშვილი შეახსენებს, არ დაავიწყდეს.

ბარათაშვილი თითქმის ყველა წერილში ეხება ქალაქის ამბებს, განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებს თავისი წრის ქალების, მისთვის ახლობელი ადამიანების, საქციელსა და რეაქციებზე. ხანდახან მათზე იუმორითაც წერს: **„გალავინის (კავკასიის მთავარმართებლის) ცოლი ნავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მონყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე, სწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. – ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ...“.**

ტასო მანანა ორბელიანის ქალიშვილია, ელენე კი – მანანას მული, განათლებული და დარბაისელი ქალი. წერილში წარმოჩნდება ბარათაშვილის ბუნება – საზოგადოებაში ის ყოველთვის მხიარულია. იხატება აგრეთვე მისი დიდი მეგობრობა მაიკოსთან, რაც ჩანს არა მარტო მასთან ახლოს ყოფნის სურვილში, არამედ თავისი შინაგანი განცდების მაიკოსათვის განდობაში. მხიარული ბარათაშვილი იმედგაცრუებულ და, აქედან გამომდინარე, მარტოსულ ადამიანად წარმოგვიდგება: **„მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც ნავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ“.** ეს ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცის აზრებია. ჩანს ისიც, რომ ბარათაშვილი მაიკოს პირველად არ უმხელს თავის სულიერ მდგომარეობას; მაიკომ იცის, რომ ის დიდი ხანია ობოლია. ბარათაშვილი განმარტავს „ობლობის“ მნიშვნელობას და მის მიზეზს: **„არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და**

ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სული-სა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის სანამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“. ბარათაშვილი განრისხებულია სატრფოზე და აფექტში მყოფი ლანძღავს მას, თუმცა იცის, რომ მისი ასეთი განრისხების გამო მაიკო გაიცინებს და სიყვარულის გამოვლინებად ჩაუთვლის. ბარათაშვილი ამგვარად არ ფიქრობს. ის თავის თავში გულცივ ადამიანს ხედავს, რომელიც მხოლოდ გონებით სჯის: „ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოციის წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული“. ბარათაშვილი კვლავ წარსულს მოაგონებს მაიკოს, რომელშიც დევს მისი დაობლების მიზეზი: „ყმანვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელდა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“. რთულია პირდაპირ თქმა, „ყმანვილობითვე შეჩვეულში“ ბარათაშვილი ეკატერინე ჭავჭავაძესთან ურთიერთობას გულისხმობს თუ არა. სავარაუდოდ, ის ამ სიახლოვეზე საუბრობს.

წერილს თან ერთვის ბარათაშვილის ლექსი „სული ობოლი“, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს მარტოსული ადამიანის მდგომარეობას.

ბარათაშვილი წუხს მაიკოს ავადმყოფობის გამო და ფილოსოფიურ და, ამავე დროს, გულითად რჩევას აძლევს: „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაჰკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. – დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ

ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი, და თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს“. ბარათაშვილის წერილის ეს ნაწყვეტი პირველ რიგში იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგივე სულიერი განწყობა მის ლექსებშიც ფიქსირდება, წერილები დამატებით მასალას გვაძლევს და პოეზიის განხილვაში გვეხმარება. წუთისოფლის წარმავლობაზე ფიქრი მის, ამ დროს უკვე დაწერილ, ლექსში – „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ – იხატება. უკვე დაწერილია ლექსი – „არ უკიჟინო, სატრფოო“, რომელშიც მშვენიერ სულთა კავშირი წარმოჩნდება. ბარათაშვილი აგრძელებს ფიქრს ამ თემაზე, რასაც მოჰყვება ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა“ (წერილის წერის დროს ის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი).

ასეთი მძიმე განწყობის შემდეგ ცოცხა მოულოდნელია, რომ ბარათაშვილი მაიკოს ამბების მიწერას სთხოვს, ემუდარება კიდევ; თუ შეხვდება ან წერილს მისწერს ანა ივანოვნას (ბაგრატიონ-მუხრანელს), აბარებს, მისგანაც მოკითხვა გადასცეს, რადგან „ჯავრობენ ზოგიერთი ქალები“. ვფიქრობთ, ბარათაშვილს არ უნდა პირადად მოიკითხოს ანა ბაგრატიონ-მუხრანელი, რომ თავისი ახლობელი ქალები არ აეჭვიანოს. ის ხუმრობის ხასიათზეც დგება და ანა ივანოვნას უთვლის, „**დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო**“. ბოლოს გამოთქვამს ილიას ტყვეობიდან მალე დაბრუნების იმედს და ემშვიდობება მაიკოს: „**შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი**“.

პირველი გვერდის არშიაზე ბარათაშვილს მიუწერია: „**შენ გაზრდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგინყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენა თქო. როგორ აღარა აგონდება სასიამოვნო შენს პოეტურ სულსა თქო**“. გლუხარიჩი ზედმეტსახელია გიორგი ერისთავისა, რომელიც ბარათაშვილის სალიტერატურო წრის აქტიური წევრი იყო, ამიტომ პოეტს გული სწყდება, რომ ის საზოგადოებრივ ასპარეზზე დროებით არ ჩანს.

VIII წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი 1842 წელს. ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 4911).

წერილიდან შემორჩენილია ერთი ფურცელი. ამგვარი სახით გადაუცია გრიგოლ ორბელიანს ავტოგრაფი პეტრე უმიკაშვილისთვის. პეტრე უმიკაშვილს გადმოუწერია არსებული დედანი (წერილის ერთი გვერდი). წერილის პირს ახლავს პეტრე უმიკაშვილის შენიშვნები: „ეს ცალკე ფურცელზე იყო ნაწერი. წელიწადი არ არის აღნიშნული. უნდა ვკითხო გრიგოლ ორბელიანს“; „ამ ფურცელზე ნამდვილი ბარათაშვილის ნაწერია“. ტექსტში საუბარია ლექსზე „საფლავი მეფისა ირაკლისა“, რომელიც პეტრე უმიკაშვილს არ გადმოუწერია, რადგან უკვე „ცისკრის“ 1860 წლის ივლისის ნომერში იყო დაბეჭდილი. ის ცვლილებები, რაც ხელნაწერში აღმოჩნდა, უმიკაშვილმა თავისი კუთვნილი ჟურნალის („ცისკრის“) ნაბეჭდ ტექსტში ჩაინიშნა.

შემორჩენილი ტექსტი საკმაოდ მცირე მოცულობისაა: „ ... **აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე, მისის თხოვნით, – ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში с большим запасом сведений об исторической Грузии**“.

მიხეილ ბარათაშვილი იყო შთამომავალი ვახტანგ VI-ის დროს (მე-18 საუკუნეში) რუსეთში გადასახლებული ერთ-ერთი ქართველისა, მელქისედეკ ბარათაშვილისა, რომელიც 1724 წელს მეფე ვახტანგს რუსეთში გაჰყვა და იქ დასახლდა. მიხეილ ბარათაშვილი რუსეთში დაიბადა და გაიზარდა, მონაწილეობდა დეკაბრისტების აჯანყებაში, ჰქონდა ევროპული განათლება, მსახურობდა რუსეთის გუბერნიებში უმაღლეს თანამდებობებზე, მათ შორის 1839-1843 წლებში – თბილისში, ამიერკავკასიის საბაჟოს გამგედ. სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა ის მელიტონის ოჯახს, განსაკუთრებით კი ტატოს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. ბარათაშვილმა სწორედ მას მიუძღვნა ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლისა“ და აგრეთვე წარწერა „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ – „**ამავსებ ღვინით, აგავსებ ღვინით. შესვი? გაამოს**“ (ბარათაშვილი 1966 : 127). ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ შესულია გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ სწორედ ამ წერილში. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ისტორიული მნიშვნელობის ლექსის მიძღვნა აუცილებლად კავშირშია ამ ორი ადამიანის – მიხეილისა და ტატოს – საერთო შეხედულებებთან საქართველოს ბედთან დაკავშირებით; წერილი-

დან ჩანს ასევე, რომ ბარათაევი ძალიან დაინტერესებულია საქართველოს ისტორიული დოკუმენტებით და ამ ყოველივეს საქმის კურსშია ნიკოლოზ ბარათაშვილიც.

ლექსს მოსდევს თხოვნა, გულწრფელი ხვეწნა გრიგოლისადმი, რომ ნუ დაივინყებს პოეზიას: „**გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დაანკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური**“.

IX წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი 1843 წლის 21 აგვისტოს თბილისიდან. ავტოგრაფი დაკარგულია. პეტრე უმიკაშვილის მიერ ავტოგრაფიდან გადმოღებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 4911).

ბარათაშვილი ბიძას ხუმრობით ავარიის მთავარს, ემირ ავარს და ატილას ტახტზე მჯდომარეს უწოდებს (ემირ-ავარს უწოდებდა იუმორით გრიგოლ ორბელიანიც თავის თავს (ა. განერელია)).

წერილში შეინიშნება მცირედი წყენა გრიგოლ ორბელიანის ტატოსადმი არასერიოზული მოპყრობის გამო: „**ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება**“. ბარათაშვილი პირდაპირ, მორიდების გარეშე საყვედურობს გრიგოლ ორბელიანს, რომ ის არ ზრუნავს თავის დისშვილზე, რომელიც, წესით, მემკვიდრედ უნდა მიეჩნია, სიბერეში თავის პატრონად. აი, რას წერს ის: „**საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ სანუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლეობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!**“. ბარათაშვილი გულწრფელად სწერს ბიძას თავისი შინაგანი განწყობის შესახებ: „**მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძი-**

ნავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“.

მას გული უგრძობს, რომ თავისი აზროვნებით თანამედროვეობას არ შეეფერება და ბევრად მეტს იმსახურებს, ფართო ასპარეზის მაგივრად ღრე-კლდითაა შებოჭილი; უნდა, ცვლილება შეიტანოს თავის ცხოვრებაში, მაგრამ დამხმარე არავინ ჰყავს. ისეე ბიძის იმედი აქვს: „**ჩემი ფიქრი მანდეთ მოქრის, ეცადე, რომა რენენკამფთან (დივიზიის უფროსი დალესტანში) დამანიშვინო. ხომ ამ პირობით ნახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი, დაგავინწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლის გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება**“.

ბარათაშვილი მთელი სერიოზულობით კიცხავს ბიძას, რომ არ გამოადგა მას, არ დაეხმარა. იცის, რომ გრიგოლი დასცინებს ამ გულახდილობისათვის. ცინიზმი დამახასიათებელია მისთვის, საკუთარ კარიერასაც კი ცინიკურად უყურებს: „**მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავებ: ემრობა მასხრად აიგდე, და მომავლის დიდების ფიქრს რას უზავ?**“.

ამ აღშფოთებისა და ბიძის ერთგვარი ლანძღვა-კრიტიკის შემდეგ პოეტი მშვიდდება და წყნარად უამბობს მას ქალაქის ამბებს: თბილისში ელჩი ჩამოსულა, მირზა-სალი. მთავარმართებელი მას ბალს უმართავს. მათი ახლობელი ქართველი ქალები თბილისში არ არიან და ბალს ვერ დაესწრებიან, რაც გრიგოლისათვის სასიამოვნო უნდა იყოს. მირზა-სალის მაგივრად იტალიელი გრაფი ჩიჩერონე რომ ჩამოსულიყო, ქალები მაშინვე ჩამოვიდოდნენ თბილისში. ლევან მელიქიშვილი ქუთაისში გაუგზავნიათ დავალებით. გრიგოლ წერეთელი მილიციაში დაუნიშნავთ. გრიგოლის წერილი, ლევან მელიქიშვილთან გაგზავნილი, ბარათაშვილმა გახსნა, წაიკითხა და ბევრი იცინა. ილიამ პორუჩიკობა მიიღო, ას თუმნამდე ჯამაგირი ექნება, მაგრამ მის „თავში ბოსტანია, გულში სიყვარული“ (ილიას სამეურნეო საქმიანობა წამოუწყია, ამავე დროს ის მამუკა ორბელიანის ქალის შერთვას აპირებდა). ამ ამბავზე ბარათაშვილი მიუთითებს, რომ ხუმრობა არ ეგონოს. გრიგოლს ოჯა-

ხის ნევრები უმზადებდნენ საჩუქრად „ბუმაჟნიკს“ და ქუდს. ალექსანდრე ჭავჭავაძე მეუღლით მარტყოფში ყოფილა ჯვარობას. მათ თან ახლდნენ სავარსამიძის (ჭარ-ბელაქანის გამგებელი), სივრიჩისა და ბეზაკის (ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი) ცოლები. ბარათაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბეზაკის ცოლი, სოფიო ორბელიანი, აკვნიდანვე გრიგოლზე დანიშნული, უქმროდ იყო. ჩანს, გრიგოლ ორბელიანი გულცივად არ იყო ამ ქალის მიმართ, რაზედაც ბარათაშვილის ხუმრობაც მიგვანიშნებს: **„არ გინდა, რომ ერთ საათს მაგ მთებში გამოძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუალამისას დაბადებულიყავ?“**. ბარათაშვილი დაწვრილებით წერს ბიძას, ეტლში ვინ სად იჯდა.

ამ საინტერესო ამბების შემდეგ ატყობინებს მამა ეგნატის (პლატონ იოსელიანის მამის) გარდაცვალების შესახებ. ამ სამწუხარო ფაქტზე ბარათაშვილი იუმორით წერს: **„მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ-სოფლთგან“**, თუმცა ეცოდება მოხუცი, რომელიც **„თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყველაზე მეტად იტანჯებოდა. წარსული მიდიოდა მის წინაშე და ლელავდა, როგორც ზღვა-ოკეანე“**. ამ სიტყვებს ბარათაშვილი რუსულად წერს. ის ახდენს ალ. პუშკინის ლექსის პერიფრაზს პოემა „ბორის გოდუნოვიდან“. ბილინგვიზში დამახასიათებელია ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის.

თავის სამსახურთან მიმართებაში პოეტს ლერმონტოვის სიტყვები ახსენდება: **„И грустно, и скучно ...“**, რაც გამოხატავს სამსახურში მის უინტერესო ყოფას, სულიერი კრიზისის მდგომარეობას.

ვრცელ წერილს ერთვის ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო“.

პოეტი პირდება ბიძას, რომ სხვა დროს უფრო ბევრს მისწერს, სულ „გააჭრელებს“ წერილს, ახლა მეტი არაფერი აგონდება. წერილს კვლავ ირონიით ასრულებს: **„სირცხვილია რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე, რომ დაწერონ. შენი მარადის ნ. ბარათაშვილი“**.

პირველი გვერდის არშიაზე მიწერილი აქვს: **„მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბაღემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს. არ გებრალება, რომ მაია ქვეშაგებად ჩავარდა! – გიორგი ზაქათა-**

ლას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ“.

ბარათაშვილი მოფერებით ეძახის დედამისს ფეფოს. კატო, ბაბაღე, ნინუცა და აპლიპუტილა მისი დები არიან. აპლიპუტილა სოფიოს საალერსო სახელია. მაია ბარათაშვილის ძიძაა, გორელი ქალი, რომელიც ოჯახში ყველას უყვარდა. გიორგი პოეტის მამი-დაშვილია, გვარად საგინაშვილი.

X წერილი მიწერილია ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 15 აპრილს თბილისიდან. ავტოგრაფი შენარჩუნებულია; ინახება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (№ – 16400). წერილი დაწერილია რუსულად; ჩართულია ქართული ფრაზები; ერთი აბზაცი მთლიანად ქართულადაა ნაწერი.

წერილიდან ჩანს, რომ ბარათაშვილს არა აქვს ახლო მეგობრული ურთიერთობა ბიძასთან – ისინი ერთმანეთს წერილებს არ სწერენ, არადა ერთმანეთი ძალიან უყვართ. ბარათაშვილი თავის წერილს პირდაპირ კითხვით იწყებს: „საყვარელო ძმაო ზაქარია! რატომ არა ვწერთ ერთმანეთს წერილებს? გამოგიტყდები ამ საკითხმა ჩამაფიქრა. მე რომ შენ მიყვარხარ – ეს აქსიომაა; წერა რომ არ მეზარება – ამას ადასტურებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ რა არის მიზეზი? ბოლოსდაბოლოს მივაგენი: დაუდევრობა, ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე. ესეც კი არის, რა მოგწერო?“. მართალია, მიზეზად ბარათაშვილი ქართველთა დაუდევრობას ასახელებს და ხშირად კრიტიკულად მსჯელობს ქართველებზე, მაგრამ, სინამდვილეში, მიზეზს თავადვე გვეუბნება – არ იცის, რა მისწეროს.

ბარათაშვილის სურვილი, მიეწერა ბიძისათვის, გამოიწვია ზაქარიას სევდიანმა წერილმა (სავარაუდოდ, ოჯახის წევრებისადმი მიწერილმა). ამ წერილმა აღაშფოთა ბარათაშვილი, თავადაც მუდამ სევდიანი. ბიძის გრძნობა გააიგივა თავის გრძნობასთან, თუმცა შენიშნავს, რომ ამისთვის მათ სხვადასხვა მიზეზი აქვთ. ნიკოლოზი წერს თავისი ავადმყოფობის შესახებ, რომელმაც ძალიან შეაშინა და ეს გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გაჰყვება. ბარათაშვილს მსჯელობა ფილოსოფიურ ასპექტში გადააქვს,

ცდილობს ადამიანთა სევდის მიზეზი ამოხსნას: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუღწევლობამ, ადამიანთა სურვილის უსაზღვროვებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული“. ეს საკითხი მისი პოეზიის ძირითადი თემაა, რომელსაც ვერც პირად ბარათში ასცდა. ამ პრობლემაზე მსჯელობას პოეტი ყოველთვის უკავშირებს თავის ცხოვრებას და სულიერ განცდებას. „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, – სწერს ზაქარია ორბელიანს, – ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს სამშობლოში. თითქმის გამოჯანსაღებულს ამ ნაღვლიანი ფიქრებით გარემოცულს მომისწრო შენმა წერილმა. აი რატომ თანაგიგრძობდი შენ!“. ბარათშიველი თავისი განცდების ანალოგიას ხედავს ბიძის დარღებში: „ადამიანის სული, რომელმაც სრულ განვითარებას მიაღწია და აღასრულა საქმენი ზეგარდმო მისთვის განკუთვნილი, ბოლოს დაქანცული ეძიებს წყნარ სადგურს მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაში“. ეს აზრიც ნიშანდობლივია ბარათშიველის პოეზიისთვის. მიუხედავად პოეტის მყუდროებისადმი ლტოლვისა, ის არ ურჩევს ბიძას ოჯახურ გარემოში ეძიოს სიმშვიდე, რადგან სჯერა, რომ მას თავისი ვალი სამხედრო ასპარეზზე ჯერ კიდევ მოსახდელი აქვს და თუ ეს ვალი ბოლომდე არ მოიხადა, ვერც „ბედნიერი მინისმოქმედის“ ცხოვრებაში იპოვის შვებას. მოგვყავს ვრცლად წერილიდან ამონაწერი: „მე რომ ვიცოდე, რომ შენ უკვე განვლე ასპარეზი, შენი მოწყენილობის მიზეზს ამ ჰიპოთეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ეს პერიოდი. სამურის ოლქის განმგებლობა შენთვის ჩვეულებრივ საქმედ და ერთხელ მომართულ მექანიზმად იქცა. სული შენი ეძებს ახალ საზრდოს, შენი არსება უფრო დიდ სამოღვაწეო ასპარეზისკენ მიისწრაფის, უფრო ძლიერ, უფრო პათეტიკურ სცენებისაკენ. და ვიდრე იგი თავის დანიშნულებამდე მიაღწევდეს, მოწყენილი და ნაღვლიანია. დამეთანხმე, ზაქარია, რომ კიდევ ერთი რიქასებური შემთხვევა და შენ ისევ სასიამოვნო

მღელვარება დაგეუფლება, ისევ დაგავინყდება სიმშვიდე და მყუდროება ოჯახის კაცისა. ღრმად ჩაიხედე შენს გულში და მაშინ, როცა დარწმუნდები, რომ დიდების ქუხილსა და იარაღის ჟღარუნს შენი სმენისთვის აღარა აქვს მაგიური მნიშვნელობა, – დაანებე სამსახურს თავი, ხელი მოჰკიდე მეურნეობას. ეს იქნება მეორე სასახელო საქმე – გააბედნიერო შენი გლეხები, რომლებიც ამდენი ხანია მიტოვებულნი არიან უპატრონოდ – უმზრუნველოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში იცოდე, ზაქარია, რომ ბედნიერი მიწისმოქმედის ცხოვრებაშიც შენ ვერ იპოვნი მოსვენებას. დასცემენ სამხედრო ნალარას და შენ უკვე აღარ ხარ მიწისმოქმედი. იქნებ ვცდები და ვერ ჩავწვდი შენი სევდის მიზეზს, მაგრამ მე შენგან მაინც მოველი დიდთა საქმეთა აღსრულებას“. ბარათაშვილის წერილში იხატება მისი სწრაფვა სამხედრო მოღვაწეობისაკენ, მისთვის მართლაც მაგიური ძალა აქვს იარაღის ჟღარუნს, რადგან ამ სიტყვებს ვერ დაწერდა პირადი გრძნობისგან მოწყვეტილად. ასევე ვხედავთ, რომ საკუთრად განცდილ სურვილს ცხოვრების დიდ ასპარეზზე გასვლისა, რაც გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში იხატება, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძისთვისაც უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს.

სერიოზული თემის შემდეგ ბარათაშვილი გადადის შინაურ ამბებზე და ბიძას მოუთხრობს კატოს (თავისი დის) დანიშვნის ამბებს. ის რევაზ ერისთავზე დაუნიშნავთ და ქორწილსაც ამაღლებისთვის აპირებდნენ. ბარათაშვილი კმაყოფილია სიძით: „**ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს**“. სიძის ქებას ის აყოლებს ასეთ სიტყვებს: „**ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება, და ამისთვის, ჩემი აზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა წახედეს, ახალთან კიდევ მოვა!**“. ბარათაშვილი უპირატესობას ანიჭებს ძველ ქართულ ოჯახს. ვფიქრობთ, ამით ის აკრიტიკებს საქართველოში გავრცელებულ ტრადიციას, რუს ჩინოვნიკებს მიათხოვონ ქალები. ბარათაშვილი წერს ბიძას, რომ დავით ერისთავს, სიძის მამას ქორი უთხოვია ზაქარიასთვის სამაჭანკლოდ და ტატოც ანამუსებს ბიძას, „**იმედი მაქვს, რომ ახალ მოყვრობას პატივსა სცემო**“. ის

მოკითხვას უთვლის გიორგი საგინაშვილს და სთხოვს ეს ამბავი (სავარაუდოდ, მისი დის დანიშვნის) მასაც მოუყვეს. არა აქვს ცნობები სამურის ოლქის შესახებ, თორემ სამახსოვროდ რაიმეს ჩამოტანას დაავალებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი აწვდის ბიძამის ცნობას გრიგოლ ორბელიანის წერილის შესახებაც, რომელიც ზაქარიას წერილის შემდეგ მოსვლიათ. ტატო ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ ორბელიანის ხასიათზე, მის კომიზმზე, რომელსაც ვერ თრგუნავს მისი მაღალი თანამდებობები: **„რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუნდაც ავგუსტოსის ტახტი, იგი მთელ რომის იმპერიას კომიკურ ხუმრობად აქცევდა“**. ზოგადად, ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში თავად ადრესატთა შინაგანი ბუნებაც იხატება. წერილის მიხედვით, ზაქარია ორბელიანი წარმოგვიდგება შინაგანი მღელვარებით აღსავსე ადამიანად, რომელსაც არ აკმაყოფილებს თავისი ყოფა, თანამდებობა, მოსაწყენი ერთფეროვნება პროვინციაში და გული საგმირო საქმეებისკენ მიუწევს.

XI წერილი მიწერილია ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 10 მაისს თბილისიდან. ავტოგრაფი შენარჩუნებულია; ინახება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (№ – 16401). წერილი დაწერილია ორ ენაზე: რუსულად და ქართულად.

ბარათაშვილი ბიძას ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს. უხარია, რომ მოლოდინი (რომელზედაც პირველ წერილში წერს) გამართლდა. ტყუილად არ ვარაუდობდა, რომ ზაქარიას სახელოვანი საქმეები მოელოდა. მადლობას უხდის თოფისთვის, რომელიც ბიძამ დისწულს გამოუგზავნა, სავარაუდოდ, ბარათაშვილის თხოვნის გამო, სამურის ოლქიდან რაიმე სამახსოვრო ჩამოეტანა მისთვის. ბარათაშვილი აფასებს ბიძის მზრუნველობას: **„გმადლობ თოფისთვის. მას შეშვენის სახელი სამურის ოლქის, მმართველის, საჩუქრისა. მაგრამ იგი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, როგორც პატივცემული და საყვარელი ძმის საჩუქარი“**.

ბარათაშვილი ელოდება ზაქარიას მიერ მისთვის ფოსტით გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რომ ახლობლები – ყველანი სარდლები გახდნენ და დალესტნის ომში ჩაებნენ. ახლობლებში ასახელებს ილია ორბელიანს, ლევან მელიქიშვილს, დავით ბარათაშვილს, ბაკლანას – ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს, ზაქა-

რია ერისთავს, ალექსანდრე ერისთავს. ისინი ბარათაშვილის უახლოესი ნათესავები და მეგობრები არიან, ყაფლანის დახასიათებით „ჩამომავლობით გიჟები“, ანუ ვაჟკაცები. ბარათაშვილი ბიძას თავის გულისტკივილზე, რომ ისიც მათ შორის არ არის, არაფერს წერს; თუმცა ქართველთა სამხედრო წარმატებებზე საუბრისას ყოველთვის ჩანს პოეტის განუხორციელებელ იდეალზე დარდი.

საზოგადო ამბების გადმოცემის შემდეგ ბარათაშვილი შინაურ ამბებზე გადადის და კატოს (ბარათაშვილის დის) ქორნილის საპეტრეპავლოდ დანიშვნას ატყობინებს ბიძას. სწერს ჭორსაც, არლუთინსკის (მოსე არლუთაშვილ-მხარგრძელის) გენერალ-ადიუტანტად დანიშვნას აპირებენო და ირონიულად აღნიშნავს: **„ვინც რა უნდა ილაპარაკოს და აცა თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში“**. კვლავ უთვლის გიორგის მოკითხვას, ბიძას კი უსურვებს მშვიდობასა და გამარჯვებას ყველა საქმეში.

წერილს ბოლოში დამატებული აქვს ოჯახის წევრებისგან მოკითხვა. მელიტონი და ეფემია კოცნიან, კატო მოკითხვას უთვლის და აქებს: **„ისევ შენ, თორემ სხვანი ჩუსუმები არიანო“**. დავით ერისთავის თხოვნას, ქორი უსახსოვროს, კვლავ უმეორებს და თხოვნის დამაჯერებლობისთვის დასძენს: **„ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად მიაჩნიათ“**. ამ თხოვნით ბარათაშვილი პირველ რიგში თავის დაზე ზრუნავს, რომელიც ერისთავების ოჯახის რძალი უნდა გახდეს.

ბოლოს ბარათაშვილი ატყობინებს ბიძას, რომ მისი გამარჯვება აქ ზაქარიას ცოლს, ქეთევანს გადაახდევინეს. ბარათაშვილი ჩვეული პირდაპირობით წერს რძლის სიძუნწეზე: **„ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკეს თვლა აღარა ჰქონდა. – ამისთანა წუნკმა ხანდისხან ასეც იცის“**. ბარათაშვილის წერილებში არა მხოლოდ ადრესატების, არამედ მათი ახლობლების ხასიათიც იხატება.

XII წერილი მიწერილია გრიგოლ ორბელიანისადმი 1843 წლის 21 აგვისტოს თბილისიდან. ავტოგრაფი დაკარგულია. წერილი ავტოგრაფის მიხედვით გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ გაზეთ „დროებაში“ 1885 წელს (№ 114). ბარათაშვილის გამოცემებში წერილი შესულია „დროებაში“ დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით.

წერილში თვალშისაცემია ბარათაშვილის ირონიული ტონი, რაც ბიძისადმი წყენით უნდა აიხსნას. ბარათაშვილი წერს, რომ წერილის მიუწერლობა მისი სიზარმაცის ბრალი არ არის. მას უბრალოდ არ სცალია. ეს სიტყვები გრიგოლს ალბათ გააცინებს და იტყვის: „შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო?“. ბარათაშვილი პასუხობს: „კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ ჭიანჭველა ვარ; ყოველთვის ჩემზედ მეტი და დიდი უნდა ავიკიდო, – ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო?“. ბარათაშვილი თავს უაღრესად დამცირებულად გრძნობს, ჭიანჭველას ადარებს და თუ ადრე ბიძას გულს უშლიდა, ამჟამად აღარ იცის, რა მისწეროს. კვლავ ირონიით აგრძელებს წერას ქალაქის ამბებზე: „დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმანვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ, ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართო ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია“. თითქოს ბარათაშვილი ყველაზე და ყველაფერზე განანწყენებულია, თავის ახლობლებსაც კი „ხახვის ფრანტებად“ მოიხსენიებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბუნებით ვაჟკაცს სამხედრო სამსახური არ ელირსა.

ამ აღშფოთების გამოხატვის შემდეგ პოეტი ქალაქის ამბებზე გადადის; უამბობს ბიძას ქეთევან ყაზბეგის ჭკუაზე გადაცდენის შესახებ და ეცოდება ასეთ მდგომარეობაში მყოფი მომაკვდავი. ატყობინებს კატოს (თავისი დის) რევან ერისთავზე დანიშვნის ამბავს და ქორწილის თარიღს. წერს, რომ ზაქარია ორბელიანმა და გიორგი საგინაშვილმა საჩუქარი უკვე გამოუგზავნეს; ახლა გრიგოლის ჯერია; ბარათაშვილი თან ირონიულად აფრთხილებს ბიძას, „ერისთავიანთ რძალთან არა დაგვეკარგება რაო“.

ბარათაშვილი წერილში კვლავ უბრუნდება ქართველი სამხედროების თემას: „ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამოძანდენ, ყაფლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო“. ეს ჩართვა მიგვითითებს, რომ ის ძალიან განანწყენებულია და საკუთარი უმოქმედობა ადარდებს.

ამის შემდეგ ჭორებზე გადადის: „ახალი ამბავი ანუ ჭორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნინა ალექსანდროვნა (ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული) ოდესაში მიდის 9 ივნისს. შენ

მანდ გაჯავრდი“. ბარათაშვილი იმდენად ცუდ განწყობაზეა, რომ ყოველმხრივ ცდილობს ბიძის გაბრაზებას. ახლობელთა – ფეფოსა და მამოს (ბარათაშვილის დედა და მამიდა) – მოკითხვაშიც კი სატირას აქსოვს: „**ფეფომ და მამომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავენათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხავენ. – შენ მაგივრად მე ვეცყვი, ვაი შენს მტერსა-მეთქი“.** ამ სიტყვებში ის ბიძის, რომელსაც გამდიდრება არაფრად მიაჩნია, ხასიათსაც წარმოაჩენს.

XIII წერილი მიწერილია ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის აგვისტოში. ავტორი არ მიუთითებს წერილის დაწერის ადგილს. ავტოგრაფი შენარჩუნებულია; ინახება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (№ – 16402). წერილი დაწერილია ქართულად.

ბარათაშვილი პოლკოვნიკობას ულოცავს ზაქარიას. ეს ამბავი ჯერ ზაქარიას წერილიდან გაიგო, შემდეგ „ინვალიდებშიც“ (გაზეთი) ამოიკითხა. ამჯერად ბარათაშვილი მას გენერლობას უსურვებს, თუმცა ამისათვის დაღესტანში უნდა იმსახუროს; მერე კი „კასპიის ობლასტის ნაჩაღნიკობა“ მოუხდება. ბარათაშვილი იმასაც დასძენს, რომ წინასწარ თქმა კარგად აქვს დაცდილი. თან რუსულად აყოლებს, რომ „ეს უფრო არსებითი იქნება“; ის კასპიის ოლქის მმართველობას გულისხმობს.

მილოცვისა და სურვილების შემდეგ ის უყვება ბიძას კატოს ჯვრისწერის შესახებ. კარგი ქორწილი გადაუხდიათ. კატო მეორე დღესვე წაუყვანიათ. ერთი ღამე და ერთი დღე სადილად ქაიხოსრო მუხრანსკისთან (ბარათაშვილის ნათესავთან) ყოფილან. ოძისს რომ მიუახლოვდნენ, ლევან ერისთავი (კატოს მამალი) გამოგებებით თავადებით, აზნაურებით და იმერელი მგალობლებით. ბარათაშვილებთან ერთად მათ ამაღალში ყოფილან მანანა ორბელიანი და მისი ქალი ტასო, მაიკო ორბელიანი, ყაფლან ორბელიანი, მიხაკო (მაიკოს ძმა), ალექსანდრე სუმბათოვი – მეფე-პატარძლის მეჯვარე. ახალგორში შებინდებისას შესულან. სასახლე ქრაქებით იყო გაჩახჩახებული, ხოლო მოედანი – მაშხლებით. არქიელი წულუკიძეც, ხონისა და ქუთაისის ეპისკოპოსი, კატოს დედამთილის ძმა, იქ იყო მგალობლებით; დეკანოზი, ჯვრით ხელში, მიეგება სტუმრებს გალავნის კარებთან, დაუკრეს ზურნა, იმღერა სათარამ, რო-

მელიც თან ახლდათ ბარათაშვილებს. საუცხოო სანახავს წარმოადგენდა თოფების სროლა და ჭდეების დადება (სამახსოვრო ნიშნების გაკეთება). მთვარიანი ღამე და მშვენიერი მიდამო ხელს უწყობდა განწყობას. სასახლეში რომ შესულან, ყაფლანს ქუდი მოუხდია, თვალი შეუვლია „ზალისთვის“ და გულითადად წამოუძახია – „Фу ... – это дворец!“. ამაზე ბევრი უცინიათ. მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში იწვა და მხოლოდ მესამე დღეს ადგა. მზითევი გაუშინჯავთ. მთელ ქართლში სამაგალითოდ მიუჩინევიათ. ბარათაშვილი ამასთან დაკავშირებით მანანასაც იმონმებს. მეოთხე დღეს კატოს ნიშნები (საჩუქრები) მიართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა. ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ „კარგი ნიშნებიც იყო“. არქიელი ეზოში, ჭადრების ქვეშ გაშლილ კარავში დაბინავებულა. მან კატოს ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი მიართვა. ხუთი დღე და ღამე გაგრძელებულა ქორწილი და ღვინო. მამუკა ორბელიანიც (პოეტის უფროსი მეგობარი, შემდგომ განჯის მაზრის უფროსი) იქ ყოფილა და ძალიან გამხიარულებულა.

ბარათაშვილის მიერ დის ჯვრისწერის აღწერა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-19 საუკუნეში არისტოკრატიული წრის ქორწილის რიტუალისა და ადათ-წესების შესახებ.

ახალგორიდან ბარათაშვილი და მამუკა ორბელიანი გორში გამგზავრებულან. ელიზბარ ერისთავის სასახლეში ესტატეს (პოეტის სიძის ახლო ნათესავის) ნათლობას მართავდნენ. ნათლობას ესწრებოდნენ ელენე ორბელიანი-ერისთავისა, მანანა ორბელიანი, მელანია (ელიზბარ ერისთავის და) და სხვები. გორიდან ატენში გადასულან. იქ კნიაზი გიორგი იასეს ძე ერისთავი დახვედრიათ და შუშურებით (წყალნარევი ღვინოებით) გამასპინძლებია. მთელი ორი კვირა დროსტარებაში ყოფილან.

ბარათაშვილი აგრძელებს თხოვას ღვინოსა და ნვეულებზე. ის და მამა, მელიტონ ბარათაშვილი, ალებობას ანუ მარიამობას ქსნის ხეობაში სწვევიან კატოს ოჯახში. მანანაც და ელენეც მოსულან სალოცავად. საუცხოო ჯვარობა გამართულა. ცხენზე შემჯდარი ქალები სანვიმრებითა და ქოლგებით, დიდი ამალითა და ოსური სიმღერით ასულან ალევის მაღალ მთაზე. ის ღამე და მეორე დღეც

მშვენივრად გაუტარებიათ. ძალიან უმხიარულიათ. წამოსვლის წინ მანანა ავად გამხდარა და ამან დააღონა მხიარული თავყრილობა.

ბარათაშვილის ნაამბობში დადებით ასპექტში ჩანს ქართული არისტოკრატიის ყოფა, ლხინის უზომობა, დროსტარებისადმი მისწრაფება, მზითევისა და რიტუალისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

ბარათაშვილი კმაყოფილია კატოს ოჯახით: „**ზაქარიავ, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითობა, თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა. – ამასთან რევაზ (სიძე) ზედ აკვდება, ლევანისა (სიძის ძმა) ხომ სულია კატო, და დავით (კატოს მამამთილი) ხომ იმის ნებივრობაშია. – მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს**“. ბარათაშვილის ამ უკანასკნელ სიტყვებში ცოტა ჯიბრიც მოჩანს; მას არ უნდა, რომ ოჯახის არჩევანი, დის გათხოვება ვინმეზე ნაკლები იყოს. ეს ბუნებრივი სურვილია ძმისა.

ბარათაშვილი ბიძასაც ეპატიჟება საქეიფოდ დის ოჯახში და კამპანიასაც გეგმავს: „**თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვენვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ**“.

სალხინო ისტორიების ვრცლად გადმოცემის შემდეგ ბარათაშვილი ოჯახის წევრებისა და ქალაქის ამბებზე გადადის: გრიგოლის წერილზედ ბევრი უცინიათ; მანანასაც წაუკითხავს; ილიას წერილიც მოსვლიათ; ჩერვლონში (თერგისპირეთში) ყოფილან; მთავარმართებელსაც იქ ელოდებოდნენ; ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე ანა ძალიან ავად ყოფილა.

წერილის ბოლოს, დამშვიდობების შემდგომ მინაწერია – P.S., ბარათაშვილის იუმორით აღსავსე თამამი თხოვნა: „**ამ შენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩაც უნდა, თვარემ ობოლსავით დარჩენილია და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს**“; ჩანს ჩვეულება თოფისა და დამბაჩის ერთად დაკიდებისა კაბინეტის კედელზე. ასევე ბარათაშვილი ატყობინებს ბიძას ივან კარლიჩ დეპნერის (ექიმის) გარდაცვალებას და მისი მეუღლის – სალომე თარხნიშვილის, რომელსაც ქმარმა ყველაფერი უანდერძა, დაქვრივებას. ბარათაშვილის წერილებიდან

ნათელი ხდება, რომ ქართველი არისტოკრატიის ქალები ძირითადად უცხოელებზე არიან გათხოვილნი.

წერილის პირველ გვერდზე ჩამატებულია მილოცვა პოლკოვნიკობის გამო, ხოლო მესამე გვერდზე იაკინთე მესხიშვილის (ბარათაშვილის თანამოსამსახურე, ზაქარიას ცოლის ძმა) მოკითხვა.

XIV წერილი მიწერილია მაიკო ორბელიანისადმი 1845 წლის 9 თებერვალს ნახჭევანიდან. წერილის ავტოგრაფი შემონახულია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 2484).

ბარათაშვილის წერილში ჩანს უალრესად თბილი გრძნობები მაიკოს მიმართ: **„საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მამივიდა; დიდად მადლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ, შენმა გაზრდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს)“**. ამ „ვისმეში“ ბარათაშვილი ლევან მელიქიშვილს გულისხმობს, მაიკოს გულის მპყრობელს. ბარათაშვილი იზიარებს მაიკოს დარდს ქართული საზოგადოების, მათი ახლო ნათესავების გულცივობის შესახებ და თავის განცდებსაც უმხელს მეგობარს: **„ნეტა, ვის ნათესავებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე; განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრი გრძნობა? – არა, რომ მეპატიჟები მანდ, რას მეპატიჟები; ახლა ყველანი კარგად გიცანით; აი სამი თოვია აქა ვარ და ძაღლად არავინ მახსენა; ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ!“**. მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილს მოსწონს ქართველი არისტოკრატიის ნადიმები და დროსტარება, ამ ღონისძიებებს მაინც არ თვლის სულიერებისა და ღირსების საზომად; ნაწყენია ახლობელთა გულმავინყოფის გამო. ის ერთგვარ კმაყოფილებას გამოხატავს თავისი ახალი სამსახურის მიმართ და ეს უფრო ღირსეულ საქმედ მიაჩნია, ვიდრე კანცელარიაში მუშაობა; სიამაყითაც კი წერს: **„ალარც კი მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევსძღვენ; სულ ხომ ყმანვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა“**. ის დიდ პასუხისმგებლობას ამჟღავნებს დაკისრებული მოვალეობისადმი და ირონიას ქართველი საზოგადოებისადმი. ბარათაშვილი კვლავ უბრუნდება იმ თემას, რომ ნაწყენია ახლობლებზე და, კერძოდ, მანანა ორბელიანს „ერთ ქალად“ მოიხსენიებს: **„დიას, ნურავის**

მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო“. ჩანს, ბარათაშვილს მანანა ორბელიანის ხუმრობა სწყენია. ის იმედს გამოთქვამს, რომ ჯერ ის და მაიკო ოცდაექვსი წლისანი არიან და წინ ბევრი ნუგეში და სიამოვნება ელით. კვლავ ირონიულად მიუთითებს იმაზე (უცნობია, ვის გულისხმობს), **„ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!..“.** ბარათაშვილი ქალეზის თხოვნას ასრულებს და თავრიზიდან ხუთ კრიალოსანს აბარებს მათთვის; მალევე ჩამოუვა, მაგრამ ჯერ არ გამოუგზავნის, სანამ ტასოს (მანანას ქალიშვილის) ნებართვა არ ექნებათ, რადგან ტასოს არ მოსწონს, რომ მისი ნივთის მსგავსი სხვასაც აქვს – **„ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება, ლაზათი წაერთმევაო“.**

ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ თბილისიდან ვისი წერილიც კი მოუვიდა, ყველა ჯაფარას (მომღერალს) აქებს. ეს ქება გადამეტებულად მიაჩნია. მან კარგად იცის, ჯაფარას უნარები. ეს მომღერალი სულეიმან ხანს ჩამოუყვანია სპარსეთიდან, ორი დღე ნახჭევანში გაჩერებულან და აქ მოუსმინა მას ბარათაშვილმაც. პოეტი ირონიულად შენიშნავს: **„რაც უნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულაო“.** ბარათაშვილის აზრით, ვინც ამბობს, ჯაფარა სათარას სჯობიაო, მას კარგი სმენა არა ჰქონია. პოეტის მახვილ მზერას არ გამორჩენია, რომ სპარსელი მომღერალი სათარაზედ ნაკითხია, მაგრამ ხმით სათარა სჯობს, რადგან ღვთისგან ბოძებული ნიჭი აქვს; გარეგნობითაც **„ერთი კაცია, მეორე კი (ჯაფარა) ჯოჯოხეთის მაშხალა“.**

ბარათაშვილი მაიკოს ნახჭევანის ამბებს უყვება; მოუთხრობს პოეტ ქალზე – გონჩა-ბეგუმზე: **„ახლა ნახჭევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. – ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, – ამ ლექსში თავის თავს სტირის; ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუხაიბო**

შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. – ამ ლექსს დავანერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით. მგონია, სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ ეი, მუსელმან ნამარი ხანჯალზანი იმღეროს“ (ეი, მუსელმან, გულზე დამეცი ხანჯალი!).¹

¹ მოგვყავს გონჩა ბეიმის ლექსის ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ოქტაი ქაზუმოვის მიერ; სწორედ იმ ლექსის, რომლის თარგმნასაც თავად ნიკოლოზ ბარათაშვილი აპირებდა:

*„ბატონებო, მე რისთვის განმაქიქებთ,
თუ უნამლებს ჩემს დარდებს, ის უნამლებს.
ტრფობაში ჩაცვენილებს ბოლოს ეს დარდი
დააღწობს, გაათხელებს, მოტირლად აქცევს.
ნეტამც მინამ უყოს პირი ცუდ-მრუდს,
სახე ფიანდაზად მექცა, თავი კი დარდის თარჯიმნად,
შენ გარდა ამ ჩემს დარდებს ნამალს ვერავინ მოუძებნის,
ვერც პლატონი და ვერც ლოლმანი.
ცრემლით აღსავსე არზა მივწერე სათარს,
ეგება დარდისა და ნაღველისგან გადაგვარჩინოს,
მკერდმოლიავებულს, თმაგაშლილს, შავი პირით
ვინც კი მნახავს, შენ გაგაკიცხავს!
ავს მიატოვებენ და სიკეთეს მიეახლებიან,
მართალი სიტყვის მთქმელთ დაუგდებენ ყურს,
ლარიბთ მოიკითხავენ და მსხვერპლს შესწირავენ,
ჩემს ბეგ იბრაჰიმს სიცოცხლეს ანაცვლებენ.
შვიდი კაბა, თან შვიდივე ჯაჭვით გადაბმული,
მეშინია უკანა კარიდან ხანი არ შემოვიდეს.
იმ მოხუცი ბებრის გადამიკიდე, ლამის
სანყალი ბეიმი ჩავარდეს ჭირში.
ო, ჩემო ყაყაჩოების ბაღჩაო,
ნალკოტსა შინა შადრევნად ამოტყორცნილო,
მინდა წყლებს ვექვე თანამომუსაიფედ,
თუმცა მეშინია, უცებ ჩემი ქმარი არ გამოვიდეს!
გული მივეც და შენსავით ახალგაზრდა შევიყვარე,
ჩემი და ჩემი დარდების რომ ესმის, ისეთი შეგიყვარე“.*
ლექსი შესულია „აზერბაიჯანელ ქალთა ანთოლოგიაში“, ბაქო, 2005, გვ. 58.

წერილიდან ჩანს, რომ ბარათაშვილი ამჟღავნებს ინტერესს როგორც ამ ქალბატონის შემოქმედებისადმი, ასევე მისი პირადი ცხოვრებისადმი. ასევე გაუგია ბარათაშვილის მონათხრობი მაიკოს, წერილის ადრესატს. თუმცა ბარათაშვილისადმი გაგზავნილი მისი პასუხი დაკარგულია ბარათაშვილის არქივთან ერთად. შემონახულია ბარათაშვილის კიდევ ერთი წერილი მაიკოსადმი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დაახლოებით აღვადგინოთ მაიკოს წერილის შინაარსი (დასახელებული ქალბატონის ვინაობას ჩვენ ცალკე წერილი მივუძღვენით).

სერიოზული საუბრის შემდეგ ბარათაშვილი კვლავ ოხუნჯობასა და იუმორზე გადადის: „**ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა** (მიხაკო ორბელიანი) **წიგნს არა მწერს, ივანეს** (ივანე ორბელიანი) **კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია!**“. ის ხუმრობს თავის ნათესავებზე, მაგრამ სერიოზულად ნაწყენია მანანა ორბელიანზე, რომელთანაც პოეტი მეგობრობდა: „... **ეს მაკვირვებს, არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ, ერთის მხრივ, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვიღას მოვავგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჭევანში. – ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცის წლის კაცები არიან!**“. თვითირონია სატირია მანანასადმი, რომელმაც მათ სხვები არჩია სამეგობროდ, ასაკოვანი კაცები (ვის გულისხმობს მათში ბარათაშვილი, უცნობია).

ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის ტასოს (მანანას ქალიშვილს) და კატოს (თავის დას). ის კვლავ იუმორს მიმართავს კატოს მისამართით და წერს: „**კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მამწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავინწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?**“.

ბარათაშვილს აწუხებს ერთი საკითხი, რომელსაც კითხვის სახით სვამს წერილში: „**მაიკო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს?**“. ბარათაშვილს გული სტკივა, რომ მის მეგობარზე ბევრს

ჭორაობენ და გულის სიღრმეში მიზეზსაც მის გამორჩეულობაში ხედავს.

ბარათაშვილი, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული სითბოთი ემშვიდობება მაიკოს: „**სხვებზე ღმერთსა ვთხოვ შენს ბედნიერებას. – ნუ დამივიწყებ. – შენი მარადის ერთგული: თ. ნ. ბარათაშვილი**“.

პირველი გვერდის არშიაზე მიწერილია ბარათაშვილის ხელით: „**აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა, – მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ**“ (იგულისხმება ლექსი „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, რომელიც უნდა ემღერათ ხალხური ლექსის – „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ – მელოდიაზედ).

წერილის მესამე გვერდის არშიაზედ მიწერილია ლევან მელიქიშვილის (რომელიც ამ დროს ნახჭევანის მაზრის უფროსია) ხელით: „**ტატო დღე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გნამს გააშვებინე ქმარიო. მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები**“. აშკარაა, ლევან მელიქიშვილის შენიშვნა გონჩა-ბეგუმს ეხება. ამ მიწაწერის მიხედვითაც, ცხადია, მაიკო იფიქრებდა, რომ ბარათაშვილის ურთიერთობა ამ ქალბატონთან სერიოზული გრძნობაა.

XV წერილი მიწერილია მაიკო ორბელიანისადმი ნახჭევანიდან (წერილს თარიღი არ აწერია). წერილის ავტოგრაფი შემონახულია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 2484).

ბარათაშვილი პირდაპირ, მოკითხვის გარეშე, გადადის წინა წერილში მოთხრობილ ამბავზე გონჩა-ბეგუმის შესახებ. მისი ტექსტიდან ჩანს, რომ მიიღო მაიკოს წერილი; მაიკომ მიიჩნია, რომ ბარათაშვილი შეყვარებულია გონჩა-ბეგუმზე, ამიტომ პოეტი ამ აზრის გაქარწყლებას ცდილობს: „**საყვარელო დაო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. – მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარნი და!**“. ცოლ-ქმარში პოეტი გონჩა-ბეგუმსა და მის ქმარს გულისხმობს. ამის შემდეგ გადადის ის ყოფით ამბებზე; იწერება, რომ დაპირებული კრიალოსნები ჯერ არ მოსვლია; როგორც კი მოუვა, გამოუგზავნის ქალებს; უკმაყოფილოა ნახჭევანში ცხოვრების: „**აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა!**“. შესაძლებელია, რომ გონჩა-

ბეგუმის ქმართან შერიგებამ ბარათაშვილი დაამწუხრა, თუმცა იუმორის გრძნობა არასდროს ღალატობს. „**ლევანიც ავად გამიხდა, – ატყობინებს მაიკოს, – და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისგან. რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის, აქ გამოგზავნისთვის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს. – ეს ერთი კაცი გვყვანდა პოლკოვნიკი ფორსტენი (ნახჭევანის გარნიზონში საინსპექციოდ ჩასული ოფიცერი), ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მართო დავრჩით!**“; კვლავ განიცდის მარტოობას.

ბარათაშვილი და მაიკო ერთმანეთის მესაიდუმლეები არიან: „**მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი შევინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ**“. ბარათაშვილს კიდევ აქვს იმედი, რომ, შესაძლოა, კარგი რამ გაიგოს თავის სატრფოზე (ალბათ გულისხმობს ეკატერინე ჭავჭავაძეს, თორემ სხვა ამბავს მაიკო საიდუმლოდ არ შეინახავდა).

მეგობრებისადმი წყენას გამოხატავს წერილის დასასრული: „**ვისაც ვახსოვდე, მამიკითხე, და ვისაც არა... რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ! შენი მარადის უცვალებელი ძმა ტატო**“. შესაძლებელია ბარათაშვილი ისევ მანანა ორბელიანზეა ნაწყენი, რომელსაც, წინა წერილის მიხედვით, აღარ ახსოვს ნახჭევანში გადაკარგული მეგობრები.

XVI წერილი მიწერილია მაიკო ორბელიანისადმი მურუტიდან (განჯის ოლქი), 1945 წლის 10 აგვისტოს. წერილის ავტოგრაფი შემონახულია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (S – 2484).

ბარათაშვილი მაიკოსთან არჩევს ერთ სიტუაციას – ქართველი თავად-აზნაურობის სამხედრო სარბიელზე დაჯილდოების ამბავს. წერილიდან ჩანს, რომ ბარათაშვილი დაალონა ამ ამბავმა, რადგან ის მუდამ განიცდის, რომ არ არის სამხედრო და სხვები ადვილად აღწევენ ამ გზაზე წარმატებას; მაიკო კი მათ ესარჩლება და ებუტება ბარათაშვილს:

„**საყვარელო დაო, მაიკო! მართლა, თუ შენ თვითონ ავი ენა არა გაქვს, აბა რა მოგაგონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასახნავად აღარ გინდივარ.... აი ახლაც მინდა ერთი მართალი**

სიტყვა ვსთქვა – და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ, ჩვენს ყმანვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავინცა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ?.. აი, აკი გითხარ, გაჯავრდები მეთქი.... მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ... რამ დამავინცა?.. ოჰ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას მსარჩლეელი შენა ხარ! აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?“.

ამის შემდეგ მაიკოს შერიგებას სთხოვს. ჩანს, მაიკო მას სერიოზულად არც გაბუტვია, რადგან ის და კიდევ ერთი ადამიანი ბარათაშვილისთვის ხელსაქმობს. ბარათაშვილი საგანგებოდ მიუთითებს – „**პატივისცემა კი არ გეგონოს მრავლობითად რომ გეუბნები**“. ჩანს, ქალები მას რაიმე საჩუქარს უმზადებდნენ. სავარაუდოდ, იმ მეორეში მანანა ორბელიანი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან მას სჩვეოდა მეგობრების თავისი ხელსაქმით დაჯილდოება. ბარათაშვილი კვლავ ნაწყენია მათზე, რაც ამ სიტყვებში გამოიხატება – „**მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით....**“.

შემდეგ თვითონ არჩევს ქალებისთვის საჩუქრებს. სოფიო ერისთავს უთვლის, მისი ნაჩუქარი ზონარი რა უყო; იმედს გამოთქვამს, რომ ქმარი არ დაუშლის (სავარაუდოდ – მის ტარებას). მეორე სოფიოს, თარხნიშვილს, კი ურჩევს ბარათაშვილს ზონარი გაუკეთოს, რადგან, ვინც ბარათაშვილს ზონარს უკეთებს, ჩქარა თხოვდება. რასაკვირველია, იგი ეხუმრება ქალებს. ბარათაშვილი მოიკითხავს ნიკოლაი ივანოვს (ოფიცერს) და მის მეუღლეს, ეკატერინე ორბელიანს. წერს, რომ თავადაც აპირებს ყაზახში წასვლას, სურს თამარ ორბელიანს, ანდრია სენკოვსკის ცოლს, შეუაროს, რომელიც დროებით დილიჯანში ცხოვრობდა. ბარათაშვილი ვარაუდს გამოთქვამს, რომ ის კვლავ დასევდიანებული დახვდება. ჩანს, იგი ახლოს იცნობს და მეგობრობს ამ ქალბატონთანაც. წერილი სრულდება შემდეგი სიტყვებით: „**კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით. არა მცალიან. შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ**“. ვფიქრობ, ეს არჩევანი იმისთვის შესთავაზა პოეტმა მეგობარს, რომ მაიკო მასზე გაბრაზებულია.

XVII წერილი მიწერილია ბაბაღე საგინაშვილისადმი მურუტიდან. თარიღი მითითებული არ არის. წერილის მეორე მხარეს ალექსანდრე საგინაშვილისადმი მიწერილი წერილის ტექსტია. ეს ორივე წერილი ავტოგრაფის მიხედვით გამოაქვეყნა გრიგოლ აბაშიძემ 1837 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, № 3/25; უცნობია, სად ინახება ავტოგრაფები.

ბარათაშვილი ბაბაღეს „საყვარელო დაოთი“ მიმართავს. ის მისთვის ორმხრივად ახლობელია: ნათესავია დედის მხრიდან; აგრეთვე ბაბაღე არის პოეტის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე. პოეტის სიკვდილის შემდეგ მასთან ინახებოდა ბარათაშვილის სურათი, ლექსები და მისი თარგმანი ლაიზევიცის ტრაგედიისა „იულიუს ტარენტელი“. ბაბაღე ჰყვარებია გიორგი ერისთავს, მაგრამ მისთვის არ მიუთხოვებიათ. მას მიუძღვნა ერისთავმა თავისი პიესა „შეშლილი“.

ბარათაშვილი ხსნის მიზეზს, თუ რატომ არ მისწერა ამ დრომდე წიგნი; ჩვეული ირონიით უჩივის ნათესავეებს დავინწყებისა და მოკლე წერილების გამო: **„თქვენმა მზემ, თქვენ რომ ნათესავეები მყევხართ, განა არა, მოგაგონდებით. – მე მაგისთანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა; თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მამწერე; ხომ იცი, აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს ჭორებს. – თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განგებ და მასიამოვნებ ამ უდაბურს ადგილს“**. ჩანს, ბარათაშვილს ძალიან აკლია თბილისური ამბები, ამიტომ ტყუილ-მართლის გაგებაც კი ესიამოვნება.

განჯაში ისეთი არაფერი ხდება, რომ მოიწეროს. ბარათაშვილი გასართობ ამბებს გულისხმობს და ერთგვარი ირონიით დასძენს: **„აქაური პირველი ფრანტისა ჯორაკის ქალი ბარბარე ბრძანდება** (უცნობია მისი ვინაობა). **– ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა; თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენ თარაქამებში“**. ჩანს, პოეტს მაღალი წარმოდგენა არა აქვს „პირველი ფრანტის ქალზე“; სავარაუდოდ, მას ბაბაღე საგინაშვილიც იცნობს, რადგან მისი ხსენებით განჯის საზოგადოების ვინრო ინტერესებზე მიუთითებს.

ამის შემდეგ კვლავ სთხოვს წერილებისა და ამბების მიწერას; ახსენებს თამარ ორბელიანს, სენკოვსკის ცოლს, რომელთანაც დილიჯანში შეუვლია. დილიჯანი განჯის მხარეში შედიოდა. ბარათაშვილი სამსახურეობრივი მოვალეობის გამო უნდა დახვედროდა პრინცს, დედოფლის ძმას, ალექსანდრე ჰესენელს, რომელიც კავკასიის მინერალურ წყლებზე ისვენებდა, იქიდან საქართველოში გამოემგზავრა და ირანში აპირებდა წასვლას. გზად „გატეხილ ხიდზე“ უნდა გაეელო, სომხეთის გზით ჩასულიყო ირანში. ბარათაშვილს განჯის მხარეზე გავლისას უნდა გაეცილებინა პრინცი, მაგრამ ის არ ჩამოსულა. ამით უსარგებლია ბარათაშვილს და თამართან შეუვლია. თამარზე ის შემდეგ წერს: **„გასულელებულა, სულ იცინის! (ამით თამარის მდგომარეობას გამოხატავს მისთვის უდაბურ მხარეში) მართლად ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო“** (თავისი ქვეყნიდან მოცილებული ორი ქართველისათვის, ახლო ნათესავებისათვის სასიამოვნო იქნებოდა ერთმანეთის ნახვა). ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის ძალუა ნინოს, თამარის დედას და სიძის, სენკოვსკის, გამოჯანმრთელების ამბავს ატყობინებს. პოეტი ბაბალეს მოკითხვას აბარებს ძალუა ელისაბედთანაც და ხუმრობით ემუქრება, მანამ არ მისწერს წერილს, სანამ მისი წიგნი არ მოუვა „ჭორაჭურაებით სავსე“. ერთ წერილში ბარათაშვილი სამჯერ ითხოვს ჭორების მიწერას.

განსაკუთრებული თხოვნით მიმართავს ბაბალეს, რომ ნინა ალექსანდროვნა ჭავჭავაძეს მატუროვის ცოლის (ვინაობა გაურკვეველია) მოკითხვა გადასცეს. ბარათაშვილი ერთგვარად ახასიათებს მას: ის არის განჯაში მათი „დროის გამტარებელი“, თუმცა პოეტს მისი ენა არ ესმის; სავარაუდოდ, სომეხი უნდა იყოს. წარმოსადგენია, რამდენად რთული იყო ბარათაშვილის ყოფა განჯაში, რომ მხიარულებას იმ საზოგადოებაში ეძიებდა, რომლის ენაც არ ესმოდა.

ბოლოს პოეტი მაიკოზე წერს: **„მაგ სულელ მაიკოს უთხარ, რა ხანია თავის წიგნის პასუხი გამოუგზავნე. შენი მარადის თ. ნ. ბარათაშვილი“**. ჩანს, ამჯერად მაიკოა ბარათაშვილზე ნაწყენი. სულელს პოეტი მას მოფერებით ეძახის, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანს, რომელიც ტყუილუბრალოდ უბრაზდება.

XVIII წერილი მიწერილია ალექსანდრე საგინაშვილისადმი (პოეტის მამიდაშვილი) მურუტიდან. თარიღი მითითებული არ არის. წერილის პირველ მხარეს მისი მეუღლის, ბაბაღე საგინაშვილისადმი მიწერილი წერილის ტექსტია.

წერილი საკმაოდ მოკლეა. ბარათაშვილი თავს იმართლებს, რომ მისანერი არაფერი აქვს, თბილისი სავსეა ამბებით და ამიტომ მათ უნდა მისწერონ. მაინც მოკლედ ატყობინებს განჯის ამბავს: მამუკა განჯაში არ ყოფილა, მას თბილისში ნახავს. შემდეგ იუმორს მიმართავს და ეხუმრება მამიდაშვილს: „ყოველ წელიწადს ბორჯომში შეექცევი, ცივს ნიავს არ მიიდე! – მე რომ ბაბაღესი ვიყო, ძალად გაგაგდე დაღისტანში! საწყალს მაიორშობა არ ეღირსა, არ იქნა. – ქალაქიდან (იგულისხმება თბილისი) განჯა ორასი ვერსია, თუნდ გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით“. ამ სიტყვებში კარგად ჩანს ქართული საზოგადოების მისწრაფება ჩინებისადმი.

წერილი სრულდება ლერმონტოვის სიტყვებით, რომელსაც ბარათაშვილი სხვა წერილშიც იყენებს: „**მაგრამ ტყუილად ვხუმრობ; Скучно, грустно**“. ბარათაშვილის თითქმის ყველა წერილში, იუმორის მიღმა, მისი მარტოსულობა და დარდი შეინიშნება.

ბარათაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე დაკვირვებამ ცხადყო შემდეგი:

1) პოეტს ახასიათებს მღელვარე განცდები, რომელთაც არ მალავს და ადრესატს გულწრფელად უმხელს;

2) ის იმდენად მართალია თავის გრძნობებში, რომ არ ერიდება საყვედურსაც, პირში მთქმელია;

3) ბარათაშვილს ადვილად შეუძლია მღელვარე მდგომარეობიდან გამოსვლა და სრული დამშვიდება;

4) მისთვის დამახასიათებელია როგორც დიდი სევდა, ასევე უზომო მხიარულება;

5) ის ფაქიზად ეკიდება ადრესატის ინტერესებს და სწერს მისთვის საინტერესო ამბებს; არ ეზარება ქალაქის სიტუაციების გადმოცემა და დაწვრილებით აღწერა;

6) მას უყვარს ახალი ამბებისა და ჭორების მიწერაც, რადგან ადრესატისთვის საინტერესოდ მიაჩნია;

7) ბარათაშვილის ზოგიერთი წერილი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-19 საუკუნეში არისტოკრატიული წრის რიტუალები-სა და ადათ-წესების შესახებ;

8) მათში დადებით ასპექტში ისახება ქართული არისტოკრატიის ყოფა, ლხინისა და დროსტარებისადმი მისწრაფება, მზითვევისა და რიტუალისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება;

9) ბარათაშვილის წერილებიდან ნათელი ხდება, რომ ქართველი არისტოკრატიის ქალები ძირითადად უცხოელებზე არიან გათხოვილნი;

10) ბარათაშვილი პირდაპირია და სათქმელს არ მალავს, რაც არ უნდა უხერხული იყოს მასზე წერა;

11) მას ახასიათებს დიდი იუმორის გრძნობა, რაც მჟღავნდება როგორც ადრესატებისადმი მიმართვაში, ასევე სიტუაციების თხრობაში;

12) ბარათაშვილი ოსტატურად იყენებს ირონიას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაწყენია;

13) მწერლისთვის დამახასიათებელია ბილინგვიზმი. ის თავისუფლად აზროვნებს როგორც ქართულად, ასევე რუსულად; წერილებშიც ამ ორ ენას ერთმანეთს ანაცვლებს;

14) პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა განმარტავს და ხსნის მის პოეზიას. წერილებში პოეტი მსჯელობს იმ საკითხებზე, რომლებიც მის სულიერ მღელვარებას იწვევს;

15) ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობას ბარათაშვილი ყოველთვის უკავშირებს პირად ცხოვრებას და საკუთარ სულიერ განცდებს;

16) ზოგადად, ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში თავად ადრესატთა შინაგანი ბუნებაც იხატება;

17) წარმოჩენილია არა მხოლოდ ადრესატების, არამედ მათი ახლობლების ხასიათიც;

18) ბარათაშვილის თითქმის ყველა წერილში იუმორის მიღმა მისი მარტოსულობა და დარდი შეინიშნება.

ბიობრაფია ლირიკაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის მრწამსი

ბარათაშვილის მთელი შემოქმედება არის ძიება და სწრაფვა მიზნისკენ. ძიების პროცესი რთულია და ხშირად – უშედეგოც, მაგრამ ყველაზე მძიმე პოეტისათვის უშედეგობა როდია, მხოლოდ იმედის დაკარგვა აყენებს მას გაუსაძლის მდგომარეობაში. უნუგეშობა კი მაშინ ეუფლება, როცა სიყრმე, ბავშვობა გადის და ის ნუთისოფლის მიზნების ტყვე ხდება. შინაგანი ხმა მოუწოდებს მას, ეძიოს თავისი ხვედრი. ეს ხმა არ ასვენებს, გულსა და სულს უფორიაქებს და, ამავე დროს, უსუსურობას აგრძნობინებს – ადამიანი ვერ საზღვრავს თავის მისიას ამქვეყნად, რაც იწვევს მის უნდობლობას სამყაროს მიმართ და გამუდმებულ დარდს:

**„მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!“**

(„ხმა იღუმალი“ / ბარათაშვილი 1968 : 90)

უნდობლობა, ურწმუნოება და უიმედობა დამახასიათებელია ადამიანის იმ სულიერი მდგომარეობისათვის, რომელსაც ბარათაშვილი „სულითობლობას“ არქმევს; ამგვარი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაა: „სწორის“/სატრფოს დაკარგვა („სულიობლი“), სამშობლოსაგან მოცილება („ბედი ქართლისა“), მიზნის მიუღწევლობა („მერანი“) და სხვა, ხოლო გარეგნული ნიშანი – ნუხილია:

**„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“**

(„სულიობლი“ / ბარათაშვილი 1968 : 106)

პოეტი ცდილობს ამ დამთრგუნველი მდგომარეობიდან გათავისუფლებას და განაგდებს „ბოროტ სულს“, რომელმაც მოუწამლა „ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“:

**„განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!“**

(„სულო ბოროტო...“ / ბარათაშვილი 1968 : 128)

სულიერი ობლობის – ურწმუნოების, უნდობლობისა და მწუნარების – გააზრებას ბარათაშვილის შემოქმედებაში უპირისპირდება თავისუფლების გაგება. თავისუფლება, ბედნიერება და ღმერთთან სიახლოვე პოეტისათვის ერთმანეთის იდენტური ცნებებია. ყრმა თავისუფალია მანამ, სანამ შეუცვნია წუთისოფელი. წუთისოფლის შეცნობა ხდება სიყრმის პერიოდის გასვლიდან, როდესაც გონება იწყებს ამოქმედებას. ის აშორებს ადამიანს უფლისგან, აბამს წუთისოფლის მახეში და აკარგვინებს თავისუფლებას. ამიტომაც შენატრის პოეტი ყრმას:

**„იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომჭერალი!“**

(„ჩვილი“ / ბარათაშვილი 1968 : 103)

სულიერი ობლობის დაძლევისა და თავისუფლების მოპოვების რამდენიმე გზა იკვეთება პოეტის შემოქმედებაში. მართალია, ყრმობის დროს ადამიანი უფალთან მდგომია და, აქედან გამომდინარე, თავისუფალი და ბედნიერი („ჩვილი“, „ხმა იდუმალი“), მაგრამ ყრმობა გზა არ არის, ის ცხოვრების პერიოდია, რომელიც აუცილებლად გადის. ამიტომ ადამიანმა უნდა მონახოს თავისი გზა:

1) ერთ-ერთი გზა პოეტისათვის ბუნების ნიაღში ფიქრია. ამ დროს თავისუფლდება ის ამქვეყნიური საზრუნავისგან და მისი „გულისთქმა“ ცის იქით ეძიებს სადგურს, „ზენაართ სამყოფს“, მაგრამ მოკვდავი ადამიანისათვის „ციური განგება“ მაინც მიუწვდომელია: **„მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!“** („შემოლამება მთაწმინდაზედ“); მოკვდავნი ვერ სცემენ პასუხს კითხვაზე: **„მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი, / თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“** („ფიქრნი მტკვრის

პირას“). მიუხედავად მიზნის მიუწვდომლობისა, ბუნებაში „ცაზე“, იმქვეყნიურ სამყაროზე, ფიქრი აკეთილშობილებს ადამიანს და რწმენით აღავსებს. ის დროებით ივინყებს ადამიანურ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც, წუთისოფელში ცხოვრება არ ღირს, რადგან ყოველივე უნდა მოისპოს. ბუნება წუთისოფლის მარნუხებისგან დროებით გათავისუფლებულს ლოგიკის საწინააღმდეგოს კარნახობს: „**არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,/ იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს**“ („ფიქრნი მტკვრის პირას“). ბუნების სიმბოლური ენა სწვდება ადამიანის სულს და რწმენით აღავსებს. ის იჯერებს, „**რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს**“ („შემოღამება მთანმინდაზედ“); სტროფში ლაპარაკია ადამიანის ჩაბნელებული სულის რწმენით განათებაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, დროებითი პროცესია, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ მისი არსებობისთვის, პერიოდული თავისუფლების მოპოვებისთვის – აუცილებელი. ბუნების წიაღში ფიქრი საფუძველია გულის ხედვის გახსნისა და ჭეშმარიტების შეცნობისა, რადგან თავად ბუნება იძლევა რწმენისა და სიყვარულის მაგალითებს: მთვარე უმანკო სულს ემსგავსება, ვარსკვლავი კი მის მიჯნურს („შემოღამება მთანმინდაზედ“), მტკვარი – ფრიალო კლდეზე მდგარი ჩინარის სატრფოს, რომელსაც მიჯნურის მიუწვდომლობა ჰკლავს და იტანჯება. პოეტი ყურს უგდებს ბუნების ენას და უადვილდება „**ამა სოფლის ჭირთა დათმენა**“. სწორედ აქ, ბუნების წიაღში, სწვდება იგი არაამქვეყნიურ ჭეშმარიტებას და ამბობს:

**„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“**

(„ჩინარი“/ ბარათაშვილი 1968 : 130)

სახეზეა ციური განგების წვდომის მცდელობა, რადგან უსულოთა და უასაკოთა სახით უფალი მეტყველებს; ციური განგების შეცნობის საფუძველი კი სიყვარულია, ამ შემთხვევაში მდაბლის

სწრაფვა მაღლისაკენ – მტკვრისა ჩინარისაკენ, რომელიც ღვთიური ჰარმონიის შემადგენელი მოვლენაა.

2) ამგვარად, პოეტის შემოქმედებაში წარმოჩნდება კიდევ ერთი გზა. ეს გზა სიყვარულია. სიყვარული ბარათაშვილის შემოქმედებაში აღიქმება „მშვენიერ სულთა კავშირად“ („რად ჰყვედრი კაცსა“); „მშვენიერი სული“ სიკეთის მქმნელი არსებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა გარეგნული სილამაზე, არამედ – სულის მშვენიერება. სილამაზე და მშვენიერება განსხვავდება ერთმანეთისგან. სილამაზე „ხორციელების“ ნიშანია, მშვენიერება კი – სულისა. ის ადამიანის ქმედებაში მჟღავნდება და უკვდავების მომნიჭებელია (ადამიანი ღმერთთან მიჰყავს). მშვენიერ სულთა კავშირი მუდმივია ისევე, როგორც ცის ცვარისა და მზის სხივის თანაარსებობა. სიყვარულით ადამიანი მოიპოვებს უმაღლეს ბედნიერებას – სასუფეველსა და უკვდავებას („არ უკიჟინო სატრფოო“); მაგრამ, თუ ეს კავშირი არ განხორციელდა, ადამიანს ენგრევა ტაძარი – რწმენა – და სულით ობლდება, უნუგემო და ურწმუნო ხდება:

**„ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“
(„ვპოვე ტაძარი“ / ბარათაშვილი 1968 : 116)**

ტაძარი რწმენაა, ლამპარი – სიყვარული; თუ ერთ-ერთი ქრება, ქრება მეორეც, რადგან სიყვარული და რწმენა მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში არსებობს. სიყვარული ის გრძნობაა, რომელიც სულს განანათლებს, გულის ხედვას – სულიერი ჭვრეტის უნარს – ანიჭებს ადამიანს, რათა შეუცნობელი შეიცნოს.

3) უფალთან მისვლის კიდევ ერთი გზა ლოცვაა. პოეტი ახერხებს „ბოროტ ვნებათაგან“ გათავისუფლებას უფლის სრული მორჩილებით. აქედან გამომდინარე, მისი ლოცვა მხოლოდ და მხოლოდ დუმილით გამოიხატება. ის „წმინდა ლოცვაა“, რომლის მეშვეობითაც ადამიანი შეიცნობს უფალს. „წმინდა ლოცვა“ იწყება მაშინ, როცა ყოფითობა აღარ იპყრობს მლოცველის ნებელობას და ადამიანი მთლიანად უერთდება ღვთის ნებას. ამ დროს ის სრულ-

ყოფას აღწევს – გონება წყვეტს მუშაობას და იხსნება გულის ხედვა – სულიერი ჭვრეტის უნარი და პოეტს აღმოხდება:

**„გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე,
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,
და – ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ შენდა სათქმელად?
მაშა, დუმილიც მიმითვისალე შენდამი ლოცვად!“**

(„ჩემი ლოცვა“/ ბარათაშვილი 1968 : 108.)

4) უფალთან მისვლის კიდევ ერთი ცნობილი გზა პოეზიაა. ბარათაშვილის შემოქმედებაში ნაშლილია ორ ქვეყანას შორის არსებული გონებრივი ბარიერი და სამყაროს ერთიანი ხატია შექმნილი. ფიქრი ცდება ხილულ ცას და „ცის ქედამდე“ აღწევს, პოეტიც კარგავს რეალობის აღქმას და „ეშხით დამდნარი“ ერთვის ლურჯ ფერს. მისი სამარიდან ზევით ასული ლურჯი ნისლიც ცას უერთდება. ეს არის იმქვეყნიურობის პოეტური წვდომა, ზეცაში სრული გარდასახვის სურათი:

**„ფიქრი მე სანატრი მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს...
სამარეს ჩემსა, როს გარს ნისლი მოეცვას –
იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!“**

(„ცისა ფერს“/ ბარათაშვილი 1968 : 113)

5) შეუცნობლის შეცნობისაკენ, ღვთაებრივი არსის წვდომისაკენ სწრაფვის განსხვავებული გზაა ბარათაშვილის მერნის ჭენებაც, ანუ „განწირულის სულის კვეთება“. მერანი შეუცნობლობისთვის განწირული ადამიანის სულია. მას უდიდესი მიზანი აქვს – გათელოს აქამდე უვალი გზა და მოძმეებს სავალი გაუადვილოს. გზა ურთულესია, მოითხოვს დიდ სულიერ სიმტკიცეს და ამქვეყნიური ვნებათაღელვის გადალახვას: სამშობლოს მიტოვებას, ნათესავებთან და მეგობრებთან, თვით მშობლებთან და სატრფოსთან განშორებასაც, მწირობასა და უცხო ქვეყანაში უპატრონო სიკვდილს, მაგრამ მხედრის მიზანი იმდენად დიდია, რომ ამ სოფლის დათმობაც კი უღირს. ეს მიზანია ჭეშმარიტების შეცნობა, რომელიც, პოეტის თქმით, „ბედის საზღვრის“ გადალახვითაა შესაძლებელი.

ბელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მერნის ჭენებისა და ბედის საზღვრის გადალახვის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. თვლიან, რომ პოეტის მიზანი მიიღწევა: 1) საკუთარ გრძნობებსა და ქმედებებზე უფლების მოპოვებით, ე.ი. თავისუფლებით (გრ. კიკნაძე); 2) სულიერი ცხოვრებით, თავგანწირვით (რ. სირაძე); 3) ფიზიკური სიკვდილით (კ. კეკელიძე); 4) ღვთაებრივი სიბრძნის „გონების თვალთ“ განჭვრეტით (ილია). ჩვენ ამ უკანასკნელს ვიზიარებთ, თუმცა კრიტიკოსთა ნააზრევი ერთმანეთს არ გამოორიცხავს. კარგად ვიცით, რომ მერნის ჭენება საბოლოოდ განწირულია, რადგან ადამიანის გონებას არ ძალუძს ღვთაებრივის შეცნობა (ისევე როგორც ლექსში „შემოღამება მთანმინდაზედ“). მიუხედავად ამისა, იმდენად დიდია მხედრის შემართება, რომ სანინალმდეგო განწყობას უტოვებს მკითხველს; რწმენას, რომ გაითელება უვალი გზა და ადამიანი გადალახავს „ბედის საზღვარს“, რომელიც გონებამ გააგლო ორ სამყაროს შორის და ამიტომ გონებამვე უნდა დაძლიოს. „განწირულის სულის კვეთება“, რომელიც მერნის მხედრის თანდათანობითი სულიერი ამაღლება და პიროვნული თავისუფლების მოპოვებაა, უკვალოდ არ ჩაივლის, სავალს გაუადვილებს მოძმეს, რომელიც, ერთხელაც იქნება და, შეძლებს ჭეშმარიტების გონების თვალთ განჭვრეტას:

**„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
 ეს განწირულის სულის კვეთება,
 და გზა უვალი, შენგან თელილი,
 მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
 სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
 და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
 შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“
 („მერანი“/ ბარათაშვილი 1968 : 120)**

ნიკოლოზ ბარათაშვილი და რუსული რომანტიზმი

რუსული რომანტიზმის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს. ის შესწავლილია თითქმის ყველა შესაძლო კუთხითა და ასპექტით; გამოკვლეულია რუსული რომანტიზმის სოციალური, გნოსეოლოგიური და ესთეტიკური ასპექტები. რომანტიკული მხატვრული ფორმების განვითარება შედარებულია ამავე პროცესებთან სხვა ქვეყნების ლიტერატურაში და აგრეთვე მხატვრობისა და მუსიკის რომანტიკული გამოსახვის ფორმებთან. შესწავლილია რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები; რომანტიკული ტენდენციებისა და ტრადიციების შემოჭრის პერიოდი წინარე ლიტერატურულ მიმართულებებში და შემდგომ უკვე რომანტიკული ტენდენციების შეცვლა მომავალი ლიტერატურული მიმართულებისათვის დამახასიათებელი ტენდენციებით და ა. შ. ჩვენ კვლევის მიზანიც რუსული რომანტიზმის კიდევ ერთი განსხვავებული კუთხით ანალიზია. ჩვენ ის გვანტერესებს იმდენად, რამდენადაც XIX საუკუნეში (20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე), ქართული რომანტიზმის არსებობის პერიოდში, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და, ბუნებრივია, ლიტერატურული გავლენის პროცესს ვერ გამოვრიცხავთ. ქართველ და რუს მოღვაწეებს შორის არსებობდა მჭიდრო მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობები. ქართველ რომანტიკოსებს (ალ. ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებსა და სხვებს) სამხედრო მოვალეობის გამო ჩასვლა უწევდათ რუსეთში და 1832 წლის შეთქმულების ჩაშლის შემდგომაც რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში მოიხადეს სასჯელი; საქართველოშიც სხვადასხვა მიზეზით (მათ შორის – სამსახურეობრივი) მოუხდათ ჩამოსვლა რუს მწერლებსა და მოღვაწეებს: ვ. ნარეჟნის, ა. პუშკინის, ა. გრიბოედოვს, მ. ლერმონტოვს, დ. დავიდოვს, ა. შიშკოვს, ვ. კიუხელბეკერს, მ. მუსინ-პუშკინს, ა. ბესტუჟევ-მარლინსკის, ნ. რაევსკის, ა. ოდოევსკის, ი. პოლონსკის და სხვებს. ჩამოთვლილთაგან უმრავლესობა რომანტიკოსი იყო. ცნობილია, რომ ზოგიერთი მათგანისათვის საქართველო ერთგვარი პოეტური

შთაგონების წყაროც კი გახდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველი რომანტიკოსები შერჩევით თარგმნიდნენ რუსი რომანტიკოსების ნაწარმოებებს.

ჩვენი კიდევ უფრო კონკრეტული მიზანი რუსულ რომანტიზმთან ქართველი გენიოსის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – მიმართებაა; უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია ამ საკითხზე საუბარი, რადგან ნიკოლოზ ბარათაშვილს არც უთარგმნია რუსი რომანტიკოსები და, სავარაუდოდ, არც მათ თეორიულ ნააზრევს იცნობდა; თუმცა ეს განცხადება იმას არ გულისხმობს, რომ ბარათაშვილი არ იცნობდა მათ მხატვრულ შემოქმედებას. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, ქართულ რომანტიზმს წინ არ უძღვის თეორიული ნააზრევი, თუმცა ყოფილა მცდელობა თეორეტიკოსთა მსჯელობის ქართულად გადმოთარგმნისა. მაგალითად, თანამედროვენი მიუთითებენ, რომ გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია ძმები შლეგელეების ერთ-ერთი წერილი, დაკონკრეტებული არ არის – რომელი. ქართველ რომანტიკოსებს რომც ჰქონოდათ გათავისებული რომანტიზმის თეორიული პრინციპები, ეს მაინც ბევრს ვერაფერს გვაძლევს მიმართების – ბარათაშვილი და რუსული რომანტიზმი – გამოსაკვეთად. ბარათაშვილის ნაწარმოებები ისევე, როგორც რუსი გენიოსების ქმნილებები, განუსაზღვრელად მაღლა დგას იმ თეორიულ ინტერპრეტაციებზე, რომელთაც მათ მიუსადაგებენ ხოლმე ან მათგან გამომდინარე აყალიბებენ. რუსული რომანტიზმის ზოგადი სულისკვეთება კი, რა თქმა უნდა, მიესადაგება როგორც ქართულ რომანტიზმს, ასევე მის მწვერვალს – ნიკოლოზ ბარათაშვილს.

რაში მდგომარეობს რუსული რომანტიზმის სულისკვეთება, რომ მას „მიესადაგოს“ ქართველი პოეტი? რას წარმოადგენს რუსული რომანტიზმი, როგორც მოვლენა? რუსული რომანტიზმის, როგორც მხატვრული მოვლენის მთავარ არსს, ასე განსაზღვრავს რუსი ლიტერატურათმცოდნე ი. ზამოტინი: „**თავისი არსით რომანტიზმი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში არის ნათლად გამოვლენილი იდეალისტური მსოფლშეგრძნება, რომლის განმასხვავებელი ნიშნები აისახა რომანტიკული მსოფლმხედველობის თავისებურ განვითარებაში ინდი-**

ვიდუალური, ეროვნული და უნივერსალური კუთხით“ (Замотин И., 1907). ლიტერატურათმცოდნის აზრით, რუსული რომანტიზმი დგას სამ ძირითად საყრდენზე – „რომანტიკულ ინდივიდუალიზმზე“, „რომანტიკულ ნაციონალიზმსა“ და „რომანტიკულ უნივერსალიზმზე“. რუს რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებაც (მაგალითად, ბესტუჟევი-მარლინსკის, ზაგოსკინისა და ოდოევსკის) რუსული რომანტიზმის ამ თვისებათაგან ერთ-ერთს უკავშირდება. განცალკევებით დგანან პუშკინი, ბარიატინსკი და ლერმონტოვი. რა თქმა უნდა, ამ აზრს ყველა არ ეთანხმება. უფრო მეტიც, კვლევები ქმნის ერთმანეთის საწინააღმდეგო სურათს და, აქედან გამომდინარე, გვაძლევს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა გამოტანის საშუალებას. ერთნი რუსული რომანტიზმის არსად „მკვეთრად გამოხატულ იდეალისტურ მსოფლმხედველობას“ და „უსასრულობისკენ სწრაფვას“ თვლიან (ი. ზამოტინი), სხვანი – „ინდივიდუალიზმს“ (ვ. ვ. სიპოვსკი), მესამენი – „რეალობისგან განდგომასა“ და „ირეალიზმს“ (პ. ნ. საკულინი), მეოთხენი – „უკიდურეს სუბიექტივიზმს“ (პ. ს. კოგანი), მეხუთენი – განსაკუთრებულ სტილს, „მხატვრულობის ძიებას“ (ა. ი. ბელეცკი) და ა.შ. რუსული რომანტიზმის პოეტიკის, როგორც პოეტური კომპონენტების შემცველი სისტემის, დასახასიათებლად, ი. ვ. მანი გამოარჩევს მხატვრული კონფლიქტის (რომანტიკული კონფლიქტის) კატეგორიას, ჯერ ერთი, მასალის სიუჟეტის გამო და, მეორეც, იმიტომ, რომ მხატვრული კონფლიქტი სტრუქტურული (აზრობრივი და ფორმალური) კატეგორიაა, რომელსაც შევყავართ ნაწარმოების მხატვრული ნაკადის სიღრმეში.

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ განსაზღვრებაში არის, რა თქმა უნდა, სიმართლე, მაგრამ არცერთი არ წარმოაჩენს სრულყოფილად რუსული რომანტიზმის არსს; ამგვარი სურათი გვაქვს, ზოგადად, რომანტიზმის არსისადმი მიძღვნილ კვლევებში. თითოეული მკვლევარი მხოლოდ ცალმხრივად, გარკვეული ნიშნით ახასიათებს მას. დგება საკითხი რომანტიზმის ნიშანთა სისტემის შექმნის და ამ სისტემით სხვადასხვა მწერლის დახასიათების; ლიტერატურული მიმართულების ნიშანთა ამგვარი სისტემები მრავალია, ცნობილ თუ არაცნობილ მკვლევართა მიერ შედგენილი. მაგ-

რამ, სამწუხაროდ, კვლავ სხვადასხვა სისტემურობის გაგებასთან მკვლევართა დამოკიდებულება. ისმება კითხვა: იქნება თუ არა რომანტიზმზე ჩვენი წარმოდგენა ჭეშმარიტი, თუ მას შევაფასებთ ჩამოთვლილთაგან არა ერთი ნიშნით, არამედ გაერთიანებულად, ყველა ამ ნიშნით? ნიშან-თვისებათა ზრდა, მიუხედავად დაკონკრეტებისა, ბოლომდე არ აზუსტებს ცნებას, რადგან ყოველი ახალი ნიშანი იმავე სიბრტყეში რჩება, რომელშიაც – სხვა ნიშნები. თუმცა მათი ურთიერთკავშირის აუცილებლობა ქმნის გარკვეულ ფონს და წარმოაჩენს რომანტიკულ მსოფლხედვას, რომლის აღქმაც არის მკვლევრისათვის მთავარი, ხოლო დანარჩენი – პერსონაჟთა ბუნება, ფაბულის განვითარება, ქმედების მოტივაცია, მეტყველება და სტილი – ამ მსოფლხედვიდან გამომდინარეობს.

ჩვენ ვნახეთ, რა სირთულესთან გვაქვს საქმე, ზოგადად, რომანტიზმის კვლევისას, რაც, რა თქმა უნდა, აისახება კომპარატივისტული მეთოდით შემოქმედებათა კვლევის დროსაც. ამიტომ რუს რომანტიკოსებთან ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართებისას ჩვენ წარმოვაჩინთ იმ ზოგად ნიშნებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხით ახასიათებს რუს რომანტიკოსთა მხატვრულ შემოქმედებას, მაგრამ, ამავე დროს, მათ აზროვნებას აახლოებს ბარათაშვილის მხატვრულ აზროვნებასთან.

მაგალითად, ჟუკოვსკისა და ბარათაშვილის შემოქმედებათა შორის მსგავსება შეინიშნება მხატვრულ სტილში, რაც სიტყვადქმნადობასთან არის დაკავშირებული. ორივე პოეტი სიტყვაში დებს გაცილებით მეტს, ვიდრე თავად სიტყვა გულისხმობს. მათი რომანტიკული მსოფლხედვიდან გამომდინარე, ლექსიკასა თუ სიტყვათშეთანხმებაში სულიერი მღელვარება ისახება. ორივე პოეტთან ლირიკული გმირის განცდა წარმოგვიდგება მთელი სამყაროს – როგორც ერთი მთლიანობის – განცდად. ჟუკოვსკის ლირიკა ტოვებს იდუმალების, მღელვარების და, ამავე დროს, მშვენიერების გამოუთქმელობის განწყობას. ამგვარი განცდის თვალსაჩინოება ღამით საყვარლის საფლავზე მინანერი სიტყვები:

**«Ты предо мною
Стояла тихо.
Твой взор унылый
Был полон чувства,
Он мне напомнил
О милом прошлом...
Он был последний
На здешнем свете.
Ты удалилась,
Как тихий ангел;
Твоя могила,
Как рай, спокойна!
Там все земные
Воспоминанья,
Там все святые
О небе мысли»
(В. Жуковский, 1823)**

იდუმალება და ცაზე ფიქრი ბარათაშვილისეული პეიზაჟის დამახასიათებელი ნიშანია, გრძნობის გამოუთქმელობა კი ფილოსოფიურ და რელიგიურ დონეზეა აყვანილი ქართველ პოეტთან: „მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“. მიუხედავად ზემოთქმულისა, ლიტერატურული გავლენის თვალსაზრისით უფრო უპრიანია ჟუკოვსკისა და გრიგოლ ორბელიანზე საუბარი,¹ ვიდრე ბარათაშვილისა და ჟუკოვსკის შემოქმედებათა შორის პარალელუბის ძიება.

ბარიატინსკის ფილოსოფიურობა და ელემენტურობა უფრო ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკას გვახსენებს, ვიდრე ბარათაშვილისას; ამ ორ პოეტს (ბარიატინსკისა და ალ. ჭავჭავაძეს) დროის სწრაფმავლობის განცდაც აერთიანებს. დაუბრუნებელ წარსულზე დარდით ბარიატინსკი გრიგოლ ორბელიანს ენათესავება. რუსულ

¹ შევადართო ერთმანეთს ჟუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“ და ორბელიანის „სადღეგრძელო“, ჟუკოვსკის „გამოუთქმელი“ და ორბელიანის „სალამო გამოსალმებისა“.

ლიტერატურაში ბარიატინსკი აზრის პოეტად არის ცნობილი, ბარათაშვილი კი გრძნობის პოეტია. ამიტომ ამ ორი მწერლის – ბარათაშვილისა და ბარიატინსკის – ერთმანეთთან მიმართება მხოლოდ რომანტიკული ტენდენციით – გარემომცველი სამყაროსადმი პროტესტითაა შესაძლებელი. ეს პროტესტი ორივე პოეტთან გამოიხატება ძირითადად ორი მოტივით: აღელვებული სულისკეთებით და მარტოსულობის განცდით. „შემოღამების“ თემაც საერთოა ორივე პოეტთან. ბარიატინსკის ლექსების კრებულს ეწოდება «Сумерки». თითოეული ლექსი წარმოადგენს იმ ხელოვანის აღსარებას, რომელიც ემტერება და ებრძვის თავის ეპოქას და დარდობს სამყაროს ჰარმონიის რღვევაზე. უიმედობისა და, ამასთანავე, ცხოვრების მარადიულობის განცდა ერთმანეთს ერწყმის ორივე პოეტის შემოქმედებაში.

ტიუტჩევისა და ბარათაშვილს ბუნების სიმბოლური გამოსახვა აკავშირებთ. ბუნების ენით შეიცნობს ორივე პოეტი ჭეშმარიტებას. ბარათაშვილს სწამს, რომ უსულო ბუნებასა და ადამიანს შორის არის საიდუმლო ენა, რომელიც ყველა ენაზე მეტად მეტყველია („ჩინარი“). ტიუტჩევის აზრით კი, ბუნება სულიერია, რომელშიც დევს თავისუფლება, სიყვარული და მეტყველებაც კი, მასში ღვთის სიტყვა ცნაურდება:

«Не то, что мните вы, природа:

Не слепок, не бездушный лик –

В ней есть душа, в ней есть свобода,

В ней есть любовь, в ней есть язык...»

(«Есть в осени первоначальной...» / Тютчев)

აფანასი ფეტის პოეზიასთან ბარათაშვილს, ერთი შეხედვით, არა აქვს რაიმე საერთო, მაგრამ თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მათ შორის მსგავსება წამის დაჭერა და მისი მარადისობად ქცევაა. ბარათაშვილი, მთანმინდაზე (წმინდა მთაზე) მყოფი, იჭერს მომენტს, თუ როგორი იყო ცის ხატება, რომელმაც სულიერი შვება მიანიჭა და ყოველთვის, სულიერი დაცემის დროს, ეს მომენტი ახსენდება. ფეტის შემოქმედების მკვლევრებიც პოეტის ერთ განსაკუთრებულ უნარზე ამახვილებენ ყურადღებას, ესაა

«уменьше уловить неуловимое». ის იჭერს მომენტს, სწორედ პოეზიის ქმნადობის მომენტს და აცოცხლებს სამუდამოდ ლექსში. ამიტომაც შეარქვეს მას კრიტიკოსებმა „გაელვების“ პოეტი (**«Етот листок, что иссох и свалился./ Золотом вечным горит в пенопенье»**).

ბარათაშვილსა და პუშკინს შორის ლიტერატურული მიმართების წარმოსაჩენად ვიღებთ ბარათაშვილის მთლიან შემოქმედებას და პუშკინის ადრეულ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია ლიცეუმში სწავლებისა და მისი დამთავრების შემდგომ პერიოდში, პეტერბურგში ცხოვრებისას. დროის ამ მონაკვეთში ქმნის რუსი გენიოსი რომანტიკულ ნაწარმოებებს, ესენია პოემები – „კავკასიის ტყვე“, „ძმები ყაჩაღები“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „ბოშები“, „ევგენი ონეგინი“. მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილის მთელ შემოქმედებას ვადარებთ პუშკინის შემოქმედების ერთ ეტაპსა და ერთ ჟანრს – პოემას – და თითქოს შეპირისპირებისას უფრო შეზღუდულნი ვართ, სინამდვილეში, ზემომოყვანილ შედარებებზე ბევრად უფრო მყარად შეგვიძლია დავინახოთ მსგავსებაცა და განსხვავებაც გენიოსებს შორის. მსგავსება ემყარება როგორც რომანტიკულ სულისკვეთებასა და ტენდენციებს, ასევე გენიოსთა უნარს, შეიგრძნონ ცხოვრება მთლიანობაში („გენიოსს არ შეუძლია იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად“ – ვაჟა-ფშაველა). როგორც კრიტიკოსები მიუთითებენ, პუშკინმა შექმნა სახე „ზედმეტი ადამიანის“. მისი რომანტიკული პოემების გმირები არიან ლტოლვილები, დევნილები, რომლებიც გაურბიან ბინიერ საზოგადოებას, ისწრაფვიან თავისუფლებისაკენ და ვერ მოიპოვებენ მას. მათი მარტოობის თემას აღრმავებს სიყვარულის მოტივი. სიყვარული „ზედმეტი ადამიანისათვის“ ისეთივე პატიმრობაა, როგორც ციხე. სიყვარული ისევე, როგორც ბედნიერება და მეგობრობა, გმირს იმ საზოგადოებაში „რჩება“, რომელზედაც მან უარი თქვა. გაუცხოება ერთ-ერთი მთავარი ნიშანია რომანტიკული პერსონაჟისა. „კავკასიის ტყვეში“ ჩვენ ვხედავთ ამ პროცესის სხვადასხვა სტადიას, ვეცნობით მთავარი პერსონაჟის ცხოვრების ზოგიერთ მომენტსა და ეპიზოდს. მას წარსულში დარჩა სამშობლო, ახლობლები და მეგობრები. მისი გაუცხოება გამოხატულია უცხო მხარეში თავის შეფარებით, სამშობლოდან, ახლობლებისგან გაქცევით. პოემის გმი-

რი მოხეტიალე და მიუსაფარი ადამიანია. მან ხალხის გულში ღალატი დაინახა – «в сердцах людей нашел измену» და გაშორდა საზოგადოებას. მრავალ მოტივთაგან პოემაში იკვეთება ორი მთავარი, ესენია: თავისუფლებისაკენ სწრაფვა და სიყვარულის განცდა. „თავისუფლება“ მთავარი პერსონაჟის სწრაფვის, გაქცევის მამოძრავებელი ძალაა. პუშკინთან თავისუფლების მოტივს ეტოლება ცალმხრივი და გაუზიარებელი სიყვარულის მოტივი. მის პოემებში, ევროპული რომანტიზმის მსგავსად და კვალდაკვალ, შეყვარებული ქალი გაღმერთებულია; სიყვარული კი უცვლელი გრძნობაა, რომელზედაც დრო არ მოქმედებს. სიყვარულით გამოწვეული ტრაგედია სამყაროს ნგრევა და ადამიანის მთელი მსოფლმემყენების რღვევაა. პერსონაჟის არჩევანი უნივერსალური გრძნობაა, ერთგულება „მარად მშვენიერისადმი“.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მოტივები საერთოა რუსული და ქართული რომანტიზმისთვის და, განსაკუთრებით, ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის. მართალია, ბარათაშვილმა მხოლოდ ერთი პოემის დაწერა მოასწრო, მაგრამ მასში ნათლად მჟღავნდება ის ტენდენციები, რომლებიც თვალსაჩინოა პუშკინის რომანტიკულ პოემებში. მსგავსება ნაწილობრივ ჩანს ბარათაშვილის პოემის მთავარი გმირის თვისებებში; ნაწილობრივ, რადგან რომანტიკული პერსონაჟის თვისებები მთლიანობაში მხოლოდ ბარათაშვილის ლექსებში მჟღავნდება. „ბედი ქართლისაშიც“, როგორც პუშკინის რომანტიკულ პოემებში, მთავარი პერსონაჟი განსაკუთრებულია, სხვათაგან გამორჩეული. ის მეფეა და, თანაც, ქართველ ყმათათვის უსაყვარლესი ერეკლე, პატარა კახი. მისი მამოძრავებელი მთავარი მოტივებიც თავისუფლება და სიყვარულია, ოღონდ ქალის კი არა, ქვეყნის. მეფე ერთს მეორისათვის ანაცვალებს; თავისუფლებას – სიყვარულისთვის; მაგრამ ეს ჩანაცვლება დროებითია. საბოლოო მიზანი თავისუფლებაა. ბარათაშვილის თავისუფლებისმოყვარე სული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო მეტად მის ლექსებში იკვეთება. ამ დიადი მიზნის გამო საზოგადოებისგან გაუცხოება, მისგან გაქცევა, მიუსაფრად და მწირად ქცევა, სამშობლოსგან შორს, უპატრონოდ სიკვდილი, იდეალური სიყვარულისკენ სწრაფვა – ის საერთო სულისკვეთებაა, რომლითაც გაჟღერებულია

როგორც რუსული, ასევე ქართული რომანტიზმი; ორივე პოეტთან ეს განცდები მძლავრია და მკითხველზე განსაკუთრებული ზემოქმედების მქონე.

პუშკინის „კავკასიის ტყვეში“ კრიტიკოსი დ. ბლაგოი ხედავს „პარადოქსულ და, ამავე დროს, ღრმად დრამატულ კოლიზიას“, რომელსაც რომანტიზმისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს – მთავარი პერსონაჟი ტყვედ მოხვდება თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზებში და „ჩერქეზების ველური თავისუფლება უცხო აღმოჩნდება მისთვის“ (ბლაგოი დ. 1950 : 317). ის არ იღვწოდა ამგვარი თავისუფლებისაკენ. კოლიზია ჩნდება პოემამიც „ბედი ქართლისა“, როდესაც მეფე ერეკლეც ქვეყნის მომავალი თავისუფლებისათვის, და არა მხოლოდ კეთილდღეობისათვის (რადგან მისთვის კეთილდღეობა თავისუფლების გარეშე არ მოიაზრება), სწორედ თავისუფლებას სწირავს.

თავისუფლებისთვის თავგანწირვის მოტივი, რომელსაც „ბედი ქართლისაში“ სოლომონ ლიონიძე და მისი მეუღლე სოფიო წარმოაჩენენ, უპირველესია თვით ერეკლესათვის, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით სწირავს მას. ერეკლე ეთანხმება სოლომონის სიტყვებს: „...რომე ქართველებს არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება!“, მაგრამ ისიც კარგად უწყის, რომ საქართველოსთვის უბედურება გარდაუვალია, ეს მისი ბედი, რადგან „**დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, / ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!**“ (ბარათაშვილი 1968 : 147). ერეკლე მდგრადი, ხანიერი, იდეალური თავისუფლებისთვის იღვწის ისევე, როგორც კავკასიის ტყვე. ქართველებმა შეიძლება დაკარგონ აქამდე ხმლის ძალით, ველურად შენარჩუნებული თავისუფლება, მაგრამ მათ უნდა იბრძოლონ სხვაგვარი – იდეალური – თავისუფლებისათვის, რომელსაც მხოლოდ სული შეიგრძნობს; ამიტომაც ვერ ხვდება მეფის „ღვთიურ ზრუნვას“ სოლომონი. სოლომონისა და სოფიოს თავისუფლებისმოყვარე სული შორს დგას ჩერქეზების ველური თავისუფლებისაგან, რომელშიაც ვაჟკაცობასთან ერთად შერწყმულია ყაჩაღობა და დაუნდობლობა; სოლომონისა და სოფიოს გრძნობა პატრიოტულია, არანაკლებ ღირსეული ყველა სხვა გრძნობაზე. პატრიოტიზმი ისევე იწვევს „დაობლებას“ და „მნი-

რობას“, როგორც, ზოგადად, თავისუფლებისათვის თავგანწირვა, მაგრამ, ამავე დროს, თავისი კონკრეტული მნიშვნელობის გამო ბოლომდე ვერ ეტოლება იდეალურ თავისუფლებას, რომლისთვისაც ადამიანი ყველაფერს თმობს, თვით სამშობლო ქვეყანასაც. ეს განცდა მოცემულია „კავკასიის ტყვეში“ და ძალიან ახლოს დგას ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირის განცდასთან. მოგვყავს ადგილი პუშკინის პოემიდან:

**«Не плачь: и я гоним судьбою,
И муки сердца испытал.
Нет, я не знал любви взаимной,
Любил один, страдал один,
И гасну я, как пламень дымный,
Забывтый средь пустых долин;
Умру вдали брегов желанных;
Мне будет гробом эта степь;
Здесь на костях моих изгнанных
Заржавит тягостная цепь...»**

(Пушкин 1937 : 99)

შევადართ ბარათაშვილის „მერანს“:

**„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტუროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემი მწუხარის, –
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის, –
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით,
ღრიალით, მიწას მომაყრის!“**

(ბარათაშვილი 1968 : 121)

ტყვე თავს საზოგადოებისგან განდევნილს უწოდებს, თუმცა პოემაში ჩანს, რომ მან თავისი ნებით დატოვა სამშობლო. ეპითეტს – «изгнанный» – მთავარი პერსონაჟისთვის აქვს უფრო ტევადი მნიშვნელობა, ვიდრე თავად სიტყვაა, და მოიცავს ბედისწე-

რის მიერ განდევნილის, გარიყულის გაგებას („и я гоним судьбою“). ჩერქეზების ტყვის სრულიად რეალური ატრიბუტი ერწყმის დეკაბრისტულ და სამოქალაქო პოეზიაში პოპულარულ ტყვეობისა და დაბეჩავების სიმბოლოს. საბოლოო ჯამში, პოემას მივყავართ პატიმრობის სიტუაციამდე, რომელიც კარგადაა ცნობილი და დამუშავებული როგორც რუსულ რომანტიზმში (ჟუკოვსკის მიერ თარგმნილი „შილონის ტყვე“, პუშკინის „ტყვე“ (1822), რაევსკის „ჯურღმულში მომღერალი“ (1822) და ა.შ.), ასევე ქართულში („გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად გყვან ნების წარმტაცველად“/ ალ. ჭავჭავაძე). ისევე, როგორც თავისუფლებას, ტყვესაც ბარათაშვილისა თუ პუშკინის პოეზიაში არა აქვს ერთმნიშვნელოვანი გაგება (ბარათაშვილის პოეზიაში თავისუფალი მხოლოდ ჩვილია და ისიც გარკვეულ დრომდე, სანამ არ უცნია „სოფელი მომღერალი“).

თუ ბარათაშვილის მერნის ლირიკული გმირი რჩება მუდმივი სწრაფვის პროცესში, პუშკინის ჩერქეზთა ტყვე რეალურად თავს იხსნის ტყვეობიდან, თუმცა ეს არ არის კონფლიქტის გადაჭრის გზა. ის ისევ რჩება „მგზავრად“ და „განდევნილად“ იმ განსხვავებით, რომ გრძნობს ახალ ენერგიას და მიემართება „განთიადის“ შესახვედრად. პოემის ეს ფინალი ბოლომდე არ ქმნის დასრულებულობის შთაბეჭდილებას და ესეც ერთ-ერთი ნიშანია რომანტიკული პერსონაჟისა – არასოდესაა საბოლოო მისი სულიერი განახლება. ბარათაშვილის ლექსის ლირიკული გმირიც, რომელიც მუდმივ სწრაფვაშია, ბუნებისგანაც ვერ იღებს მუდმივ შვებას; უფრო სწორად, იღებს გარკვეულ მომენტში და ისევ კარგავს („როს მჭმუნვარება შემომესვეის...“). კარგავს, მაგრამ ახსოვს („მახსოვს იგი დრო...“) და კვლავ მიისწრაფვის მის მოსაპოვებლად („შენდა მოვილტვი განსაქარვებლად“). „მზიანი დილა“ სამუდამოდ არ ახვიოსნებს ლირიკულ გმირს, მაგრამ უჩენს იმედს, რომ „ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

პუშკინის რომანტიკულ შემოქმედებაში გამოსაყოფია „ობლობის“ მოტივიც, რომელიც პოემაში – „ძმები ყაჩაღები“ – კარგავს ამ პერიოდის რუსული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მეტაფორულ დანიშნულებას, რაც თვალსაჩინოა წინამორბედთა შემოქმედებაში. მოგვყავს რილევის ლექსის ნაწყვეტი:

**«Как странник грустный, одинокой
В степях Аравии пустой,
Из края в край с тоской глубокой
Бродил я в мире сиротой»**

(Рылеев 1971 : 185)

პუშკინთან ამ მოტივს ალარა აქვს მეტაფორული დატვირთვა. ბარათაშვილთან კი ობლობის მოტივი არა მხოლოდ მეტაფორული დანიშნულებისაა, არამედ საფუძველია პოეტის ფილოსოფიური აზროვნებისა:

**„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას, –
საბრალთა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!“**
(ბარათაშვილი 1968 : 106)

ობლობის მოტივი ბარათაშვილთანაც კავშირშია გაუცხოების, ბედისწერის, თავისუფლებისა და სულიერი განათლების მოტივებთან.

ბრძოლის, თავისუფლების, მარტოსულობის განცდისა და უიმედობისაგან თავის დაღწევის მოტივებით ენათესავებიან ბარათაშვილი და ლერმონტოვი ერთმანეთს, მაგრამ მათ აზროვნებას შორის ჩვენ განსხვავებას უფრო ვხედავთ, ვიდრე მსგავსებას. დემონი მთავარი სახეა ლერმონტოვის პოეტიკაში. ბარათაშვილთან მისი მსგავსი სახე „ბოროტი სულია“. დემონი მეფეა „შემეცნებისა და თავისუფლების“, რომელიც გამუდმებით ისწრაფვის ჰარმონიისა და სიყვარულისაკენ, მაგრამ არასდროს გამოუცდია „ცოცხალი გრძნობის სიხარული“:

**«Печальный Демон, дух изгнания,
Летал над грешною землей,
И лучших дней воспоминанья
Пред ним теснились толпой»**

(М. Лермонтов 1837)

მიუხედავად იმისა, რომ დემონსა და ბოროტ სულს ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ – ადამიანის შეცდენა, დემონი პოემის დამოუკიდებელი პერსონაჟია, ბოროტი სული კი მხოლოდ და მხოლოდ ლირიკული გმირის თანმდევი. დემონი განწირულია განცდისა და მუდმივი სწრაფვისათვის. მიუხედავად ძალისა და ნიჭიერებისა, მას არ შეუძლია რეალიზება, მისი მცდელობა სიყვარულისა და ბედნიერების მოპოვებისათვის უნაყოფოა:

**«И проклял Демон побежденный
Мечты безумные свои,
И вновь остался он, надменный,
Один, как прежде, во вселенной
Без упований и любви!..»**

(М. Лермонтов 1837)

ბარათაშვილის პოეზიაში ცოტა განსხვავებულად წარმოგვიდგება ბოროტი სულის სახე. ის არის განწირული და არა ლირიკული გმირი. პერსონაჟი ეთხოვება თავის ოცნებებს, რომლებსაც ბოროტი სული შთააგონებდა და საბოლოოდ წყვეტს ბოროტ სულთან კავშირს: „განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო, სულო ბოროტო“. ლირიკული გმირის თავისუფლებისაკენ სწრაფვა ღმერთისაკენ სწრაფვაა, რომელიც სწორედ დემონურის განდევნით მიიღწევა. ორივე პოეტის შემოქმედებაში გმირი განწირულია მუდმივი სწრაფვისათვის, მაგრამ, თუ ლერმონტოვის პერსონაჟისთვის, დემონისთვის, იდეალი მიუღწეველია, ბარათაშვილთან მისი მიღწევის იმედი სწორედ ბოროტ სულთან კონფლიქტში იჩენს თავს. ბარათაშვილისა და ლერმონტოვის მსგავსება ნამდვილად არ ვლინდება „მშვენიერ სულობაში“, ეს მსგავსება ორივე პოეტის „ბოხოქარ სულობაში“ იჩენს თავს.

ბარათაშვილი გამოხატავს ეპოქის ტენდენციებს, რომელთაც ვერ ავხსნით ოდენ ლიტერატურული გავლენის პროცესით, თუმცა ამ გავლენას, როგორც ლიტერატურული მოდის შედეგს, არ გამოვრიცხავთ და ყურადღებას ვამახვილებთ იმ ინდივიდუალიზმზე, რომელსაც შემოქმედი დებს მხატვრულ ტექსტში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული რომანტიზმი

ქართული რომანტიზმის არსებობა მსოფლიო რომანტიზმის აყვავების პერიოდს ემთხვევა. რომანტიზმი ევროპაში წარმოიშვა და გავრცელდა ქრისტიანულ ქვეყნებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ერის ლიტერატურაში არ არსებობდა საფუძველი მისი წარმოშობისათვის (რომანტიზმის აღმოცენება თითოეულ ქვეყანაში მისთვის სპეციფიკური საყოველთაო სევდა-მწუხარების ან მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენის შედეგია). აქედან გამომდინარე, იბადება კითხვები: რამდენად თვითმყოფადია ამა თუ იმ ქვეყნის რომანტიზმი და არ წარმოადგენს მიბაძვას?! რამდენად ახლობელია ეროვნული ლიტერატურისათვის ის სახეთა სისტემა, რომელიც რომანტიკულ განწყობასა და განცდას ქმნის. ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ქართულ რომანტიზმზე კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის თვითმყოფადი და ორიგინალურია მხატვრულ სახეთა სისტემით. საქართველოს ანექსიამ და 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ მის აღმოცენებას სერიოზული საფუძველი შეუქმნა. ამ საფუძველმა განსაზღვრა ქართული რომანტიზმის თავისებურება; ამიტომ, როდესაც ქართული რომანტიკული სკოლისა და, ზოგადად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ევროპელ რომანტიკოსებთან ტიპოლოგიურ მიმართებაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა ფაქტორი: მსოფლმხედველობრივი თანხვედრა, ზოგადი რომანტიკული განწყობა – „მსოფლიო სევდა“, ლიტერატურული გავლენით შექმნილი მხატვრული სახეები და ა.შ.; არ ვგულისხმობთ ხელოვნურ მიბაძვას, რაც არათვითმყოფადობაში გამოვლინდებოდა.

„მსოფლიო სევდა“ ზოგადსაკაცობრიო, რომანტიკული განცდაა. ის საერთოა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთათვის. ამ გრძნობის გამოხატვა ქართველ პოეტს მსოფლიო მნიშვნელობის პოეტების გვერდით აყენებს. მიმართება მყარდება ასახვის თვალსაზრისითაც. რომანტიკოსი პოეტის აღქმისა და აზროვნების ცენტრში დგას მისი მე, რომელიც გარემომცველ სამყაროს შეიცნობს.

პოეტი საგანს კი არ ასახავს, არამედ პირად გრძნობას, რომელიც საგანმა, სამყარომ, წარმოშვა მასში. ეს ნიშნები განმსაზღვრელია და, აქედან გამომდინარე, საერთოა როგორც ევროპული რომანტიზმისთვის, ასევე – ქართულისათვის; მხატვრულ სახეთა გამოსახვის თვალსაზრისით კი ქართული რომანტიზმი საკმაოდ სპეციფიკურია. ის ქართული ლიტერატურის თხუთმეტსაუკუნოვან ტრადიციას ეფუძნება და ხელოვნურად არ იღებს სხვა კულტურათა ნიშან-თვისებებს. ინდივიდუალური ხედვა აქვს ასევე თითოეულ ქართველ რომანტიკოსს და, შესაბამისად, ორიგინალურია მათი მხატვრულ სახეთა სისტემაც. ქართველი რომანტიკოსებიდან გამორჩეულია ნიკოლოზ ბარათაშვილი. ის განსხვავდება ასევე რუს და ევროპელ შემოქმედთაგან და, ამავე დროს, კიდევ ენათესავება მათ. თეორეტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „მსოფლიო სევდაც“, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკოსთ ახასიათებთ და აახლოებთ, უძველესი ეპოქების მონაპოვარია ისევე, როგორც რეალისტური ტენდენციები, მაგრამ რომანტიზმის ეპოქაში ის ახალ ფორმას იღებს. ფორმა სახეთა სისტემაში ყალიბდება, რომლის შემადგენელი ნაწილებია შემდეგი კონცეპტები: სევდა, ცა, იმქვეყნიური სამყარო, სატრფო, ზეციური არსება, მთვარე, ტაძარი, თავისუფლება, წარსული, ბუნება. ეს კონცეპტები წინა საუკუნეებშიც არსებობდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, რომანტიზმმა ისინი ერთ სისტემაში მოაქცია. თავისუფლება და შთაგონების გულწრფელობა ახალი ლიტერატურული სკოლის მთავარი მოთხოვნა გახდა.

ევროპულ რომანტიზმში წამყვანი ადგილი გერმანულ რომანტიკულ სკოლას უჭირავს. ამ სკოლის შეხედულებანი ძირითადად ფიხტეს სწავლებიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, გონებასა და გრძნობას შორის გადაულახავი უფსკრულია; გონებას აქვს სინამდვილის ცოდნის უსაფუძვლო პრეტენზია; უსაფუძვლო, რადგან სინამდვილე ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი ფიქრებით, რომლებიც ჩვენს ცნობიერებაშია. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმეცნებთ მხოლოდ საკუთარ „მეს“. გონისმიერ ჭვრეტას არ შეუძლია ჭეშმარიტების აღქმა. ჭეშმარიტების შემეცნება მხოლოდ რწმენით ხორციელდება. რწმენა ეფუძნება მოქმედებისკენ მის-

წრაფების აუცილებლობას, რაც ადამიანს თანდაყოლილად აქვს. რეალობა არის არა მხოლოდ მიწიერი სივრცე, ჩვენი საქმიანობის სარბიელი, არამედ არამიწიერი სამყაროც, რადგან მხოლოდ მასში იღებს ჩვენი არსებობა უმაღლეს აზრს, მასშია გამოხატული ჩვენი ზნეობრივი იდეალი. მარადიული ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ რწმენით, მიწიერზე უარის თქმით. პოეტურ შემოქმედებაში ცნობიერი და არაცნობიერი, მიწიერი და ზეციერი ერთმანეთისგან განუყოფელი ხდება.

ეს მსოფლმხედველობა მეტ-ნაკლებად აისახება ქართულ რომანტიზმშიც, მიუხედავად იმისა, რომ მას გერმანული რომანტიზმისაგან განსხვავებით თეორიული საფუძველი არა ჰქონია. ბარათაშვილის შემოქმედებაში ძალიან კარგად ჩანს ღვთაებრივის შეცნობის სურვილის უსაფუძვლობა, გონების უძლურება ჭეშმარიტების აღსაქმელად; ცხოვრების საზრისად რწმენის აღიარება, რომელიც მოქმედებისაკენ უბიძგებს ადამიანს; არაცნობიერისა და იმქვეყნიურის პოეტურ წარმოსახვაში წარმოდგენა და ა.შ.

გერმანელ რომანტიკოსთა პოეტურ თუ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში განსაკუთრებული ადგილი ირონიას უჭირავს. ფრიდრიხ შლეგელის სიტყვებით, ის არის ტრანსცენდენტური დაცივნა, განწყობა, რომელიც ეხმარება პოეტს დადგეს ყველაფერ პირობითზე უფრო მაღლა როგორც მხატვრული, ისე ზნეობრივი მიმართებით და იდეალის სიმაღლიდან უყუროს სამყაროს, როგორც თამაშს. სწორედ ამგვარად აღწევს რომანტიკოსი პოეტი სრულ თავისუფლებასა და სუბიექტივიზმს. გერმანული რომანტიზმისაგან განსხვავებით, ქართული ლიტერატურული მიმდინარეობა არ იცნობს ირონიას, როგორც თავისუფლების მოპოვების რომანტიკულ მხატვრულ ხერხს. ხანდახან კიდევ მიმართავს მას, მაგრამ არ აქცევს მხატვრული სტილის განმსაზღვრელად. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ბარათაშვილის სატირულ შემოქმედებას, რომელიც, თანამედროვეთა მოგონებებით, არსებობდა და თავის „პირწვეტიანობასაც“ ამჟღავნებდა. თუმცა მას თვით ბარათაშვილი არ მიიჩნევდა მნიშვნელოვნად, რადგან არცერთ თავის ხელნაწერ კრებულში არ შეუტანია.

რომანტიკოსი პოეტის მსოფლალქმა ყველაზე მკვეთრად შლა-იერმახერის შეხედულებებში ჩანს. მისი აზრით, რელიგია მდგომა-რეობს არა დოგმატებსა და სათნოებაში, არა ცოდნასა და მოქმე-დებაში, არამედ – ჭვრეტასა და გრძნობაში. ამ ჭვრეტით თითოეუ-ლი ადამიანი უნივერსალურობის შუანერტილია, ბუნების ყოველი მოვლენა კი ღვთაებრივის გამოცხადება, სადაც სასრული მიის-წრაფვის უსასრულოსკენ. ბარათაშვილიც ჭვრეტას ანიჭებს განსა-კუთრებულ ყურადღებას. ბუნების წიაღში მიდის სამყაროს, ყოფი-ერებისა და ღვთაებრიობის აღსაქმელად. ჭვრეტის შედეგად ბუნე-ბის მოვლენებს აღიქვამს, როგორც ღვთაებრივის გამოცხადე-ბებს, უაქტიურდება გრძნობა, რომელსაც თავისთავად მოაქვს მოქმედება: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავ-სოს...“ ბარათაშვილის მიერ აღწერილ ბუნებაში მინიერი მიის-წრაფვის ზეციერისკენ, სასრული უსასრულობისაკენ – მტკვარი ჩინარისკენ, ფიქრი ცისაკენ, სული ზედის საზღვრისკენ.

გერმანულ რომანტიზმში თვალსაჩინოა ეროვნული ტენდენ-ციებიც. ამ ქვეყნის რომანტიზმი გატაცებული იყო წარსულით და უარს ამბობდა თანამედროვე ცხოვრებაზე. ქართული რომანტიზ-მიც ეროვნულ სევდაზე დგას, საქართველოს ანექსიაა მისი ტკივი-ლის წყარო. ამიტომ ქართველ რომანტიკოსს მოსწონს ქვეყნის დი-დებული წარსული და სასიკეთოს ვერ ხედავს ანმყოში. ეს ტენდენ-ცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ვახტანგ და ალექსანდრე ორ-ბელიანების შემოქმედებაში.

ფილოსოფიური საფუძვლიდან გამომდინარე, გერმანული რო-მანტიზმის თეორეტიკოსები – ვაკენროდერი, ტიკი, ნოვალისი, ზოლგერი, შლეგელები – პოეზიის ფუნქციად თვლიდნენ განწყო-ბის გადმოცემას, რომელიც ხშირად განუსაზღვრელი და ბუნდო-ვანი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ უნდა გამოეხატა მიღმური სამყაროს განჭვრეტის მცდელობა. რომანტიკოსები, მათ შორის განსაკუთრებით ავგუსტ შლეგელი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-დნენ მშვენიერების აღქმას. მათი დეფინიციით, რომელიც შელინ-გის თვალსაზრისს ეფუძნება, „მშვენიერი არის უსასრულოს სიმ-ბოლური გამოხატულება“. ავგუსტ შლეგელი მიუთითებს ფილო-სოფიისა და პოეზიის აუცილებელ სინთეზზეც. ეს სინთეზი იმდე-

ნად თვალსაჩინოა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაშიც, რომ ჩვენ პოეტის ლირიკას ფილოსოფიურს ვუნოდებთ. ფილოსოფიურობის განმსაზღვრელი სწორედ სამყაროს ქვრეტა და მიღმურის აღქმაა. ბარათაშვილისთვის მშვენიერება განსაკუთრებული ცნებაა, რომელიც განსხვავდება სილამაზისგან და გრძნობაში გამოიხატება, ღვთაებრივის გამოვლენაა – „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსრული...“.

ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიური შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ფრიდრიხ შლეგელის თვალსაზრისიც რომანტიკული პოეზიის შესახებ, რომლის არსი მარადიულ განვითარებაში მდგომარეობს – პოეზია უსაზღვრო და თავისუფალია, ვერ იტანს ვერანაირ ჩარჩოებსა და კანონებს. ფრიდრიხ შლეგელი გვაძლევს პოეზიის ტრანსცენდენტურ განსაზღვრებას. ამ განსაზღვრებაში არ შეიძლება არ დავინახოთ ფიხტეს ფილოსოფიის გავლენა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამყარო არის ჩვენი „მეს“ მხატვრული ნაწარმოები, ყველანაირი ხელოვნება და პოეზია კი თავის თავში შეიცავს ფილოსოფიას. შლეგელისათვის ადამიანის უმთავრესი ღირებულება არის რელიგია – მთელი მისი გონებრივი ძალების ცენტრი, ხოლო პოეზია და ფილოსოფია რელიგიიდან გამომდინარეობს, მისი ფაქტორებია. რელიგიის სფეროში ფრ. შლეგელს შეაქვს ფანტასტიკურობა და მისტიციზმიც. ადამიანის განვითარების იმპულსს ის ხელოვნებაში კი არ ხედავს, არამედ – რელიგიაში. ბარათაშვილის პოეზიიდან ლოგიკურად გამომდინარეობს აზრი, რომ მთავარი არ არის მიზნის მიღწევა, მთავარია პროცესი – მუდმივი სწრაფვა შეცნობისაკენ, მიზნისკენ, ანუ მარადიული განვითარება. ბარათაშვილთან ტრანსცენდენტური პოეზია კი არა, თავად გრძნობაა, რომელსაც პოეზია უმღერის და თავის საგნად აქცევს. აქედან გამომდინარე, პოეზიაც თავისუფალი ხდება, ჩარჩოებისა და კანონების უარმყოფელი; ამ უკანასკნელთაგან თავისუფლდება წარმოსახვა და „ემშით დამდნარი“ უერთდება უსაზღვროებას. ადამიანის როგორც არსებობის, ასევე წარმოსახვის საფუძველი რელიგია ხდება – სწრაფვა ღვთისაკენ. რელიგიურობა პოეტისათვის ფანტაზიითა და მისტიციზმით გამოიხატება. ფანტაზიაა „ცის ქედისკენ“ სწრაფვა, ლურჯ ფერთან შერწყმა, ნისლის

შეერთება ცასთან, მაგრამ მისტიკაა სულის მიერ „ბედის საზღვრის“ გადალახვის პროცესის შეცნობა, გააზრება (რაც რეალურად შეუძლებელია).

გერმანული რომანტიზმისაგან განსხვავებით, ინგლისურ რომანტიზმში დიდია სწრაფვა რეალიზმისაკენ. ეს პროცესი ლიტერატურაში მე-18 საუკუნიდან ხდება თვალსაჩინო. პოეზიის მარადიული თემა ინგლისურ რომანტიზმშიც ადამიანის სულის ცხოვრებაა, რომელიც ყოველდღიურობაში, ყოფითში ვლინდება. მწერლის ამოცანაა, მკითხველის აზრსა და გრძნობაზე სწორი ზემოქმედებით აამოქმედოს იგი. ინგლისური რომანტიზმის ყველაზე დიდებული წარმომადგენელი ბაირონია. ბაირონის შემოქმედებაში ძალზე ძლიერია რეალიზმი. პოეტი იმდენად დეტალურად გამოხატავს გარემომცველ სამყაროს, რომ, ერთი შეხედვით, რეალისტადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ არა ასახვის თავისებურებაში გამომჟღავნებული უაღრესად მოჭარბებული სუბიექტივიზმი. ბაირონს მხოლოდ გარე სამყარო არ აინტერესებს, ის დიდ ყურადღებას უთმობს ამ სამყაროს ზემოქმედებას მასზე, თავის სუბიექტურ შეფასებას და ირონიას, რომელიც გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს პოეტს და ათავისუფლებს საზოგადოებრივი მორალისაგან. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მიუთითებენ ბარათაშვილისა და ბაირონის შემოქმედებათა ტიპოლოგიურ კავშირზე, რომელიც, პირველ რიგში, ორივე მწერლის რეალიზმისაკენ გადახრაში მჟღავნდება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო პოემებში ხდება. ბაირონი ზუსტად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ამა თუ იმ მოვლენის ზემოქმედებით მიღებული განცდების აღწერას. ამ განცდებში თვალსაჩინოა მძაფრი ირონია თითქმის ყველა მოვლენისა და გრძნობისადმი, საკუთარი თავისადმიც კი. ამ ირონიის წყალობით პოეტი თავისუფლდება ლიტერატურული ჩარჩოებისაგან. ის თვით რომანტიკულ გრძნობას დასცინის პოემა „დონ ჟუანში“ და უტილიტარულ მოთხოვნილებაზე დაჰყავს. მსგავს განცდას ვერ ვნახავთ ბარათაშვილთან, სამაგიეროდ რეალიზმისკენ სწრაფვა ორივე პოეტთან თვალსაჩინოა. პოემა „ბედი ქართლისაში“ ისე აისახება ქვეყნის პრობლემები, რომ უშუალოდ მწერლის დამოკიდებულება და,

მით უმეტეს, მისი გრძნობები არ წარმოჩნდება. პოემაში „ღონ ყუანი“ კი აღწერილია არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟის ისტორია, არამედ, უპირველესად, მწერლისდროინდელი სინამდვილე (თუნდაც, ბაირონის მიმართებები ისტორიული და მიმდინარე მოვლენისადმი, შეხედულებები თანამედროვე მწერლებსა და მოღვაწეებზე, რომელთა შორის არიან: უილიამ ბლეიკი, სემუელ ტეილორ კოლრიჯი, უილიამ უორდსუორთი, რობერტ სკოტი, თომას კემპბელი, სემუელ როჯერსი, თომას მური, ჯორჯ ქრაბი და სხვები; მათთან ურთიერთობის ნიუანსები და ა.შ.). ორი დრო თანაბარ კალაპოტში მიედინება, თუმცა სიუჟეტის განვითარება მხოლოდ ერთ დროში ხდება. ორ დროში ლავირება, პერსონაჟისა და ავტორის დროისა და გარემოს გაერთიანება ბაირონის პოემათა სტილის თავისებურებაა, რაც ბარათაშვილის პოემაშიც შესამჩნევია, თუმცა არა ბაირონისებური სიმკვეთრით. ბარათაშვილისდროინდელი სინამდვილე პოემის დასაწყისში მჟღავნდება კახელებისადმი მიმართვით. იგი გარკვევით ამბობს, რომ აღწერს იმას, რაც ერეკლეს მეფობის დრომ „მოუვლინა“ – დაუტოვა პოეტის ყმანვილობის ჟამს, ბარათაშვილის ეპოქას. ეს დანატოვარი კი ერის გაორებული თვალთახედვაა. ის აღწერს არა ისტორიულ სინამდვილეს, არამედ ისტორიული სინამდვილის თანამედროვე ორგვარ ინტერპრეტაციას. „ბედი ქართლისას“ ანალიზისას ჩვენ აღვნიშნავთ, რომ სინამდვილეში ამგვარი საუბარი მეფესა და მის მსაჯულს შორის ვერ შედგებოდა, რადგან ერეკლეს სიცოცხლეში სოლომონი რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის აქტიური მხარდამჭერი იყო, რადგან ხედავდა, რომ საქართველოს სხვა გზა არ ჰქონდა; მისი პოზიცია რადიკალურად იცვლება საქართველოს ანექსიის შემდგომ. პოემაშიც სოლომონის პირით მისი შემდგომი, მოღვაწეობის ბოლოდროინდელი, პოზიციაა გააფლერებული, როცა სოლომონი რუსეთის სასტიკი მონინააღმდეგეა და ამას აქტიური ქმედებით ადასტურებს; ხოლო ერეკლეს სიტყვებით ის პოზიციაა ჩამოყალიბებული, რომელიც კვლავ მოგვიანებით გამოიკვეთა, ერეკლეს რუსეთისაკენ გადადგმული ნაბიჯის შედეგი იყო და არა მეფის გადაწყვეტილება – საქართველო რუსეთს შეერთებოდა. ერეკლეს დროს შეერთების საკითხი არც იდგა და არც მოიაზრე-

ბოდა. ცხადი ხდება, რომ ერეკლესა და სოლომონის დიალოგით ბარათაშვილისდროინდელი საზოგადოების ორი თვალთახედვაცაა გაცხადებული. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, საქართველოს არ შეუძლია არსებულ პირობებში დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის მოკავშირედ მართლმორწმუნე რუსეთის არჩევანია. საზოგადოების მეორე ნაწილი ამტყუნებს ერეკლეს პოლიტიკურ ნაბიჯს, რადგან მეფის გადაწყვეტილებამ – რუსეთის პროტექტორატში შესვლამ – ქვეყანა დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა. როგორც ვხედავთ, ბარათაშვილთანაც ორი დრო და გარემო თანაარსებობს – ავტორის და პერსონაჟთა; ბაირონთან მკვეთრია პერსონაჟის დროდან ავტორის დროზე გადასვლა, ავტორი უხერხულობას არც კი გრძნობს თავისი ეპოქის ამბები თავს მოახვიოს მკითხველს; ხოლო ბარათაშვილთან მკითხველი თითქმის მთლიანად წარსულში ვარდება, თანამედროვეობა პოემაში შეფარვით წარმოჩნდება; თუმცა დაკვირვებული მკითხველის თვალთახედვას არ გამოორჩება დროთა და ეპოქათა პარალელური თანაარსებობა. დროთა პარალელიზმი პოემის სათაურშიც აისახება – „ბედი ქართლისა“ მხოლოდ ერეკლეს მეფობის პერიოდზე არ მიგვითითებს, ის ვრცელდება თანამედროვეობაზეც. ბაირონის მიერ პოემათა დასათაურება კი, თუნდაც, „დონ ჟუანი“, „მანფრედი“, „ჩაილ ჰაროლდის მოგზაურობა“, უფრო ხშირად მხოლოდ პერსონაჟის დროზე მიგვანიშნებს, რასაც ვერ ვიტყვით პოემაზე „კაენი“. თანამედროვეობის ამგვარი წინ წამოწევა სუბიექტივიზმის ერთ-ერთი ნიშანია, თუმცა თითოეული რომანტიკოსი სუბიექტივიზმს სხვაგვარადაც ამჟღავნებს: როგორც ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალიზმის წინ წამოწევით, ასევე ავტორის სუბიექტური შეხედულებებით.

ბაირონსა და ბარათაშვილს შორის ტიპოლოგიურ მიმართებას ძირითადად მათი სულიერი ნათესაობა ქმნის: მძიმე ნალველი, სიმშვიდედაკარგული სული, რომელიც მუდმივად მიქრის და ადამიანი ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავს („**უკვე გავრბივარ, ეს ნაპირიც დავტოვო ბარემ**“ /ბაირონი; „**მირბის, მიმაფრენს...**“ /ბარათაშვილი). ორივე პოეტთან ფიგურირებს მსგავსი კონცეპტები – ტაძარი, ტრფობის ტაძარი, რწმენის კოშკი; მერანი, ხომალდი;

„შუქმიბინდული მთვარე“ და „მთვარე ლურჯი შუქის მოდებით“. ბაირონის სული არ ნებდება ქარსა და ნამქერს და ისრის სისწრაფით მიქრის ისევე, როგორც ბარათაშვილის მხედარი, რომელიც მზადაა ნებისმიერი სიძნელის გადასალახად. თუ ბაირონის სული სასაფლაოსკენ მიექანება, ბარათაშვილის მერნის მხედარი „ბედის სამძღვრის“ გადასალახავად იბრძვის, რაც ფიზიკურ სიკვდილში კი არ გამოიხატება, არამედ იმქვეყნიურის შემეცნებაში. ბაირონისთვის ლურჯი პოეტურის გამოხატულებაა: ანესლის მთის ლურჯ მწვერვალებს ახსოვთ პოეტი ბაირონი, რომელსაც ისევე უყვარს ობლად ხეტიალი, როგორც ბარათაშვილს მთანმინდის კალთებზე; ბაირონის მთვარე ლურჯ შუქსა ჰფენს გარემოს და **„ქარს სძინავს ლურჯ საქანელაზე“** (დონა კოლხი, დავით გაბუნია 2017 : 62). ბარათაშვილისათვის ლურჯი „ცისა ფერია“, „პირველადქმნილი ფერია“, არაამქვეყნიურობის, ზეციურის ნიშანია (**„თვალეში მშვენიერს / ვეტრფი მე ცისა ფერს, / მოსრული იგი ცით / გამოკრთის სიამით“** / ბარათაშვილი 1968 : 113). ჩვენ შეიძლება მრავალი საერთო და განსხვავებული ნიუანსები გამოვყოთ ბაირონისა და ბარათაშვილის შემოქმედებათა შედარებისას. ზემოთ ჩამოთვლილი კონცეპტები ქმნის მათ იდეოლოგიას, პოეტურ აზროვნებას. ორივე პოეტისათვის საერთო და ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტი, ჩვენი აზრით, მარადიული სწრაფვაა, მუდმივი ლტოლვა („სირბილი“) მიუღწევლისაკენ. ბაირონის შემოქმედებაში თვალსაჩინოა სწრაფვისა და მოძრაობის შინაგანი რითმი: **„უკვე გავრბივარ, ეს ნაპირიც დავტოვო ბარემ“** /დონა კოლხი, დავით გაბუნია 2017 : 43); ბარათაშვილთან ეს რითმი არათუ თვალსაჩინოა, არამედ მისი შემოქმედების საზრისია. მასთან თითქმის ყველაფერი ზეცისკენ მიისწრაფვის, მათ შორის, ფიქრი, რათა შეუერთდეს „ცის ქედს“; ნისლი, რომელიც ერწყმის ლურჯ ცას; სული, რომელიც იღვნის ციურის, ღვთაებრივის შესაცნობად.

სუბიექტივიზმი ძლიერია ფრანგულ რომანტიზმშიც. ამ სკოლის ყველა პოეტი გამსჭვალულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით. ქრისტიანობა მათ შემოქმედებაში სასონარკვეთილთა და მიუსაფართა იმედად იქცევა. ვიქტორ ჰიუგო რელიგიაში ხედავს არა მხოლოდ პოეტური შთაგონების წყაროს, არამედ ადამიანის

არსებობის აზრს. ამ მხრივ ბარათაშვილი ენათესავება ფრანგულ რომანტიზმს, ისიც ღმერთის ძიებაში ხედავს ადამიანის ცხოვრების საზრისს. ეს ძიება განამტკიცებს მას რწმენაში და ქმედებისაკენ უბიძგებს. ჰიუგოს ოდებში პოეზიის შთამაგონებელი რწმენა წარმოჩნდება, რომელიც საფრანგეთში შატობრიანმა აღადგინა. ჰიუგო განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ფიზიკურ სიმახინჯზეც ამახვილებს, რომლის მიღმა იმალება მისი მაღალი შინაგანი სამყარო, შინაგანი სილამაზე („პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „კაცი, რომელიც იცინის“). ბარათაშვილის მხატვრულ ობიექტივში არ ექცევა ფიზიკური სიმახინჯე, თუმცა პოეტი არც სილამაზეს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. სილამაზე, მისი აზრით, მხოლოდ „ხორციელების ნიჭია“, ამიტომაც წარმავალია ყვავილივით. მისგან განსხვავდება „მშვენიერება“, რომელიც ზეციურია და ნათელთან არის დაკავშირებული. მშვენიერება ანათებს ადამიანის გრძნობას, სულსა და გულს; ე.ი. მშვენიერება ფიზიკური კატეგორია კი არ არის, სულიერ სფეროს მიეკუთვნება და ადამიანთა ქმედებაში მჟღავნდება. ის ყოველთვის გრძობის გამოხატულებაა.

ალსანიშნავია კიდევ ერთი ნიშანიც ევროპული რომანტიზმისა. ეს არის ლიტერატურაში ფანტასტიკისა და გროტესკის გამოვლენა. ვგულისხმობთ ყველა იმ ტექსტს, რომელშიც ირღვევა ბუნებრივი კანონები და არარსებული არსებულად წარმოგვიდგება, უჩვეულო, ჯადოსნური და ფანტასტიკური ჭეშმარიტების ძიების სანინდარი ხდება. ფანტასტიკა განსაკუთრებით ლ. ტიკისა და ნოვალისის შემოქმედებაში აისახა. რომანტიკოსთა ჰაიდელბერგის სკოლამ ფანტასტიკური ელემენტებით შეავსო სიუჟეტი, რადგან მკითხველს საიდუმლო და ამოუცნობი იზიდავდა. ქართულ რომანტიზმში ძალიან სუსტია ფანტასტიკის გავლენა, რითაც იგი რუსულ რომანტიზმს ენათესავება. ფანტასტიკა საერთოდ არ ჩანს ბარათაშვილის შემოქმედებაში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბარათაშვილის სამყარო დაცლილია ამოუცნობისა და იდუმალის გაგებისაგან.

პოლონურ ლიტერატურაში სამი რომანტიკოსი პოეტი გამოირჩევა: მიცკევიჩი, კრასინსკი და სლოვაკი. სამივე ნასაზრდოებია იმ სევდა-მწუხარებით, რომელიც ეროვნული იდეალების

ნგრევას მოჰყვა – ნაპოლეონის არმიის შემოსევის შემდგომ პოლონეთის მიწა დაიშალა და გადანაწილდა მეზობელ სახელმწიფოებს შორის. მიცკევიჩის ახალგაზრდობის წლები ემთხვევა პოლონელი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ვილნოს უნივერსიტეტი, რომელშიაც მიცკევიჩი სწავლობდა, წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო. შემდგომაც, როცა პოეტი სამშობლოში აღარ ცხოვრობდა, პოლონელ ხალხს მისი სიმღერები ამხნევებდა უთანასწორო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. საქართველოში მიცკევიჩს სიცოცხლეშივე იცნობდნენ. მისი ზოგიერთი თანამებრძოლი საქართველოში იყო გადასახლებული. ბუნებრივია, ისინი სახალხო პოეტის შემოქმედებას პოპულარიზაციას უწევდნენ. პოლონეთში კი 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი იყვნენ გადასახლებულნი, მათ შორის გრიგოლ ორბელიანი და გიორგი ერისთავი. ამ უკანასკნელმა ვილნოშივე, მიცკევიჩის მშობლიურ ქალაქში, დაიწყო პოეტის შემოქმედების თარგმნა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიცკევიჩის ლექსები ქართულად 1832 წლის შეთქმულებამდე იყო ნათარგმნი. დიმიტრი ყიფიანის გადმოცემით, ელიზბარ ერისთავის ბინაზე შეკრებილმა შეთქმულებმა სთხოვეს სოლომონ რაზმაძეს, წაეკითხა მის მიერ რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი მიცკევიჩის „ფარისი“.¹ აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ ბარათაშვილს არ სცოდნოდა მიცკევიჩის შემოქმედება და საკუთრივ ლექსი – „ფარისი“, ამიტომ შესაძლოა ლიტერატურულ გავლენასთანაც გვეკონდეს საქმე, თუმცა ქართველ პოეტს არსად (მხედველობაში გვაქვს მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა) არ აღუნიშნავს, რომ „მერანი“ „ფარისის“ გავლენით შექმნა. ბარათაშვილი გულწრფელად ჰყვება ბიძისადმი მიწერილ წერილში, თუ რამ დააწერინა ეს ლექსი. მიუხედავად ამისა, გვახსენდება, რომ ბარათაშვილის წერილის ტექსტის საკმაოდ დიდი ნაწილი ამოღებულია საცენზურო პირობების გამო, წერილის დედანი კი დაკარგულია. გრიგოლ ორბელიანს წერილი გადაუცია პეტრე უმიკაშვილისთვის. ამ უკანასკნელს წერილიდან 21 სიტყვა ამოუღია და ეს

¹ დ. ყიფიანი, „მემუარები, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990, გვ. 40.

სიტყვები იმდენად სახიფათოდ მიუჩნევია, რომ თავადაც დაშიფრულად, კოდის სახით ჩაუნიშნავს. ტექსტი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ პეტრე უმიკაშვილს არ სურდა დავინწყნოდა იგი, ამიტომაც კოდირებულად ჩაუნერია. გვიჩნდება ეჭვი, ხომ არ ფიგურირებს აქ მიცკევიჩის სახელი, რომელიც ცენზურისათვის კვლავ მიუღებლად რჩება?!

მიცკევიჩის ლექსში მკვეთრია სულის წარმოდგენა სატრანსპორტო საშუალებების სახით – ნავითა და ცხენით, რაც ბარათაშვილის ლექსში მხოლოდ შეფარვით იხატება. ბარათაშვილი გვეუბნება, რომ ლექსში „განწირულის სულის კვეთება“ აღწერილი, ჩვენ კი მასში მხოლოდ მერანის კვეთებას ვხედავთ. ე.ი. მერანი სულია, რომელიც იბრძვის ბედის საზღვრის გადალახვისთვის. მიცკევიჩის ფარისი არაბის რაშია, რომელიც გავარვარებულ უდაბნოში, ქვიშის მორევში, მიიკვლევს გზას. სამყაროს უდაბნოდ წარმოდგენა კიდევ უფრო სიმბოლურს ხდის სათქმელს. შემთხვევითი არ არის რაშის იმ ნავთან შედარებაც, რომელიც ზღვაში მიიკვლევს გზას. უდაბნო და ზღვა ერთი დატვირთვის სიმბოლოებია. უდაბნო მშრალი ზღვაა, გარს რომ არტყამს რაშს. რაშიც დელფინთანაა შედარებული, რომელიც მკერდით მიახლოვებს „ტალღებს ფხვიერსა“.

ბარათაშვილის მერანის გასავლელ გზაში მხოლოდ სიმაღლე არ იგულისხმება. ეს გზა არის წინსვლისა და აღმასვლის, თუმცა ამაზე ბარათაშვილი პირდაპირ არ საუბრობს; მიცკევიჩის ფარისი კი „**მისცურავს მაღლა, ვით შავი აფრა, /და ზე ასცილდა ის ქვიშის ქაოსს**“ (მიცკევიჩი 1986 : 166). თუ ბარათაშვილის მერანს საფრთხეს შავი ყორანი უქმნის, მიცკევიჩის ფარისს უფრო მეტი მტერი ჰყავს. ბედუინის წინსვლას ხელს უშლიან „უდაბნოს საზღვრის მოდარაჯედ აწვდილნი კლდენი“, ბედუინს კი არ სურს, მწირი უდაბნო მუდმივ ბინად ექცეს. შავი ყორნის ნაცვლად, მის წინსვლას მთებთან ერთად ძერაც ელობება; აფრთხილებს ბედუინს, რომ ამ გზიდან უკან არავინ ბრუნდება; აქ მხოლოდ მკვდრებისა და ძერების სამყოფელია. ნათელია, რომ თეთრფეხება ფარისი სიცოცხლის საზღვრის გადალახვას ცდილობს. შემდეგ დაბრკოლებას მხედარს ღრუბელი უქმნის. მფრინავ ცხენს უკან რჩება კლდე-

ები, ძერაცა და ღრუბელიც; „ცის თალი“ აშორებს მას ამ სიძნელე-
თაგან. ეს არაჩვეულებრივი მხატვრული სახე უცხო არ არის ბარა-
თაშვილის შემოქმედებისთვისაც, ქართველ პოეტთან მას „ცის
ქედი“ და „ცის დასავალი“ ჰქვია. მიცკევიჩის ფარისი და ბედუინი
ხვდებიან მკვდართა საუფლოში, სადაც თეთრი ცხენები და თეთ-
რი მხედრები დგანან და ხმას არ იღებენ. ისინი ცხედრები არიან.
ბოლო დაბრკოლება ბედუინისთვის გრიგალია, რომელიც

**„ცეცხლოვან სულის შებერვით მწვავდა,
ფრთების შემოკვრით ქვიშაში მფლავდა,
მალლა მისროდა, ძირს მცემდა ხვნეშით
და მანვებოდა ზედ ძიმე სრეშით“**

(მიცკევიჩი 1986 : 170).

მათ შორის ორთაბრძოლა იმართება. გრიგალის საზარელი
რუხი მხედარი მარცხდება. სწრაფვა კვლავ გრძელდება:

**„ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიექანება,
სულ ზევით, ზევით – ცის გუმბათის თაღს ეტანება“
(იქვე).**

მიცკევიჩის ამ სიტყვების ორიგინალური და თავისებური პოე-
ტური ალქმია ბარათაშვილის სტრიქონები ლექსებიდან – „შემოლა-
მება მთაწმინდაზედ“ და „ცისა ფერს“:

**„ანცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან“**

(ბარათაშვილი 1968 : 88);

**„ფიქრი მე სანატრი
მიმინვეს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს“**

(ბარათაშვილი 1968 : 113).

მიცკევიჩიც მთლიანად იძირება პოეტურ წარმოსახვაში:

**„მეც ლაჟვარდ ცაში
ფიქრთან ერთად ჩავძირე სული!“
(მიცკევიჩი 1986: 170).**

თუ „მერანში“ ღმერთთან მისვლის მისტიკური პროცესია გამოხატული, გონებით აღქმა იმისა, რაც ბედის საზღვრის გადალახვის შედეგად მოხდება, მიცკევიჩის „ფარისში“ მისტიკურ პროცესს ემატება წარმოსახვითიც. მიცკევიჩი არაჩვეულებრივად გამოხატავს სწრაფვის მუდმივობას. მკვდართა საუფლო ბოლო წერტილი არ არის სულისთვის, რომელიც „ცის გუმბათის თალისკენ“ მიიწევს; არც ბარათაშვილის მერნის ჭენებას აქვს საზღვარი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ტიპოლოგიური მსგავსება ამ ორ პოეტს შორის. წყალში ცა მოჩანს. წყალთან ფიქრი ცაზე ფიქრია. სვიტეზის ტბა ჯადოსნურ ნახატს ჰგავს, რადგან:

**„ფსკერიდან ვარსკვლავი თვალს დაგიფახულებს,
ორ მთვარეს დალანდავ ცხადად.
წაშლილა ზეცისა და მიწის სამანი,
მოსარკულ ბილიკებს ზვერაჟ.
გგონია, აქვეა ცის შორი თავანი,
და ხელით მისწვდები, გჯერა“
(მიცკევიჩი 1986 : 20).**

წყლის პირას მჯდარი ბარათაშვილიც ცაზე ფიქრობს:

**„ნელად მოლელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა....“
(ბარათაშვილი 1968 : 95).**

გარდა ტიპოლოგიური მიმართებებისა, თვალში საცემია ორივე პოეტის სულიერი სიახლოვე, რომელსაც გარკვეულწილად მათი ქვეყნების ტრაგიკული ბედი განსაზღვრავს. თუ ქართველი პოეტი ეროვნულ საკითხზე მხოლოდ პოემა „ბედი ქართლისაში“ მსჯელობს, ხოლო სხვა ნაწარმოებებში ფარული მინიშნებები აქვს, პოლონელი პოეტის შემოქმედება უფრო თავისუფალია შეზღუდვებისგან, თუმცა მიცკევიჩსაც ხშირად სათქმელი მითოლოგიურ დროში გადააქვს, ქმნის ბალადებს და მათში აქსოვს ლე-

გენდებს გმირ სვიტეზელთა შესახებ, რომლებიც ტბის ქვეშ დაიმარხნენ, მაგრამ პერიოდულად ამოდიან და თავიანთ თავს შეახსენებენ თანამედროვეებს. მიცკევიჩი აერთიანებს ორ სამყაროს – ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს, ანათესავებს ორ ეპოქას – შორეულსა და თანამედროვეს; მილმიურისა და შორეულის წარმოსახვაში მას პოლონური ფოლკლორი ეხმარება, რომელიც რომანტიზმის გმირს აკავშირებს ამ მისტიკურ სივრცეებთან.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი მსოფლიო რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლებს ენათესავება და განსხვავდება კიდეც მათგან. უპირველეს ყოვლისა, ეს ნათესაობა რომანტიკულ მსოფლხედვასა და მხატვრულ სახეთა შთამბეჭდაობაში, მათ ზემოქმედებით უნარსა და მასშტაბურობაში გამოიხატება; მთელი რიგი განსხვავებანი კი შემოქმედთა ინდივიდუალიზმის შედეგია. ჩნდება კითხვა, – რით გამოირჩევა ნიკოლოზ ბარათაშვილი მსოფლიო რომანტიკოს პოეტთა შორის? ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველი პოეტის მხატვრული ნააზრევი არ ჩამოუვარდება მსოფლიოს გენიოსთა ნაფიქრს. მხატვრულ სახეთა სისტემა იმდენად დახვეწილია ბარათაშვილთან და ქართველი მკითხველისათვის ახლობელი, რომ მის უპირატესობასაც კი გაფიქრებინებს, ლექსის მუსიკალურობა თავის მაქსიმუმს აღწევს, თითოეული მხატვრული ტექსტის ფორმა უშუალოდ მისთვის (ამ ტექსტისთვის) არის შექმნილი. რაც შეეხება საკითხს, თუ რა არის განსხვავებული და სხვათაგან გამორჩეული ბარათაშვილის შემოქმედებაში, ვიტყვით, რომ ეს არის პოეტის მიერ უფლის შემეცნებისკენ სწრაფვის უპირატესობის აღიარება, რადგან სწრაფვა არ შეიძლება იყოს უმიზნო; მას ყოველთვის მოაქვს შედეგი. იგივე აზრი ფარულად იკითხება ბაირონის, მიცკევიჩის, ლერმონტოვისა და პუშკინის შემოქმედებაშიც, მაგრამ ბარათაშვილთან უფრო მეტი დამაჯერებლობით არის გამოთქმული – **„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება...“**; კიდევე ერთი, ზემოთ ჩამოთვლილ რომანტიკოსთაგან სატრფოს ყველა მშვენიერ სულად აღიქვამს, მაგრამ მხოლოდ ბარათაშვილს ესახება სიყვარული მშვენიერ სულთა კავშირად, რითაც უარყოფს ცალ-

მხრივი სიყვარულის არსებობას, ხოლო ამ ჰარმონიული კავშირის დარღვევას სამყაროს დაქცევად და ტაძრის დარღვევად მიიჩნევს.

რომანტიკოსი პოეტები ზღვას ჰგვანან თავიანთი გრძნობებითა და მღელვარებით. ზღვა სხვადასხვაგვარია: დიდი და პატარა, ტალღოვანი და წყნარი; თეთრი და შავი, წითელი და ლურჯი. ბართაშვილი დიდი, ლურჯი და მღელვარე ზღვაა.

ბიოგრაფიის გაგრძელება (ბარათაშვილის გავლენა შემდგომდროინდელ ქართულ მწერლობაზე)

ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენა მის შემდგომდროინდელ ქართულ მწერლობაზე უთუოდ დიდია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. გენიოსის ზემოქმედების ქვეშ მუდამ ექცევიან როგორც საშუალო დონის, ასევე დიდი ნიჭის ხელოვანებიც. ასეა ბარათაშვილის შემთხვევაშიც. პოეტი თანამედროვე საზოგადოებამ ვერ დაინახა, ხოლო მისი აღიარების შემდეგ ბარათაშვილით აღფრთოვანდა ყველა. ეს არ იყო ფეხის აყოლა, ეს იყო ჭეშმარიტად მისი პოეზიის შეცნობა და ამ პოეზიით მოხიზვლა. მაგრამ ერთია მოწონება და მეორე – გავლენა, თუმცა მოწონებას ხშირად გავლენა მოჰყვება. ჩვენ ლიტერატურულ გავლენაზე გვაქვს საუბარი და არა მიბაძვაზე. ილია ჭავჭავაძის აზრით, ბარათაშვილი „**ობოლი მარგალიტია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდმარტოა ჩვენს მწერლობაში. არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევი**“ (ჭავჭავაძე 1991 : 544). ილიას შეხედულებას არ ეწინააღმდეგება პავლე ინგოროყვას საკმაოდ ზუსტი დაკვირვება, რომ „**მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავტორი „ბედი ქართლისა“, არის მემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა**“ (ინგოროყვა 1968 : 33). ჩვენი მხრივ, დავძენთ იმასაც, რომ ბარათაშვილის მემკვიდრეები 60-იანელები არიან, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელნი. და, როცა ბარათაშვილის „მარტოდმყოფობაზე“ საუბრობს ილია, მას მხედველობაში აქვს პოეტის განსაკუთრებული ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და არა გავლენის ბუნებრივი პროცესი.

ბარათაშვილის მჭიდრო კავშირი 60-იანელებთან უპირველესად ეროვნული კუთხით წარმოჩნდა; თემატური სიახლოვე პოეტთან კი მთელ შემდგომდროინდელ ქართულ მწერლობაზე აისახა: „მარტოსულობა“, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ბარათაშვილისეული მოტივის აღქმა მიიღო, თითქმის ყველა პოეტმა შეიგ-

რძნო და სხვადასხვაგვარად გამოხატა თავის შემოქმედებაში. ბარათაშვილის „ბედისადმი დაუმორჩილებლობის“ იდეა საფუძველი გახდა იმისა, რომ ქართულ მწერლობაში ფესვგადგმული „სოფლის სამდურავის მოტივი“ 60-იანელებთან ბედისადმი დაცინვად და ფარსად იქცა. ბარათაშვილის არქაული ლექსიკა კი ბუნებრივად მოერგო არქაიზმებთან მეზობლ 60-იანელთა პოეტურ ენას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ენამ გავლენა მოახდინა კიდევ უფრო შემდგომ პერიოდზე. ქართული პოეზიის მეფედ აღიარებული გალაკტიონ ტაბიძე თავის ადრეულ ლირიკაში ხშირად იყენებს ბარათაშვილის ლექსიკას, მის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. გალაკტიონთან შესამჩნევია ბარათაშვილის ცალკეული ლექსებით შთაგონება და ბარათაშვილის მსგავს განცდათა გამომჟღავნება, თუმცა ორ გენიალურ პოეტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც შეინიშნება. „ცისფერყანწელები“, ქართული ლექსის რეფორმატორები და XX საუკუნის ქართული პოეზიის გეზის მიმცემნი, უარყოფენ წინამორბედებს, რათა გათავისუფლდნენ ყოველგვარი ლიტერატურული გავლენისაგან, მაგრამ, სინამდვილეში, თავიანთი ქვეყნის ლიტერატურული ტრადიციებით არიან აღზრდილნი და, ბუნებრივია, რომ დიდი კავშირი აქვთ უშუალოდ მათ წინამორბედ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობასთან, კერძოდ კი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასთან. გავლენა იგრძნობა არა მარტო თემატურად, არამედ მხატვრული სახეებისა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თვალსაზრისითაც.

ბარათაშვილი და ილია

ბარათაშვილის გავლენა პირველად ილია ჭავჭავაძის პოეზიაზედ შენიშნეს, რაც მსოფლმხედველობრივი და ლექსიკური სახისაა. ილია ბარათაშვილის შემოქმედების გაცნობისთანავე მოიხიბლა და პოეტს ორი ლექსი მიუძღვნა, შემდეგ კი დაწვრილებით და სიღრმისეულად განიხილა მისი პოეზია. ბარათაშვილის გავლენა ილიაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი პოეზიის დაფასებით არ არის განპირობებული. ილიამ მე-19 საუკუნის მთელი ქართული ლიტერატურა დაახასიათა, მაგრამ მხოლოდ „ბარათაშვილის მო-

კანანახე“ უნოდა მას აკაკი წერეთელმა, რაც ახალგაზრდა პოეტმა პატივად მიიღო. თუ რამ მისცა აკაკის ამის აღნიშვნის საფუძველი, თავად ილიას, ბარათაშვილისგან რადიკალურად განსხვავებულ, პოეზიაში უნდა ვეძიოთ. რადიკალობა იმისათვის ვახსენეთ, რომ ეს ორი პოეტი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ლიტერატურული მიმართულებით (ერთი რომანტიკოსია, მეორე რეალისტი), ასევე – პოეტური სტილით.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მწერლის მსოფლმხედველობის საფუძველი ბიბლია და ძველი ქართული მწერლობაა, ამიტომაც უფლისადმი სწრაფვისა და ჭეშმარიტების შეცნობის მოტივი საერთოა ბარათაშვილისა და ილიას შემოქმედებაში. მეტ-ნაკლებად საერთოა ის გზებიც, რომლებიც იკვეთება ამგვარი მიზნის მისაღწევად. ბარათაშვილის მსგავსად ყმანვილი ილიაც ცდილობს იმქვეყნიური სამყაროს შეცნობას; ბარათაშვილისთვის თუ ეს სამყარო „ზენაართ სადგურად“ იწოდება, ილიასათვის ის ყვარლის მთების „ზემო მხარეა“, სადაც ღრუბელნიც ვერ ბედავენ შიშით სრბოლას და წეროთა ქარავანსაც დაღუპვა მოელის. ამ საშიშ ადგილას მხოლოდ „ყმანვილ ყრმობის სიმარტივით“ თუ შეძლებ „ფრენას და ტანტალს“ („ყვარლის მთებს“). ილიაც ბარათაშვილის მსგავსად აღიქვამს, რომ ყრმა ამაღლებულია და უფალთან ახლოს მდგომი თავისი ყრმობით.

ბარათაშვილთან მკაფიოდ იკვეთება, რომ თავისუფლება, ბედნიერება და ღმერთთან სიახლოვე პოეტისათვის ერთმანეთის იდენტური ცნებებია. ყრმა თავისუფალია მანამ, სანამ შეუცვნია წუთისოფელი. წუთისოფლის შეცნობა ხდება სიყრმის პერიოდის გასვლიდან, როდესაც გონება იწყებს ამოქმედებას. ის აშორებს ადამიანს უფლისგან, აბამს წუთისოფლის მახეში და აკარგვინებს თავისუფლებას. ამიტომაც შენატრის პოეტი ყრმას:

**„იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ყამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!“**

(ბარათაშვილი 1968 : 103)

ილიაც ზუსტად გრძნობს, რომ გონება ამსხვრევს სარწმუნოებას, რომელიც ასე ძვირფასია ადამიანისათვის:

**„ჭკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა,
ცივად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ ტრფობასა,
მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი“
(„ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე, სიტკბონი შენნი?“/
ჭავჭავაძე 1987 : 90)**

თუ ბარათაშვილის ჩვილი პირდაპირ კავშირშია უფალთან, ილიას ყმა ამ კავშირს ოცნების მეშვეობით ამყარებს:

**„ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა“
(„ყვარლის მთებს“/ ჭავჭავაძე 1987 : 35)**

დრო-ჟამი აკარგვინებს ყმას ზეციურის წვდომის უნარს და დგება მის წინაშე ვალის მოხდის აუცილებლობა. „ვალის მოხდის“ საკითხი ყოველთვის უმთავრესი იყო ქართველი მწერლისთვის და მიუთითებდა უფალთან „სავალი გზის“ სირთულეზე. ბარათაშვილთან უფლის შეცნობის – ურწმუნოებისა და უნდობლობის დაძლევის – რამდენიმე გზა იკვეთება: 1) განმარტოება და „ცაზე“ ფიქრი ბუნების წიაღში; 2) სიყვარული, „მშვენიერ სულთა კავშირი“, რომელიც უკვდავებას აზიარებს ადამიანს; 3) ლოცვა, რომელიც „ბოროტ ვნებათაგან“ ათავისუფლებს კაცს და ღვთიურ ჭეშმარიტებამდე მიჰყავს; 4) პოეზია, რომელიც შლის ორ ქვეყანას შორის არსებულ გონებრივ ბარიერს და სამყაროს ერთიან ხატს ქმნის; 5) შეუცნობლის შეცნობა გონების მიერ გავლებული „ბედის საზღვრის“ გადალახვით.

ილიას აზრით, არსებობს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გზაც – ეს გზა განათლებაა, რაც ცოდნის მიღებასთან ერთად ადამიანის გონების რწმენით განათებასაც ნიშნავს. სწორედ ამიტომაც ითხოვს ვალის მოხდა ყვარლის მთებთან გაყრას და შემდეგ ხელმეორედ, ვალმოხდელის დაბრუნებას მათთან; თუმცა მთებთან მოშორება პოეტს აობლებს. ობლობა მარტოსულობის გამოხატულება და უფლისგან მოშორებაა. მარტოსული ურწმუნო ადამიანია, ის ვერ ხედავს

მასთან მუდმივად მყოფ ღმერთს, რომელიც მას მიმართავს: „**არა დაგიტევენ თქვენ ობლად, მოვიდე თქვენდა**“ (იოანე 14, 18). ადამიანმა უნდა დაძლიოს ობლობა და მოიხადოს ნუთისოფლის ვალი, არ ნავიდეს ამ ქვეყნიდან ისე, „**როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ**“ („კაცია-ადამიანი?“).

ილიას ლექსი „ყვარლის მთებს“ თავისი ლექსიკით გვაძლევს მისი სიმბოლური გააზრების საშუალებას – ყვარლის მთები ზეციურ სამყაროსთან დამაკავშირებელია და ამ გააზრების საფუძველი ცის ფონია, რომელიც გამოკვეთს მთების სიმაღლეს – „**მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაყვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს**“. ილიას მიერ გამოყენებული ლექსიკა – „შეუღლებული“ (ზეცასთან სიმბოლური ქორწინება), სიყრმე (ღმერთთან სიახლოვის ჟამი), სხვაგვარი შიში („იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი“), რომელიც არ აიხსნება სიმბდალით და რომელიც უფლის წინაშე მყოფობის შიშად უნდა აღვიქვათ – კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს აზრს.

ბარათაშვილთანაც და ილიასთანაც პოეტური ფანტაზიით ხდება უფლის შეცნობა: ბარათაშვილის ფიქრი ცდება ხილულ ცას და „ცის ქედამდე“ აღწევს, პოეტიც კარგავს რეალობის აღქმას და „ეშხით დამდნარი“ ერთვის ლურჯ ფერს. მისი სამარიდან ზევით ასული ლურჯი ნისლიც ცას უერთდება. ეს არის იმქვეყნიურობის პოეტური წვდომა, ზეცაში სრული გარდასახვის სურათი:

**„ფიქრი მე სანატრი მიმიწევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს...
სამარეს ჩემსა, როს გარს ნისლი მოეცვას –
იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!“
(„ცისა ფერს“ / ბარათაშვილი 1968 : 113)**

ყრმა ილია ამ ყოველივეს პოეტური ოცნებით ახერხებს:

**„ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა“
(ჭავჭავაძე 1987 : 35)**

როგორც ბარათაშვილის, ასევე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში დგას ადამიანის მიერ თავისი ბედის განსაზღვრისა და ვალის მოხდის საკითხი. შინაგანი ხმა მოუწოდებს ბარათაშვილს, ეძიოს თავისი ხვედრი. ეს ხმა არ ასვენებს, გულსა და სულს უფორიაქებს და, ამავე დროს, უსუსურობას აგრძნობინებს – ადამიანი ვერ საზღვრავს თავის მისიას ამქვეყნად, რაც იწვევს მის უნდობლობას სამყაროს მიმართ და გამუდმებულ დარდს:

**„მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!“
(„ხმა იღუმალი“ / ბარათაშვილი 1968 : 90)**

„ვალის მოხდა“ და ამ ქვეყანაზე „კვალის დატოვება“ ილიასათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა, ხოლო კვალის ნაშლა – უდიდესი ტრაგედია:

**„თუ ეს მაქვს გარდუვალი,
ვსწყველი ჩემ შობის წამსა.
რად მინდოდა სვლა ქვეყნად,
თუ ეგ ბოლო მხვდა მხვედრად?“
(„სიმღერა“ / ჭავჭავაძე 1987 : 48)**

ერთადერთი, რისი ატანაც არ შეუძლია პოეტს, ეს საკუთარი თავის „არაფრობაა“. ილია მზადაა ტანჯვისა და თვით სიკვდილისთვისაც:

**„დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი“
(„დაე, თუნდ მოვკვდე“ / (ჭავჭავაძე 1987 : 66)**

თუ ბარათაშვილი თავისი ხვედრისა და ვალის ძიების პროცესშია, ილიასათვის ეს ვალი კონკრეტულია და უკვე შეცნობილი: იგი ერთდროულად მოიცავს სამშობლოს სამსახურსა და პოეტურ მოღვაწეობას. პოეტის ოცნებაა, ქართველმა საფლავში ჩასძახოს:

**„...შენი ქნარი შორს ჩვენგან – ჩრდილში –
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“**

(„დაე, თუნდ მოვკვდე“/ჭავჭავაძე 1987 : 66)

სიყვარული ბარათაშვილის შემოქმედებაში აღიქმება „მშვენიერ სულთა კავშირად“ („რად ჰყვედრი კაცსა“); „მშვენიერი სული“ სიკეთის მქმნელი არსებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა გარეგნული სილამაზე, არამედ – სულის მშვენიერება. სილამაზე და მშვენიერება განსხვავდება ერთმანეთისგან. სილამაზე „ხორციელების“ ნიშანია, მშვენიერება კი – სულისა. ის ადამიანის ქმედებაში მჟღავნდება და უკვდავების მომნიჭებელია (ადამიანი ღმერთთან მიჰყავს). მშვენიერ სულთა კავშირი მუდმივია ისევე, როგორც ცის ცვარისა და მზის სხივის თანაარსებობა. სიყვარულით ადამიანი მოიპოვებს უმაღლეს ბედნიერებას – სასუფეველსა და უკვდავებას („არ უკიჟინო სატრფოო“); მაგრამ, თუ ეს კავშირი არ განხორციელდა, ადამიანს ენგრევა ტაძარი – რწმენა – და სულით ობლდება, უნუგემო და ურწმუნო ხდება:

**„ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგემის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“**

(„ვპოვე ტაძარი“/ ბარათაშვილი 1968 : 115)

ტაძარი რწმენაა, ლამპარი – სიყვარული; თუ ერთ-ერთი ქრება, ქრება მეორეც, რადგან სიყვარული და რწმენა მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში არსებობს. სიყვარული ის გრძნობაა, რომელიც სულს განანათლებს, გულისხედვას – სულიერი ჭვრეტის უნარს – ანიჭებს ადამიანს, რათა შეუცნობელი შეიცნოს.

ილიასათვის სიყვარული „თვისტომ სულთა“ კავშირია. ილია არ განასხვავებს სილამაზესა და მშვენიერებას, ისინი მისთვის სინონიმებია. სატრფოს სახეში ილიასათვის მთავარია არა მშვენიერების, არამედ „რალაცის“ დანახვა, რაც აუფორიაქებს პოეტს გულს და მასთან სულიერ მსგავსებაზე, სულთა ნათესაობაზე მიაზნებს:

„მაგრამ შენში რალაცაა,

ის ათრთოლებს ნატვრით გულსა...“

**ეხლა კი მნამს, რომ ჰქონია
თვისტომობა სულთან სულსა“
(„ჩემო მკვლელო“ /ჭავჭავაძე 1987 : 108)**

სიყვარულის ჩაშლა ილიასთვისაც რწმენის რღვევა, ტაძრის დამხობაა:

**„მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი“
(„ოჰ, სად არიან, სიჭაბუკე, სიტკბონი შენნი?“)**

თუ ბარათაშვილს სიყვარულის ლამპრისგან მხოლოდ დამქრალი ცეცხლი რჩება, ილიას სანთელი იწვის და „მწვარ პატრუქს“ ტოვებს. ორივე შემთხვევაში სინათლეს სიბნელე ცვლის.

შემთხვევითი არ არის, რომ ორივე პოეტისათვის სატრფო ბედის ვარსკვლავად მოიაზრება. **„რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო? /მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო“**, – მიმართავს ბარათაშვილი სატრფოს. ილიასაც მსგავსი სიტყვები მოუნახავს თავისი უნუგეშო მდგომარეობის გამოსახატავად: **„გამიქრა ბედის ჩემის ვარსკვლავი, /კვლავ დამიობლდა ობოლი თავი“**. ილიას სულს აობლებს როგორც სიყვარულის ჩაშლა, ასევე მეგობრის ღალატი და ბარათაშვილივით „უნდოს“ ხდის:

**„აწ ვილას ენდოს ის ქვეყანაში,
ესდენ უწყალოდ მოტყუებული?!“
(„ჩემო სიმღერავ“ /ჭავჭავაძე 1987 : 117)**

უნდობლობა ისეთ მასშტაბებს იძენს, რომ ილია მთელ ქვეყნად ერებაში მარტო გრძნობს თავს სამშობლოს სიყვარულში, კაცი ვერ უპოვნია, ვისაც ფიქრს ანდობს და გრძნობას გაუზიარებს, ე.ი. ილიას პოეზიაშიც დგება ბარათაშვილისეული მარტოსულობის საკითხი.

უნდობლობა, ურწმუნოება და უიმედობა დამახასიათებელია ადამიანის იმ სულიერი მდგომარეობისათვის, რომელსაც ბარათაშვილი „სულით ობლობას“ არქმევს; ბარათაშვილისთვის ამგვარი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაა: „სწორის“ ანუ სატრფოს დაკარგვა („სული ობოლი“), სამშობლოსაგან მოცილება

(„ბედი ქართლისა“), მიზნის მიუღწევლობა („მერანი“) და სხვა, ხოლო გარეგნული ნიშანი ნუხილია:

**„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“**

(„სული ობოლი“ / ბარათაშვილი 1968 :106)

ილიასათვის იმდენად დიდი ტრაგედიაა სულიერი ობლობა, რომ მკვდარს ემსგავსება, ერთხელ მოკლულ გულს კი ხელმეორედ „აყვავება“ უჭირს („გაზაფხული“). ადამიანი „**უნყალოდ განირული და დაშთომილი**“ რჩება. ილიასთანაც ამ მდგომარეობის მიზეზი ხან მშობელი ქვეყანაა, ხან მეგობარი და ხანაც – სატრფო. უსიყვარულოდ დარჩენილი პოეტი მარტოობისთვისაა განწირული:

**„ტურფამ ეგრე განირიდა
ჩემი წმინდა სიყვარული!
სჩანს ოდითვე დანიშნულა
სამარტოოდ ჩემი გული!“**

(„ჩ...სას“/ჭავჭავაძე 1987 : 102)

ორივე პოეტი გრძნობს, რომ ადამიანმა უნდა დაძლიოს სულიერი ობლობა, რათა სამეუდამოდ დათრგუნვილი არ დარჩეს, ამისათვის ბარათაშვილი განაგდებს „ბოროტ სულს“, რომელმაც მოუნამლა „ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“:

„განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო“

(„სულო ბოროტო...“, ბარათაშვილი 1968 : 128)

ილიასთვის ბედის უარყოფა საკმარისი არ არის. ილია სატირას მიმართავს, მაღლდება ბედზე და მთელი გულითა და სულით დასცინის მას:

**„წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დუდუკზედა აქამდის ვხტოდი...“**

**ახლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და შენ კი იხტუნე!“
(„გავსწორდეთ, ბედო!/ჭავჭავაძე 1987 : 78)**

მიუხედავად ილიას განსხვავებული დამოკიდებულებისა ბედისადმი, მკითხველი გრძნობს, რომ ეს ბარათაშვილის მიერ წამოჭრილი საკითხის გაგრძელებაა.

სულიერი ობლობის – ურწმუნოების, უნდობლობისა და მწუხარების – გააზრებას ბარათაშვილის შემოქმედებაში უპირისპირდება თავისუფლების გაგება. თავისუფლება, ბედნიერება და ღმერთთან სიახლოვე პოეტისათვის ერთმანეთის იდენტური ცნებებია. ამიტომაც არის ბარათაშვილის ყმა თავისუფალი, რომ მას ჯერ არ შეუცნია წუთისოფელი; ამიტომაც ესწრაფვის ბარათაშვილის მხედარი, ქარს გაატანოს „შავად მღელვარი“ წუთისოფლის ფიქრები, რომ გათავისუფლდეს მისი ბორკილებისგან და მიეცეს „აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას“.

ილია ბუნების წიაღში ხედავს თავისუფლებას, რადგან სწორედ ბუნებაში ვლინდება ღვთაებრივი სულიერება. თუ ბარათაშვილისთვის მთანმინდის საღამოა იმედი სულიერი ნათლით აღვსებისა – „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“, – ილიასათვის ეს იმედი გაზაფხულია. მის მოსვლას მოაქვს „ცით სიხარული“ და სულის აყვავება. სულიერება და თავისუფლების მოპოვება ილიასთვისაც ერთი ცნებაა, ერთად მოიზარება – ზამთარი კრავს და იმონებს, გაზაფხული აღნობს მონობის ბორკილებს და თავისუფლებას უმღერის:

**„ზამთრითა შეკრულს, წყალს დამონებულს
ყინვა აღნება, მონებაც სწყდება.
მიდის, აძლევს ბანს ქვეყნის გალობას
და მით მადლს უხდის თავისუფლობას“
(„გაზაფხული“ /ჭავჭავაძე 1987 : 44)**

ილიასათვის უდიდესი, ღვთისგან ბოძებული ნიჭია პოეტობა. ის აღამიანს აღმაფრენასა და თავისუფლებას ანიჭებს:

**„სადაც კი მინდა, გადავფრინდები,
ნიჭი მაქვს წმინდა, საფრენად – ფრთები.
ლურჯსა ჰაერში ჩავილუპები...“
(„ჩიტი“/ჭავჭავაძე 1987 : 45)**

ილია ხშირად ხმარობს სიტყვა „ჩაღუპავს“. ზმნისწინი „ჩა“ დაღმავალი მიმართულებისაა და მისი მისადაგება „ლუპავს“ ზმნასთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ სიტყვით ილია სიღრმეს აღნიშნავს. „ლურჯი ჰაერი“ კი, რომელსაც ერწყმის ჩიტი, ბარათაშვილის „ცისა ფერის“, „ლურჯი ფერის“ აღუზიანა. ბარათაშვილისთვის ეს ფერი ღვთაებრივის მიმანიშნებელია, აღმაფრენით იმქვეყნიურობის პოეტური წვდომაა – ფიქრი ცდება ხილულ ცას და „ცის ქედამდე“ აღწევს, პოეტიც კარგავს რეალობის აღქმას და „ემზით დამდნარი“ ერთვის ლურჯ ფერს. მისი სამარიდან ზევით ასული ლურჯი ნისლიც ცას უერთდება. ეს არის ზეცაში გარდასახვის საოცარი პოეტური სურათი:

**„ფიქრი მე სანატრი მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ემზით დამდნარი შევერთო ლურჯსა ფერს...
სამარეს ჩემსა, როს გარს ნისლი მოეცვას –
იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!“**

(„ცისა ფერს“/ ბარათაშვილი 1968 : 114)

„ცაზე ფიქრი“, რომელიც ნიშანდობლივია ბარათაშვილის პოეზიისთვის, ილიას შემოქმედებითი აზროვნებისთვისაც განუყოფელია. ცა პოეტისათვის შეუცნობელია, ამიტომაც საკვირველად ესახება „ციური ხმები“, რომლებიც „ნელ სიხარულსა“ და აღტაცებას ანიჭებს („ციურნი ხმები“). თუ ბარათაშვილისთვის არსებობს ცის ხატება („ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული...“), ცისა კამარა („და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამა“), ცის დასავალი („... თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა“), ცისა ქედი („ფიქრი მე სანატრი მიმიწვევს ცისა ქედს“), ილია ლაპარაკობს ცის კარზე („ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი“), ცის ნიჭზე („უსულდგმულო ცხოვრება ცის ნიჭად ნუ გგონია“), ცის მთიებზე („მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი

ცისა“), ცის ციაგზე („მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა“), ციაგ კამარაზე („თქვენი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას“!). ცის ესოდენი კულტირეალისტი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პირდაპირ მიგვანიშნებს იმ მსოფლმხედველობრივ და ლექსიკურ გავლენაზე, რომელიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ დიდებულ პოეტებს – ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს – აახლოებს.

ჭეშმარიტების წვდომის ერთ-ერთი გზა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბარათაშვილისთვის ბუნების წიაღში ფიქრია. ამ დროს თავისუფლდება ის ამქვეყნიური საზრუნავისგან და მისი „გულის-თქმა“ ცის იქით ეძიებს სადგურს, „ზენაართ სამყოფს“ და მიუხედავად იმისა, რომ მოკვდავი ადამიანისათვის „ციური განგება“ მაინც მიუწვდომელია, ბუნების სიმბოლური ენა სწვდება ადამიანის სულს და რწმენით აღავსებს. ილიასთვისაც ბუნების წიაღი ფიქრთა ამშლელია, მაგრამ პოეტის აზრები ძირითადად ამქვეყნიურობას, თავისი მამულის წარსულსა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს დასტრიალებს („მტკვრის პირას“, „ალაზანს“); ილიას მიერ აჟღერებული ბუნების თემა ახლოს დგას ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისაში“ წარმოჩენილ ბუნების პატრიოტულ აღქმასთან იმ განსხვავებით, რომ ეროვნული განცდა ბარათაშვილთან რომანტიკულად აღიქმება: მამულის სიყვარული იმდენად განუსაზღვრელი და ბობოქარი გრძნობაა, რომ „ცხოვლად“ აჩნდება სულს, მისი დავიწყება შეუძლებელია. პატრიოტიზმის რომანტიკული აღქმა თავს იჩენს ბუნების აღწერის დროსაც. პოემაში წარმოჩენილი პეიზაჟი პატრიოტული გრძნობის დემონსტრაციას ახდენს, რომელიც ისეთივე მწვავეა და „სულის შემაშფოთებელი“, როგორც სხვა პიროვნული გრძნობები („მორბის არაგვი, არაგვიანი...“).

ბარათაშვილისა და ილიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლოცვის ჟანრს. ორივე პოეტთან ლოცვა უფალთან მისვლის კიდევ ერთი გზაა. ბარათაშვილი ახერხებს „ბოროტ ვნებათაგან“ გათავისუფლებას უფლის სრული მორჩილებით. აქედან გამომდინარე, მისი ლოცვა მხოლოდ და მხოლოდ დუმილით გამოიხატება. ის „წმინდა ლოცვაა“, რომლის მეშვეობითაც ადამია-

ნი შეიცნობს უფალს. „წმინდა ლოცვა“ იწყება მაშინ, როცა ყოფითობა აღარ იპყრობს მლოცველის ნებელობას და ადამიანი მთლიანად უერთდება ღვთის ნებას. ამ დროს ის სრულყოფას აღწევს – გონება წყვეტს მუშაობას და იხსნება გულის ხედვა – სულიერი ჭვრეტის უნარი და პოეტის აღმოხდება:

**„გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე,
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,
და – ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ შენდა სათქმელად?
მაშა, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“
(„ჩემი ლოცვა“/ ბარათაშვილი 1968 : 108)**

ილიას პოეზიაში გამოვეყოფთ სამ ლოცვას: „გ.აბხ/აზს/“ და ორ ერთნაირი სათაურის ლექსს – „ლოცვა“ („ოდეს დემონი ურწმუნოების...“ და „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა...“). სამივე ლექსში პოეტის თხოვნა უფლისადმი არ არის განსაზღვრული პირადი სარგებლით, სხვაზე ზრუნვა მოყვრული სიყვარულის გამოვლინებაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლოცვის უმაღლეს საფუხურს, რომელსაც პოეტი მაინც აღწევს სხვადასხვა გზით: ერთი გზა მტრის დანდობა და შებრალებაა – **„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,/ გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“**; მეორე გზა პიროვნული სურვილების დათმობა და უფლის სრული მორჩილებაა – **„განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი/ და იყავნ ნება, უფალო, შენი!“**.

ბარათაშვილის მსგავსად, ილიასთვისაც ლოცვით ხდება სულის განათლება; შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ სულიერ ნათელს შესთხოვს პოეტი უფალს: **„...არამედ მწყურს მე, განმი-ნათლდეს ცით ჩემი სული“**.

კიდევ ერთ მომენტში ვხედავთ ბარათაშვილის თემატიურსა და ლექსიკურ გავლენას ილიაზე. ბარათაშვილს აქვს ლექსი „ჩემთ მეგობართ“, რომელშიც ჭაბუკებს ურჩევს, აჰყვენ ცხოვრების მიერ ნაჩუქარ ამ ბედნიერ ჟამს, რადგან წუთისოფელი სიამეს დიდხანს არ შეარჩენს. ლექსში ჩაქსოვილია სიყვარულისგან გამოწვეული ტანჯვა. ილიას ლექსი „ოჰ, სად არიან“... სწორედ ამ დრო-ჟამის – სიჭაბუკისას მიღებული სულიერი ტკივილის ამსახველია, რომე-

ლიც აკარგვინებს ადამიანს თვით ამ ჟამსაც: „ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!“.

ერთი მწერლის მიერ მეორის შემოქმედებით მოხიბვლა და ამ შემოქმედების გამოხატვა, ლექსიკური მსგავსება თუ მსოფლმხედველობრივი გავლენა მათ შორის – ეს მოვლენები ბუნებრივი ჯანსაღი შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი და კი არ აკნინებს მწერალსა თუ ხელოვანს, ინდივიდუალურობას კი არ აკარგვინებს, არამედ უფრო გასაგებს ხდის მხატვრული ქმნადობის პროცესს. ლიტერატურული გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია დიდ ხელოვანთა მემკვიდრეობაში, რაც აახლოებს მათ თუნდაც ხედვის უნივერსალურობისაკენ სწრაფვისა და მისი მასშტაბურობის თვალსაზრისით.

ბარათაშვილი და ვაჟა

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებათა ან მათ ცალკეულ ნაწარმოებთა ანალიზისას ხშირად წარმოჩნდება ლიტერატურული პარალელები. ამ ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოეტის როგორც ენითა და პოეტური სტილით, ასევე მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით თანხვედრა, ვფიქრობთ, განპირობებული უნდა იყოს გენიოსთა განსაკუთრებული, მასშტაბური და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთის მსგავსი აზროვნებით.

ლიტერატურული პარალელი ყველაზე მკვეთრია ნ. ბარათაშვილის „მერანსა“ და ვაჟა-ფშაველას მოთხრობას – „მთანი მალაღნი“ – შორის. „მერანის“ მთავარი პრობლემა „ბედის საზღვრის“ დაძლევაა, მერნის თავდაუზოგავი ჭენება კი „განწირულის სულის კვეთება“; აქედან გამომდინარე, მერანი სულია, რომელიც ისევე იგივედება თავის მხედართან, როგორც სული პიროვნებასთან. „სულის კვეთების“ მიზანი კი „ბედის საზღვრის“ გადალახვაა, რომელიც ძალზე ძნელია, დიდ დათმობებს მოითხოვს, თავგანწირვასაც კი, და მაინც შეუძლებელია; თუმცა რჩება მხოლოდ და მხოლოდ იმედი, რომ მერნის მცდელობა ტყუილად არ ჩაივლის, მისი გათელილი გზა დარჩება და, ერთხელაც იქნება, მოძმეს თავისი ჰუნე

შავი ბედის წინ გამოუქროლდება, ე.ი. მისი სული გადალახავს ამ გადაულახავ საზღვარს.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ბედის საზღვრის“ შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. გრიგოლ კიკნაძე მას თავისუფლების მოპოვებას უკავშირებს (კიკნაძე 1954 : 193), რევაზ სირაძე – სულიერ სიკეთეს (სირაძე 1987 : 229), კორნელი კეკელიძე – ფიზიკურ სიკვდილს (კეკელიძე 1974 : 138), ხოლო ილია ჭავჭავაძე – გონების მიერ ორ სამყაროს შორის გავლებული საზღვრის გადალახვას, ანუ გონებით იმქვეყნიური ჭეშმარიტების შეცნობას.

ბარათაშვილი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ავითარებს აზრს, რომ ჩვილი ახლოს დგას უფალთან, მას ესმის სასუფევლის ხმები, ის თავისუფალია. ზრდასთან ერთად გონება იწყებს ამოქმედებასაც, ჩვილი კარგავს თავისუფლებას და ამით შორდება უფალს. მაშასადამე, თავისუფლების მოპოვება და ჭეშმარიტების შეცნობა ბარათაშვილის ლირიკაში ერთი და იგივე ცნებებია. გონება სპობს თავისუფლებას და ადამიანს უმონებს ამქვეყნიურ ვნებებს. ასევე ის ავლებს საზღვარს ორ სამყაროს – ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს – შორის, რის შემდეგაც იმქვეყნიურის შეცნობა შეუძლებელი ხდება. თუმცა ადამიანი მუდამ ცდილობს ციური განგების წვდომას და თავისუფლების მოპოვებას. ამისათვის ის ირჩევს სხვადასხვა გზას: ბუნების მეშვეობით, სიყვარულით, ლოცვით, ღუმლით, პოეტური ფანტაზიით და ა.შ.

ბარათაშვილის მთელი შემოქმედება იმასაც გვეუბნება, რომ სრულყოფილად ჭეშმარიტებას ამ ქვეყანაში ვერ შეიძნობ – ფიქრი ვერ აღწევს ცას, ჰაერშივე განიბნევა, მაგრამ მთავარი საბოლოო მიზნის მიღწევა არ არის; მთავარია მუდმივი სწრაფვა მიზნისკენ. მერნის თელილი გზა რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ამ სწრაფვაში ყალიბდება, ემიჯნება ცხოველს, მკვდარს და ცოცხალი ადამიანის სახეს იღებს:

**„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“**

(„ფიქრნი მტკვრის პირას“ /ბარათაშვილი 1968 : 96).

ადამიანის მისია, წილობა, რომელსაც მთელ რიგ ლექსებში ეძიებს ბარათაშვილი, საბოლოოდ განისაზღვრება – ადამიანის ვალია, ცოცხალი მკვდარს არ დაემსგავსოს, მუდმივად ესწრაფოდეს ჭეშმარიტების შეცნობას, „ბედის საზღვრის“ გადალახვას, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეუძლებელია.

რა ხდება ვაჟასთან? ეგზისტენციალურ საკითხებზე ჩაფიქრებული პერსონაჟები მალალი მთები არიან. საკმარისია მოთხრობის ერთი აბზაცის წაკითხვაც კი, რომ მთების სახეში ადამიანი დავინახოთ. საერთოდ, ვაჟას ყველა მოთხრობაში, „ია“ იქნება, „ხმელი ნიფელი“ თუ „მთის წყარო“, ადამიანი და მისი სულიერი სამყარო იხატება. ვაჟა ბუნების მეშვეობით გვესაუბრება ადამიანურ პრობლემებზე. „მთანი მალალნიშიც“ ადამიანური და, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიო პრობლემა დგას; მთების სახეში კონკრეტული ტიპი წარმოჩნდება. ის მთასავით გაუტყეხელი და მალალი სულისაა, პირქუში გარეგნობის და არ ეტყობა გრძნობის ნაკვალები; სინამდვილეში გული სავეს აქვს განცდებით, სიხარულიც შეუძლია და მწუხარებაც. განსაკუთრებულ სიხარულს მთები არწივის მოსვლისას განიცდიან. არწივი მამაცობის, შეუპოვრობის, სილამაზისა და თავისუფლების სიმბოლოა. ის შუამავალიცაა მთებისა ღმერთთან, რაც აღმაფრენად და ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვად უნდა გავიგოთ. ამ აზრს განამტკიცებს ვაჟას ლექსი „მარტოობა“, სადაც არწივს პოეტური მუზის ფუნქციაც ენიჭება; როცა კი პოეტი მის მოსვლას იგრძნობს, შემდგარია პოეტური პროცესიც. პოეზიის ქმნადობა კი, რა თქმა უნდა, ღმერთთან კავშირად მოიაზრება ვაჟას შემოქმედებაში. მთებს აქვთ ოცნებაც, იმედიცა და ნუგეშიც. მათი ოცნება მშვენიერი ყვავილებია, გულ-მკერდს რომ უმშვენებთ; ნისლი ფიქრია მთებისა და ა. შ., მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მათ აქვთ მოლოდინის გრძნობა; უნარი, რომელიც გამოარჩევს ადამიანს ცხოველისაგან. მთები ელიან მუდამ. დრო გადის. **„წვიმა წვიმს იმათ თავზე, ელვა უტუსავს ოქროს ქორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში“**. ხშირად ინგრევა ნახევარი მთა და მიდის ხევში ისევე, როგორც იხოცებიან ადამიანები და მიდიან იმ ქვეყნად, მაგრამ „კლდე და ლოდები მაინც ელიან“ ისევე, როგორც

ელიან ამქვეყნად დარჩენილი ცოცხალი ადამიანები. ვაჟა ყურადღებას ამახვილებს, რომ მთები მხოლოდ ჰგვანან მკვდრებს, სინამდვილეში მკვდრები არ არიან; იქით დაგვმარხავენ ისინი ჩვენ, ადამიანებს.

მთების სახით ვაჟა გვიხატავს სულიერ არსებას, ცოცხალ კაცს. „ცოცხალი“ ძველი ქართული ლიტერატურის დამონემებით რწმენითა და იმედით აღსავსეს ნიშნავს, რომელიც ესწრაფვის ღვთიურობისა და ჭეშმარიტებისაკენ, მკვდარი კი – სულიერად დაცემულს. ასევე ესმის ვაჟასაც. სამაგალითოდ მოგვყავს ნანყვეტი პოემა „ბახტრიონიდან“:

**„მკვდარია უგრძნობი კაცი,
უსაზარლესი მკვდარზედა,
მით რომე სიცოცხლე უდგას
სალის ყინულის ტახტზედა“**

(„ბახტრიონი“ /ვაჟა-ფშაველა 1964 : ტ. 3, 168).

მკვდარი კაცი ცოდვებშია ჩაფლული, უსიყვარულო ადამიანია. ცოცხალი მისგან რწმენითა და მოყვასის სიყვარულით განსხვავდება და კიდევ ერთი რამით – ჭეშმარიტებისაკენ მუდმივი სწრაფვით. ჭეშმარიტების შესაცნობად მიისწრაფვიან მთებიც. გულისტკივილი არ განაპირობებს მათ სიკვდილს, არც (სულიერ) დაჭლექებას; რადგან ისინი სულ მუდამ ელიან. „ვის? ან რას?“ – კითხულობს მწერალი და თავად სცემს ერთი შეხედვით ბუნდოვან პასუხს – „რალაცას“. სინამდვილეში, მართლაც რალაცას ელიან მთები თუ ადამიანები და ეს რალაცა „უნახავის დანახვაა“. ვაჟა ამ უცნობი ცნების განმარტებასაც იძლევა. რასაც კი თვალი და გული მისწვდებოდა, ანუ მხედველობა და გრძნობა, ყველაფერი ნახეს მთებმა. „სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა“, რაც, მწერლის აზრით, „თვალ-გულის გაუმაძღრობაა“.

ვაჟა მკაფიოდ, გარკვევით და დასაბუთებით გადმოსცემს სათქმელს. „თვალ-გულის გაუმაძღრობა“ ის არის, რასაც თვალი ვერ ხედავს და გულიც ვეღარ შეიგრძნობს, მაგრამ რჩება მუდმივი მოლოდინი, რომ ოდესღაც ადამიანი იხილავს, ანუ შეიცნობს უნახავს. ვაჟასთანაც იკვეთება აზრი, რომ „უნახავის ნახვა“ შეუძლებელია.

ბელია მთებისთვის ისევე, როგორც მერნისთვის „ბედის საზღვრის“ გადალახვა, მაგრამ მთავარი არც ვაჟასთან არის „უნახავის ნახვა“; მწერლისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ცოცხალი დარჩეს მთა, შეეძლოს სიყვარული, სიხარული, მწუხარება, ოცნება, ფიქრი და მოლოდინი „უნახავის ნახვისა“.

ორივე ლიტერატურული პერსონაჟი – მერანი და მთები – გარკვეულწილად ემსგავსება ერთმანეთს და ეს მსგავსება უპირველესად მათ მედგარ ბუნებაში გამოიხატება – მერნის თავგანწირულობისა და მთების შეუპოვრობაში; თუმცა საუბარი მათ შორის განსხვავებაზეც შეიძლება, რაც პირველ რიგში სხვადასხვა დროის მსოფლმხედველობაში ვლინდება. მართალია, ბარათაშვილისა და ვაჟას ეპოქებს შორის დიდი მანძილი არაა, მაგრამ განსხვავება მაინც შესამჩნევია. ბარათაშვილის დროს, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი თავის თავში, თავის შინაგან სამყაროშია ჩაკეტილი, ამიტომ მისი მცდელობა ამ საზღვრების გასარღვევად უფრო მძაფრია, გამწარებული სულის ქმედებაა; ვაჟას ეპოქა კი უკვე შეჩვეულია გასაჭირს, ამდენად, შინაგანად გაძლიერებული და დადინჯებულია – სახეზე არაფერი ეტყობათ მთებს, გარდა „მტერობისა“ ანუ პირქუშობისა. ბარათაშვილის მერანი განწირულია, თუმცა იმედს მაინც არ კარგავს, რომ ამ თავგანწირვით მოძმეს დაეხმარება. „მთანი მაღალნიში“ არ იხატება მთების თავგანწირვა, თუმცა მათი ტრაგიზმი იმაში ვლინდება, რომ შეუცნობლობის უსაზღვროებას „უსაზღვრო მოლოდინი“ უპირისპირდება; მაგრამ ეს არ მონშობს მათ პესიმიზმს – მთების იმედი მოლოდინის აღსრულება კი არ არის, არამედ არწივია, მათი აღზრდილი შვილი, „მამაცი, შეუპოვარი და ლამაზი“. ვაჟას ეპოქას, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, მომავალი თაობის იმედი აქვს და ეს ყველგან მჟღავნდება.

მიხეილ კვესელავა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანსა“ და ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“ ფაუსტურ სახეებს უწოდებს (კვესელავა 1961 : 45); ფაუსტურის რაობას კი განმარტავს არა როგორც შემეცნების გადალახვას, არამედ მისი ფარგლების გაფართოებას (კვესელავა 1961 : 43). რამდენად შესაძლებელია, მერნის მიერ „ბედისწერის საზღვრის“ გადალახვა გავიგოთ როგორც შე-

მეცნების ფარგლების გაზრდა? ვფიქრობთ, რომ – არა. მერნის სწრაფვით მართლაც ხდება შემეცნების გაფართოება, სწორედ ამიტომ უადვილებს მხედარი თავის მოძმეს გზის სიძნელეს, მაგრამ „ბედის საზღვრის გადალახვა“ შემეცნების გაფართოებას კი არა, შეუცნობლის შეცნობას გულისხმობს, ასევე – ვაჟას მთების „თვალ-გულის გაუმადლობაც“. მათ „ნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა“. მაღალმა მთებმა მიაღწიეს იმ სულიერ სიმაღლეს, რაც შეეძლოთ. ის, რისკენაც ისინი ისწრაფვიან, ხილული ბუნების მიღმა არსებული ჭეშმარიტებაა. მისი წვდომა შეუძლებელია, რადგან შემეცნება დროსა და სივრცეშია განსაზღვრული. ბარათაშვილთან ფიქრები ვერ აღწევენ ცას და „ჰაერშივე განიბნევიან“ („შემოლამება მთანმინდაზედ“); არც მერნის მიერ საზღვრის გადალახვის იმედი გვეძლევა („მერანი“); ხოლო ვაჟასთან ჭეშმარიტებას შავი ნისლი ჰბურავს, რომელიც „წერა-მწერალის ხელითაც“ კი ვერ დაიმტკრევა („სტუმარ-მასპინძელი“). შავი ნისლი საზღვარია ორ სამყაროს შორის ადამიანთა გონების მიერ გავლებული. ორივე პოეტთან იკვეთება აზრი, რომ მთავარი შეუცნობლის შეცნობა არა, შეცნობისაკენ მუდმივი სწრაფვაა, მუდმივი მოლოდინი, მუდმივი სიფხიზლე, რადგან სწორედ ეს მუდმივობა ამაღლებს ადამიანს და ჭეშმარიტებას აზიარებს (გავიხსენოთ აფშინას მუდმივი სინანული „გოგოთურ და აფშინადან“). იქამდე, „ცის იქით“ არსებულ სამყარომდე, მხოლოდ პოეტური ფანტაზიით თუ მიაღწევ და ორივე პოეტი ხატავს ამ წარმოსახვით, იდეალურ მხარეს. ბარათაშვილისთვის ის ცის ქედზე მდებარეობს, სადაც პოეტი, „ეშხით დამდნარი“, ერთვის ლურჯსა ფერს („ცისა ფერს“); ხოლო ვაჟასთვის ის „სიყვარულის სამეფოა“, მდელი, რომელშიც ვერ აღწევს ბოროტი სული („სამეფო სიყვარულისა“), ანდა მაღალი მთა, სადაც გარდაცვლილი გმირები ერთმანეთს ხვდებიან და „ერთურთის დანდობისას და დაძმობისას“ ამბობენ („სტუმარ-მასპინძელი“). ვაჟასთან ეს სამყარო, ბუნდოვანებისდა მიუხედავად, უფრო ნიშნეულია, ვიდრე ბარათაშვილთან, და სასუფევლად მოიაზრება; სასუფევლად იმიტომ, რომ იქ ბოროტი ვერ ხვდება („სამეფო სიყვარულისა“), სამშობლოსა და რწმენისათვის თავდადებული გმირები იმკვიდრებენ ბინას („კიდე-

ვაც ვნახავ გაზაფხულს“), აგრეთვე ადამიანები, რომელთაც მტრის სიყვარული და შებრალება ძალუძთ („სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“).

ვფიქრობთ, ორი გენიოსი პოეტის შემოქმედებაში ეს ლიტერატურული თანხვედრა განპირობებული უნდა იყოს მათი აზროვნების მასშტაბურობითა და ტრანსცენდენტურობით. წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „**შორსმჭვრეტელობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეაო**“ (ჭავჭავაძე 1991 : 120). ილია გვიჩვენებს, როგორ წინ უსწრებს გენიოსი ხალხს და „**ცხოვრების მოსავალი ცნობაში მოჰყავს**“ (ჭავჭავაძე 1991 : 53). ჩვენ დავძენდით, რომ ეს იგივეა, რაც შავი ბედის წინ ჰუნეს გამოქროლება („მერანი), შეუცნობლის წარმოდგენა, წარმოსახვა, ამაზე ფიქრი და წერა, ცხოვრების საზრისის ჩვენება, რაც ყველა შემოქმედს ერთიანად როდი აღელვებს. და რადგანაც, რაც უფრო ნიჭიერია მწერალი, მით უფრო უახლოვდება გენიოსს, მით უფრო ეხსნება შორსმჭვრეტელობა და მით უფრო წარმოაჩენს ცხოვრების საზრისს, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სწორედ ამან – მათმა გენიოსობამ – განაპირობა ეს უაღრესად შთამბეჭდავი და სიღრმისეული აზროვნების პოეტური თანხვედრა.

ბარათაშვილი და XX საუკუნის პოეტები

ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში თითქმის ყველამ განიცადა. პოეტები ამ გავლენისა თუ სულიერი ახლობლობის შესახებ თავად მიუთითებდნენ ბარათაშვილის დამოწმებით, მსგავსი ლექსიკისა და სალექსო საზომის გამოყენებით, მსგავს თემატიკაზე წერით და ბარათაშვილისეული განწყობის შექმნით. სამეცნიერო ლიტერატურაში გავლენა პირველად ორ გენიოსს – ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გალაკტიონს – შორის შენიშნეს. მართლაც, ქართულ პოეზიაში არის ისეთი თემები და საკითხთან იმგვარი მიმართება, რომ ძნელია ბარათაშვილის გავლენა აბსოლუტურად დაძლიო. ეს თემებია: პატრიოტიზმი, ბუნების გამონახტვა, მარტოსულობის განცდა და სიყვარული. როცა

გავლენაზე ვსაუბრობთ, ჩვენ არ ვგულისხმობთ გადმოღებას, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბარათაშვილით განპირობებული სიბღის წარმოჩენა მისეული განწყობის შექმნით, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეულზე დაყრდნობით ნათლად წარმოჩნდება კიდევ ერთი მიმართება – ბარათაშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით გალაკტიონის დაინტერესება, უფრო მეტიც, გალაკტიონს ჩანიშნული აქვს ისეთი ტექსტებიც, რომლებშიც კრიტიკოსთა მიერ მისი ლირიკა ბარათაშვილის პოეზიასთან მიმართებით არის ნახსენები ან გაანალიზებული. გალაკტიონის უბის წიგნაკებში ხშირად ვხვდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს. ასევე პოეტის დღიურები პირდაპირ მიგვითითებს, რომელ დღეს ბარათაშვილის რომელი ლექსი აფიქრებდა გალაკტიონს. ყველაზე ვრცლად კი ნიკოლოზ ბარათაშვილზე ის მსჯელობს მწერლებისადმი მიძღვნილ ესეისტურ ჩანაწერებში – „ძვირფასი საფლავები“. გარდა ბარათაშვილის ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებზე საუბრისა, გალაკტიონი მის ლექსებსაც განიხილავს, ესენია: „სულო ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „მაღლი შენს გამჩენს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ეძღვნება გალაკტიონის ორი ნაწარმოებიც: „ბარათაშვილი“ და „ნ. ბარათაშვილი“. პირველი ლექსი 1945 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორე – პოეტის გარდაცვალების შემდგომ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გალაკტიონის არაერთ ლექსშია მოხსენიებული. ის რუსთაველთან, დანტესთან, პეტრარკასთან და მსოფლიოს სხვა პოეტებთან ერთად პოეზიის მხარის უცვლელი ბინადარია. ბარათაშვილი ერთერთია ქართული პოეზიის „ექვს მწვერვალთაგან“, მეშვიდე თავად გალაკტიონია. ქართულ პოეზიაში რუსთაველის შემდეგ გალაკტიონი ბარათაშვილს აყენებს. გენიოსთა რიგი კი ასე განისაზღვრება: რუსთაველი, ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა, ილია, ყაზბეგი („რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“).

ტაბიძის პოეზიაში გვხვდება ლექსები, რომლებშიც ბარათაშვილის ლირიკული გმირი ფიგურირებს; ყოველ შემთხვევაში,

მკითხველი მას წარმოიდგენს, რითაც გალაკტიონს ბარათაშვილის განწყობა შემოაქვს ლექსში:

**„ახალ მერნების მსუბუქი წყება
დგას ჩვენი დროის კართან ვედრებით,
მათ ენატრებათ თავდავინწყება
და გაბედული უნდათ მხედრები“
(„ახალ მერნების წყება“/ტაბიძე 1973 : 193).**

გალაკტიონის სათქმელი ზემოთ მოყვანილ ლექსში სრულიად სხვაა, ვიდრე ბარათაშვილის; მაგრამ განწყობას პოეტიცა და მკითხველიც ბარათაშვილამდე მიჰყავს. ბარათაშვილის ლირიკული გმირია „გაბედული მხედარი“ და სხვა არავინ.

ლექსში „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“ მერანთან ერთად თავად ბარათაშვილია პერსონაჟი. ის იტანჯება იმ ხალხის ბედით, რომელსაც უკან სდევს მისივე წარმოსახვაში შექმნილი „თვალბედითი ყორანი“:

**„როგორ მიქროდა / ის მერანი / ფაფარაშლილი,
რომ გადელახა / დღენი ბნელნი, / გზანი, ყორენი,
იკანრებოდა / ხალხის ბედით / ბარათაშვილი,
იმ ხალხის, რომელს / თვალბედითი / სდევდა ყორანი“
(ტაბიძე 1973 : 458).**

ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები უძღვის ეპიგრაფად გალაკტიონის ორ ადრეულ ნაწარმოებს – „ახალ ტალღას“ და „დანგრეულ ტაძარს“.

გალაკტიონის ბიბლიოთეკაში დაცულ ნიკოლოზ ბარათაშვილის კრებულზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს პოეტის დაინტერესებას ბარათაშვილის ენითა და ლექსიკით, ასევე – ცალკეულ მოტივთა გამოხატვის თავისებურებით. გალაკტიონის პოეტური ენის შესწავლისას ირკვევა, რომ იგი ხშირად იყენებს ბარათაშვილის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: „სული ობოლი“, „ფიქრთ გასართველი“, „ბედის საზღვარი“. ბარათაშვილის შემოქმედებიდან მოდის გალაკტიონის მიერ გამოყენებული არაერთი შესიტყვება: „ცის დასავალი“, „ციური ცვარი“, „ნიავი ნელი“, „სატრფო გულისა“,

„გზები გაუვალი“; გვხვდება ცალკეული ლექსიკური ერთეულებიც: „მარქვი“, „წარიღე“ და ა.შ. მართალია, ეს სიტყვათმეთანხმებები არც XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზიისათვის არის უცხო, მაგრამ გალაკტიონთან უშუალოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებიდან მომდინარეობს, რადგან პოეტი განავრცობს ბარათაშვილისეულ მოტივებსაც.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბარათაშვილისეული „სულიერი ობლობის მოტივი“ გალაკტიონის ადრეულ ნაწარმოებებში; თუმცა ამ მოტივის არსებობა გალაკტიონთან მხოლოდ ბარათაშვილის გავლენის საფუძველზე არ შეიძლება აიხსნას. საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ორივე პოეტის სულიერი მდგომარეობაც, რომელიც თავისდაუნებურად ერთმანეთის მსგავსია და, ზოგადად, მსგავსია ყველა მარტოსული პოეტის მდგომარეობისა; ამიტომაც ამ მოტივს აქვს როგორც ლიტერატურული, ასევე ყოფითი კონტექსტიც. გალაკტიონის ობლობის თემაზე დაწერილი ლექსებიდან გამოირჩევა „უდაბნო“, რომელშიც ლირიკული გმირი საკუთარ განცდებს გვიზიარებს. თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსი მოტივის ლექსები მკითხველს აგრძნობინებს, რომ პოეტი ესწრაფვის ამ მდგომარეობიდან გათავისუფლებას და შინაგანად აქვს ამის იმედი, გალაკტიონის ლირიკული გმირი უფრო მეტად პესიმისტია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მას ალარა აქვს სურვილი ეჭვისა და უიმედობის დაძლევისა – მაინც უნდა, რომ ზეცისკენ ალაპყროს ხელები და წარმოთქვას ვედრება:

**„ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო!“
(„უდაბნო“ / ტაბიძე 1973 : 38)**

ვედრების ტექსტი თავისთავად უკვე მცდელობაა მცირეოდენი იმედისა. ამასვე გამოხატავს რიტორიკული კითხვებიც: **„მარტო ვიქნები და რა ვპოვო მარტობაში?“** (იქვე).

ბარათაშვილისეული მოტივები პირველ რიგში „მთანმინდის მთვარეში“ წარმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის სათქმელი განსხვავდება ბარათაშვილის სათქმელისაგან და, თანაც, გალაკტიონი სულ სხვაგვარად ამბობს თავის სიტყვას,

მკითხველი თანხვედრას პოულობს ფიქრში, რომელიც ბუნების ნიაღში, ერთსა და იმავე ადგილას, მთანმინდაზე, და თითქმის ერთსა და იმავე დროს, შებინდებისას, იზადება. ორივე პოეტი ცაზე აკეთებს აქცენტს:

**„ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი
ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული“
(ბარათაშვილი 1968 : 88);**

**„ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“
(ტაბიძე 1973 : 66).**

გალაკტიონი პირდაპირ მიუთითებს მკითხველს, რომ ბარათაშვილის ადგილებზე საუბრობს:

**„ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“
(ტაბიძე 1973 : 66).**

ამ სიტყვებით კიდევ უფრო აქტიურდება ორი მწერლის თანხვედრა. ადგილსა და დროს ემატება სულიერი განწყობაც – ორივეს ობლობა, რომელსაც მოჰყვება გალაკტიონისაგან ბარათაშვილისეული მედგრობა და თავგანწირვა:

**„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა“
(ტაბიძე 1973 : 66).**

მთანმინდა მოქმედებს შემოქმედთა სულიერ მდგომარეობაზე: სწორედ მთანმინდაზე იხედება ღამე გალაკტიონის სულში; ბარათაშვილს კი წმინდა მთა დიდ შვებას ანიჭებს:

**„მხოლოდ სული გრძნობს,
თუ ვითარი სძლენით მას შვება“
(ბარათაშვილი 1968 : 88).**

გალაკტიონის ადრეულ ნაწარმოებებში და მათ შორის ამ ლექსშიც თითქმის გამეორებულია ბარათაშვილისეული ბუნების აღწერის დროს გამოყენებული მხატვრული სახეები, ზოგჯერ ეპითეტები პირდაპირ ემთხვევა ბარათაშვილის ეპითეტებს. ბუნება „მი-

ნაზებუღია“, მთვარე „მხურვალე ლოცვით მიქანცებულ“ უმანკო სულს დამსგავსებია“. ეს სინაზე მეორდება გალაკტიონთანაც:

**„ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!“
(ტაბიძე 1973 : 66).**

გალაკტიონთან ვხვდებით ბარათაშვილის პეიზაჟს. წყალში არეკლილი ცის სურათის პირველშემქმნელი ბარათაშვილია. რამდენჯერაც სხვადასხვა რაკურსით არ უნდა გამეორდეს ეს სურათი სხვა პოეტთა შემოქმედებაში, პირველწყარო ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ იქნება. გალაკტიონთან „მრავალდროეზის მონამე“ მტკვარი მოწყენილი მდინარით არის შეცვლილი.

პეიზაჟის იგივეობაზე მნიშვნელოვანი არის ბუნების განცდის მსგავსება ორივე პოეტთან. როგორც ბარათაშვილთან, ასევე გალაკტიონთან ბუნება ლირიკული გმირის მესაიდუმლე და მეგობარია. გალაკტიონიც განსაცდელის ჟამს მიაშურებს მთას ან წყლის პირს, რადგან ბუნების იმედი აქვს. მას შეუძლია სულით დაობლებულის შეფარება; გალაკტიონის პოეზიაში, ბარათაშვილისაგან განსხვავებით, მეტია ეჭვი და პესიმიზმი. მისი ლირიკული გმირი თუ ერთ მომენტში დარწმუნებულია ბუნების თანადგომაში (**„საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული, / ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“**), მეორე მომენტში ეჭვი უჩნდება, რომ ბუნება არ არის მისი განწყობილების თანაზიარი, ის თავისთვისაა (**„სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმურებს“**). გალაკტიონის ლირიკაში გადმოცემულია კონტრასტიც ადამიანის გრძნობებსა და ბუნებას შორის, რაც დამახასიათებელი იყო რეალისტების შემოქმედებისათვის (**„ბარათაშვილის ჟღერს აღმართი... / აღმართს ცრემლი სდის და ამინდი კი ბრწყინვალეა, / დინამიტი კლდეებს აფეთქებს“**... ტაბიძე 1973 : 513).

ბარათაშვილისა და გალაკტიონის სატრფიალო ლირიკის შედარების დროსაც წარმოჩნდება პოეტებს შორის მსგავსება. ორივე პოეტი უარყოფს „ხორციელების ნიჭით“ – სილამაზით – გამონვეულ ტრფობას. შეინიშნება სატრფოს სახეთა შორის მსგავსებაც. ორივესათვის სატრფო ზეციური არსებაა; განსხვავებულია მხოლოდ გრძნობის გამოხატვის ხერხები. ბარათაშვილისთვის სიყვა-

რული გონების კონტროლს მოკლებული ბობოქარი გრძნობაა, გალაკტიონისათვის კი გრძნობის ბობოქრობას ხელს არ უშლის გონების მიერ მისი შესაბამისობის აღქმა (თუნდაც, „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი...“).

მკვლევართა დაკვირვებით, გალაკტიონი და ბარათაშვილი ხშირად მიმართავენ ერთსა და იმავე სალექსო საზომებს: ათმარცვლედსა და თოთხმეტმარცვლედს. ეს საზომები ქართულ პოეზიაში ხშირად გამოიყენება, მაგრამ, როცა ორ პოეტს შორის მსგავსებას, თემატიკასა და ლექსიკასთან ერთად, სალექსო საზომიც განამტკიცებს, გავლენა უფრო მეტად ხდება აღსაქმელი. თემატური მსგავსება შესამჩნევია გალაკტიონის „ახალ ტალღასა“ და ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ შორის. დავძენთ იმასაც, რომ ორივე ლექსი თოთხმეტმარცვლედითაა დაწერილი.

გვინდა ასევე აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად გარკვეულ ლექსთა მსგავსებისა, გალაკტიონი არასოდეს რჩება ბარათაშვილის ნაწარმოებთა პრობლემატიკის ფარგლებში და საკითხთა სრულიად ახალ გადანყვეტას გვთავაზობს. გალაკტიონის „ელეგიისა“ და ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ შედარებისას შეინიშნება საკმაოდ ძლიერი შინაარსობრივი, ლექსიკური და მსოფლმხედველობრივი მსგავსება. ბოროტმა დრომ ლირიკულ გმირს წაართვა ოცნება, მოუწამლა ქნარი და დაუკარგა რწმენა – მას ვეღარ შევლის „ცის დასავალზე“ ფიქრიც კი. მიუხედავად ნაწარმოებთა მსგავსებისა, თვალშისაცემია მათ შორის განსხვავებაც. ბარათაშვილის ლექსი ლირიკული გმირის ბოროტი სულისადმი მიმართვას წარმოადგენს; გალაკტიონთან ამ მიმართვას წინ ბუნების სურათის აღწერა უძღვის, ხოლო ლექსის პერსონაჟი ლირიკულ გმირთან ერთად კარებთან ვედრებით მდგარი ქარიცაა. გალაკტიონი ბოროტ დროს მიმართავს და არა ბოროტ სულს. მიმართვის შემდეგ ის კვლავ ბუნების სურათს უბრუნდება. პოეტს ნაწარმოებში შემოაქვს თრობის მოტივიც, რაც უცხოა ბარათაშვილისთვის. თუ ბარათაშვილი დილემას სძლევს ბოროტი სულის განდევნით, გალაკტიონი თავში „ვერ წყვეტს“ პრობლემას და პასუხს თავად ზეცას სთხოვს:

**„სადაა ჩემი ყვავილები,
სადაა რწმენა?
ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე,
მითხარი რამე!“**

(„ელეგია“ /ტაბიძე 2016 : 144)

შინაარსობრივი კავშირი არსებობს გალაკტიონის 1914 წელს დანერილ ლექსს – „მასხოვს“ და ბარათაშვილის ნაწარმოებს – „შემოლამება მთანმინდაზე“ – შორის. გალაკტიონის ერთ-ერთ კრებულში ლექსს „მთანმინდაზე“ ჰქვია, ხოლო ერთ-ერთ ავტოგრაფში – „შემოლამება მთანმინდაზე“. ლექსებში მსგავსია პეიზაჟი, ბუნების განცდა და ლექსიკა, მაგრამ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ეძიებს „ზენაართ სადგურს“, რომ განერიდოს ამაოებას, თუმცა ხვდება, რომ ციური განგების შეცნობა შეუძლებელია. გალაკტიონი კი წარმოსახვით აღწერს „წარმტაც მხარეს“, იდეალურ სამყაროს, მაგრამ მისი მიზანი უშუალოდ სასუფევლის ძიება კი არ არის, არამედ გამოუთქმელი გრძნობის შეცნობა და გამოხატვა, იმ განცდის, რომელსაც შუალამისას მარტოობაში აღიქვამს:

**„რომ ღამის სახეს უფრო ვწვდებოდი,
უფრო ვწვდებოდი, ვინემ კაცისას“**

(„მთანმინდაზე“ / ტაბიძე 2016 : 97).

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ინტერტექსტია გალაკტიონის შემდეგი ლექსებისა: „შავი ყორანი“, „გზავრის სიმღერა“ და „ხომლი“. ამ ლექსების ცალკეულ სტრიქონებში „მერანის“ ალუზია იქმნება:

**„გზა გავიარე... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები;
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
„ნუ იხედები... ნუ იხედები!“**

(„შავი ყორანი“ /ტაბიძე 1973 : 25).

გალაკტიონის „დანგრეული ტაძარი“ პირდაპირ მიგვითითებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსზე – „გპოვე ტაძარი“ წინ წამძღვა-

რებული ეპიგრაფითა – „ვერღა აღმიგო სიყვარულმან კვალად ტაძარი“ და არქაული ლექსიკით. ლექსებს შორის შინაარსობრივი განსხვავება თვალსაჩინოა: ბარათაშვილთან ლამპრის ჩაქრობასთან ერთად ტაძარი ქრება, ხოლო გალაკტიონთან ტაძარს სატრფო ამხობს. გალაკტიონი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოების პოეტურ ინტერპრეტაციას ახდენს.

გალაკტიონის 50-იან წლებში შექმნილი უსათაურო ოთხსტროფიანი ლექსის ოთხივე სტროფის დასაწყისში მეორდება ფრაზა „ბედი ქართლისადან“ – „ეხლა კი დროა“. გალაკტიონის ლირიკული გმირიც სოლომონს მიმართავს. არსებობს ლექსის მეორე ვარიანტიც, რომელშიც მეფე ერეკლესადმი მიმართვა ფიქსირდება. რედაქტორის ჩარევით, გალაკტიონის სოლომონი „მშრომელით“ შეუცვლიათ. გალაკტიონის ლექსი 1954 წელს დაიწერა, როდესაც საქართველო მშვიდობიანად ცხოვრობდა საბჭოეთის საზღვრებში. სოლომონის ფრაზით გალაკტიონი მიგვანიშნებს, რომ კომუნისტურ ეპოქაში საქართველოს ცხოვრება მშვიდობიანად არ შეიძლება აღვიქვათ, რომ დროა, შევებრძოლოთ უცხო ტომის დამპყრობელს:

**„ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა
თუ არ დაგვინდო უცხოთ გვარ-ტომმა,
ხმაღს იკრას ხელი
ქართველმა ვეფხვმა, ქართველმა ლომმა“
(„ეხლა კი დროა“ / ტაბიძე 1973 : 538).**

მშრომელისადმი მიმართვა ლექსში ყოველად უადგილოდაა ჩართული; აზრობრივადაც და რითმისთვისაც აქ ბარათაშვილისეული მიმართვა ჯდება, რა დროსაც ნაწარმოების ბოლო სტროფი ამგვარ სახეს მიიღებს:

**„ეხლა კი დროა, სოლომონ, რომა,
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
გრილი ნიავის
ქროლა შეიგრძნოს მჭკნარმა მდელითა“
(ტაბიძე 1973 : 538).**

„მჭკნარი მდელი“ სახეც მოდის ბარათაშვილის ლექსიდან „არ უკიჟინო, სატრფოო“ – **„რომ განაცოცხლო შავარნო, მდელი, სიცხითა დამჭკნარი“** (ბარათაშვილი 1968 : 110).

გალაკტიონისა და ბარათაშვილის ლექსთა შინაარსობრივ და ლექსიკურ მსგავსებასთან ერთად შეუძლებელია არ დავინახოთ მსოფლმხედველობრივი თანხვედრა. გალაკტიონის ლურჯა ცხენების სრბოლა, ისევე როგორც ბარათაშვილის მერნისა, სწრაფვაა იმქვეყნიური სამყაროსაკენ. თუკი ბარათაშვილისთვის ის სამყარო შეუცნობელია, გალაკტიონი მას ხან ნათელ („სიკვდილის გზა არა არის, ვარდისფერ გზის გარდა“), უფრო ხშირად კი პირქუშ ფერებში წარმოგვიდგენს. გალაკტიონის „ნაპირი სამუდამო მხარეში“ იგივე „ბედის სამძღვარია“, რომლის გადაღახვითაც შეიცნობა იმქვეყნიური სამყარო. ის იმდენად მიუწვდომელია გალაკტიონისათვის, რომ მის ნაწილსაც კი ამ ქვეყანაში არ მოიაზრებს; იმდენად შორია, რომ არაფერი ჩანს. ისევე როგორც ბარათაშვილი, გალაკტიონიც გვიხატავს გზას, რომელიც ამ ნაპირამდე მიდის. ეს არის „უსულდგამულო დღეები“, რომლებიც უსწრაფესად გარბიან და, მიუხედავად ამქვეყნიურობის არარაობისა, „შეშლილი სახეებისა“ და უდაბნოში „მშრალი რიცხვებისა“, არც იმქვეყნიურობა წარმოჩნდება სახარბიელო განწყობით. იქ მდუმარებაა, „სიცივის თარეში“, მწუხარება „და არც სულს უხარია“. რჩება განწყობა, რომ ასეთ მიუსაფრობას „ვნება-წამება“ სჯობს, ცრემლით ბალიშის დანამვა, რადგან ამ ვნება-წამებაში „სულის ხმოვანება“ შეიგრძნობა და ლოცვის სიმხურვალე, მაგრამ ლურჯა ცხენების შეჩერება შეუძლებელია:

„ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“
(ტაბიძე 1973 : 71).

გალაკტიონთანაც სული რელიგიური ტრადიციისამებრ სატრანსპორტო საშუალებით – ცხენით – არის გამოხატული, პოეტურად კი „ლურჯი ცხენით“. ლურჯით იმიტომ, რომ ცას უკავშირდება, რომელიც გამყოფია ორი სამყაროსი. გალაკტიონი მრავლობით რიცხვს მიმართავს – ცხენები, მერნები („ახალ მერნების წყება“). ის არ საუბრობს მხოლოდ ერთი პიროვნების, ლირიკული

გმირის განცდაზე, მისი სატკივარი ზოგადად ადამიანთა სევდაა: თავდაუზოგავი სრბოლა ამ წუთისოფელში და შემდეგ მწუხარება-სა და სიცივეში განსვენება. სწორედ წუთის სისწრაფის მანიშნებელი უნდა იყოს, ერთის კი არა, მრავალი ცხენის ქროლვა.

„ცისფერყანწელებიდან“ განსაკუთრებით ტიციან ტაბიძე განიმსჭვალა ბარათაშვილის სულისკვეთებით. მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერყანწელებმა“ უარყვეს წინამორბედთა პოეზია, მათ შემოქმედებაში იგრძნობა გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და ვაჟას გავლენა არა მარტო თემატურად, არამედ მხატვრული სახეებისა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით. ტიციან ტაბიძისათვის მუდამ ახლობელი იყო ბარათაშვილი თავისი ტკივილითა და სევდით. ამ ორ პოეტსაც პირველ რიგში სულიერი ობლობა ანათესავებთ. არა მხოლოდ ტიციან ტაბიძის ლექსებს, არამედ პროზასაც ბარათაშვილის ზემოქმედება ეტყობა. ტიციან ტაბიძე არ ცდილობს დამალოს ეს კვალი. ბარათაშვილის პოეზიისადმი მისი დამოკიდებულება მრავალმხრივია. ტიციანი ბარათაშვილის მხატვრულ სახეებს, მეტაფორებს სიმბოლოებად გარდაქმნის. ეს სიმბოლოებია: მწირი, ყორანი, უდაბნო. ტიციანი ინარჩუნებს ბარათაშვილის რიტმსაც, მისეულ ლირიზმსა და ინტიმურობასაც.

ბოლოსიტყვაობა

კიდევ ბევრი ბიოგრაფიის შექმნა შეიძლება იმ კაცზე, რომელიც შემთხვევით თუ განგებით მე-19 საუკუნეში დაიბადა; მშობლებისგან წარჩინებული გვარიშვილობა ხვდა წილად, თანაც ისეთი, რომ წინა საუკუნეში ყველაზე ცნობილი და ქვეყნისათვის მებრძოლი მეფე მისი ახლო წინაპარი აღმოჩნდა; უდარდელი ბავშვობა ჰქონდა არა იმიტომ, რომ მის ოჯახს არაფერი უჭირდა, უბრალოდ, – ნათლად „რბიოდა ... დრო ყმანვილობის სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“, დედის აღერსს და თავისუფლებას გრძნობდა, არ ეფიქრებოდა მომავალი, არ განიცდიდა „საწუთროს ვნებას“ და არ გამოეცადა „სოფელი მომლერალი“. მაგრამ, როგორც კი ყრმობა გავიდა, გონებამ თავისუფლება დაუკარგა, საწუთროს მიაჯაჭვა. მას აქეთ „ხმა რამ“ აედევნა; ცხადად თუ სიზმრად ის ერთსა და იმავეს უმეორებდა: „ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი“. და, აი, დაიწყო ძიების ურთულესი, კაეშნიანი ხანა; გაუჭირდა „წილობის“ შეცნობა; რაც მოისურვა, ყველაფერი წაერთვა და ყველაფერზე უარი ეთქვა. ტაძარს შეაფარა თავი, „უქრობელმა ლამპარმა“ გაუთბო „კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით“ მოკლული გული, მაგრამ საწუთრომ ბედნიერება არ დააცადა, ტაძარი დაუნგრია, უდაბნოში დატოვა, ლამპარი ჩაუქრო, ნუგეში წაართვა.

რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ მისი სიყვარული არ შედგა; ის, რომ სატრფო ემდუროდა „ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას“; ის, რომ ბანოვანი არ აღმოჩნდა „მშვენიერი სული“. პოეტმა მას ლექსით აუხსნა, რომ „მშვენიერი“ განსხვავდება „ლამაზისაგან“. „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“ და იმიტომ ის ყვავილივით ჭკნება; „მშვენიერება“ კი ნათელია, ის სულის თვისებაა და გარეგნობაში არ აისახება. „მშვენიერი სული“ სხვისთვის „დამაშვრალია“, მზეა, რომელიც სალამოს იმისთვის ჩადის, რომ დილა უფრო გააცოცხლოს, ვარსკვლავია, განთიადისა მორბედი. იგივე მისია აქვს სატრფოსაც; ის „ცის ცვარია“, დამჭკნარ მდელოს რომ აცოცხლებს. პოეტი და მისი სატრფო ერთად, ჰარმონიაში იღვნიან სიცოცხლისათვის. მხოლოდ მათი თანაარსებობა განაპირობებს სი-

ცოცხლეს (მარტო მზე გაახმობდა მდელოს, ცვარი კი დააღპობდა). სიყვარული „მშვენიერ სულთა კავშირია“; ის ადამიანს უკვდავებას აზიარებს, მაგრამ, როგორც კი ეს კავშირი ირღვევა, ადამიანი რჩება კვლავ ობოლი და მიუსაფარი, რაც ურწმუნოსა და უნუგეშოს ნიშნავს. სიყვარული გზაა ობლობის დაძლევისათვის, მაგრამ ის არაა დამოკიდებული ერთი ადამიანის სულის სიმშვენიერეზე.

გაუჭირდა მარტო დარჩენილს, კვლავ ობლობამ და უნუგეშობამ სძლია; სხვა გზას დაუნყო ძებნა და ბუნებაში პოვა იგი. მთანმინდის საღამომ მეგობარივით მიიღო, გულიდან დარდი ჩამოხსნა, ცისკენ გაიტაცა მისი ფიქრები, „ზენაართ სამყოფს“ მიუახლოვა, დაავინყა ამაოება და სულს შვება მიანიჭა, მაგრამ მხოლოდ დროებით. არც რწმენა აღმოჩნდა მუდმივი. ლოგიკამ უკარნახა, რომ, თუ სიყვარული ერთ ადამიანზე არ არის დამოკიდებული, ბუნებაში განმარტოება ყოველთვის შესაძლებელია. გამოცდილებამ მიახვედრა, რომ მთანმინდაზე ის ყოველთვის შეძლებს „გულის მწუხრის“ „მზიანი დილით“ შეცვლას. მას სამუდამოდ დაამახსოვრდა ის საღამო, როცა მთანმინდის მიდამოემა მის სულს შვება „მიუძღვნა“; გაუჩნდა იმედი, რომ კვლავ მოიპოვებს რწმენას, თუკი ეჭვი და წუხილი შემოაწვება. ამისათვის მაშინვე უნდა მიაშუროს წმინდა მთას ცაზე საფიქრელად ან, თუნდაც, მტკვრის ნაპირს, რადგან ზვირთებშიც „ლაჟვარდი ცის კამარა“ მოჩანს. პოეტს იქაც ეგულებოდა ნაცნობი ადგილი განსასვენებლად; ბუნება კი პასუხს აძლევდა იმ ეგზისტენციალურ კითხვებზე, რომლებიც ასე ძალიან აწუხებდა.

ძიება გაგრძელდა და ახლა შვება ლოცვაში პოვა პოეტმა, ნამდვილ ლოცვაში, როცა სიტყვები კარგავს მნიშვნელობას და უფალსა და ადამიანს შორის უსიტყვო კომუნიკაცია მყარდება. ძიების ურთულესსა და კაეშნიან პროცესში მოახერხა ის, რასაც ფიქრითა და გონებით ვერ ჩასწვდა, პოეტური ფანტაზიით შეიცნო იმქვეყნიური სამყარო, ეშხით დამდნარი შეერთო „ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არ ამ ქვეყნიერს“. არც ეს აღმოჩნდა საკმარისი მაძიებელი სულისთვის. გონებას სწყუროდა „ბედის სამძღვრის გადალახვა“, იმ საზღვრის, რომელიც თავად გაავლო ორ სამყაროს – ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის. ამისათვის

პოეტმა თავი არ დაინდო და თავგანწირულ მხედრად იქცა; სული კი – მერანი – თავდაუზოგავი ჭენებისათვის გაიმეტა. და რას მი-
აღწია? გადალახა ბედის საზღვარი? არა, მაგრამ „გზის სავალი“
სხვას გაუადვილა. როგორ? გონებას თვალსაწიერი გაუფართოვა?
არც ესაა გამორიცხული. მაგრამ, პირველ რიგში, მოიპოვა რწმენა
იმისა, რომ გონების მიერ შესაძლებელია იმქვეყნიურობის შეცნო-
ბა. ეს უკანასკნელი მხოლოდ მისტიკური ღვთისშემეცნებითაა მი-
საღწევი, გონების გარეშე გონებაში ასახვით.

მაშასადამე, პოეტის მთელი ბიოგრაფია შეცნობაა კაცთა სა-
ზოგადოებაში ყველაზე ურთულესი და მუდამ პასუხგაუცემელი
კითხვებისა: ვინა ვართ? გავჩნდით რისადა? რა არის ჩვენი მიზა-
ნი? როგორ შევიცნოთ ჭეშმარიტება? ამ კითხვებს პოეტმა მთელი
ცხოვრებით უპასუხა: ჩვენ კაცნი ვართ და რადგანაც კაცნი გვქვი-
ან, უნდა ვიზრუნოთ სხვისთვის, სულიერად მკვდარს არ უნდა ვემ-
სგავსოთ. „ცოცხალი“ რწმენით აღსავსეს ნიშნავს. რწმენამდე მიჰ-
ყავხარ: ჩვილობას, სიყვარულს, ბუნებას, ლოცვას, პოეტურ ფან-
ტაზიასა და მისტიკურ ღვთისშემეცნებას. საერთოდაც, მთავარია
სწრაფვა მიზნისაკენ, პროცესი და არა საბოლოო მიზანი ანუ შე-
დეგი. ღვთისაკენ სწრაფვის პროცესი გარდაქმნის ადამიანს.

AFTERWORD

Many more biographies can be created for this person who was born, whether accidentally or providentially, in the 19th century. He got from his parents the benefit of noble descent, including the fact that even the most famed king and outstanding defender of the country living in the previous century had turned out to be his close ancestor. His youth years were carefree not because his family had nothing to worry about. But merely – it was clearly "the time of adolescence – passed among the equals, peers, and friends," he felt the mother's hugs and the sense of freedom, had no concern as to what future would bring, and did not experience "mundane passions" or the "world chanting". But as soon as the youth was gone, his mind deprived him of his freedom, and the mundane world manacled him. Since, "a voice of sorts" pursued him; whether awake or dreaming, he would hear it repeatedly say: "Seek, thou, man, where thy fate is." And thus has started his hardest, saddest years of searching; It was so difficult to recognize his "lot"; Whatever he desired, he got deprived of it, and whatever he wanted, was denied to him. He sought asylum in the temple, and the "inextinguishable lantern" warmed his heart killed by "the wickedness of men and the twists of fate", however the Fates never allowed him to attain happiness, destroyed his temple, left him in the desert, quenched his lantern, and took away all and every consolation.

What was the reason for this? The fact that his love did not happen; That his beloved disapproved of "the changing ardour of affection", and that the lady did not appear to possess a "beautiful soul." The poet used a verse to explain to her that "beautiful" is different from "pretty". "Prettiness is the talent solely of flesh" and therefore it withers like a flower, while true "beauty" is full of light, it is a feature of the soul and may not be reflected in appearance. "The beautiful spirit" "exerts itself" for other, it is the sun that sets in the evening to make the morning brighter, it is the star – forerunner of dawn; the gentleman, the beloved has the same mission; she is "the dew of the sky," that would bring life back to the shrivelled grass on a meadow. The poet and his beloved strive together, in

harmony, for life. It is only their coexistence that creates conditions for life (the sun alone would dry up the meadow, while the dew without sun would make it rot). Love is "the union of beautiful souls"; it acquaints the man with immortality; however, as soon as this union is broken, the man is left again an orphan and destitute, which means here - deprived of faith and solace. Love is a way of escaping orphanacy, but it does not depend on the beauty of just one person's soul.

It was intolerable for him to stay alone, and once again he was taken over by the sense of orphanacy and despair. He began to look for another path and found it in nature. The night on the Mtatsminda mount welcomed him as a good friend, cured his heart from gloom, and carried his thoughts off towards the sky, closer to "the residence of the heaven-dwellers", made him forget the earthly vanity and gave his soul relief, although just temporarily. Neither his faith appeared permanent. Logic suggested that while love cannot be dependent on only one person, it is still always possible to find solitude in nature. His experience suggested that up on Mtatsminda, he will always be able to replace "the grief of the heart" by "the sunny morning". He forever imprinted in his memory that evening – when the environs of Mtatsminda “bestowed” relief on his soul. A hope was born in him that he would find faith again, when troubled by doubts and grief. To achieve this, he must immediately make his way to the Holy Mountain (Mtatsminda) to contemplate the Heavens, or otherwise approach the banks of the Mtkvari River, because one can see in its waves "the azure celestial heavens"; this is still another possibility for the poet to find familiar place to rest his soul; here the nature itself would provide answers to the existential questions that were troubling him so much.

The search continued and now the poet found relief in prayer, true prayer, in which the words lose significance as the wordless communication is established between the Lord and a human. He managed to achieve understanding, through the difficult and sorrowful process of searching, although unable to do so by thoughts and reflection, but by poetic fantasy he was able to comprehend the other world; melted by the sparkle, he merged with "the azure blue, the first-created colour, that of the other world"; This did not appear enough for the searching

soul; His mind longed to "cross the boundaries of Fate", the boundaries that he himself has drawn between the two worlds - this world and the other world; To achieve that, the poet did not spare himself and turned into an unflinching rider. He unsparingly put his soul – Merani – into all-out gallop. And what did he achieve? Had he crossed the boundaries of Fate? No, but he made it easier for others to pursue "the path to proceed". How could it be done? By expanding the mental horizons? This is not excluded either. However, first of all, he achieved confidence in the capacity of a mind to perceive the other world. This latter can only be achieved by mystical perception of the Divine, representing it in mind without applying mind.

And, therefore, the entire biography of the poet apprehends the most difficult and eternally unanswerable questions of the humanity: Who we are? What were we born for? What purpose do we serve? How to comprehend the Truth? The poet's entire life answers these questions: we are humans and because we are called humans, we need to care for others, we should not become spiritually dead. "Living" means being full of faith. We are led to faith by – infancy, love, nature, prayer, poetic fantasy and mystical perception of the Divine. And, in general, the main thing that matters is pursuing the goal, the process itself, rather than the ultimate goal or result. The pursuit of God transforms a person.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე კ., „თ-დი ნიკ. ბარათაშვილი“, ჟურნ. „მომამბე“, 1898, № 6;
2. აბაშიძე კ., „ეტიუდები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962;
3. აბხაზი კობტა, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბ., 1940;
4. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თსუ, 1972;
5. ბაირონი ლ., „დონ ჟუანი“, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016;
6. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, ბათუმი, 1904;
7. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, დავით კარიჭაშვილის შედგენილი, თბ., 1910;
8. ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებათა კრებული, თბილისი, 1922;
9. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, თბ., 1930;
10. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, აკადემიური გამოცემა, ი. თავაძის და ა. განწერელის რედაქციით, თბ., 1939;
11. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1945;
12. ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968;
13. ბარათაშვილი ნ., „ლექსნი“, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, თბ., 1876;
14. ბარათაშვილი ნ., „ლექსნი“, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, II გამოცემა, თბ., 1879;
15. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, თბ., 1885;
16. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, ზ. ჭიჭინაძის რედაქტორობით, თბ., 1890;

17. ბარათაშვილი ნ., „თხზულებანი“, დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბ., 1895;
18. ბერძენიშვილი ნ., 1858 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მიმოხილვა, «Кавказ», 1859, № 43;
19. ბოცვაძე იოსებ, ნიკოლოზ ბარათაშვილი და XIX საუკუნის ქართული პრესა, თსუ, თბ., 1968;
20. გაბაშვილი ეკატერინე, ღარიბ ლიტერატორთა ფონდის დაარსების შესახებ, „ივერია“, 1893, № 85;
21. განერელია აკაკი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. II, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1978;
22. გოცაძე მიხეილ, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. I, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1954;
23. გუგუშვილი პაატა, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის ახალი მასალები“, ჟურნალი „მნათობი“, 1937 წ., № 4;
24. „დროება“, 1867, № 35;
25. კოლხი დონა, გაბუნია დავით, ლირიკა, თბ., 2017;
26. ევგენიძე იუზა, გრიგოლ ორბელიანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 1995;
27. ერისთავი გიორგი, „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“, ჟურნალი „ცისკარი“, 1852 წ., № 5;
28. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ.5, მოთხრობები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964;
29. ვეზირიშვილი მ., „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“, ჟურნ. „ივერია“, 1889 წ., № 247-251;
30. თამარაშვილი მიქელ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902;
31. თუმანიშვილი გ., „ლექსნი თქმულნი ნ. ბარათაშვილისაგან“, „დროება“, 1876 წ., № 60-61;
32. „ივერია“ 1993 : № 78, № 80, № 81, № 82, № 83, № 84, № 85, № 86, № 87.

33. ინგოროყვა პავლე, ნიკოლოზ ბარათაშვილი (ნარკვევი), კრებულიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი 150“, თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968;
34. კეკელიძე კორნელი, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, XIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974;
35. კვესელავა მიხეილ, „ფაუსტური პარადიგმები“, წიგნი I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961;
36. კიკნაძე გრიგოლ, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, გამომცემლობა „სახელგამი“, თბ., 1957;
37. „კრებული“, № 1, № 3;
38. ლაიზევიცი ი., „იულიუს ტარენტელი“, თარგმნ. გ. ნადირაძემ, გამომცემლობა „საბლიტგამი“, თბ., 1958;
39. ლეონიძე გიორგი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1945;
40. ლეონიძე გიორგი, „ლიტ.მემკვიდრეობა“ თბ., 1940;
41. ლორთქიფანიძე კ., „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალი ჟურნალის სარგებლობაზედ“, ჟურნ. „ცისკარი“, 1862 წ., სექტემბერი;
42. მახარაძე აპოლონ, „ქართული რომანტიზმი“, თსუ, თბ., 1967;
43. მეუნარგია ი., „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, „ივერია“, 1893 წ., № 85;
44. მეუნარგია ი., „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1968;
45. მეუნარგია იონა, ქართველი მწერლები, თბ., 1954;
46. მთაწმინდელი ზაქარია, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, თბ., 1885;
47. მიქელაძე ვლ., „ნიკო ბარათაშვილი“, „დროება“, 1881 წ., 21 თებერვალი;
48. მიცკევიჩი ადამ, რჩეული თხზულებანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1986;
49. მღვიმელი შიო, ჟურნ. „ცისკარი“, 1865 წ., ივლისი;

50. ნადირაძე გ., „ბარათაშვილი და ლაიზევიცი“, ჟურნ. „მნათობი“, 1926 წ. № 5-6 (25-26);
51. ნასიძე მიხ., „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“, „ივერია“, 1893, № 85;
52. ნატროშვილი გიორგი, „შემოღამება მთაწმინდაზე“, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1968;
53. ნიკოლაძე ნ., „დროება“, 1871, № 26;
54. ნიკოლაძე ნ., «Тифлисский вестник», 1876, № 17;
55. ნიკოლაძე ნიკო, „ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის აზრი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და იმის პოეზიაზე“, „ივერია“ 1993, № 86;
56. ნიკოლაძე ნიკო, „სირაჯ-პოეტი (ღია წიგნი, მიწერილი ნ. ბარათაშვილთან, საიქიოს)“, „დროება“, 1877, № 18;
57. ორბელიანი გრიგოლ, პოეტური ნაწერების სრული კრებული, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1951;
58. ორბელიანი გრიგოლ, წერილები, ტომი პირველი, 1832-1850, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1936;
59. რუსთაველი 1966 : რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი“, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966;
60. „საბჭოთა ხელოვნება“ 1969, № 3;
61. სირაძე რევაზ, „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები“, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1987;
62. სიხარულიძე ნათია, ქართული რომანტიზმის პოეტური ტრადიცია და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, ხელნაწერის ფუძეებით;
63. სურგულაძე აკაკი, სურგულაძე პაატა, საქართველოს ისტორია (1783-1990), გამომცემლობა – დავით აღმაშენებლის საზოგადოება, თბილისი 1991;
64. ტაბიძე გალაკტიონ, რჩეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973;
65. ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. 1, ტ.2, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2016;

66. ტაბიძე ტიცვიან, ახალი ქართული ლიტერატურა, თსუ გამომცემლობა, 2008;
67. ფანცხავა ი., ჟურნ. „კვალი“, № 45;
68. ფანცხავა რ., ჟურნ. „კვალი“, 1896 წ., № 12, 1897 წ., № 2;
69. ფურცელაძე ა., „საქართველოს მოამბის“ 2 ნომრის მიმოხილვა, ჟურნ. „ცისკარი“, 1863 წ., № 3;
70. ფურცელაძე ა., «Литературный листок», 1864 წ., № 3-9;
71. ფურცელაძე ა., „დროება“, 1867 წ., № 35;
72. ყიფიანი დიმიტრი, მემუარები, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1990;
73. ყიფიანი პ., „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ჟურნ. „კვალი“, 1893 წ., 25 აპრილი;
74. შევარდნაძე ხატია, XIX საუკუნის ქართულ მწერლობასთან ტიცვიან ტაბიძის შემოქმედებითი მიმართებისთვის, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, ხელნაწერის უფლებით;
75. „ჩვენი საუნჯე“, ტ. 6, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1960;
76. ჩიქოვანი მიხეილ, გაზ. „კომუნისტი“ 1945 : № 112;
77. ჩხეტია შალვა, „ნ. ბარათაშვილი“, მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, სსსრ შინსახკომის საარქივო სამართველოს გამომცემლობა, თბ., 1945;
78. ცაგარელი ალექსანდრე, „პროფესორ ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე“, „ივერია“, 1893, № 85;
79. ცაგარელი ალექსანდრე, „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, „დროება“, 1870, № 2;
80. ცენტრალური არქივი, საქმე № 176;
81. წერეთელი აკაკი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, მხატვრული პროზა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1989;
82. წერეთელი აკაკი, „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, ჟურნალიდან „ცისკარი“, 1965, № 9;
83. წერეთელი გიორგი, „ერთი უგბილი“, „დროება“, 1873, № 19;
84. წერეთელი ვ., „კრიტიკული წერილები“, „აკაკის თვითური კრებული“, 1899 წ., № 5-6;

85. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, პოეზია, გამომცემლობა „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987;
86. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. III, გამომცემლობა „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988;
87. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V, კრიტიკა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991;
88. ჭავჭავაძე ი., „ორნი არიან, ტოლნი არიან, ანუ აგანგალა განგალა, შავროვი და სანდალა“, „ივერია“ 1888, № 193;
89. ჭავჭავაძე ი., „ნ. ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული)“, გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 77;
90. ჭავჭავაძე ი., „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, „ცისკარი“, 1861 წ. №№ 4;
91. ჭავჭავაძე ი., „შინაური მიმოხილვა“, ჟურნ. „ივერია“, 1883 წ., სექტემბერი;
92. ჭავჭავაძე ი., წერილები, I, ი. ბოცვაძის რედაქციით, თბილისი, 1949 წ.;
93. ჭიჭინაძე ზაქარია, „წერილები ქართულ მწერლობაზე“, წიგნიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი და XIX საუკუნის ქართული პრესა“, თბ., 1968;
94. ჯოლოგუა თამაზ, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, XIX საუკუნე, ნაკვეთი I, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2011;
95. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბარათაშვილის ავტოგრაფი – S-2701;
96. Благий Д.Д., Творческий путь Пушкина (1813-1826). М. – Л., Изд-во АН СССР, 1950;
97. «Литературный листок», тб., № 3-9;
98. Замотин И. И. Романтический идеализм в русском обществе и литературе 20-30-х годов XIX столетия. Спб., 1907;
99. В. Жуковский, <http://strofa.su/zhukovskij/19-marta-1823>;

100. М. Лермонтов, <http://www.world-art.ru/lyric>;
101. Манн Ю.В. Поэтика русского романтизма. Изд-во «Наука», 1976;
102. Пушкин А. С. Полн. собр. соч. Т. IV, М. Изд-во АН СССР, 1937-194;.
103. Рылеев К. Ф. Полн. собр. соч. стихотворений, Л., 1971;
104. Тютчев Ф. И. [http://pishi-stihi.ru/ne-to-chto-mnite-vy-prioda-tyutchev](http://pishi-stihi.ru/ne-to-chto-mnite-vy-priroda-tyutchev).

გამომცემლობის რედაქტორები:

დამკაბადონებელი
გარეკანის დიზაინერი

მარინე ვარამაშვილი

მარინე ჭყონია

ხათუთა ბადრიძე

მარიამ ებრაღიძე

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278

www.press.tsu.edu.ge